

სხანი უმკობლელი

ივნისი, 2008, №39
ფასი 7 ლარი



ლადო ბურდული

„ლაბორატორია“
„ურბან კლუბი“
მიზა მიხეილაძე

კომენტარები:

საერთაშორისო დამკვირვებლები / მარკ ბალენი
ოქისა და მშვიდობის ზღვარზე / ქობა ლიპლივაძე
„სამკუთხედი“ მელოდრამის გარეშე / გიორგი გვახარია
ის, რას ვინსწავლი / ტონი ბლერი
საფრთხე – ჰომოფობია / ანა კორკაია-სამადაშვილი

წერილები

განგაზიანობა / სალომე კიკალაიშვილი
ტოქიო / ლიზა ასათიანი

საეს-პროექტები

თამაზ 13-19 / ტატო / სტენსილი

კინო

მარტა მესაროვი
ვონ კარ ვანი
ელდარ რიაზანოვი
„მე – ადამიანი“
HOLLYWOOD – დიდგორი – HOLLYWOOD
ბებ დევისი – 100

ლიტერატურა

გიორგი ეპიფანოვილი
ფრანსუა ტრიუფო
გაბა ნახუსრიშვილი
იოსებ ბროდსკი
ტ.ს. ელიოტი

ISSN 1512-2220





*ინოვაციის და უახლოესი ტექნოლოგიები
Innovation & Modern Technologies*

ფეხბურთი, ჩოგბურთი, კალათბურთი, ძიუდო, ცხენოსნობა, ავტო-რალი, სამთო-სათხილამურო შეჯიბრებები. სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარებაზე ზრუნვა *თქვენი ქსელიდან*

Football, tennis, basketball, judo, horse riding, auto rally, skiing contests. Permanent Care and contribution to the development of sport from *Your Network*

შპს გეოჯელ GEOCELL



*სოციალური პასუხისმგებლობა
Social Responsibility*

*ასობით გახმაურებული სოციალური და საქველმოქმედო
პროექტი თქვენი თანადგომით თქვენი ქვრივისა*

*Hundreds of social and charity projects
carried out with your contribution from **Your Network***

თბილისი, რუსთაველის 50; ტელ.: +995 32 983068; ფაქსი: +995 32 920850; www.zegna.com

GREAT MINDS

A man in a dark tuxedo with a white shirt and a dark bow tie is looking off to the side. The background is dark with a red curtain. The text "Ermenegildo Zegna" is overlaid in white, and "THINK ALIKE" is at the bottom in large, bold, grey letters.

Ermenegildo Zegna

THINK ALIKE

Boss Store Tbilisi

37, Rustaveli ave.

0108 Tbilisi

Georgia

Tel: (+ 995 32) 92 10 35

Fax: (+995 32) 92 33 44

E-mail: victoria_fashion@caucasus.net

www.victoria98.com





BOSS
HUGO BOSS

2 ოქტომბერს 2-2 პრიზით

(სიურპრიზები „ალდაგი ბისიასი“)

იმდროს, როდესაც მატერიალური სიდუხჭირე და სხვა სოციალური პრობლემები ქვეყანაში ყველაზე ძნელად მოსაგვარებელი პრობლემა იყო, საქართველოში პირველი სადაზღვევო კომპანია „ალდაგი“ დაარსდა. ამ კომპანიამ იმდენი ნოვატორული იდეა განახორციელა, რომ თითოეული ადამიანის მოთხოვნებს მოერგო და მას შემდეგ (1990 წლიდან) უპირობო ლიდერის პოზიციას ინარჩუნებს. 2006 წლიდან ალდაგის აქციების 100% სადაზღვევო კომპანია ბისიასი-მ შეიძინა. ამ ორი კომპანიის გაერთიანების შედეგად კი ბაზარზე ყველაზე მსხვილი კომპანია გაჩნდა, რომელიც სადაზღვევო ბაზრის 35%-ს ფლობს და მაღალი ხარისხის სადაზღვევო მომსახურებით, მოქნილი სატარიფო პოლიტიკითა და სადაზღვევო შემთხვევის ეფექტური დარეგულირებით გამოირჩევა. ეს რაც შეეხება კომპანიის ისტორიის ინფორმაციულ ნაწილს. ხოლო იმისთვის, რომ სადაზღვევო კომპანიის სტრატეგიულ მიმართულებებზე და დაგეგმილ სიახლეებზე ინფორმაცია დაწვრილებით მიიღოთ, ამ სტატიას გულდასმით უნდა გაეცნოთ.

იცოდით, რომ „ალდაგი ბისიასი“ პირველი კომპანია იყო, რომელიც საცალო ბაზარზე გავიდა და მომხმარებელს დაზღვევის ყველა სახეობაში ინდივიდუალური სადაზღვევო პაკეტები შესთავაზა? ან ის, ნებისმიერი შემოსავლისა თუ სოციალური სტატუსის მქონე პირებს მათთვის მისაღებ სხვადასხვა სახის სადაზღვევო პროდუქტებს რომ სთავაზობს? ამჯერად კი საკუთარი მომხმარებლებისთვის წამახალი-სებელი აქციაც წამოიწყო და უკვე არსებულ თუ პოტენციურ კლიენტებს სასიამოვნო სიურპრიზებსაც ჰპირდება.

თუკი ინებებთ, რომ სადაზღვევო კომპანიის საკმაოდ მარტივი პირობები გაითვალისწინოთ, მაშინ თქვენი „დღის წესრიგი“ 22 მაისიდან – 26 სექტემბრამდე სასურველი სიახლეებით დაიტვირთება. საქმე ის გახლავთ, რომ ამ პერიოდის განმავლობაში „ალდაგი ბისიასი“ საკუთარ მომხმარებლებს წამახალისებელ გათამაშებაში მონაწილეობის მიღებას სთავაზობს და უამრავ საჩუქარს ჰპირდება.

მოიგა მეორე ავტომობილი მეორე ნახევრისთვის!

ეს პრიზი, გათამაშების პერიოდში კომპანიისგან ყველაზე ძვირფასი საჩუქარი იქნება, რომლის მფლობელიც თავისუფლად შეიძლება რომელიმე თქვენგანი გახდეს, თუკი გათამაშებისთვის მოცემულ ვადებში (22 მაისიდან – 26 სექტემბრამდე) კომპანიაში ავტომობილის სადაზღვევო პოლისს შეიძენს. დღესდღეობით ავტომობილის დაზღვევა, მოგეხსენებათ, რომ ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პროდუქტია სადაზღვევო ბაზარზე და მის დაზღვევაზე მოთხოვნაც დღითი დღე იზრდება. თუკი ისედაც აპირებდით ამ სადაზღვევო პროდუქტით სარგებლობას, მით უმეტეს გირჩევთ, ეს „ალდაგი ბისიასი“ გათამაშების განმავლობაში გადამწყობით, საკუთარი ავტომობილიც დააზღვიოთ და კიდევ ერთი ავტომობილის მოგების შანსიც გაზარდოთ. იქიდან გამომდინარე, ამ რომ სადაზღვევო კომპანიას აქვს მანქანის დაზღვევის სხვადასხვა სახის პროდუქტები საგანგებოდ ქალებისთვის და მამაკაცებისთვის, შესაბამისად, პრიზიც ორივე სქესის წარმომადგენლებისთვისაა განკუთვნილი. სწორედ ამის მიხედვით განსაზღვრა კომპანიამ გათამაშების მთავარი მესიჯი – „მოიგე მეორე ავტომობილი მეორე ნახევრისთვის“. რადგან თამაშდება 2 ავტომობილი, თავისთავად, მათი სახეობაც ორგვარია, როგორც ქალისთვის, ასევე მამაკაცისთვისაც.

ამას გარდა გათამაშდება ტურისტული საგზურები ევროპის მიმართულებით და ლეპტოპები. ყველა პრიზი გახლავთ ორ-ორი, რომლებიც პირდაპირ ეთერში 2 ოქტომბერს გათამაშდება. ცნობისთვის, გათამაშების პირობები ვრცელდება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე. ანუ ავტომობილის დასაზღვევად დედაქალაქის ცენტრალურ ოფისში შეიძენთ „ალდაგი ბისიასი“ სადაზღვევო პაკეტს, საქართველოს ბანკის ფილიალში, ავტოცენტრში თუ რეგიონალურ ფილიალში, – თქვენ ავტომატურად გახდებით გათამაშების მონაწილე.

1 კვადრატული მეტრი 1 დოლარად 1 წლით

კიდევ ერთ-ერთი პრიორიტეტული პროდუქტი, რომელსაც „ალდაგი ბისიასი“ სადაზღვევო ბაზარზე უშვებს, ქონების დაზღვევაა. ეს კომპანია პირველი გახლავთ, ვინც კორპორატიული დაზღვევის შემდეგ საცალო დაზღვევაზე პროდუქტების გაყიდვა დაიწყო, ამ სეგმენტის გასაფართოებლად დიდი ინვესტიცია ჩადო და საკმაოდ ბევრი უკვე აპრობირებული პროდუქტი შემოიღო. „ახალი ბინა“ ახალი პროდუქტი გახლავთ იმ ოჯახებისთვის, რომლებიც ქონების დაზღვევას განიზრახავენ და რომელთაც სულ ახლახან შეიძინეს ბინა. ამიერიდან შეგეძლება დააზღვიოთ ყველაფერი: რემონტიდან დაწყებული საყოფაცხოვრებო ტექნიკამდე. უფრო კონკრეტულად კი, ამ პროდუქტის მეშვეობით, ვთქვათ რემონტის დაზღვევისას, ნებისმიერი გაუთვალისწინებელი ფაქტის (წყლის ჩამოსვლის თუ სხვა შემთხვევის) დროს კომპანია საკუთარ თავზე იღებს სარემონტო სამუშაოების დანახარჯის დაფარვას. თუ გადახედავთ სატარიფო სქემას, მიხვდებით, რომ ქონების დაზღვევაც საკმაოდ იაფად (1 კვადრატული მეტრის დაზღვევა 1 დოლარად) შეგეძლება.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ამ პროდუქტით სარგებლობისას ეზღვევა ქონების შიგთავსი: ნებისმიერი საყოფაცხოვრებო ტექნიკა, ავეჯი... ამას გარდა ისეთი ნივთებიც, რომლებიც ყოველდღიურობაში საჭიროებენ გადაადგილებას. თქვენი ლეპტოპი ან ვთქვათ ფოტოკამერა გარეთ ყოფნის პერიოდშიც დაზღვეული იქნება. თუკი რომელიმე ნივთი შემთხვევით დაზიანდება ან უკიდურეს შემთხვევაში ვინმე მოგპარავთ, იცოდეთ, რომ ამ ტიპის ელექტროტექნიკაზეც „ალდაგი ბისიასი“ მომხმარებელს ზარალს უნაზღაურებს. დაზღვევის საფასური საქონლის ღირებულების 1/5 %-ს შეადგენს, რაც რომ გადაინაგარიშოთ, წელიწადში საკმაოდ იაფი დაგიჯდებათ.

ისარგებლეთ სპეციალური ტარიფით და მიიღეთ მონაწილეობა გათამაშებაში!

უფრო კონკრეტულად კი აქციის მსვლელობის პერიოდში, „ალდაგი ბისიასი“ გთავაზობთ სპეციალურ ტარიფს, რომელიც გაცილებით იაფია, ვიდრე ის ტარიფი, რაც რეალურად დღეს სადაზღვევო ბაზარზე უკვე არსებობს. ამ ინოვაციური პროექტის არსი კი შემდეგში მდგომარეობს: თუ აღნიშნულ პერიოდში დააზღვევთ მანქანას, ისარგებლებთ განსაკუთრებული ტარიფითაც და, ამასთანავე, ავტომატურად გახდებით გათამაშების მონაწილე.

გაგონილს მაინც ნანახი და განცდილი სჯობს. ამიტომ, თუ გსურთ „ალდაგი ბისიასი“ მიერ შემოთავაზებული შეღავათებითა და სიახლეებით ისარგებლოთ, გირჩევთ ბევრს ნუ დააყოვნებთ და იჩქარეთ! სიურპრიზები სადაზღვევო კომპანიისგან უკვე დაიწყო.

აღიბა
აქრჩი სპტრ
აქრჩი ნახვჩილსთვრლ



22 ანოლნან
სქანბი ზოლთოლ ბათანაშაბა



სქანბი ზოლთოლ
სანანსვანთო სომანსო
ALDAGI BCI
INSURANCE COMPANY

444 999
www.aldagibci.ge



WELEDA

Im Einklang mit Mensch
und Natur

კალენდულას შამპუნი ჩვილისა და ბავშვისათვის
თმისა და ტანისათვის



ÖKO-TEST
BIOTIN. GUT. GUT.
Weleda Baby & Kind
Calendula
Waschlotion & Shampoo
sehr gut
Ausgabe 11/2007

Calendula
Waschlotion
& Shampoo

reinigt schonend
und pflegt
auch für hochsensible,
trockene Haut

Die natürliche Pflege für zarte Haut

კანთან შეთანხვებადობა ღარმატოლოგიურად გამოსდილი და დადასტურებულია.
/შეგიძლიათ გამოიყენოთ მგრძნობიარე კანის, რძის ფუფხის და ქერქის, ნეიროდერმიტის დროს/
ნედლული მოკრეპულია კონტროლირებული ბიოლოგიური მარნეობიდან
გამრეცხი სუბსტანცია დამზადებულია 100% მცენარეულ საფუძველზე.
სეასილურად ჩვილის მგრძნობიარე თვალბისათვის.



სხანი შოქოცაქი



- 18 რელაქტორის ნერილი
- 20 ჩვენი ავტორები
- 24 კულტ-მიმოსილვა
- 28 **აქცენტი**
კოკა-კოლა შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალის გათუხი
ავტორი: მაია ცეცაძე
- 30 **შოქოცაქი გირჩევთ**
მიყვარხარ, ბარსევიანი!
ავტორი: ანა კორძაია-სამადაშვილი
- 32 **აქცენტები**
გილოცავთ, დედოფალო!
ავტორი: ანა კორძაია-სამადაშვილი
- 34 საფრთხე - ჰომოფობია
ავტორი: ანა კორძაია-სამადაშვილი
- 36 **კომენტარები**
ვინ არიან ეს დამკვირვებლები?
ავტორი: მარკ მალენი
ინგლისურიდან თარგმნა რუსიკო ამირეჯიბმა
- 42 **ჯემო აფსაჯეთი - ომისა და მშვიდობის ზღვარზე**
ავტორი: კობა ლიკლიკაძე
- 46 „სამკუთხაღი“, მელოდრამის გარეშე
ავტორი: გიორგი გვახარია
- 50 **ის, რაც ვინცავე**
ავტორი: ტონი ბლერი
ინგლისურიდან თარგმნა თამარ ბაბუაძემ

თქვენი საიმედო პარტნიორი



158

114



124

150



60

ინტერვიუ

მონარდი – მოკალადა თუ მსხვერპლი

ავტორი: ნინო ბექიშვილი

68

წერილი იაპონიიდან

კლანტა ტოკიო და უკანასკნელი სამუკაეპი

ავტორი: ლიზა ასათიანი

76

წერილი ბანგლადეშიდან

DON'T WORRY

ავტორი: სალომე კიკაღეიშვილი

84

ისტორია

ლადო გურდული

ესე იტყოდა ლადო

ავტორი: ქეთი ბაბუნაშვილი

92

URBAN CLUB

კომფორტისტაპი

ავტორი: სანდრო ნავერიანი

100

პარიზული ჩანაწერები

„შეჩარდი ნამო, მშვენიერი ხარ!“

ავტორი: ლანა ლოლობერიძე

108

მიზა მიწაქა

ადამიანი თავის ადგილას

ავტორი: ნინო ბექიშვილი

114

HOMO INCOGNITUS

ავტორი: დავით მაკარიძე

124

სპეც-პროექტი

თაობა 13-19

ავტორი: ნინო ლომაძე

ფოტო: დავით მესხი

150

ფოტო-პროექტი

პიონერული მანიფესტი კიდელზა

ავტორი, ფოტო: დავით მესხი

158

ფოტო-პროექტი

შეცდომის უფლების გარეშე

ავტორი: ანა კორძია-სამადაშვილი

ფოტო: დავით მესხი

172

უახლესი ისტორია

იყო და არა იყო რა

ავტორი: დათო ტურაშვილი

176

ცრემლიანი სათვალე

შოკოლადი და ვარდები. 2003

ავტორი: გიორგი გვახარია

184

ერთხელ ინ ჯორჯია

მიორა მავთული

ავტორი: აკა მორჩილაძე

თქვენ მიიღონ ბანკით

გახსენით ანაბარი და მოიგეთ

\$1 000 000



www.million.ge

☎ 444 444



საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA



სხანი შოკოლადი

მთავარი რედაქტორი

შორენა შავერდაშვილი

აღმასრულებელი რედაქტორი

ნინო ლომაძე

არტ-რედაქტორი

გიორგი ნადირაძე

რედაქტორ-სტილისტი

ნინო ბექიშვილი

კორექტორი

ნინო საითიძე

ნომერზე მუშაობდნენ

ანა კორძაია-სამადაშვილი, თამარ ბაბუაძე, სალომე კიკაღვიშვილი, ლანა ლოლობერიძე, მარკ მალენი, ნინო ლომაძე, სანდრო ნავერიანი, კობა ლიკლიკაძე, გიორგი გვახარია, დათო ტურაშვილი, აკა მორჩილაძე, ქეთი ბაბუნაშვილი, დავით მაკარიძე, დავით მესხი, კახა თოლორდავა, მია ცეცაძე, ნინო ბექიშვილი, ლიზა ასათიანი

ფოტო

დავით მესხი, ლევან ხერხეულიძე, ქეთო ცაავა

ილუსტრაცია

მია სუმბაძე

დიზაინი

თორნიკე ლორთქიფანიძე, კახა დოლიძე

საზოგადოებასთან ურთიერთობა

ლელა შუბითიძე

სარეკლამო და გაყიდვების სამსახურის უფროსი

ნესტან ავალიანი

რეკლამის განთავსება

შპს „მსა თბილისი“, ფალიაშვილის ქ. 108

ტელ./ფაქსი: 91 23 26

ელ-ფოსტა: advertise@shokoladi.ge

დისტრიბუცია

ზვიად შენგელია

გამომცემელი

„ცხელი შოკოლადი“, „კინო-ცხელი შოკოლადი“, „ოზონი“, „ბიზნესი-ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“, „დიალოგი“, „თიბისი და თიბისელები“.

შპს „ემ ფაბლიშინგი“, თბილისი 0105, ფალიაშვილის ქ. 108,

ტელ./ფაქსი: 91 23 26

ელ-ფოსტა: mpublishing@caucasus.net

სტამბა

შპს „სეზანი“, თბილისი, ნერეთლის გამზ. 140

ტელ.: 35 70 02

ელ-ფოსტა: lika@cezanne-web.com

ჟურნალი გამოდის 2004 წლის 25 დეკემბრიდან

© “M Publishing” საავტორო უფლებები დაცულია.


ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება აკრძალულია.

www.shokoladi.com

გარეკანზე: ლადო ბურდული
ფოტო: ლევან ხერხეულიძე



ბანა "რესპუბლიკის" ავტოსასხი ფორმულა 1



- ახალი და მეორადი ავტომობილის შესაქენად
- 3,500 - დან 100,000 ლარამდე
- სესხის დაფარვის თქვენივე მოსახარებალი ვადა

გაუნარიით ყველას ფორმულა 1-ით შეიძინეთ თქვენი ოცნების ავტომობილი!

თბილისის ფილიალების ქსელი

სათავო ოფისი	გრ. აბაშიძის ქ. 2	925555
ცენტრალური ფილიალი	გრ. აბაშიძის ქ. 2	925555
დელოსის ფილიალი	ალ. ყაზბეგის გამზ. 47	312161
საღვერის ფილიალი	რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია	910600
წერეთლის ფილიალი	წერეთლის გამზ. 10	345556
პუკინის ფილიალი	პუკინის გამზ. 28	433355
გლდანის ფილიალი	ხიზანიშვილის ქ. 20	590550
ისნის ფილიალი	ნავთულის ქ. 6/2	243737
ფალიაშვილის ფილიალი	ფალიაშვილის ქ. 33ა	912237

ჭავჭავაძის ფილიალი	ჭავჭავაძის გამზ. 13	925555
მარჯანიშვილის ფილიალი	აღმაშენებლის გამზ. 112	243585

რეგიონების ფილიალების ქსელი

ქუთაისის ფილიალი	გრიშაშვილის ქ. 6	(8 231) 58888
ბათუმის ფილიალი	ქუთაისის ქ. 6	(888 222) 32810
სამტრედიის ფილიალი	რაზმაძის ქ. 2	(8 211) 21353
ზუგდიდის ფილიალი	ზვ. გამსახურდიას გამზ. 34	(8 215) 50008
რუსთავის ფილიალი	მეგობრობის გამზ. 20	(8 24) 12 55 55



ჭკუაში სოსიძეძა ქანარალი

(8 22) 92 55 55
www.republic.ge

რედაქტორის წერილი



უკვე ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ პოლიტიკა ქრონიკულად ითხოვს ჩვენგან ხარკის გაღებას. ქრონიკულად გვახვევს თავს თავის აქტუალობას, მნიშვნელობას, სიმწვავეს. ყოველდღიურად სტრესში გვამყოფებს და ყოვლად მეთაბრისხოვანი პოლიტიკური სპეკულაციებითა და ძალაუფლებისათვის თამაშებით გვაზომობირებს. შესაძლოა, მხოლოდ ქართული პოლიტიკა დანაგვიანდა და გახდა იმდენად ერთფეროვანი და უინტერესო, რომ საპარლამენტო არჩევნების დღესაც კი, ობამა-ჰილარის პოლიტიკურ რევერანსებზე ვკითხულობდი სტატიებს და ძალიან მშურდა ამერიკელების, რომლებსაც საინტერესო არჩევანი აქვთ წინ. ჰო, და, მგონი, ცხოვრებაში პირველად მიხაროდა, რომ 21 მაისის საღამოს, მთელი ქალაქი „ჩელსის“ და „მანჩესტერ იუნაითედის“ ფინალზე ლაპარაკობდა. (საერთო ჯამში კი, დიდი ვერაფერი შეღავათია – პოლიტიკა და ფეხბურთი, მგონი, ერთნაირად აზომობირებს!)

ჩვენმა არჩევნებმა კი ჩაიარა, მაგრამ წინ არის ახალი თაობა, რომელსაც „ცხელი შოკოლადის“ ეს ნომერი ამაყად უხდის ხარკს. „თაობა 13-19“ – ადამიანები, რომლებსაც მძიმე მემკვიდრეობა ერგოთ, ზოგი ამ მემკვიდრეობას აგრძელებს, უფრო მეტნი კი – სრულიად ახალი ადამიანები არიან, ცხოვრების წესით, აზროვნების ფორმით, შეხედულებებით, მიზნებით, ამბიციებით. ზოგიერთი მათგანი უკვე ამომრჩეველია, მაგრამ ვეჭვობ, ჩვენს პოლიტიკურ სპექტრში მათ „თავისი კანდიდატი“ ჰყავდეთ. თუმცა, რას გაუგებ ამ ანარქისტებს?! ჩვენი გარეკანის გმირი, ლადო ბურდულიც, სამი თვის დარიასთან ერთად, ხარკს უხდის სიცოცხლეს და მომავალს. სულ ამბობს – „გახსოვდეთ თქვენი ისტორია, გახსოვდეთ თქვენი გმირები“; მაგრამ, მგონი, მთელი ცხოვრება ცდილობდა მომავლის ადამიანი ყოფილიყო, გაესინჯა თავისუფლება და თავისი ისტორია მოეყოლა. ამიტომაც ლაპარაკობს სულ უსიყვარულობაზე, უსიცოცხლობაზე, სიყალბეზე და ფსევდოგმირებზე.

სტატიის ავტორი შესავალში ამბობს, მოუსმინეთ „ჩემო მშვენიერო ლედი“ და ყველაფერი თავის ადგილზე დადგებაო.

მოვუსმინოთ ლადოს, მოვუსმინოთ „ბავშვებს“, მოვუსმინოთ „დრიმჰაკერებს“ და იქნებ, მართლაც მივხვდეთ, როგორები არიან მომავლის ადამიანები.

იქამდე კი:

ჩემო მშვენიერო ლედი
საღამო მშვიდობისა
მე მჯეროდა შენი
რომ შენ სიმართლეშიც ხარ
შენ ხარ იმაზე მეტი
ვიდრე ფიქრები მიყვებოდა ამას
შენ ხარ უფრო ტკბილი
ვიდრე სურვილებში გეხებოდი შენ.
ჩემო პატარა ლედი
ეს შეხება ხდება წერტილი
დასასრული ძველის
და დასაწყისი ყველაფერი ახლის
ეს ნიშნები დაემთხვა ერთმანეთს
და ეს გული ისევ გახდა ერთი
მე გიხსნი შენ ჩემს სამეფო კარებს სიტყვებით
დედოფალო ჩემო, კეთილი იყოს აქ მობრძანება შენი
ცივ ზამთრის ღამეს ერთ სხეულად შეკრული
ჩვენ ვუსმენდით ერთმანეთის გულის ფეთქვის ხმას
ცხელი სუნთქვით ვუთბობდით ერთმანეთს
სურვილებში გაყინულ ემოციურ ტყავს
და მხოლოდ დღეს მივხვდი რა მწყუროდა ამდენ ხანს
ო, ანგელოზო ჩემო,
ისინი ვერასდროს შეძლებენ შეგცვალონ შენ.

შორენა შავერდაშვილი



Tbilisi · G.Tabidze Sreet 3/5 · (032) 99 08 18 · 995 99 93 12 14

cacharel



ლიზა ასათიანი

ჩემი მოხეტიალე ბუნების გამო, ამჯერად იაპონიაში ამოგყავი თავი. და ეტყობა, ეს ჩემი პოსტ-იაპონიური ფაზაა, სადაც მინდა რომ დავინახო და დავაფასო ყველაფერი კარგი, რაც გარშემო ხდება. ცხოვრება ხომ ძალიან მოკლეა იმისათვის, რომ კარგი არ შეიმჩნოდ. მაღლობა მინდა გადავუხადო ორ პატარა ქართველ გოგონას, რომლებიც „ცხელი შოკოლადით“ ხელში, სადაც ჩემი სტატია იყო ლონდონზე, ჩემი რჩევით, ჩემს ლონდონურ საჩაიეში შემოეხეტა და, ასევე ჩემი რჩევით, რეზინის ჭიქაში ჩამოსხმული კაპუჩინო შეუკვება. შემთხვევით მეც იქ ვიჯექი და არ ვიცი რატომ, არ გამოველაპარაკე. მოკლედ, იცით ვინც ხართ – დიდი მაღლობა!

ანა კორძაია-სამაღაშვილი

ვერ დავიბრალებ, რომ გასული თვე ჩემს ბიოგრაფიაში ოქროს ასოებით ჩაინერა. მარცხი მარცხზე. დიდი მოგზაურობა მქონდა დაგემილი – ჩამეშალა. არნახული პროექტი ჩავიფიქრეთ – ჩავარდა. ვიფიქრე, გავირუჯები და ბედნიერების ფერმენტებს ასე მაინც მივიღებ-მეთქი – და მთელი მაისი წვიმდა და წვიმდა! მაგრამ „ძალი ლელავს – ფანჯრიდან ხტება, ადამიანი ლელავს – გამოსავალს პოულობს“, და ვინაიდან თავი ჰომო საპიენსად მიმაჩნია, გამოსავალს მივაგენი – გადავწყვიტე, რომ ეს ყველაფერი განგებამ ჩემს სასიკეთოდ ჩაიფიქრა. ანუ: სხვა კონტინენტზე რომ წავსულიყავი, მასპინძელი ფსიქოპატი აღმოჩნდებოდა ან მალარია მომკლავდა; ინდუსტრიის ცენტრში სერიული მკვლელი მელოდა დაჟანგულ დაზგებში და ახლა პირში ჩალაგამოვლებული ზის – ეგეც მაგას! მზე კი რადიაქტიურია და ნაცარტუტად მაქცევდა. მოკლედ, გადავრჩი! ვაშა! და აი, ტკბილად გეფიქვით სიყვარულისა და ბოროტების შესახებ, იმის იმედად, რომ ჩემს ნაწერს მაინცდამაინც არ ეტყობა, თავში რა მირახუნებს და გულში რა ქარცეცხლი ტრიალებს იმის გამო, რომ ამ მაისმა უჩემოდ ჩაიარა...




ნინო ლომაძე

სპეცპროექტის იდეა პირველი ივნისის თარიღმა მოიტანა. თუმცა პროექტის გმირებად არა ბავშვები, არამედ ახალგაზრდები შევარჩიეთ. ასე გადავწყვიტეთ, რომ ქვეყანაში, სადაც უკვე მერამდენე წელია აქტიური სამოქალაქო საზოგადოების დაბადებას ველოდებით, მნიშვნელოვანია მოუხსინოთ მათ, ვისაც სამოქალაქო ცნობიერება, წესით, სწორედ ახლა უნდა ჩამოუყალიბდეთ. ამ თაობის უკეთ გასაცნობად პროექტში თხუთმეტი ახალგაზრდის მოკლე ისტორიას მოვყვებით. მე კი, სპეცპროექტს ვუძღვნი „ბავშვებს“, ვინც ახლა საკუთარი მომავლის გააზრებას ცდილობს; მათ, ვინც საკუთარი ცხოვრების წესისა და შეხედულებების დაცვის საფასურად, სოციალური მიმდინარეების ქვეშ ცხოვრობს და დამკვიდრებულ სტერეოტიპებთან და ნორმებთან დაპირისპირების არ ეშინიათ; მათ, ვისაც აქვთ ამბიცია შეცვალონ მომავალი და მათაც, ვისაც ასეთ რამეებზე დაფიქრება ჯერ აზრადაც არ მოსვლიათ. მოკლედ, ამ პროექტს ვუძღვნი თაობას – 13-19.

დეპოზიტების აქცია

17 წელი დამოუხიდაბლობიდან

17%





ღამო ტურაშვილი

ამ არჩევნების შესახებ არაფერს ვნერ, რადგან ჩემი არჩევანი, თორმეტი წლის რომ ვიყავი, მაშინ გავაკეთე და ახლაც ისევე მეზიზღება ყველა მოძალადე, როგორც მაშინ, ბავშვობაში და ახლაც მაშინდელივით დარწმუნებული ვარ, რომ თავისუფლების ალტერნატივა უბრალოდ არ არსებობს.

თავისუფლება კი განათლების გარეშე არ არსებობს და როცა ზაფხული ახლოვდება, ყოველთვის მისაღები გამოცდები მახსენდება ხოლმე და მგონი, ეს უფრო მნიშვნელოვანი არჩევანია, ვიდრე ნებისმიერი პარტია ან საარჩევნო ბლოკი.

თუმცა, საბჭოთა საქართველოში მისაღებ გამოცდებს განათლებასთან კავშირი არ ჰქონდა, რადგან არჩევანს აბიტურიენტების ნაცვლად (ძირითადად) მშობლები აკეთებდნენ და ქართველებიც სტუდენტები (ძირითადად) იმიტომ ხდებოდნენ, რომ დიპლომები ჰქონოდათ. ქართველი მშობელიც ალბათ ერთადერთი იყო მსოფლიოში, რომელიც ფულს იმაში იხდიდა, რომ მისი შვილი დებილი ყოფილიყო, მაგრამ დიპლომი კი აუცილებლად უნდა ჰქონოდა. მთავარი იყო დიპლომი და არა განათლება და ამიტომაც, უმაღლეს სასწავლებლებში ისეთ შვილებსაც ტენიდნენ, რომლებსაც სწავლა საერთოდ არ უნდოდათ ან სწავლის ნიჭი საერთოდ არ გააჩნდათ.

საბჭოთა საქართველოს სტატისტიკაც შესაბამისი იყო და ოცი წლის წინ საქართველოში (პროცენტულად) გაცილებით მეტი სტუდენტი ირიცხებოდა, ვიდრე ესპანეთში, იტალიასა და საფრანგეთში ერთად, მაგრამ ახლა (ოცი წლის შემდეგ), ზემოთქმულის მიუხედავად, საქართველოში განათლებულ ადამიანს ვერ პოულობენ და ძალიან უკვირთ.

გასაკვირი კი სინამდვილეში არაფერია და არათუ ქვეშაირი პროფესიონალი, საარჩევნო სიაში ჩასაწერი კადრიც კი იშვიათია და დღევანდელი საქართველო ამ თვალსაზრისით, ზუსტად იმ მეტიწრობის შედეგებს იძენს, ყოველ ზაფხულს რომ ავლენდნენ ხოლმე ჩვენს საბჭოთა მშობლები. მეტიწრობა მოფერებით ჰქვია, თორემ სინამდვილეში ჩვეულებრივი სიმახინჯე იყო, როცა თბილისის მხოლოდ სამი უბნის აბიტურიენტებს ჰქონდათ განადგობილი სტუდენტობა მათი გავლენიანი მშობლების წყალობით ან ახლობლობით, რომელსაც ჩანყობას ეძახდნენ. ფულის გადახდასაც ჩანყობას ეძახდნენ და არა ქრთამის მიცემას და ასეთი მშობლები საქართველოში არა ასობით, არამედ ათასობით იყვნენ და ახლაც არიან.

როგორც ჩანს, ყველაზე რთული მინც მენტალური ცვლილებებია და მართლა რომ სხვაგვარად წარმომედგინა, მინც იგივე ხდება მისაღები გამოცდების დროს და იმ შენობების მისადგომებთანაც ისე ელოდებიან აბიტურიენტ შვილებს დასიცხული მშობლები. უბედურებაც ისაა, რომ ახლაც უამრავ ქართველ მშობელს ისევე ფულის გადახდა ურჩევნია, ვიდრე სიცხეში დგომა და შვილების „წვალება“ და ალბათ ცნობიერების შეცვლასაც კიდევ ერთი თაობა დასჭირდება. ზაზა ხელაიაც ერთადერთია საქართველოში და ყველა აბიტურიენტის

მშობელსაც ჭკუის სასწავლებლად, უბრალოდ, ვერ შეხვედბა როგორც მაშინ, როცა მამამისი რექტორი იყო და მასთან საშუამდგომლოდ კი შვილი მოძებნეს. ზაზა ხელაიას რომ აუხსნეს თუ რატომ ეძებდა ის ხალხი მამამისს, ხელაია მაშინვე მიხვდა რა უნდა ექნა და იმ ხალხსაც სათქმელი პირდაპირ უთხრა – მამაჩემი მაგ ფულს მინც არ გამოგართმევთ, თანაც ძალიან გაბრაზდება და ამიტომ ფული მე მომეცით და თქვენს დებულ შვილსაც მე მოვანყობო. ასეთი ინფორმაციით უზომოდ გახარებულ იმ ხალხს, რასაკვირველია, მოწყობის დეტალების გარკვევა აღარ დაუწყია და ის თანხაც ზაზა ხელაიას გადასცეს. ზაზამ კი რასაკვირველია მამამისს არაფერი უთხრა (ფულს უკან დამაბრუნებინებსო) და მეგობრებთან ერთად ზღვაზე წავიდა. მაშინ ზღვა, მოგვსენებათ, ასარჩევად გვეკონდა, მაგრამ დათუნა ქელიძე მაშინაც დიდი იყო, დიდი ნაპირები და ბევრი ქვიშა სჭირდებოდა გასათბობად და ამიტომ ბევრი იარეს და თბილისში რომ დაბრუნდნენ, მისაღები გამოცდები უკვე დამთავრებული იყო. ის ოროსანი აბიტურიენტებიც უკვე დახვედრილი ჰყავდა მიმღებ კომისიას და მისი გაოგნებული მშობლები კი ზაზა ხელაიას ეძებდნენ იმის გასარკვევად ჰქონდათ თუ არა აზრი მიღებული ორიანების გასაჩივრებას. ხელაია არც კი იმალებოდა, რადგან დარწმუნებული იყო რომ მხოლოდ სიკეთეს მოუტანდა მისი საქციელი იმ აბიტურიენტსა და მის მშობლებს და მინც, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, უცნობ სატელეფონო ზარებს ქალის ხმით პასუხობდა:

– ნომერი, რომელიც თქვენ აკრიფეთ, დაზიანებულია...
ამ წინადადებას ორჯერ იმეორებდა ხოლმე და შუაში კი ზუსტად იმას წარმოთქვამდა, რასაც მაშინ ატეხსი აკეთებდა აბონენტის დაზიანების შემთხვევაში. სხვათა შორის, ზაზა ხელაია მართალი გამოდგა და იმ აბიტურიენტს შემდეგ წელს აღარ ჩაუბარებია, სოფელში დასახლდა, სახლი ჩადგა და ეზოში კი ისეთი კომპოსტოს მოყვანა დაიწყო, დიოკლეტიანესაც რომ შემურდებოდა...

p.s. ზაზა ხელაია კიდევ ბევრი შედეგის ავტორია, მაგრამ ერთი მისი გენიალური ხუმრობის თვითმზილველი მეც ვარ და შეიძლება ამიტომაც ყველაზე ხშირად ეგ მახსენდება ხოლმე.

მაშინ „იბერვიზია“ ახალი გახსნილი იყო და ოპერატორსა და კამერასაც თბილისის ქუჩებში, როგორც იშვიათობას, ისე უყურებდნენ. მეტრო „დელისთან“ გადაღებას თვითონ ხელაია ხელმძღვანელობდა ომახიანად და ოპერატორსაც ხმამაღლა აძლევდა მითითებებს. იქვე ისხდნენ პენსიონერები და უცებ მათ გასაგონად ხელაიამ ცაში აიხედა საქმიანად და ჩიტებს მიმართა:

– აბა, მოემზადნენ ჩიტები!...
და უცებ საოცარი რამ მოხდა – ჩიტები, რომლებიც არეულად დაფრინავდნენ „დელისს“ თავზე, უცებ ერთად შეგროვდნენ და ზაზამაც ხმამაღლა იყვირა:
– აბა, წამოვიდნენ ჩიტები!

და ჩიტებიც ერთად წამოვიდნენ და ცოტათი რომ გაგვცდნენ, ხელაიამ უფრო ხმამაღლა იყვირა:

– არ ვარგა, თავიდან!
და მოხდა ისეთი სასწაული, მხოლოდ ზაზა ხელაიას გამო რომ მოხდებოდა – ჩიტები ისევე დაიშალნენ და ახლაც მასსოვს პენსიონერების გაოცებული სახეები და განსაკუთრებით კი ერთი მათგანის, რომელიც ფეხზე წამოდგა და შემინებული უყურებდა ჩიტებსაც და ხელაიასაც...

p.s.p.s. ზაზა ხელაია ტელევიზორს აღარ უყურებს და ალბათ ვერ ნახავდა იმას, რაც გასულ ზაფხულს ჩვენ ენახეთ ტელევიზიით მისაღები გამოცდების დროს.

ერთ-ერთი შენობის წინ მდგარი მშობლები, სიცხისა და ლოდინისაგან დაღლილები, იქვე ბალახზე იყვნენ მიწოლილები და მისაღები კომისიის ერთ-ერთი წევრი კი მეგაფონით, განწირული ხმით მოუწოდებდა იმ წამოწოლილ მშობლებს:

– ადექით ხალხო, ბალახებში გველვება, გველვები!...



Development Solutions
LIFESTYLE



დიენი - დეველოპმენტ სოლუშენს - ცხოვრების სტილი

გან დეველოპმენტ სოლუშენს თბილისი, ლ.ჯანთიანი 36ა, 0105 ტბლ.: (995 32)241555 ფაქსი: (995 32)241552



TBC-ს დროით

მდიდარი მოქალაქეები, ხელოსნები, ქალები და კაცები, მოხუცები და ბავშვები, ლაბადიანი სტუდენტები და ფეხმსუბუქი ქალები — ყველა რატუმის წინ იყო შეკრებილი, ფეხისწვერებზე დგებოდა, კისერს იგრძელებდა. მისჩერებოდნენ ზღაპრულ საათს, ოცდაოთხი დანაყოფით, ოქროს რკალბით, წრფეებით, რიცხვებით და გასაოცარი ნიშნებით მორთულს, შესცქეროდნენ წრეს თორმეტი თანავარსკვლავედის გამოსახულებით, ქანდაკებებს და ბარელიეფების ჩუქურთმებს, და უკვირდათ...

როგორც კი ზემოთ, საათზე, ზარის ხმა გაისმა, მოედანზე უმაღლე სიჩუმე ჩამოვარდა. ხალხის განსაცვიფრებლად, საათის ქვეშ ორი სარკმელი გაიღო და ერთ-ერთიდან მოციქულები გამოვიდნენ. ისინი ერთიმეორეს მიყოლებით დაიძრნენ, დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ. თორმეტივენი იყვნენ, და ყოველი მათგანი მოედანს გადმოხედავდა ხოლმე. ბოლოს კი თავად იესო გამოვიდა და ბრბო აკურთხა.

ხალხი ქუდს იხდიდა და პირფარას იწერდა, ზოგი შიშით იშვერდა თითს კბილებდაკრეჭილი სიკვდილისკენ და ერთ ადგილას მცქმუტავი იუდასკენ — ის სიკვდილს სთხოვდა, ზარს ნუ ჩამოკრავ, ცოტაც მადროვეო. ხოლო როცა ზემოთ, სარკმელების თავზე, მამალი გამოჩნდა და ხმამალა დაიყოლა, ბრბო გახალისდა და სიცილი დაიწყო. და ყველა ერთხმად ადიდებდა პრალაში და მთელს დედამიწაზე ყველაზე ლამაზი საათის შემქმნელს, ოსტატ განუშს.

მერე ბოროტმა ადამიანებმა იფიქრეს, განუში სხვა ქალაქში უკეთეს საათს გააკეთებდნო, და ოსტატს თვალები დასთხარეს. საშინელი ამბავი იყო. განუში ვეღარ ხედავდა თავის ქმნილებას, მხოლოდ ის ესმოდა, როგორ მკაფიოდ და ზუსტად მუშაობდა მექანიზმი, როგორი უნაკლო საათი აჩვენებდა დროს უმადურ ადამიანებს. იდგა თავის შედეგთან უსინათლო, ავადმყოფი, უდროოდ დაბერებული ოსტატი — და გარეთ, კოშკის საათზე, სიკვდილმა ზარს ჩამოკრა. მაშინ ოსტატმა განუშმა წამით შეყო ხელი თავის მიერ აწყობილ უამრავ პატარა ბორბალსა და ქანქარაში. მექანიზმი ახრიალდა, ახრიალდა, ბორბლები უაზროდ ტრიალებდნენ, კოშკზე კი სიკვდილი ზარს რეკდა და რეკდა. მერე ზარი დადუმდა და მასთან ერთად სამუდამოდ გაჩერდა დიდოსტატის გული და მის მიერ გაცოცხლებული ამქვეყნად ყველაზე კარგი საათი.


ეს ძველი ჩეხური თქმულებაა, თუ არ მოგნონთ, ნუ დაიჯერებთ. მაშინ ნამდვილ ამბავს გეტყვით, იმას, რომ 1970-იანი წლების გარიჟრაჟზე ერთ ძალიან გაპრანჭულ რესტორანში ორი უსაშველოდ ჭუჭყიანი, დაუბანელი და დაუვარცხნელი ჰიპი შევიდა. მათ ძვირფასი ღვინო მოითხოვეს, ჯერ ერთი ბოთლი, მერე — მეორე. მიმტანი ძალიან შეწუხდა და თავის უფროსს შესჩივლა, ეს ხალხი გადამხდელს არ ჰგავსო.

„გადიხიდან“, მშვიდად მიუგო გამოცდილმა უფროსმა, „შეხედე, იმას მაჯაზე როგორი საათი უკეთია“.

მე ვერასოდეს ვხედავ, ვის როგორი საათი უკეთია. საათებს კი ვხედავ, მაგრამ როგორია — ვერ ვხვდები. ერთადერთი, იმას მივხვდი, რომ 15 მაისს თბც ბანკის შენობაში ძალიან ძვირფასი და ძალიან საინტერესო საათები იყო გამოფენილი.

წარმოიდგინეთ: დედაქალაქში შვიდი საათი შესრულდა და უამრავი საათი ერთად ამლერდა! რეკდნენ, წკრიალებდნენ, უკრავდნენ, სარკმელიდან გუგული გადმოხტა — რა შესანიშნავია! ორგანიზატორებმა კი თქვეს, ყველა ერთ დროს არ რეკს, მექანიკურება და წამებში ცდებიან ერთმანეთსო, მაგრამ ეს წამები არავის შეუმჩნევია. ან რა მნიშვნელობა აქვს — რა არის წამი იმ საუკუნეებთან შედარებით, რომლების განმავლობაშიც ეს საათები ნიკნიკებდნენ.

ყველაზე უფროსი საათები მეჩვიდმეტე საუკუნისა იყო, ყველაზე უმცროსი — მთლად ჩვენი თანამედროვე. ჯიბის, ეტლის, გემის, კედლის, მაჯის საათები, ზოგი — ძალიან მორთული, ზოგი — ნაკლებად თვალშისაცემი, ზოგი — სასაცილო, ზოგი — უაღრესად სერიოზული. მაგრამ ყველას თავისი ისტორია აქვს, ყველა ერთადერთი და განუმეორებელი. სამწუხაროდ, გამოფენა დაიხურა, თბილისში კი, მოგეხსენებათ, საათების მუზეუმი არ არსებობს. არა მგონია, კოლექციონერებს, ვისი წყალობითა და ბანკის თანადგომითაც გამოფენა გაიხსნა, ჩვენი მასპინძლობის დიდი სურვილი ჰქონდეთ. ძალიან გულდასაწყვეტია, რომ მხოლოდ ერთეულებმა ვნახეთ მოხუცი, ბრძენი და ცოტა ჯადოსნური საათები...





ვანდობის განაკვეთი

	წილი emcანი	კვირა	დღი
3 თვე	7.5%	5.5%	9%
6 თვე	9%	7%	10.5%
9 თვე	10%	8%	12%
12 თვე	11%	9%	13.5%
18 თვე	11.25%	9.5%	14%
24 თვე	12%	10%	15%

თქვენს სანაწილო ანგარიშზე განაკვეთი



ბრავა, ელისო!

სახელი „ელისო“ ქართულ რეალობაში ორ ასოციაციას ბადებს, პირველი — ნიკოლოზ შენგელაიას ლეგენდარული ფილმია, მეორე — ლეგენდარული პიანისტი, ელისო ვირსალაძე. ეს ის შემთხვევაა, როდესაც გვარი შეგიძლია არც კი ახსენო და მხოლოდ სახელით მოხსენიებას ფამილარობად არავინ ჩაგითვლის, რადგან ამ სახელის პატრონი ერთადერთი და განუმეორებელია.

3 მაისს კონსერვატორიის დიდ დარბაზში ელისომ დაუკრა. ბოლომდე გადაჭედული დარბაზი სასწაულს ელოდა, სასწაულს, რომელსაც ელისოს შუბერტი ჰქვია. ელისოს თბილისური კონცერტები იმითაც გამოირჩევა, რომ იგი რეპერტუარს თითქმის არასოდეს არ იმეორებს, ბოლო წლებში პროკოფიევისა და მოცარტის კონცერტებით მოახდინა წარუშლელი შთაბეჭდილება, ამჯერად კი სოლო კონცერტი მთლიანად შუბერტს დაუთმო და რომანტიზმის ყველაზე ნაკლებად მოყვარულებიც კი აღფრთოვანებული დატოვა. ჩვენთან იშვიათია ასეთი ე.წ. პროფესიული სოლო კონცერტები, როცა პიანისტი ბოლომდე ერთგული რჩება მუსიკის, არ თამაშობს პუბლიკაზე და ახერხებს წარმოდგენებს — გრძელი სოლო პროგრამა მთლიანად ერთი კომპოზიტორის ნაწარმოებებით შეადგინოს და არ იყოს მოსაწყენი. პირველი განყოფილების ექსპრომტებსა (ოპუსი 90) და პიესებს (ოპუსი 142) მეორე განყოფილების გვირგვინი, ლეგენდარული და ურთულესი ფანტაზია „მოხეტიალე“ მოჰყვა. სწორედ ის ფანტაზია, რომელიც ყოველთვის სვიატოსლავ რიხტერის სავიზიტო ბარათად მიიჩნეოდა და რომლის შესრულებასაც ხშირად არ ურჩევენ ქალ პიანისტებს, აქაოდა, ძალა არ გეყოფათო. ელისომ ეს მითითური შიში სრულებით გააქარწყლა, ტექნიკურად უნაკლო, ბრწყინვალე შესრულებას არც ემოცია აკლდა და არც ცეცხლი. ქალი პიანისტების შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ გავრცელებულ სტერეოტიპს ანი ფიშერთან, მარტა არგერიხთან და ბევრ სხვასთან ერთად, ქართველი პიანისტიც აცამტყერებს. „მოხეტიალე“ ელისოს ხელში ნამდვილ მუსიკალურ სასწაულად იქცა: უკრავდა მოზომილი, გამორჩეულად ნიუანსირებული შესრულების მანერით, რაც ასე განასხვავებს ელისოს ამ პოპულარული ნაწარმოების ბევრი გამოჩენილი და „ხმაურიანი“ შემსრულებლისგან. ელისომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ რომანტიკული მუსიკის დიდი ოსტატის სახელი დაუმსახურებლად არ მოუპოვებია. რომანტიზმის მისეული ინტერპრეტაცია არსად, არცერთი წამით არ გადადის მელოდრამატულობაში, ზედმინევით რაფინირებული და დახვეწილია. სწორედ ასეთი იყო 3 მაისს შესრულებული შუბერტი და ნამდვილად დამსახურებულად დაინგრა დარბაზი ტაშით. ბისზე გამოსული ელისო როაღთან დაჯდა; დარბაზიდან მოხუცი ქალბატონის მიერ წამოსროლილ უკმაყოფილო რეპლიკას: „დაანებეთ თავი, რა დროს ბისია, დაიღალა საწყალიო“, ღიმილით უპასუხა და კიდევ ცოტა ხნით გაგვიგრძელა მუსიკალური სასწაული, კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მუსიკით არასოდეს დაიღლება. ბრავა, ელისო!

ავტორი: დათო გაბუნია, ფოტო: გიია გოგატიშვილი

ტაიმ-აუტი

GPC-ს ფარმაცევტული კონფერენსია

საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი ფარმაცევტული კომპანია GPC-ს ძირითადი მიმართულება, მართალია, სამედიცინო პროდუქციის იმპორტი და დისტრიბუციაა, მაგრამ ამ კომპანიას წვლილი თანამედროვე ქართული სამედიცინო სამეცნიერო სივრცის განვითარებაშიც მიუძღვის. კონფერენციები, რომელთაც GPC მედიცინის მუშაკებს ინტენსიურად სთავაზობს, აქტუალურ თემებსაც ეხება და მათ პროფესიულ კვალიფიკაციასაც წაადგება.

მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ონკოლოგიური დაავადებები აქტუალური სოციალური პრობლემაა. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, კიბოთი დაავადებულთა რაოდენობა მსოფლიოში დღესდღეობით 18 ნახევარ მილიონს აღემატება. ამ სავალალო სტატისტიკას თითქმის ყველა ქვეყანაში გამოუდგობთ ებრძვიან და კიბოს პრევენციის თუ ვაქცინაციის საშუალებებზეც ბევრს მუშაობენ.

22 აპრილს „ქორთიარდ მერიოტში“ GPC-ს ორგანიზებულ ფარმაცევტულ კონფერენციაზე, მომხსენებლებმა ბევრი ისაუბრეს ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ – საშვილოსნოს ყელის ავთვისებიანი სიმსივნის პრევენციის ძირითად ასპექტებსა თუ მის გამომწვევ მიზეზებზე. იმის გამო, რომ „მედიკოსების ენა“, მედიცინაში ნაკლებად ჩახედული ადამიანისთვის მაინც არცთუ ისე მარტივად გასაგებია, ამ დაავადების თავისებურებებსა და განვითარების ტენდენციებზე დაწვრილებით ვერ მოგიტხრობთ, მაგრამ იმის თქმა კი დანამდვილებით შეიძლება, რომ ეს არ გახლდათ მხოლოდ დიდ ქრონომეტრაჟიანი ბანალური კონფერენცია. კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით, კიბოს რისკ-ფაქტორებზე აგებულ მოხსენებებს, დისკუსიაც მოჰყვა. სტუმრებისთვის ჩამორიგებულ სამახსოვრო საჩუქრებში მოთავსებული გამოკვლევის სქემა – პაპ-ტესტი კი სპეციალისტებს პაციენტის გამოკვლევისთვის საჭირო მასალის აღებაშიც დაეხმარება.

კომპანია GPC ტრადიციას სამომავლოდაც განაგრძობს, აქტუალურ თემებს ისევ ხშირად შეეხება და ქართულ ფარმაციაში კიდევ არაერთი სიახლის დანერგვასაც გეგმავს.



ავტორი: მაია სეცაძე, ფოტო: ქეთო სააპა

55 ლლი

0%-იანი კრედიტი



T B C C A R D

მეტი თავისუფლება!

☎ 27 27 27 | www.tbcbank.ge



თიბისი ბანკი
T B C B A N K

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

კოკა-კოლა შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალის ბათუმში

ავტორი: მაია ცხაპაძე



1995 წელს, როდესაც სამზის „დედოფალი“ – ტანია მარია თბილისის ფილარმონიაში კონცერტს მართავდა, დარბაზი თითქმის თავისუფალი იყო. 2002 წელს საქართველოში მისი მორიგი ვიზიტისას, უკვე ძალიან ბევრმა მსმენელმა ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების მსოფლიო ჩემპიონობა მასთან ერთად იზეიმა და საკონცერტო განწყობა საყოველთაო ზეიმშიც გადაიზარდა. წელს კი, ქართველი მსმენელის მოთხოვნების გათვალისწინებით, კომპანია „ისტერნ პრომოუშენი“ ტანია მარიას საქართველოში მესამედ ჩამოიყვანს. უკვე მეტორმეტე წელია, რაც „ისტერნ პრომოუშენი“ თბილისში საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალს მართავს. მის დიდ საფესტივალო ოჯახს კი ათასობით ერთგული გულშემატკივარიც შემოუერთდა. ეს იმიტომ, რომ ყოველ წელს კომპანიის მიერ შემოთავაზებული მუსიკალური რეპერტუარი ჯაზის მოყვარულებისთვის ნამდვილად შთამბეჭდავად გამოიყურება და „ისტერნ პრომოუშენის“ „ორბიტაზე“ არაერთმა მეგავარსკვლავემა გაიელვა.

წელს, 22-დან 24 ივლისის ჩათვლით, ბათუმში მაღალი ტემპერატურაა მოსალოდნელი. სამი დღის განმავლობაში ჯაზის მოყვარული პუბლიკა, „კოკა-კოლა შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალის“ ფარგლებში, სამი სხვადასხვა მიმართულების ბენდს მოუსმენს. ბათუმის ჯაზ-ფესტივალის რიგით მეორეა. შარშან თბილისის ფესტივალის შემდეგ, მისმა ორგანიზატორებმა, ჯაზ-ფესტივალის აჭარაში პირველად ჩატარეს. წელს კი, ვინაიდან „ისტერნ პრომოუშენს“ სახელმწიფოსგან ფილარმონიის შენობა იჯარით აქვს აღებული და სარეკონსტრუქციო სამუშაოები თბილისში ფესტივალის ჩატარებას აფერხებს, თბილისის ნაცვლად ფესტივალის ბათუმში გაიმართება. ფესტივალის ყველაზე დიდი სიურპრიზი მარკუს მილერი იქნება, რომელსაც ქართველი მსმენელი უკვე კარგა ხანია ელის. დიდი მცდელობის შედეგად „ისტერნ პრომოუშენმა“, როგორც იქნა, მუსიკოსის დაყოლიება მოახერხა და მისი ვარსკვლავური „ახირებების“ დაკმაყო-



ფილებასაც დროულად შეუდგა. 22 ივლისს ფესტივალს სწორედ მარკუს მილერი და მისი ბენდი გახსნიან.

მარკუს მილერი უკვე 30 წელია შემოქმედებით მწვერვალზე იმყოფება. თანამედროვე მუსიკისა და ჯაზის ლიდერი, მსოფლიოს ყველა დროის ბასგიტარისტთა ხუთეულშიც კი შედის. 2001 წლის გრემის ლაურეატი წარმატებულ პარტნიორობას უწევს თავის ბავშვობის კერძს, მაილს დევისსაც. რამდენიმე წელია, მისი ყურადღება ფილმების მუსიკალურმა გაფორმებამაც მიიპყრო და რამდენიმე ფილმისთვის მუსიკაც აქვს დანერვილი. დღეს კი, მუსიკოსს უფრო არტისტიკული პროექტები აინტერესებს. შარშან მან საკუთარ ბენდთან და ჯაზის ლეგენდებთან (ჰერბი ჰენკოკთან, დევიდ სენბორთან, მაკკოი ტაინერთან...) ერთად კრუიზიც კი მოაწყო, სადაც სპონტანურ ჯემსეიშენებს, სემინარებს მართავდნენ, ინტერვიუებს ლეგენდარულ მუსიკოსებთან წერდნენ... მოკლედ, როგორც მარკუს

მილერს უყვარს: ზღვას, მზეს და ერთგულ მსმენელს აქ ნამდვილად დაახვედრებენ.

მომდევნო საფესტივალო დღეს (23 ივლისს) ქართველი მსმენელი მისთვის ნაკლებად ცნობილ კუბურ ჯგუფს გაიცნობს. „Free Hole Negro“ ახალგაზრდა ანდერგრაუნდული ჯგუფია, რომლის ძირითადი მიმართულება ჰიპ-ჰოპ-სალსა გახლავთ და მათი მუსიკა კუბურ რიტმზე აგებულ ესპანური რეპის ელემენტებსაც შეიცავს. ფესტივალის ორგანიზატორები ვარაუდობენ, რომ „Free Hole Negro“-ს ათვაციანი ბენდი ახალგაზრდული პუბლიკისთვის სასიამოვნო აღმოჩენა იქნება. ამ ჯგუფისგან ქართველი მსმენელი ჰიპ-ჰოპის, სამბა-მამბო-სა და ცოტა ფანკის ელემენტებით „შეთხზულ“ ენერგიულ მუსიკას მიიღებს.

24 ივლისს კი, ბოლო საფესტივალო აკორდს ტანია მარიას კვარტეტი (Marc Bertaux – ბასგიტრისტი, Jean Tony Rabeson – დრამერი, Edmundo Carneiro – პერკუსიონისტი) აიღებს. ტანია მარიასთვის ქართულ პუბლიკასთან ურთიერთობა უცხო არ არის, თუმცა, აჭარაში ეს მისი პირველი ვიზიტი იქნება და უკვე ცნობილია, რომ მას ბათუმელებიც მოუთმენლად ელიან. ლათინური ელემენტების შემცველი რიტმული მუსიკა და ბრაზილიური სამბა ყველა თაობის მსმენელს აამოძრავებს და საზღვაო გარემოსაც მოუხდება.

კონცერტები ბათუმის ბულვართან ყოფილ კლუბ „პროზაკის“ ტერიტორიაზე, ახლანდელ „მიუზიკ ჰოლში“ ჩატარდება. ნახევრადგადახურული დარბაზი (რომელიც თავისუფლად იტევს 1800-მდე კაცს) ბათუმური კლიმატის გათვალისწინებით შეარჩიეს. ლეგენდარულ სტუმრებს კი ქობულეთის ახლადაშენებული ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო „ჯორჯიან პალას ოტელი“ უმასპინძლებს. ამ სასტუმროს ფესტივალის ორგანიზატორები ფესტივალის ბაზასაც კი უწოდებენ, სადაც ის ჯგუფები, რომელთა ჩამოყვანასაც საფესტივალო დღეებში დამატებით გეგმავენ, სასტუმროში დაბინავებული სტუმრებისთვის საღამოობით ჯემსეიშენებს გამართავენ.

შარშან „შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალზე“ მოსახვედრად 80 ლარიანი აბონემენტით მსმენელს სამივე კონცერტზე შეეძლო დარჩენა. წელს ვარაუდობენ, რომ ბილეთები ცალ-ცალკე გაიყიდება, მაგრამ უწინდებურად სიმბოლურ ფასად. მაგალითად მარკუს მილერის მოსმენა შესაძლოა მაქსიმუმ 50 ლარი დაგიჯდეთ. ასეთ საჩუქარს კი ფესტივალის ორგანიზატორები სპონსორებს უმადლიან, რომელთაც საერთოდ ჯაზ-ფესტივალის არსებობაში ლომის წვლილი მიუძღვით. ფესტივალის სახელის ანუ გენერალური სპონსორი ისევ და ისევ „კოკა-კოლა“ გახლავთ. ერთ-ერთი სპონსორია „თიბისი ბანკი“, ფესტივალის ოფიციალური სპონსორი კი კომპანია „ჯეოსელია“. სხვა სპონსორებთან ერთად წელს ჯაზ-ფესტივალს მხარს აჭარის კულტურის სამინისტრო და ბათუმის მერიაც უჭერენ.

ასეთი გახლავთ „კოკა-კოლა შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალის“ წლევეანდელი მუსიკალური „მენიუ“ და თუ ჯერ კიდევ არ დაგიგეგმავთ ზაფხული, გირჩევთ, ბევრიც არ იფიქროთ.

მიყვარხარ, ბარსევენი!

ავტორი: ანა ქორძია-სამადაშვილი



*„ღვევი, დრე და ვანათი
არ ღირს ერთი მანათი...“
ხალხური მტკნარი სიცრუე*

დილით ექვსზე გამეღვიძა – რატომ ღმერთი არ გაიცინებს! ამაყი გულმკერდისა და მეფური კუდის მფლობელმა მამალმა იყივლა და იყივლა, აღარ მორჩა. ქალაქელ ნევროტიკს არც მანქანების ხმაური მალავიძებს და არც სკოლაში მიმავალი უზრდელი ბავშვების ღრიალი, მამალზე კი – აჰა! სრულიად ბრიყვეული რეაქცია მქონდა.

ეს იყო ღვევში, თბილისთან ძალიან ახლოს, ნიკლაურების სახლში, სადაც ცხენების ეშხით და რატი ერადის წყალობით ამოყავი თავი. რატომ გადავწყვიტე, რომ ცხენოსნობა ჩემი მონოდებაა, ვერ გეტყვით. უბრალოდ, მიამბეს, რომ არსებობს თავლა და არიან კაცები, რომლებიც ჩემნაირებსაც სვამენ ცხენზე და აჰყავთ დიდგორზე. თუ ძალიან მაგარი ხარ, ცხრაღლიან ლაშქრობასაც აწყობენ, თუ არაფრისმაქნისი აღმოჩნდი, ერთს მაინც გაგატარებენ, რომ დარწმუნდე: არაფრისმაქნისი ვარ და ჩემგან მხედარი არ გამოვა. და ვინაიდან ვფიქრობ, რომ ის, რაც ერთ ადამიანს შეუძლია, მეორისთვისაც შესაძლებელია, გავისხენე ყველა ჩემი ნაცნობი იდიოტი, რომელიც ცხენს ჩინებულად დააგლევეს, დაევიწიე სხეულის მთლიანობის დარღვევის შიში, დაფურეკე რატის და მან ღვევში წამიყვანა.

უწინ ეს დიდი დასახლება ყოფილა. აქ პური მოჰყავდათ. ოდესღაც სომეხი ბატონის საკუთრება – ღვევი, დრე, ვანათი და სხვა სოფლები ნიკლაურმა შეიძინა – ნიკლაურები ამ მხარეში რამდენიმე სხვა მთიულურ გვართან ერთად ორი საუკუნის წინათ ჩამოსახლებულან.

დღეს ეს პანანინა სოფელია, სულ რამდენიმე მოსახლე ჰყავს. სოფლის განაპირას დგას თავლა, საბჭოთა დროს – ფერმის შენობა, რომელიც მისმა ახლანდელმა მფლობელებმა სრულიად სავალალო მდგომარეობაში შეიძინეს: სანახევროდ დანგრეული, ნაკვით სავსე, ასეთი მიტოვებული შენობები უხვად შეგხვდებათ ჩვენს სოფლებში. ძველი დიდების იმ ნაშთებისგან განსხვავებით, ღვევის თავლა ამჟამად ჩინებულ მდგომარეობაშია. მას იცავს კავკასიური ნაგაზი ბაბილინა, რომელიც უშველებელია და კაციჭამიას ჰგავს, სინამდვილეში კი აბსოლუტურად უბოროტო, კეთილგანწყობილი არსებაა. აქ ცხოვრობენ ცხენები.

ცხენები ძალიან ლამაზები არიან – ვერიკა! ყოველ მათგანს თავისი ზნე აქვს, ზოგი შარანია, ზოგი – ზარმაცი, ზოგი სულ წინ გარბის – ასეთი არ მინდოდა, ზოგი კი თვინირია და სულ არ თვლის, რომ ახალბედა უნდა დაჩაგროს.

ასეთი ყოფილა გარსევანი.

ქელს ვიხრი თქვენი მოთმინების წინაშე, ბატონო გარსევან! ამხელა თავმოყვარე ცხოველმა აიტანა ის, რომ შიშისგან ცოტა გადარეული – კი არ ვიმჩნევდი

ვითომ, მაგრამ ის ხომ მიხვდა! – და მხოლოდ მისი წყალობის იმედად მყოფი მხედარი ააცოცდა ზურგზე, და თან პრეტენზიებიც ჰქონდა: გაჩერდი, მარჯვნივ წადი, მოუხვე, აბა, ცოტა ჩორთი... მართალია, დაუზარლად ვუხსნიდი, რომ ის ულამაზესია, რომ ასეთ კაცს საერთოდ არ ვიცნობ, რომ, აჰ, ბატონო გარსევან, ნუ შემამინებ, გეხვეწები, ხომ ხედავ, ჩემი გამჭირვება – მაგრამ ვინ ვიყავი, ბოლოს და ბოლოს, მასთან შედარებით, რომ გავკადნიერდი და ზურგზე დავაჯექი!

გარსევანმა კეთილად მატარა და ამიტომ მეორე დღეს, იმ ღირსშესანიშნავ დილას, როცა საკუთარი ნებით პირველად გამეღვიძა ალიონზე, მამაცად წავედი თავლისკენ, გარსევანისთვის „დილა მშვიდობისას“ სათქმელად, მის და კვირაცხოვლობის მაღლის იმედად მყოფი. ვერ მომართვეს.

რატომ თქვა, აი, მარგალიტა, ამაზე დაჯდებიო. ვაი. მარგალიტა, ხუთი წლის ქალი, რამდენიმე შვილის დედა, ლამაზი-ლამაზი – და უზარმაზარი. ვაი. მაგრამ მერე ვიფიქრე, რომ თუ რატის ჩემი დასახიჩრება მოუნდებოდა, ამისთვის ჩემი აქამდე ამოყვანა სულ არ იყო აუცილებელი, და დავჯექი. დავიძარით ტახტებისკენ.

ამ ველებზე თურმე იქაურ ბატონს ჰქონდა ზაფხულის რეზიდენცია. მშვენიერი გემოვნება ჰქონია ბატონს: იქიდან ისეთი ხედი იშლება! გზა ზღაპრების ნიგნის ილუსტრაციას ჰგავს, თან ყველაფერი ყვაოდა, რატი ამბებს ჰყვებოდა. კარგი იყო. ოღონდ, გარსევანისგან განსხვავებით, მარგალიტამ დაასკვნა, რომ არ მოვწონვარ და ჩემს ტარებას თავლასთან ბალახის წიწკნა აჯობებს.

კი, ამისწინ, ყველა ცხენი ასეთია, თუ შანსი ექნება, აუცილებლად დაგიბრიყვებსო, ასე ნუ ელაპარაკები, ეგ კატა არაა, ცხენია, ქუსლი მაგასო, მაგრამ მარგალიტა აშკარად სხვა აზრისა იყო. მერე მითხრეს, კარგად იჯექიო, მაგრამ მე ხომ ვიცი, რაც მჭირდა: გაფუჭდი. ტახტებამდე კი ავედი და გოგოსთან მაინცდამაინც დიდი კონფლიქტიც არ მომსვლია, მაგრამ რომ ჩამოვქვეითდი, ვიფიქრე, რომ მარგალიტას იმედად ყოფნას საკუთარი ფეხების იმედად ყოფნა მერჩივნა.

ახლა კი ისევ მინდა ცხენზე. ოღონდ გარსევანზე. რა ვქნა, პირველი სიყვარულია. ჰოდა, გადავწყვიტე, ეს საქმე ვისწავლო და მერე ისევ წავიდე ღვევში. თუ თქვენც მოგინდათ – რა პრობლემაა. დაიმხსოვრეთ: თეთრიწყაროს რაიონი, სოფელი ღვევი, თუ არადა, რატის დაურეკეთ. ფასი – უალრესად დემოკრატიული, მასპინძელი – საუკეთესო, მიდამო – ზღაპრული, ცხენები – ერთიმეორეზე კარგი.

ოღონდ გარსევანს ნუ მიეძალებით. რამე არ აწყენინოთ. ეგ ჩემი ცხენია.

BALLY

Tbilisi · G.Tabidze Sreet 3/5 · (032) 99 08 18 · 995 99 44 70 80



გილოსავთ, დედოფლო!

ავტორი: ანა კორძია-სამადაშვილი



ნიკოლოზ კაპანაძესა და თამაზ დავარაშვილს აქვთ პატივი მოგიწვიოთ კაფე „ვაკანდაში“ დედოფლის დაბადების დღის აღსანიშნავად. აუცილებელი პირობა – ნარინჯისფერი სამოსი ან აქსესუარი.

თუკი ნიკოლოზ კაპანაძეს ჰკითხავთ, სიცოცხლის განმავლობაში ყველაზე კარგად რა დღე გახსენდებაო, დაუყოვნებლივ გიპასუხებთ: „დედოფლის დაბადების დღე“. საუბარია ნიდერლანდების დედოფალ ბეატრისზე.

არა, არა, სამეფო წვეულებაზე ნიკოლოზი არავის მიუწვევია. უბრალოდ, გაუმართლა და ერთ 30 აპრილს ამსტერდამში იყო.

„იქ ამას „ნარინჯისფერ სიგიჟეს“ უწოდებენ, რადგან ჰოლანდიის სამეფო გვარის ფერი ნარინჯისფერია. ნარინჯისფერია დროშები, საჭმელი და სასმელი, უამრავ ადამიანს ნარინჯისფერის ტანსაცმელი აცვია და ათასგვარი სულებური და მხიარული აქსესუარი ამშვენებს. მითხრეს, რომ ზოგ პატარა შადრევანშიც კი ნარინჯისფერი წყალი მოჩქევს...“

მაგრამ მთავარი სიხარული ნარინჯისფერი როდი ყოფილა – ნიკოლოზს მის მიმართ არანაირი განსაკუთრებული დამოკიდებულება არა აქვს. არც უამრავ კონცერტსა და მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარე ზეიმს მოუხდენია მასზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება და არც ტურისტების სიუხვეს აღუფრთოვანებია. ნიკოლოზს, რომანტიკოსს, ფაქტი მოსწონს: მთელი ერი თავისი დედოფლის დაბადების დღეს აღნიშნავს! ნამდვილი დედოფლისა, ისეთის, ზღაპრებში რომ არიან! დედოფლობა რომ ეკუთვნით! და მან გადაწყვიტა, რომ ამ ზღაპრის ქალბატონის დღეობა თბილისელებსაც უნდა გვეზეიმა – ბოლოს და ბოლოს, დედოფლებს ხომ ეროვნება არა აქვთ, უბრალოდ, ცხრა მთას იქით ცხოვრობენ...

ნიკოლოზისგან განსხვავებით, მისი თანამოაზრე თამაზ დავარაშვილი საქმეს პრაქტიკულად მიუდგა და ნიდერლანდების სამეფო კარის ოფიციალური გვერდი შეისწავლა – ზეიმი კარგია, მაგრამ ხომ უნდა ვიცოდეთ, ვის ვუხდით დაბადების დღეს? იქ ეწერა, რომ ნიდერლანდების დედოფალი ბეატრისი (Beatrix), დედოფალ იულიანასა და პრინც ბერნჰარდის პირველი შვილი, 1938 წლის 31 იანვარს დაიბადა. ფაშისტური გერმანიის თავდასხმის გამო სამეფო ოჯახი 1940 წელს

ჯერ დიდ ბრიტანეთში გაემგზავრა, შემდეგ კი – ოტავაში, და მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ შეძლო ჰოლანდიის მიწაზე დაბრუნება.

ალარ მოვევებით, რომ პრინცესას საუკეთესო განათლება აქვს მიღებული. ალარ ჩამოვთვლით, რამდენი რამ შეისწავლა და რამდენ მეცნიერებას დაეუფლა – ნიდერლანდების ტახტის მემკვიდრე იყო, ბოლოს და ბოლოს, და არა ახლადგამდირებული მდაბიოს გოგო. ის ქველმოქმედი, გულისხმიერი პრინცესა იყო, ჭეშმარიტი მეფის ასული. მეუღლეს სათანადო ჰყავს – გერმანელი დიპლომატი კლაუს ფონ ამსბერგი, მისი და მომავალი დედოფლის ქორწინება მეფე-დედოფალმა და პარლამენტმა ერთხმად მოიწონეს და – კვლავ მეფური საქციელი – საქორწილო საჩუქრად მიღებული მთელი თანხა ახალშეუღლებულებმა საქველმოქმედო მიზნებისთვის გასცეს: უნარშეზღუდული ბავშვების მშობელთა ასოციაციებს დაურიგეს, ნაწილი კი ჰოლანდიის წითელი ჯვრის ხომალდის, Henri Dunant-ისთვის მედიკამენტების შექმნას მოხმარდა.

1980 წლის 30 აპრილს ბეატრისი დედოფალი გახდა. მას აქეთია, დედოფლის დაბადების დღე ოფიციალურად 30 აპრილს აღინიშნება: გარდა იმისა, რომ ეს დედოფალ ბეატრისის ტახტზე ასვლის დღეა, ამ დღეს დედამისი, იულიანაც დაიბადა. თან, თავად განსაჯეთ: განა არ ჯობს, სახალხო დღესასწაული 30 აპრილს გაიმართოს, როცა მზე ანათებს და ტიტები ყვავის? იანვარში ცივა... გარდა ამისა, დედოფალ იულიანასგან განსხვავებით, რომელიც თავისი სასახლის წინ, ფიცარნაგზე მდგომი ეგებებოდა ხოლმე თავის მოქალაქეებს, დედოფალი ბეატრისი ამ დღეს თავისი სამეფოს რამდენიმე ქალაქს მოინახულებს ხოლმე, სადაც მას ცეკვითა და ალღუმებით ეგებებიან.

აი, თბილისშიც რომ შემოველო, აღმოაჩენდა, რომ ბამბის რიგში, კაფე „ვაკანდაში“, მისმა თავყვანისმცემლებმა ყველაფერი ნარინჯისფერად მორთეს. აღმოაჩენდა, რომ მხოლოდ მის სამშობლოში არ გამოეწყო ხალხი საგულდაგულოდ, რომ მხოლოდ მის ნიდერლანდებში არ იყო სასმელიცა და ტკბილეულიც ნარინჯისფერი. და იმასაც მიხვდებოდა, რომ სადღაც, ძალიან შორს, ცხრა მთას იქით, ხალხი დედოფალზე ოცნებობს, რომელთან მისულიც მის უსაზღვრო წყალობას მიიღებს, რომლის მფარველობაც ყველაზე ვრცელდება – მთავარია, იქამდე მიაღწიო და სთხოვო.

კარგი საღამო გამოვიდა. დედოფალი არ გვწვევია, მაგრამ მაინც.



ფაქმაცვევადი კომპანია
ჯიპსი გთავაზობთ
სახის კანის უფასო
დიაგნოსტიკას და
თქვენთვის შესაფუძისი
კოსმეტიკური
საშუალებების შეჩვენას

კანის დიაგნოსტიკის კანონებში

ბანსნილი შაბაბ აფთიანაბში:

პენინი 2 (დოლიძის ქუჩის კუთხეში)

ჩხსთავდის 16

ჭავჭავაძის 50

საფრთხე – ჰომოფობია

ავტორი: ანა კორძია-სამადაშვილი



17 მაისი ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეა, 1 ივნისი კი მძიმე საბჭოურ მემკვიდრეობასთან ბრძოლას უკავშირდება: 2000 წელს ამ დღეს საქართველოში ჰომოსექსუალობის დეკრიმინალიზაცია მოხდა. ამ ორ თარიღთან დაკავშირებით ინფორმაციისათვის ფონდ „ინკლუზივის“ წარმომადგენლებს, ეკა ალდგომელაშვილს და პაატა საბელაშვილს მივმართეთ.

ევროპარლამენტის მიერ 2006 წლის 18 იანვარს მიღებულ რეზოლუციაში ტერმინი „ჰომოფობია“ ასეა განმარტებული: „ჰომოფობია წარმოადგენს წინასწარგანწყობაზე დაფუძნებულ ირაციონალურ შიშსა და სიძულვილს ლესბოსელების, გეების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ და მსგავსია რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და სექსიზმისა“. ამ მოვლენათა ერთ რანგში განხილვა, ერთი მხრივ, მიგვანიშნებს იმ სოციალური და ფსიქოლოგიური მექანიზმების მსგავსებაზე, რომლითაც აღინერება თვითოეული ეს მოვლენა და, მეორე მხრივ, ხაზს უსვამს ჰომოფობიასთან, როგორც სამიმ სოციალურ პრობლემასთან ბრძოლის მნიშვნელოვანებასა და აუცილებლობას.

ცხადია, „ფონდი ინკლუზივის“, როგორც ლგბტ ადამიანების უფლებების დამცველი ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი მიზანი საზოგადოებაში არსებული ჰომოფობიური განწყობის დაძლევაა. ჩვენი ორგანიზაცია ხელს უწყობს საქართველოში ისეთი საზოგადოების ჩამოყალიბებას, რომელშიც სექსუალური ორიენტაცია და გენდერული თვითგამოხატვა არ იქნება დისკრიმინაციის საფუძველი. მოგვსენებათ, დემოკრატიული, მდგრადი და სრულფასოვანი საზოგადოება წარმოუდგენელია ლესბოსური, გეი, ბისექსუალური ორიენტაციისა და ტრანსგენდერულ ადამიანთა, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა სოციალური ჯგუფის სრული ინტეგრაციის გარეშე.

2005 წელს ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღედ 17 მაისის გამოცხადება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გადამწყვეტილებას უკავშირდება, რომელმაც 1990 წლის 17 მაისს ჰომოსექსუალობა ფსიქიკურ დაავადებათა სიიდან ამოიღო. გაეროში გაგზავნილ მიმართვას მაშინ 35 ქვეყნიდან ადამიანის უფლებებისთვის მებრძოლმა 10 000-ზე მეტმა აქტივისტმა მოაწერა ხელი. ამ მოთხოვნას, ცხადია, თავისი მიზეზები ჰქონდა. ჰომოფობიის გამოვლინების თვალსაზრისით, XX საუკუნე ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი პერიოდი იყო ისტორიაში. ჰომოსექსუალები იდეენებოდნენ და ისჯებოდნენ საბჭოთა კავშირში. ნაცისტურ გერმანიაში ამ ბრალდებით 100 000-მდე ადამიანი საკონცენტრაციო ბანაკებში ამოყოთავი...

საბჭოთა კავშირში ჰომოსექსუალობის ხელახალი კრიმინალიზაცია 1934 წელს მოხდა. ამ პერიოდში, ჰომოსექსუალობასთან ბრძოლა ლამის სახელმწიფო იდეოლოგიის ნაწილად იქცა. თუმცა, სტერეოტიპი „ჰომოსექსუალობის დასავლური წარმოშობის შესახებ, როგორც ბურჟუაზიის მორალური დეგრადაციის შედეგისა“, 70-იან წლებშიც კი საკმაოდ აქტუალური იყო (საინტერესოა, რომ 60-იან წლებში, ამერიკაში ლგბტ სამოქალაქო უფლებებისათვის ბრძოლის დასაწყისში, ამერიკელები ჰომოსექსუალებს კომუნისტებად და საბჭოთა კავშირის აგენტებად თვლიდნენ, რომლებიც ცდილობდნენ „გაერყვნათ პატიოსანი ამერიკელი ახალგაზრდები“). ამ სიტუაციას ხშირად იყენებდნენ შანტაჟისა და დამინებისათვის. საინტერესოა, რომ კანონი მხოლოდ მამაკაცებს შორის ჰომოსექსუალური კავშირისათვის ითვალისწინებდა სასჯელს, ლესბოსელობა კი ფსიქიკურ გადახრად ითვლებოდა.

დღესაც, XXI საუკუნეში მსოფლიოს ოთხმოცდაექვს ქვეყანაში ჰომოსექსუალობა კანონითაა აკრძალული და ისჯება – ზოგ ქვეყანაში სამუდამო პატიმრობას ითვალისწინებს, ზოგან კი ადამიანებს სიკვდილით სჯიან.

რალა თქმა უნდა, ჰომოსექსუალობის ამოღება ფსიქიკურ დაავადებათა სიიდან და მისი დეკრიმინალიზაცია წინ გადადგმული ნაბიჯია, მაგრამ ანტიდისკრიმინაციული კანონის არარსებობის პირობებში, ლგბტ ადამიანები ხშირად ხდებიან საზოგადოებაში არსებული ჰომოფობიის მსხვერპლი. არათუ საქართველოში, სადაც არა მარტო ჰომოფობიის პროპაგანდა, არამედ რელიგიური შეუწყნარებლობისა და სექსიზმის გამოვლინებაც ბოლო პერიოდის წინასწარჩვენო პერიოდის უცვლელ ატრიბუტად იქცა, არამედ იმ ქვეყნებშიც კი, სადაც დიდი ხნის წინ მოხდა ჰომოსექსუალობის დეკრიმინალიზაცია, ყოველდღიურად აღინიშნება ძალადობის ფაქტები სკინჰედებისა, სხვადასხვა ნეოფაშისტური დაჯგუფებების მხრიდან. ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის დაწესების მთავარი მიზეზი მსოფლიოში ლგბტ ადამიანთა დისკრიმინაციის ამ და სხვა მრავალ ფაქტზე ფართო საზოგადოების ყურადღების მიპყრობაა.

ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო სიმბოლო ვარდისფერი სამკუთხედი, რომლის ისტორიაც ნაცისტურ რეჟიმს უკავშირდება. ბოშებთან და ებრაელებთან ერთად, ჰომოსექსუალები იმ „არასასურველ“ ადამიანთა ჯგუფს განეკუთვნებოდნენ, ვის განადგურებასაც ნაცისტები აპირებდნენ. კანონმდებლობის 175-ე პარაგრაფში, რომელიც ჰომოსექსუალურ ურთიერთობებს კრძალავდა, ჰიტლერის მიერ ცვლილებები იქნა შეტანილი, რომლის მიხედვით, ჰომოსექსუალური აქტის გარდა, იკრძალებოდა აგრეთვე კოცნა, ჩახუტება, ჰომოსექსუალური ფანტაზიებიც კი! კანონის დამრღვევები სასჯელს ციხეში იხდიდნენ, შემდეგ მათ საკონცენტრაციო ბანაკებში გზავნიდნენ. გამოტანილი განაჩენი მათ სტერილიზაციას ითვალისწინებდა, რასაც ხშირად კასტრაციაც სდევდა თან. 1942 წელს სასჯელი გაამკაცრეს და ჰომოსექსუალური აქტისთვის ადამიანებს სიკვდილით სჯიდნენ.

საკონცენტრაციო ბანაკებში პატიმართა მარკირების თავისებური სისტემა ჰქონდათ – მწვანე სამკუთხედს კრიმინალური ელემენტები ატარებდნენ, წითელს – პოლიტპატიმრები, ერთმანეთის გადაამფარავი ყვითელი სამკუთხედები, რომელთა კომბინაციაც დავითის ვარსკვლავს ქმნიდა, პატიმრის ებრაულ წარმოშობაზე მიუთითებდა. ვარდისფერ სამკუთხედს კი ჰომოსექსუალები ატარებდნენ. ბანაკების პატიმართა იერარქიაში ისინი ყველაზე დაბალ საფეხურზე იდგნენ.

ისტორიკოსებს ამაზე საუბარი არ უყვართ, ჩვენი ვარდისფერი სამკუთხედი კი, ამოტრიალებული, ძახილის ნიშნით, არავის აძლევს ისტორიის დავიწყების ნებას, რათა ეს ისტორია აღარასოდეს განმეორდეს.



მართე ახალი ავტომობილი
ნებისმიერი ძველის ნაცვლად



MITSUBISHI
MOTORS



Audi



KIA MOTORS



RENAULT



Trade in Centre

☎ 208080

Trade in Centre გთავაზობთ:

- ავტომობილის ღირებულების შეფასება
- ნებისმიერი მარკის და მოდელის შეცვლა შეუზღუდავად გარბენისა და გამოშვების წლის
- სწრაფად, კომფორტულად და მოხერხებულად ტრანზაქციის განხორციელება
- შემფასებელი კომისია - მოდის ადგილზე და აფასებს
- ავტომობილის ღირებულების ჩათვლა, პირველ შენატანად
- დაკრედიტების სხვადასხვა შესაძლებლობები
- პერსონალური მენეჯერი ყველა კითხვაზე
- ავტომობილის საბაზრო ღირებულების შეფასებისას რისკის არ არსებობა



REUTERS

ვინ არიან ეს დამკვირვებლები?

ავტორი: მარკ მალენი
ინტელისურტიდან თარგმან რუსიკო ამირაჯიბია

საქართველოში ჩატარებულ არჩევნებს საერთაშორისო დამკვირვებლები რომ ესწრებიან ხოლმე, ყველას მოეხსენება, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რას როგორ და რატომ აკვირდებიან ისინი. შეძლებისდაგვარად შევეცადები წარმოგვინათ შეგიქმნათ მათ საქმიანობაზე.

ცივი ომის დასრულებამ დასავლეთის მდიდარ დემოკრატიულ ქვეყნებს, პირველ რიგში, აშშ-ს, საშუალება მისცა შედარებით ლარიბი ავტოკრატიული ქვეყნებისთვის დემოკრატიის მნიშვნელობა დაენახებინათ. მდიდარ დემოკრატიათა რიცხვს ავსტრალია, ახალი ზელანდია, იაპონია და კორეაც განეკუთვნება, მაგრამ დომინანტი სახელმწიფოები მაინც აშშ, კანადა და ევროკავშირის ქვეყნებია. ქვემოთ მათ ევროატლანტიკურ ჯგუფად მოვიხსენიებ.

ხალხის ნების გამოხატველი არჩევნების ჩატარება დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი, მაგრამ ამავე დროს ძალზე რთული მხარეა. გასაგებ მიზეზთა გამო, სხვადასხვა მთავრობები თავიანთ ქვეყნებში ჩატარებულ არჩევნებს ყოველთვის სამართლიანად აცხადებენ. ევროატლანტიკური ჯგუფის წინაშე დადგა ისეთი მეთოდის შემუშავების ამოცანა, რომელიც არჩევნების სამართლიანობის ხარისხს დაადგენდა. ამის საუკეთესო მეთოდად არჩევნებზე დამკვირვებელთა მისიების წარგზავნა მიიჩნეეს.


საერთაშორისო დამკვირვებელთა მისიები დროთა განმავლობაში იხვეწებოდა და ამჟამად მათი რამდენიმე ტიპი არსებობს: 1) შერეული დელეგაციები, რომლებშიც სხვადასხვა ორგანიზაციების ან ქვეყნების დამკვირვებლები შედიან; 2) ცალკეული ქვეყნების, არასამთავრობო ორგანიზაციების ან პარტიული დელეგაციები; 3) საელჩოების და სხვა ორგანიზაციების ცალკეული წარმომადგენლები;

4) ამა თუ იმ მთავრობის მიერ დაქირავებული ჯგუფები.

ამათგან ზოგი საჯაროდ აკეთებს განცხადებას დამკვირვების შედეგებზე, ზოგი – არა. მაგალითად, საელჩოების წარმომადგენლები თავს იკავებენ პირდაპირი კომენტარისაგან და ინფორმაციას არჩევნების შესახებ თავიანთ მთავრობებს წარუდგენენ ხოლმე. მათი მთავრობები ამ ინფორმაციის მიხედვით იქცევიან. მაგალითად, აშშ-ს საელჩოს დამკვირვებელთა ანგარიშის ხასიათმა განაპირობა ის, რომ პრეზიდენტმა ბუშმა არჩევნებიდან მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ მოულოცა საქართველოს პრეზიდენტს არჩევნებში გამარჯვება.

ორი ჯგუფი შეიძლება გამოიყოს იმ დამკვირვებელთა შორის, ვინც საჯაროდ აკეთებს განცხადებას არჩევნების შესახებ: ტექნიკური და პოლიტიკური დამკვირვებლები. ტექნიკური ჯგუფი პროფესიონალი დამკვირვებლებისაგან შედგება. პოლიტიკური ჯგუფის წევრები, როგორც წესი, მოქმედი ან ყოფილი პარლამენტარები არიან. მათ კარგად ესმით არჩევნების პოლიტიკა, მაგრამ ხშირად არასრული წარმოდგენა აქვთ კონკრეტული ქვეყნის სპეციფიკაზე, ვინაიდან მხოლოდ მცირე ხნით იმყოფებიან იქ. ამის მიუხედავად, მათ განცხადებებს ფორმალური თუ არაფორმალური გავლენა აქვთ არჩევნების საბოლოო შეფასებაზე თავიანთი ქვეყნების მხრიდან და ისინი ხშირად იყენებენ ამ გავლენას, ზოგჯერ აგრესიულადაც კი. ტექნიკურ დამკვირვებლებს კი არა აქვთ ამგვარი გავლენა, მხოლოდ ანგარიშის წარდგენა ევალებათ და მის დახვეწაზე არიან კონცენტრირებულნი.

ალბათ, პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი სადამკვირვებლო ჯგუფი ვენაში განთავსებული ეუთოს დამოუკიდებელი ნაწილია – ODHIR-ი (ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის



www.peugeot.ge

ახალი PEUGEOT 308 გაქმნილია სიამოვნებისთვის



308



იპედინა გიგნის ჯგუფი "პეჟო"-ს ტერიტორიული ელიტი სპანთვორიანი
სტრუქტურა: ბაზილია 41, შტრ.: (995 32) 25 10 23
სტრუქტურა-კონსტრუქცი: შავსკავანის 419 ა. შტრ.: (995 92) 25 10 38

კომენტარი

უფლებათა დაცვის ოფისი), რომლის შტაბ-ბინაც ვარშავაში მდებარეობს. ეუთომ ODIHR-ი სპეციალურად განათავსა სხვა ქალაქში, რათა მისი იზოლირება მოეხდინა ეუთო-ს პოლიტიკისა და ეუთო-ს წევრებისაგან. თუმცა, ODIHR-ის მისია ტექნიკური დამკვირვებლები-საგან შედგება, მას სათავეში პოლიტიკური ფიგურა უდგას. ეს ჯგუფი არჩევნებს გარკვეული კრიტერიუმებითა და მეთოდით აფასებს. ვინაიდან ეს ჯგუფი ყველა სხვა სადამკვირვებლო დელეგაციაზე უფრო მრავალრიცხოვანია ხოლმე, ჰყავს ყველაზე მეტი ტექნიკური ექსპერტი და, ამდენად, ფლობს სხვაზე მეტ კონკრეტულ ინფორმაციას, თანაც სხვებზე მეტ დროს ატარებს მოცემულ ქვეყანაში, ის მთავარ დამკვირვებლად ითვლება.

ODIHR-ს გრძელვადიანი დამკვირვებლებიც ჰყავს რეგიონში. ისინი წინასაარჩევნო სიტუაციას აკვირდებიან და ანგარიშებსაც წერენ. ეს ანგარიშები საკმაოდ კრიტიკულია ხოლმე მაშინ, როცა ჯგუფი ვარაუდობს, რომ წინასაარჩევნო პერიოდის პრობლემებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს არჩევნების შედეგებზე. მიუხედავად ამისა, ჯგუფი მაინც არ ამბობს უარს დაკვირვებაზე, ვინაიდან მათ მისიაზე უკვე საკმაო თანხაა დახარჯული.

უშუალოდ არჩევნების წინ 3-4 დღით ადრე ODIHR-ს ჩამოჰყავს დამკვირვებელთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი, რომლის წევრებიც დადიან საარჩევნო უბნებში და ყოველ მათგანში 20-30 წუთს რჩებიან ან, საუკეთესო შემთხვევაში, ესწრებიან ხმების დათვლას. მათ პროცესში ჩარევის უფლება არა აქვთ და, როგორც წესი, სასამართლოში არ ასაჩივრებენ დარღვევებს. ვინაიდან მათი ვიზიტი მოკლეა და კონკრეტულ სპეციფიკაში გათვითცნობიერებას ვერ ასწრებენ, მათი

ODIHR-ი ღონეს არ იშურებს, რათა ყველას აზრი გადმოიცეს კოორდინირებულ ანგარიშში, მაგრამ ეს ყოველთვის იოლი როდია. საკუთარ ქვეყნებში ხალხის მიერ არჩეულ პარლამენტარებს ნაკლებად აღელვებთ ODIHR-ის მოთხოვნები. ხშირად ODIHR-ი მათგან მკაცრ შეფასებას ელის, მაგრამ საპარლამენტო ასამბლეის დელეგაცია მიიჩნევს, რომ არჩევნები სამართლიანად ჩატარდა. ODIHR-ი ხვდება, რომ თუ რომელიმე პოლიტიკური დამკვირვებელი უკმაყოფილო დარჩა ანგარიშის მკაცრი ტონით, წავა და სატელევიზიო კამერის წინაშე გააკეთებს არჩევნების დადებით შეფასებას. ხოლო როცა მთავრობა ყველა ტელევიზიას აკონტროლებს, ეს „საერთაშორისო“ შეფასება არაერთხელ გადაიცემა სხვადასხვა არხზე. ყოველივე ამის გათვალისწინებით და მოლაპარაკებების შედეგად, ვიღებთ ხოლმე ნაკლებად მკაცრ ანგარიშს ან ვიღებთ რამდენიმე ანგარიშს, რომელთაგანაც ზოგი მკაცრია და ზოგი – არა. ნაკლებად მკაცრი ანგარიშები იმითაა განპირობებული, რომ მათ ბევრი, სხვადასხვა მოტივაციის და სხვადასხვა გამოცდილების ხალხი აწერს ხელს.

ზემოთ აღვნიშნე, რომ საერთაშორისო დამკვირვებლები შეიძლება არასამთავრობო ორგანიზაციებიდანაც იყვნენ. ისინი სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, პოლიტიკოსები ან რიგითი თანამშრომლები არიან ხოლმე და ხშირად პირადი ურთიერთობები აკავშირებთ კანდიდატებთან. ამ დელეგაციებში შედიან როგორც პოლიტიკური, ისე ტექნიკური დამკვირვებლები. შეიძლება ითქვას, რომ მათ მეტად უადვილდებათ კოორდინირებული შეფასების გაკეთება ჯგუფის სიმცირის გამო, თუმცა, ზოგჯერ იძულებულნი არიან უარი თქვან კრიტიკულ შეფასებებზე, რომელთაც, შესაძლოა, ეჭვქვეშ დააყენოს ქვეყნის

დამკვირვებლებზე ხშირად ხორციელდება ზინოა, რათა ანბარიში ხმების საბოლოო დათვლაზე გამოქვეყნდეს. ამათ ხალხის ელოდება და დამკვირვებლებსაც სურთ მოითავონ საქმი და თავიანთი ქვეყნებში დროულად დაბრუნდნენ. უფრო სერიოზული ანბარების წარდგენა მეტ პასუხისმგებლობას მოითხოვს, მაგრამ დამკვირვებელი იძულებულია იქნას ახერხებს ნაკლები პასუხისმგებლობის მქონე დამკვირვებლის პოვნას, რომელიც ოფისიდან ანბარისადაც გააქვითებს კომენტარს.

გაცურება საკმაოდ იოლია. თუკი მათ მაინც შეამჩნიეს რაიმე სერიოზული დარღვევა, ეს უკვე იმის ნიშანია, რომ გაყალბებას მასიური ხასიათი ჰქონდა.

ODIHR-ისთვის მნიშვნელოვანია არჩევნებზე დასწრება და იმის თქმა, რომ ბევრი დამკვირვებელი ჰყავდა, მაგრამ არჩევნების შესახებ ანგარიშზე მას პრაქტიკული გავლენა არა აქვს.

სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც ანგარიშს წერენ, არიან ამა თუ იმ ქვეყნის დელეგაციის ან საპარლამენტო ასამბლეების (მაგალითად, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ან ევროკავშირის საპარლამენტო ასამბლეის) წარმომადგენელი პოლიტიკური დამკვირვებლები. მათ არჩევნებზე დაკვირვების რაიმე კონკრეტული მეთოდი არ გააჩნიათ და რაც უნდათ, იმას იტყვიან.

ევროატლანტიკური ჯგუფის წარმომადგენლებს ძალიან უხარიათ, რომ არჩევნებზე დაკვირვების შანსი მიეცათ: მათი მისია მოკლევადიანია (ხშირად ერთ კვირაზე მოკლე), ათვალისწინებენ ქვეყანას, ისმენენ ეგზოტიკურ საინტერესო ამბებს და თანაც ამაში ფულს იღებენ, ანუ დიდი ძალისხმევის გარეშე აკეთებენ რაღაც მნიშვნელოვან მსოფლიოსთვის. ამავე დროს, ინფორმაციას იღებენ მოცემულ ქვეყანაზე.

მთავრობასთან თანამშრომლობის საკითხი, თუკი ამ ორგანიზაციას მოცემულ ქვეყანაში ჰყავს წარმომადგენლობა. ამ შემთხვევაში, შეიძლება, მათი დაფინანსებაც შეიზღუდოს. ამიტომ ისინი ზოგჯერ რომელიმე კანდიდატის მხარდამჭერებად გამოიყურებიან ხოლმე. როგორც წესი, არასამთავრობო სადამკვირვებლო ორგანიზაციებს მჭიდრო ურთიერთობა აქვთ ადგილობრივ დამკვირვებლებთან.

ამათ გარდა, არსებობს ეგრეთ წოდებული მეგობრულად განწყობილი სადამკვირვებლო ორგანიზაციები. მაგალითად, როცა დსთ-ს ჯგუფი სომხეთში აკვირდება არჩევნებს, მისი მიზანი არ არის არჩევნების რეალურად შეფასება. ასევე, ბალტიისპირეთის ზოგიერთი ქვეყანა საქართველოში სპეციალურ დელეგაციას გზავნის არა შეფასებების და კომენტარის გასაკეთებლად, არამედ ქვეყნის მხარდასაჭერად.

დაბოლოს, არსებობენ დაქირავებული დამკვირვებლები, მაგალითად ისეთები, რომლებიც ასლან აბაშიძემ 2001 წელს მიიწვია აჭარაში ევროსაბჭოს ერთი პატარა ბიუროკრატიული და საქმეში ჩაუხედავი ჯგუფიდან სახელწოდებით ადგილობრივი და რეგიონული მმართველობის კონგრესი. ისინი ასლანის ხარჯით ტრაპიზონის (და არა თბილისის) გავლით ჩავიდნენ ბათუმში და არჩევნების დღეს საბავშვო კონცერტს დაესწრნენ. მეორე დღეს მათ ცოტნე ბაკურიას (იყო ასე-



ვიჰპული

ვაეა-ფშაველას 6
ბახათაშვილის 8
ნეჩეილის 116



იტიქენი განსხვავება



კომენტარი

თი, თუ გახსოვთ) ხელმძღვანელობით პრესკონფერენცია გამართეს, რომელზეც განაცხადეს, რომ საუკეთესო დრო გაატარეს აჭარაში და დარღვევები არ შეუმჩნევიათ. წარმოიდგინეთ, მათი ნათქვამის ქართული თარგმანის გადმოცემა აჭარის ტელევიზიით! ასეთი რამ იშვიათი მოვლენა არ გახლავთ. ერთი შეხედვით, მათ ნათქვამსა და უფრო სერიოზულ დამკვირვებელთა ნათქვამს შორის განსხვავება არაა. ამიტომაც, არ უნდა აკონტროლებდეს მედიას ხელისუფლება.

დამკვირვებლებზე ხშირად ხორციელდება ზენოლა, რათა ანგარიში ხმების საბოლოო დათვლამდე გამოქვეყნდეს. ამას ხალხიც ელოდება და თვით დამკვირვებლებსაც სურთ მოითავონ საქმე და თავიანთ ქვეყნებში დროულად დაბრუნდნენ. ამის გამო დამკვირვებლები არჩევნების ღამესვე წერენ ხოლმე ანგარიშს დღის განმავლობაში მიღებული შთაბეჭდილებებისა და გაკეთებული ჩანაწერების მიხედვით. უფრო სერიოზული ანგარიშის წარდგენა მეტ პასუხისმგებლობას მოითხოვს, მაგრამ დამშუილი მედია იოლად ახერხებს ნაკლები პასუხისმგებლობის მქონე ისეთი დამკვირვებლის პოვნას, რომელიც ოფიციალურ ანგარიშამდე გააკეთებს კომენტარს.

ODIHR-ის წესების მიხედვით, აკრძალულია პრესასთან საუბარი. მისი ანგარიში ყოველთვის სერიოზული განსჯის მერე იწერება, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად მხოლოდ ინგლისურ ენაზე. თუ ქართულად თარგმნა ხდება ხოლმე, როგორც წესი, უხარისხოდ. ქვეყნის მთავრობას ხელი მიუწვდება ტელევიზიებზე და ისე ამოჭრის და დაამონტაჟებს ანგარიშს, რომ იოლად ქმნის სასურველ სურათს. მაგალითად, თუ ანგარიშში წერია, რომ „ერთი მხრივ, არჩევნები მშვიდ ვითარებაში წარიმართა და, ამდენად, შეიძლება წინ გადადგმულ

და მიკერძოებულ შემფასებლობას შორის განსხვავებას სხვადასხვა ადამიანები სხვადასხვაგვარად ხედავენ და ამიტომ, საერთაშორისო დამკვირვებლები ფრთხილობენ, რაიმე არ შეეშალოთ.

ჩემი აზრით, ადგილობრივ დამკვირვებელთა აზრი ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და სასარგებლოა არჩევნების შეფასებისას, განსხვავებით საერთაშორისო დამკვირვებლებისაგან, რომლებიც მხოლოდ ხმის მიცემას აკვირდებიან (რამაც შეიძლება არც გამოამყვანოს საკმაო ინფორმაცია). ადგილობრივი დამკვირვებლები მთელი დღის განმავლობაში არიან უბანში და უფრო ნათელი წარმოდგენა აქვთ იქ განვითარებულ მოვლენებზე.

როდესაც ტარდება PVT (ხმების პარალელური დათვლა), ადგილობრივ, პარტიულ თუ უპარტიო დამკვირვებლებს მეტი საშუალება ეძლევათ დაასკვნან, მოახდინა თუ არა დარღვევებმა გავლენა შედეგზე. PVT-ის შედეგები შეიძლება შეუდარდეს ეგზიტპოლის შედეგებს, თუ ასეთი ჩატარდა. რამდენად სანდოა ეგზიტპოლის შედეგები? აქ პრობლემატურია ის, რომ ხალხი ზოგჯერ არ აღიარებს, რომ ხმა ხელისუფლების წინააღმდეგ მისცა, ვინაიდან მთავრობის შიში აქვს და დარწმუნებულია, რომ ეგზიტპოლებს მთავრობა ატარებს. ამ მხრივ PVT არ ქმნის პრობლემას, თუმცა, პრობლემა შეიძლება იქცეს არასწორად შერჩეული სტატისტიკური ნიმუში ან შედეგის გამოცხადების არასწორი დრო. როგორც წესი, ხელისუფლება ყველაზე მეტ გაყალბებას დღის ბოლოს ახორციელებს, ხოლო სტატისტიკურად ეფექტური ნიმუშის შერჩევა კი საკმაოდ რთულია. მოკლედ, სწორად შერჩეული დრო და სტატისტიკური ნიმუში გადაწყვეტი მნიშვნელობისაა.

მინდა გთხოვოთ ყურადღება მიაქციოთ იმ ანგარიშებს, რომლებიც

არჩევნების შედეგს რამდენიმე კვირაში გამოქვეყნდება, ვინაიდან ისინი

შეისავენ ბევრ დანვრილობით ინფორმაციას. ბოლო რამდენიმე წლის

განმავლობაში საქართველოში ჩატარებული არჩევნების შეფასებები ძალიან

კბავს ერთმანეთს. მათში ყურადღებაგამახვილებული ნაკლოვანებების

აღმოფხვრაზე არაჰყვანს ზრუნავს, შემდგომი არჩევნების მოახლოვებამდე, როცა

მათ გამოსასწორებლად დრო აღარ რჩება.

ნაბიჯად ჩაითვალოს; მეორე მხრივ კი, ადგილი ჰქონდა მასობრივ დარღვევებსა და გაყალბებას“, მთავრობა სასწრაფოდ და ხმამაღლა გამოაცხადებს, რომ საერთაშორისო დამკვირვებლები ჩატარებულ არჩევნებს წინ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევენ. ტექნიკურად ეს სიცრუე არ არის, თუმცა, დამკვირვებლებმა კარგიც თქვეს და ცუდიც, მთავრობა კი მხოლოდ კარგს აღნიშნავს.

ერთი რამ, რის გაგონებაც ხალხს სურს და რასაც საერთაშორისო დამკვირვებლები არასოდეს ახმოვანებენ, გახლავთ იმის შეფასება, მოახდინა თუ არა დარღვევებმა გავლენა საბოლოო შედეგზე. ამის თქმისგან თავის შეკავება აღიზიანებთ ქართველებს, მაგრამ მიზეზი გასაგებია. ნებისმიერ არჩევნებს ახლავს ნაკლოვანებები, მაგრამ იმის დაბეჭდვით თქმა, რომ მათ გავლენა მოახდინეს შედეგებზე, უფრო მეტ ინფორმაციას მოითხოვს, ვიდრე ვინმეს მოეპოვება. თანაც, ეს ძალიან საპასუხისმგებლო განცხადება იქნებოდა, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ამის განმცხადებლის ურთიერთობა მთავრობასთან იქვე დასრულდებოდა. ამას თითქოს არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა, მაგრამ აქვს. ბოლოს კი, იმას დავამატებდი, რომ ასეთი დასკვნის გაკეთება თვით ქვეყნის მოსახლეობის პერეოგატივა უნდა იყოს. საერთაშორისო დამკვირვებლები ღრმად არ უნდა ერეოდნენ არჩევნებში. მხარდაჭერასა და ჩარევას შორის, ანუ მიუკერძოებელ

არ უნდა დაგვაზინდეს, რომ მაშინ, როცა საერთაშორისო დამკვირვებლები აუცილებლად ნეიტრალურები უნდა იყვნენ, ადგილობრივები შეიძლება რომელიმე კანდიდატს უჭერდნენ მხარს, თუმცა, არ უნდა მოიტყუონ და თვალი არ უნდა დახუჭონ უსამართლობაზე. შევარდნაძის დროს სპეციალურად არჩევნებისთვის მმართველი პარტიის მხარდასაჭერად ხშირად იქმნებოდა სადამკვირვებლო ორგანიზაციები, რათა ხელისუფლებას მეტი დამკვირვებელი ჰყოლოდა უბნებში.

დაბოლოს, მინდა გთხოვოთ ყურადღება მიაქციოთ იმ ანგარიშებს, რომლებიც არჩევნების შემდეგ რამდენიმე კვირაში გამოქვეყნდება, ვინაიდან ისინი შეიცავს ბევრ დანვრილებით ინფორმაციას. ამ წვრილმანებს დიდ ყურადღებას აქცევენ უშუალოდ არჩევნების მომდევნო დღეებში, მერე კი ივიწყებენ. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში ჩატარებული არჩევნების შეფასებები ძალიან კბავს ერთმანეთს. მათში ყურადღებაგამახვილებული ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე არაჰყვანს ზრუნავს, შემდგომი არჩევნების მოახლოვებამდე, როცა მათ გამოსასწორებლად დრო აღარ რჩება. იმედს ვიტოვებ, რომ ახალი პარლამენტი პირველი იქნება საქართველოს ისტორიაში, რომელიც საარჩევნო კანონის ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე დროულად და გადაუდებლად იზრუნებს.

Tbilisi · G.Tabidze Sreet 3/5 · (032) 99 08 18 · 995 99 70 10 90



TRU TRUSSARDI



შინაგან სამხეთს სამინისტროს ჯარი კოდორის ხეობაში, 2008

ზემო აფხაზეთი – ომისა და მშვიდობის ზღვარზე

ავტორი: კობა ლიპლიკაძე, „რადიო თავისუფლება“,
საკენიჭურად „სხალი შოკოლადისათვის“

ზემო აფხაზეთი, 12-15 მაისი

ფრონტისპირა ზემო აფხაზეთში, 700 კომლით დასახლებულ კოდორის ხეობაში 8-9 მაისს ტყვარჩელისა და სოხუმის მხრიდან სერიოზულ თავდასხმას ელოდნენ. ამ განგაშის ექო ხეობაში უფრო მალე მიწყნარდა, ვიდრე ქართულ თუ უცხოურ მედიაში, რომლის წარმომადგენლებიც, „ცხელი ამბების“ მოლოდინში, მაისის დასაწყისში ზემო აფხაზეთს უტრიალებდნენ. თუმცა, კოდორის ხეობაში წინასწარდაგეგმილი სცენარით ორსაათიანი სტუმრობა, ოდნავ წარმოდგენასაც ვერ უქმნის ადამიანს ამ ომისა და მშვიდობის ზღვარზე მყოფი ხეობისა და მისი მცხოვრებლების ყოფაზე.

თავდასხმისა და მოსალოდნელი აგრესიის საშემოწებო ზემო აფხაზეთის სოფლების მოსახლეობისათვის ერთგვარი ბუნებრივი ინსტინქტია. და ეს ინსტინქტი თავს ყოველ გაზაფხულზე, თოვლის დნობისთანავე იჩენს, როდესაც სეპარატისტული აფხაზეთის კონტროლის ქვეშ მყოფი ტყვარჩელისა და სოხუმის მხრიდან სამხედრო პროვოკაციების ალბათობა იზრდება. ბოლო 14 წლის მანძილზე კოდორის ხეობამ 6-ჯერ მაინც მოიგერია სხვადასხვა მასშტაბის შეტევა. მაგრამ ყოველგვარი ინსტინქტი, ადრე თუ გვიან, იუმორში გადადის. სოფელ აჭარის სკოლის რუსული ენის მასწავლებელი, მოლდაველი ქალი ანა გურჩიანი-ტანევა ხუმრობით ამბობს, რომ მას

მოსალოდნელი სამომავლო საფრთხის განსაზღვრის საკუთარი მეთოდი აქვს და თანასოფლელებიც ენდობიან:

„დედა, მეუბნება ჩემი უფროსი ბიჭი, რომელიც უკვე ორჯერ იყო გამოძახებული რეზერვში, – ნუ გეშინია, თუ სიტუაცია დაიძაბება, მე მაშინვე გამომიძახებენო. დიდი მადლობა, როგორ დამაწყნარეთქი – ვპასუხობ. ასე რომ, რაკი არ გამოიძახეს, ესე იგი ყველაფერი რიგზეა, იმედი მაქვს.“

ამ იმედს ზემო აფხაზეთში მცხოვრებ 3000-მდე მოსახლეს რამდენიმე გარემოება უღვივებს: 2006 წლის ივლისიდან ხეობაში ფუნქციონირებს დევილობაში მყოფი აფხაზეთის მთავრობა, ყველა სოფლის შესასვლელში პოლიციელთა გაძლიერებული პოსტებია განლაგებული, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გაეროს პოლიციის მორავი პატრული დღის განმავლობაში რამდენჯერმე გადაადგილდება ფრონტისპირა ზემო აფხაზეთში, რომელსაც აფხაზეთის დედაქალაქ სოხუმს ერთი საათის სამანქანო გზა აშორებს. კავკასიონის უღელტეხილზე გადმოსასვლელს კი სასაზღვრო პოლიციის 120 კაციანი რაზმი იცავს. ზემო აფხაზეთში მართლწერილისა და უსაფრთხოების ძალებს კოორდინაციას პოლიციის პოლკოვნიკი სოსო ქარჩაიძე უწევს. მის განკარგულებაში 500-მდე პოლიციელია. ქარჩაიძის თქმით, ხეობა საიმედოდ არის დაცული



From Sarajishvili Unique Cellar

სახაჭიშვილის უნიკალური საცავებიდან

სარაჯიშვილი XO დაზღვეულია ქართული კონიაკის უძებრებლის, დეიო ხარაჯიშვილის საკულქვით ფონდში. დაელო 14-18 წლიანი დაბეჭდების საკონიაკე სპირტებისგან, საკულქვით კომპოზიციამო მონაწილეობს საქართველოს მდივანობის მიერ მოწოდებულ მდივანობის სპეციალისტთა არაობით და გემოს მქონე 30 წლიან დაბეჭდების საკონიაკე სპირტებისგან, გამოარჩევა პრემიუმული ოქროსფერითა მუხატანადისა და მუხატანადის მდივანობის ტონების მქონე მდივანობის არაობით რბილი, ხვეწილიანი გემოთი.

SARAJISHVILI XO is made by using the classical technology from fifteen different oldest wine brandsy spirits reserved in the unique collection of David Sarajishvili's spirit warehouses. The average age is 14-18 years. Spirits aged up to 30 years are also included in its composition, giving it enriching taste. It is distinguished with its shiny golden color, pleasant tones of oak, vanilla and chocolate, soft and velvet taste.



SINCE 1884

SARAJISHVILI

ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი

XO



REUTERS

ქობულაძის ხეობა, 2008



ივით რუსეთში

და თუკი იქ ადრე ხშირი იყო შეიარაღებული საქმის გარჩევა, მკვლევარები და ვენდეტა, ბოლო ხანს არც ერთი მძიმე დანაშაული არ მომხდარა.

„ადრინდელთან შედარებით, წელიწადში 10-15 კაცი კვდებოდა. ორი წელია საერთოდ არ ყოფილა ასეთი შემთხვევა. მოსახლეობის 90 პროცენტი დასაქმებულია.“

ზემო აფხაზეთში რამდენიმე ათეული სამუშაო ადგილი ცენტრალური და დევნილობაში მყოფი აფხაზეთის მთავრობის რამდენიმე პროექტმა შექმნა. გარემონტდა და აღიჭურვა აჭარის საავადმყოფო, სადაც ხეობის მცხოვრებლებს უფასოდ ემსახურებიან. გაიხსნა სახალხო ბანკის ფილიალი და აფთიაქი. ხოლო სოფლებში – საკენში, ომარიმარასა და მრამბაში ჰიდროელექტროსადგურები ამოქმედდა, ახლა ხეობის მოსახლეობას ელექტროენერჯია უწყვეტად და უფასოდ მიეწოდება. გარემონტდა სკოლები, სადაც პედაგოგები დროულად იღებენ ხელფასს და შემწეობას პურის ფქვილისა და სხვა პროდუქტების სახით. სოფელ აჭარის სკოლის პედაგოგი ეთერ ვიბლიანი ამბობს, რომ მოწაფეთა რაოდენობაც გაიზარდა:

„როგორ არა, ძალიან ბევრი ოჯახი დაბრუნდა, ძალიან ბევრი ოჯახი. ამიტომაც, შობადობა იზრდება და დაწყებით კლასებში უკვე არა უშავს – 16,15,14 ბავშვი სწავლობს. მოსახლეობაც კარგად დასაქმდა. მხოლოდ რამდენიმე ოჯახია, სადაც არ არიან დასაქმებულნი“, – მეუბნება ეთერ ვიბლიანი.

ზემო აფხაზეთში კიდევ რამდენიმე ასეული ადამიანი ახალი 50-კილომეტრიანი სამანქანო გზის მშენებლობამ დაასაქმა, ეს გზა ზუგდიდის რაიონს ზემო აფხაზეთთან სამ საათში აკავშირებს. 12 მაისს, მეც, სწორედ ამ გზით მოვხვდი კოდორის ხეობაში. წინანდელი სახმელეთო გზისგან განსხვავებით, ახალი სატრანსპორტო კორიდორი უფრო კომფორტულია და დროს ერთიორად ამცირებს. ახლა ორხიდიანი მანქანით ზუგდიდიდან აჭარაში მოხვედრა სამ საათში შეიძლება. თუმცა, ახალ გზას აქვს ერთი ნაკლი, რის გამოც მის მშენებლობაზე ხელისუფლება თავს იკავებდა. ხაიშიდან საკენისკენ მიმავალი შემოვლითი გზა რამდენიმე მონაკვეთზე იმდენად ახლოსაა ტყვარჩელის რაიონთან, რომ იქიდან დივერსიული ჩასაფრებისა და თავდასხმის მოწყობა ძალიან ადვილია. სწორედ ამიტომაც, ყველაზე სახიფათო უბნებზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების მოძრავი პატრული მოქმედებს.

„შარშან ოქტომბერში ჩვენმა რაზმმა კონტრდივერსიული ოპერაცია ჩაატარა, რათა აღეკვეთა მოსალოდნელი დივერსიული შეტევა ტყვარჩელთან დაბანაკებული რაზმის მხრიდან. მაშინ ორი რუსი ოფიცერი დაიღუპა, 12 აფხაზი კი ტყვედ აიყვანეს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მტერს ამ გზის მიმართ ინტერესი აღარ აქვს და თავი დავიმშვიდოთ“, – მითხრა აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის თავმჯდომარემ, მალხაზ აკიშბაიამ.

ახალმა შემოვლითმა გზამ გააადვილა ვაჭრობა დანარჩენ საქართველოსთან და ფრონტისპირა ხეობაში მცირე მენარმეობას შეუწყო ხელი. სწორედ მცირე მენარმეობას მისდევს სოფელ აჭარის მკვიდრი დალი კვანჭიანი, რომელიც, ნათესავებთან ერთად, მეორე წელია პატარა ფიცრულ რესტორანს ამუშავებს.

დალი კვანჭიანმა წელს პატარა ფიცრულს კიდევ ერთი დაუმატა. წყალტუბოდან ხინკლის მომხვევი ამოიყვანა და ზაფხულის სეზონზე თბილისიდან და სხვა ქალაქიდან ამოსულ დამსვენებლებს, სვანური კუბდარის გარდა, ხინკლითაც გაუმასპინძლდება. დამწყები ბიზნესმენი ქალი მომავალ წელს საკუთარი ბიზნესის გაფართოებაზეც ფიქრობს და ხეობაში პირველი სასტუმროს აშენებაც. დარწმუნებულია, რომ მისი ბიზნეს-გეგმა რომელიმე პატრიოტ ბიზნესმენს აუცილებლად დააინტერესებს.

„60-კაციანი სასტუმრო გაკეთდება. სპორტსმენები მოდიან, დამსვენებლები მოდიან და სასტუმრო კი არ არის. აი, ახლაც როგორ უჭირთ – ყველა დარბის, რომ ოჯახებში დააბინავონ სტუმრები. ნამგებანი ნამდვილად არ იქნება და როცა ჩვენ და აფხაზები შევრიგდებით, საქმე უკეთესად წავა. აქ ისეთი წყლებია, ისეთი კურორტები, რომ სულ უფრო მეტი და მეტი დამსვენებელი გვეყოლება.“

სოფელ აჭარში დიდი სამონასტრო კომპლექსი უნდა აშენდეს. ხეობის მკვიდრი სასულიერო პირი, მღვდელი გიორგი გურჩიანი, ვინც თავად ნახა ომის სამინელება, დარწმუნებულია, რომ სამონასტრო კომპლექსი რწმენისა და სიყვარულის განმტკიცებას შეუწყობს ხელს და ხეობის მცხოვრებლებსაც დაეხმარება.

სოფელ აჭარის იმ ადგილიდან, სადაც წმინდა გიორგის ტაძრის მშენებლობა იგეგმება, დაახლოებით 15 კილომეტრში სოფელი ქვაბჩარა და სოფელი ლათა მდებარეობს. სწორედ იქ გადის ფრონტის ხაზი აფხაზეტსა და ქართველებს შორის და იქ არა ღვთის, არამედ ომის უმკაცრესი კანონებით ცხოვრობენ.

განახლებული

ქლინიკა წოპე



ესთეტიკური პლასტიკური ქირურგიის სიუდი სპეციალი

თბილისი, თევდომი მღვდლის 13. ტელ: 34 63 66, 35 14 45, 34 88 85

www.tsopeclinic.com



„სამკუთხედი“, მელიორამის ბარეში

ავტორი: გიორგი ზვახარია

ფარისევლობა მეტ-ნაკლებად ყველგან და ყოველთვის იყო პოლიტიკური ცხოვრების ატრიბუტი და პოპულისტური რიტორიკა პოლიტიკოსისგან არავის უნდა უკვირდეს. მაგრამ საქართველოში პოლიტიკური ფარისევლობის „აღმასვლა“ ჩვენი თეატრალური ხელოვნების „დაღმასვლის“ პროპორციულად ხდება. არ ვიცი, რა მდგომარეობაშია ირანული თეატრი, მაგრამ რატომღაც მგონია, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც აკადემიური თეატრი, რომლის სცენაზე ოდესღაც „ცხვრის წყარო“ დადგეს, უარს ეუბნება რეჟისორს წარმოდგენის პრემიერაზე, მხოლოდ იმიტომ, რომ საპატრიარქოს არ მოსწონს (თუმცა არ უნახავს) ეს წარმოდგენა... და საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც რეჟისორი, თავის თავს მარსელ მარსოს მონაფედ რომ მიიჩნევს, ეპატიჟება საპატრიარქოს წარმომადგენლებს სპექტაკლის „დახურულ ჩვენებაზე“, ჩაიბარეთ, ბატონო, ჩემი „წმინდა გიორგი“ და მერე თქვით თქვენი სათქმელიო.

ჰო, მძიმე მდგომარეობაშია ჩვენი თეატრი. დიდი ტრადიციების თეატრი. მაგრამ ტრადიცია – და ამაში, ალბათ, ჩვენი ეკლესიის ის მრევლიც დამეთანხმება, რომელსაც წმინდა გიორგის „რეიტუზებში“ გამოწყობა უხერხულად მიაჩნია – კულტურის ატრიბუტია და მის ჩაკვლა-განადგურებაზე ხელოვნების ერთი კონკრეტული დარგის კრიზისი ვერ იმოქმედებს. თეატრი შეიძლება გაქრეს კიდეც, როგორც ხელოვნების დარგი, შეიძლება აიკრძალოს, როგორც „წარმართული გადმონაშთი“, ან, როგორც „არაქართული მოვლენა“ (რა ვიცი, ოდესმე შეიძლება ასეთი აზრიც გარჩნდეს), შეიძლება, უბრალოდ, დაიხუროს თეატრები და ამ შენობებში ეკლესიები, ანდა, რესტორნები, სასტუმროები, საპრესკონფერენციო დარბაზები გაიხსნას, მაგრამ არტისტიზმის ვნება, თამაშის სურვილი კიდეც დიდხანს დარჩება ჩვენს კულტურაში – ეკლესიაში, ოჯახში, სუფრაზე, ქორნილში, „ჭირილში“.

პოლიტიკაში.

პრინციპში, თავად თეატრალებს რომ ვკითხოთ, ქართულ თეატრს შეიძლება უჭირს, მაგრამ საგანგაშო არაფერია. კრიზისის ხსენება აღიზიანებთ. სპექტაკლებზე სრული ანშლაგიაო, მსახიობების ფან-კლუბები იხსნებაო, ხალხი რამდენჯერმე მოდის წარმოდგენის სანახავადო. რამდენიმე ასეთ პოპულარულ სპექტაკლს დავსწრებივარ და თითქმის ყოველთვის ერთსა და იმავეს ვასკენიდი – თეატრი დღეს ტელევიზიას დაუახლოვდა, უფრო სწორად, ქართული ტელევიზიის „მხიარულ“ გადაცემებს, რომელსაც კვირაში ერთხელ (ზოგჯერ ორჯერაც) ამზადებენ. ერთ-ორს იხუმრებენ, შეიკუნტრუმებენ და პუბლიკაც კმაყოფილი დარჩება. თეატრშიც ასე ხდება – პრემიერები უკვე კვირაში ერთხელ (ზოგჯერ ორჯერაც) ეწყობა. აქაც კუნტრუმ-კუნტრუშია მოდამი... ამასობაში პოლიტიკოსებისთვის ერთი მნიშვნელოვანი ნიშა თავისუფლდება – თეატრი, რომელსაც „კათარზისზე“ აქვს პრეტენზია.

აი, საპარლამენტო არჩევნების წინ, „პრაიმტიმშიც“ დაიდგა თეატრალური წარმოდგენები. როგორც ჰაინრიხ ბიოლის ფონდში გამართულ დისკუსიაზე, „პრაიმტიმის“ ჯგუფის წარმომადგენელმა, თამარ გორთამაშვილმა გვითხრა, გადაცემის ავტორებმა პარტიებსა და ბლოკებს შესთავაზეს თავად მოეფიქრებინათ წინასაარჩევნო შოუ-წარმოდგენები. ასე გადაიქცა „პრაიმტიმი“ პოლიტიკური პერფორმანსების სერიად, რომელიც „დოუნანაით“ დაიწყო, ნაციონალების მართლმადიდებელ-საოჯახო კლიპებით გაგრძელდა და დაგვირგვინდა გია მისაშვილის ზევით აწეული ხელებით (შესაბამისი შეძახილით „საქართველო გაფრინდება!“). თუმცა, კათარზისის შექმნის პრეტენზია მაინც ყველაზე მეტად გოჩა ფიფას შოუში იგრძნობოდა – პოლიტიკური გაერთიანება „ქართული პოლიტიკის“ წარმოდგენა „ჩემო კარგო ქვეყანას“ კითხვით დასრულდა. სიმღერის ფონზე, რა თქმა უნდა.

ეს აღარ იყო კუნტრუში. შოუს ავტორებს, ეტყობა, სურდათ, თეატრალურ-მუსიკალურ პათეტიკის დასრულების შემდეგ ფრუანტელდავლილ მაცურებელს მტკიცე გადაწყვეტილება მიეღო – ხმას მისცემს იმას, ვინც „ქართულ პოლიტიკას“ ქადაგებს.

ბევრს ეტირება სიყალბეზე. მელიორამატულ სამკუთხედზე არაერთი ცხვირსახოცი დასველებულა. დიდი ხნის წინ, ერთ სანდომიან ქალბატონს ვკითხე, რატომ მოგწონთ ასე ინდური ფილმები-მეთქი და იცით, რა მიპასუხა? ცხოვრებისეულია და იმიტომო... ანუ, „ფიზნენიაო“...

რუსთავი 2-ის ახალი შოუ „სამკუთხედი“, წესით და რიგით, სწორედ მელიორამის კანონებზე უნდა ყოფილიყო აგებული – კეთილი, რბილი ნინო ჯაფიაშვილი და კაპასი, ანწხლი ეკა კვესიტაძე. ანდა, ადვოკატი – ჯაფიაშვილი, პროკურორი კი – კვესიტაძე. სხვა შემთხვევაში ლოგიკურად დაიბადებოდა კითხვა, „რატომ ჰყავს გადაცემას ორი წამყვანი?“ წესით და რიგით, იმ 30 წუთის განმავლობაში, რომელიც გამყოფილია გადაცემისათვის, წამყვანებს თანაბრად უნდა დაენანილებინათ დრო. ისე, როგორც სასამართლოზე.

უნდა ვაღიარო, რომ არ მიყვარს ასეთი ჟურნალისტიკა და არ მომწონს ჟურნალისტი, არც ადვოკატის და, მით უმეტეს, არც პროკურორის როლში. არც „ჰარდტოკის“, ანუ, „მძიმე საუბრის“ სტილი მეხატება გულზე, რადგან მიმჩნია, რომ ასეთი გადაცემები ძალაუფლებით ტკბობის საშუალებას აძლევს ჟურნალისტს, რომლის მთელი ტაქტიკა ამ შემთხვევაში გამოჭერაზე უფროა აგებული, ვიდრე სიმართლის დადგენაზე. არც ცალსახად კაპასი და არც ცალსახად კეთილშობილი წამყვანები მანიჭებენ სიამოვნებას. საერთოდ, არ მიყვარს სამკუთხედები და მელიორამები.

მაგრამ ცხოვრებაში ხშირად იქმნება სიტუაცია, როცა ადამიანმა საკუთარი გემოვნება უნდა დათმოს და მოვლენის მნიშვნელობა გაიაზროს კონკრეტული დროის კონტექსტში.

ჯერ ერთი, ის სამკუთხედი, რომელზეც, იდეაში, უნდა აგებულიყო გადაცემა, არ შეიკრა. როგორც წესი, აქ ეკა კვესიტაძე უფრო აქტიურო-



Force Vitale

AQUA VITALE

GEL CREAM

**კანის 24-საათიანი
დატენიანება**

ჰიდრასკანით ჩატარებული **in vivo**

ტესტირების შედეგები:

კანის ტენიანობის 34%-იანი ზრდა – 1 საათის შემდეგ

კანის ტენიანობის 28%-იანი ზრდა – 24 საათის შემდეგ



Force Vitale

AQUA VITALE

swiss line

კომენტარი

ბს. ყოველ შემთხვევაში, პროპორციის დაცვა ძირითადად ვერ ხერხდება. პრინციპში, ცოტა ნარმოუდგენელიცაა როგორ უნდა მოხერხებულიყო ბალანსის დაცვა, როცა საქმე გვაქვს თანამედროვე ქართველ პოლიტიკოსთან – მედიისა და „ჟინინი“ ჟანრის მოყვარულთა მანიპულაციის დიდი გამოცდილება რომ აქვს. ამ პოლიტიკოსებმა თავიდანვე გაიაზრეს, რა მიზნით იწვევდნენ მათ კვესიტაძე-ჯაფიაშვილი, უხერხული კითხვებიც იწინასწარმეტყველეს და გადაცემის შეზღუდული ქრონომეტრაჟი თავის სასარგებლოდ გამოიყენეს. პოლიტიკოსები შეგნებულად აგრძელებდნენ საუბარს, რათა ნამყვანს ვერ მოესწრო კიდევ უფრო მწვავე კითხვაზე გადასვლა. ეკა კვესიტაძის ყოველი ცდა, გადასულიყო სხვა კითხვაზე, რესპონდენტის ერთი რეპლიკით სრულდებოდა, „თუ მაცლით, კარგი იქნება“... ამ შემთხვევაში გადაცემაში მოწვეული სტუმარი ორმაგად მოგებული რჩებოდა – „უფრო მწვავე“ კითხვას თავს არიდებდა, ნამყვანები კი (განსაკუთრებით ეკა კვესიტაძე, რომელიც ნინო ჯაფიაშვილზე უფრო სწრაფია) გამოჰყავდა „ქოფაკი ქალების“ როლში... ანუ, აქვე, ჩვენს თვალწინ ცდილობდა „სამკუთხედის“ ნამყვანების დისკრედიტაციას.

სამწუხაროდ, გადაცემის ნამყვანები ხშირად თავად აძლევდნენ რესპონდენტს მათივე მანიპულაციის საბაბს. კახა კუკავასთან საუბარში, მაგალითად, აფხაზეთისა და ეუთოს თემაზე „ჩახვევამ“ შეუძლებელი გახადა სხვა

**ნახევარსაათიანი საშუალოდ, რომელშიც არს
მელოდრამატული ვნებები, არს აფრიკის ტომებზე
„ლადავი“, არს „დოუნანა“ და არს „კულუარებში
აბოზან“, რიტიზებული გადაცემა, რომლის
მაგრად უშლის ნერვებს სრულიად საქართველოს.
ლიზიანდებიან, მაგრამ მაინც უყურებენ. რადგანაც,
„სამკუთხედში“ მართლაც სვამენ კითხვებს.**

კითხვების დასმა, განსაკუთრებით ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით. კიდევ უფრო მეტი „ქართულ-ჟურნალისტური კლიშე“ იგრძნობოდა გივი თარგამაძესთან საუბარში. მაგალითად, კითხვა „საზოგადოებისთვის გაუგებარია, რატომაა გია როინიშვილი თქვენი პარტიის მესამე ნომერი?“ – აშკარად ამოვარდნილია „სამკუთხედის“ შინაარსიდან. რას ნიშნავს აქ „საზოგადოებისთვის“? დედაჩემისთვის, მაგალითად, არაა გაუგებარი. არადა, თავს „საზოგადოების წევრად“ მიიჩნევს. თუკი „სამკუთხედის“ ქვეტექსტი... ასე ვთქვათ – ხალხისა და საზოგადოების სახელით მოლაპარაკე პოლიტიკოსების „მხილება“, თავად ნამყვანებმა საიდან იციან, რა არის საზოგადოებისთვის გაუგებარი? იგივე შეიძლება ითქვას ამავე გადაცემაში დასმულ კითხვაზე „ვინ უნდოდა ქალბატონ ნინოს სიაში?“. კეთილი, კითხვას კიდევ გადაიტანდა კაცი, რომ არა თავად კითხვის შეფასება – „ეს ძალიან მნიშვნელოვანია“.

ბუნებრივად არ არის, იკითხოს რესპონდენტმა, რატომაა ეს მნიშვნელოვანი?... და ამ შემთხვევაშიც მოუგოს ნამყვანებს?

„თარგამაძე ძალიან ღირსეულად მოიქცა, რომ ერთხელაც არ მიუთითა ქალბატონ ნევროზას პროფესიულ სტანდარტებზე“ – წერს თბილისის ინტერნეტჟურნალის ერთ-ერთი მომხმარებელი, ამ შემთხვევაში გიორგი თარგამაძეზე.

„სამკუთხედზე“ აქ ორი თემა გახსნილი – პოლიტიკის და მედიის განყოფილებაში. ორივეში, იშვიათი გამოწვევის გარდა, ბეჭდავენ ხელისუფლების მომხრეები და ხელისუფლების ოპონენტები. ორივე ჯგუფი, ასევე იშვიათი გამოწვევის გარდა, განსაკუთრებით მაშინ გაჯავრდება ხოლმე „სამკუთხედის“ ნამყვანებზე, როცა მათ ფავორიტ პოლიტიკოსს მწვავე კითხვებზე უწევთ პასუხის გაცემა. კვესიტაძე-ჯაფიაშვილზე განრისხებულებს აგონდებათ პროფესიული სტანდარტები (საოცარია, რომ მაინცდამაინც „სამკუთხედზე“ აგონდებათ), წერენ „უზრდელობაზე“, „ის-

ტერიულობაზე“. არგუმენტები როცა ელევით, მთლად, ნამყვანების ოჯახურ მდგომარეობაზე გადადიან. ცხადი ხდება, რომ ეს ნახევარსაათიანი სამკუთხედი, რომელშიც არც მელოდრამატული ვნებებია, არც აფრიკის ტომებზე „ლადავი“, არც „დოუნანა“ და არც „კულუარებში ამბობენ“, რეიტინგული გადაცემაა, რომელიც მაგრად უშლის ნერვებს სრულიად საქართველოს.

ლიზიანდებიან, მაგრამ მაინც უყურებენ. ილანდებიან, მაგრამ მაინც აინტერესებთ.

რადგანაც, „სამკუთხედში“ მართლაც სვამენ კითხვებს. ყოველ შემთხვევაში იმ კითხვებს, რომელსაც კვლავაც ერიდება პოლიტიკოსების (როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის) მანიპულაციის ქვეშ მყოფი ქართული მედია.

„თქვენ გაუშვით ოქრუაშვილი... რატომ გგონიათ, რომ მირცხულავას არ ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემები?“ – ეკითხებიან გივი თარგამაძეს... პასუხი მაინცდამაინც არაა დამაჯერებელი, რაც დაუყოვნებლივ აისახება ხელისუფლების მომხრეთა შეაფასებაში („რა კითხვაა ახლა ეს?“). „როგორ შეიძლება რუსეთისგან მიიღოთ უსაფრთხოების გარანტიები, როცა საქართველოს ტერიტორია ანექსირებულია?“ – ეკითხებიან ამჯერად გიორგი თარგამაძეს. პასუხი ისევ ბუნდოვანია და ახლა უკვე გიორგი თარგამაძის მომხრეებს აგონდებათ „ჟურნალისტური სტანდარტები“.

თუმცა, როგორც არ უნდა გაამართლონ თავიანთი ცემებმა პოლიტიკოსები – ხელისუფლება იქნება, ეს თუ ოპოზიცია, – მათი ლიდერების, კერპების, თუ, უბრალოდ, ნაცნობ-მეგობრების დაბნეულობა მაინც აღიბეჭდება მასურების ცნობიერებაში. აგრესია ნამყვანებზე ამოიფრქვევა. გაუაზრებელსა და არაცნობიერში კი რჩება სახე საყვარელი პოლიტიკოსისა, რომელმაც გული გაუტეხა თავის ამომრჩეველს – ვერ გაუმკლავდა „კაპასი დედაკაცების“ შემოტევას... და, რაც მთავარია, მისთვის ჩვეული თეატრალურ-პოლიტიკური მონოლოგის დროს ხმაში „ბზარი“ გაეპარა.

დღევანდელ საქართველოში, შეიძლება, მეტისმეტად ძლიერია აკვირებული განწყობების როლი იმისათვის, რომ ერთმა ნახევარსაათიანმა გადაცემამ (თანაც, ჯერ კიდევ ძალიან დაუხვეწავმა და ხანდახან, უბრალოდ, მოუმზადებელმა) ამომრჩეველს დაანახოს როგორ გაიჟინთა ფარისევლობით, თვალთმაქცობით, ორმაგი სტანდარტებით იაფფასიან თეატრალურ სანახაობად ქცეული ქართული პოლიტიკური ცხოვრება. მაგრამ დღევანდელი სწორედ „სამკუთხედს“ აქვს შანსი კრიტიკული გახადოს მასურებელი.

რა ხდებოდა აქამდე? ჟურნალისტები თავს აწონებდნენ პუბლიკასაც და პოლიტიკოსებსაც. პოპულარულები ხდებოდნენ და მერე, მშვენივრად იყენებდნენ თავიანთ პოპულარულობას.

რა ხდება აქ? ჟურნალისტები აბრაზებენ პუბლიკასაც და პოლიტიკოსებსაც. მაინცდამაინც არ ანაღვლებთ „კაპასისა“ და „ქოფაკის“, თუ „უხმაურისა“ და „პასიურის“ იმიჯი, არც ის, რომ მწვავე კითხვების მიღმა ვიღაც ხელისუფლების დაკვეთას ხედავს (თუკი ასეთი გადაცემა ხელისუფლების დაკვეთაა, ე.ი. არც ისე ცუდად ყოფილა საქმე ქვეყანაში). ჟურნალისტებს დიდად არ ანაღვლებთ „ფორუმის“ იუზერთა მართლაც რომ ისტერიულ-კაპასი რეპლიკები; რატომღაც მგონია, რომ მათ საერთოდ არ ანაღვლებთ საკუთარი „იმიჯი“. რა დროს იმიჯია, როცა „სამკუთხედში“ ფარისევლობას გამოეცხადა ომი?!

თუკი ქართული პოლიტიკური ცხოვრება ხელოვნურობისგან და თეატრალურობისგან განთავისუფლდება (ამისათვის კი თითოეული ჩვენგანის დაკვეთაა საჭირო), ჩვენს მედიასაც ეშველება და ჩვენს ხელოვნებასაც. მათ შორის თეატრსაც.

ვერც პოლიტიკოსები და მღვდელმთავრები გაბედავენ ასე აშკარად მედიისა და თეატრის საქმეებში ჩარევას.

ამ მშვენიერ პერსპექტივას როგორ არ უნდა შეწიროს ჟურნალისტმა „ხალხის სიყვარული“? აბა, სად გაგონილა კათარზისი მსხვერპლმწიფის გარეშე?



რუსული სახელი



"რუსული სახელი" სანქტ-პეტერბურგის სასწავლო ცენტრი "ზღაგოუსტისა" და მ. ლომონოსოვის სახელმწიფო მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო განათლების ცენტრის ოფიციალური პარტნიორი საქართველოში, გთავაზობთ რუსული ენის შემსწავლელ კურსებს:

- ▶ სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის;
- ▶ სკოლის მოსწავლეებისთვის;
- ▶ სტუდენტებისა და მაგისტრანტებისთვის;
- ▶ ზაფხულისა და ზამთრის სეზონური ენის კურსებს;
- ▶ ბანაკებს სანქტ-პეტერბურგსა და საქართველოს ტერიტორიაზე.

სპეციალური ენის კურსები:

- ▶ პოლიტიკოსებისთვის;
- ▶ იურისტებისთვის;
- ▶ ეკონომისტებისთვის;
- ▶ ვაჭარებისთვის;
- ▶ უცხოელებისთვის;
- ▶ სასტუმროსა და რესტორნის პერსონალისთვის.

სწავლის სხედი კურსის დამთავრებისას გაიცემა საერთაშორისო სერთიფიკატი ევროსტანდარტით B1,B2,C1,C2. სასწავლო პროგრამის ხანგრძლივობაა წლიდან ორ წლამდე, ინტენსიური კურსები თვენახევრიდან სამთვემდე.

მაღალკვალიფიციური პედაგოგები, სასწავლო ინვენტარით უზრუნველყოფა, სახელმწიფო დაწესებულებების, კერძო ორგანიზაციების და უნივერსიტეტების თანამშრომელთა მათსავე ოფისებში მომზადება, ხომალცო ქვეყნის ისე ინდივიდუალური მეთოდების შესაძლებლობა, "რუსული სახელი" მთავარი უპირატესობებია.

მსოფლიოში აპრობირებული სასწავლო პროგრამებისა და უნივერსიტეტისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გახდა კარგი მეთოდური უზრუნველყოფისა და დაგეგმვის. გახსოვდეთ, რუსული ენის ყველაზე კარგად "რუსული სახელი" ასწავლიან.



ის, რას ვისწავლი

ტონი ბლერი პრემიერ-მინისტრობისას მიღებულ
გაკვეთილებს აანალიზებს

ავტორი: ტონი ბლერი
ჟურნალი „ეკონომისტი“
2007 წლის ივნისი
ინტლისურიდან თარგმნა თამარ ბაბუაძემ

რი ცვლილებების პრობლემა ავიღოთ – განვითარებული ქვეყნების პოლიტიკის ერთ-ერთი მწვავე საკითხი. ამ პრობლემის კაცობრიობისთვის სასიკეთოდ გადაჭრა ხომ მხოლოდ გლობალური, ერთიანი ქმედებით შეიძლება. დღეს უკვე ასეა – პაკისტანში მომხდარი ბრიტანეთის ქუჩებშიც ახდენს გავლენას. რომელიმე კონკრეტული ქვეყნის საშინაო პოლიტიკით მასობრივი მიგრაციის დარეგულირებაც მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია შესაძლებელი. სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკაც დღეს უკვე გლობალიზაციის ნიშნით ვითარდება.

ესეც რომ არა, იცვლება თვითონ მსოფლიო წესრიგიც. სულ უფრო იზრდება ჩინეთის ეკონომიკური ძალაუფლება და შესაბამისად, წინა პლანზე გადმოდის მისი პოლიტიკური სიძლიერეც. საფრთხილო ხდება ინდოეთი. წარსულს ნელ-ნელა ივინყებს იაპონია. რუსეთის აგრესიაც დღითი დღე მატულობს.

ამგვარ ეპოქაში კი საგარეო პოლიტიკა სულაც აღარ არის ის, რითაც საშინაო რეფორმების მძიმე ტვირთის ტარების პარალელურად, მოცალეობის ჟამს შეიძლება დაკავდე. ის უფრო შენი ქვეყნის სახე ხდება, რითაც მსოფლიოს წინაშე უნდა წარსდგე; რითაც სხვები აღგიქვამენ და რითაც, ნაწილობრივ, შენივე ქვეყნის თვითაღქმა და შეფასებაც ხდება.

ხშირად ვსაუბრობთ ხოლმე, რომ თანამედროვე მსოფლიოს განმსაზღვრელი თვისება ქვეყნებს შორის ურთიერთდამოკიდებულება გახდა. მაგრამ, სინამდვილეში, ვერავინ ახერხებს, ამ ურთიერთდამოკიდებულების ფუნდამენტური ქვეტექსტი სწორად გააანალიზოს. ვგულისხმობ იმ გარემოებას, რომ თითოეულ ჩვენგანს, როგორც ერთ კონკრეტულ ქვეყანას, საკუთარი ზუსტად ჩამოყალიბებული ინტერესი გვაქვს ყველაფერში, რაც დედამიწის ზურგზე ხდება. და ვინაიდან, საერთაშორისო მედია მნიშვნელოვან მოვლენებს პლანეტაზე მყისიერად ავრცელებს, გამოდის, რომ ომები დედამიწაზე წარმოებს როგორც ტრადიციული ხერხებით – სამხედრო ჩარევებითა და დიპლომატიით, ასევე პროპაგანდის, იდეებისა და ფასეულობების მეშვეობით.

სწორედ ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე, დავასკვნის:

ათი წლის წინ რომ გეთქვათ ჩემთვის, პრემიერობის დიდ ნაწილს საგარეო პოლიტიკას დაუთმობო, ჯერ უბრალოდ გამიკვირდებოდა, მერე მცირედ შოკსაც მივიღებდი და ბოლოს, პოლიტიკური გაგებით ცოტა შევფუცხუნებოდი კიდეც.

დღესაც კი საკუთარი კანდიდატურების დასახელებისას, პოლიტიკოსები საშინაო საკითხებზე არიან კონცენტრირებულნი. საგარეო პოლიტიკა ელექტორატის ხმებს იშვიათად გაგებინებს და უფრო პირიქით – იოლად გაკარგვინებს მათ. თუმცა, ამის მიუხედავად, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ჩვენ, ლიდერები ვალდებული ვართ, ვიაზროვნოთ, ვიშრომოთ და ვიმოქმედოთ საერთაშორისო მასშტაბით.

უკვე ათი წელია, ვაკვირდები, როგორ თანდათან იზრდება ეს ტენდენცია (ათი წლის წინ ვინმეს რომ ეთქვა, ტერორიზმთან ბრძოლა მოგიწევსო, გავიგებდი და მხნედაც შევხვდებოდი ამ ამბავს, მაგრამ დავასკვნიდი, რომ ირლანდიის რესპუბლიკის ტერორიზმზე იყო საუბარი). დღეს უკვე გამყოფი ხაზი „საგარეოსა“ და „საშინაო“ პოლიტიკებს შორის საგრძნობლად მოშლილია. იგივე, კლიმატუ-

Chesterfield

ჩაუღებუ
ჩამოდანი

5 საგზური
ბერლინის
სინათლის
ფუსფისვალება

10



10



30



www.chepm.com
(832) 438 338

ჩესტერ ფილდი

ჯანდასვის სამინისტრო გავრთხილებთ: მოწვევა მავნებელია თქვენი
ჯანმრთელობისათვის. მოწვევა იწვევს გულის დაავადებებს



1. უნდა იყო მოთავაშე და არა გაყრდნობილი

ბოლო ათი წელია, ბრიტანეთი ამ როლს კარგად ირგებს. ჩვენი მაქსიმალური ჩარევის გარეშე კარგა ხანია, არც ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო საკითხი არ ჩავლილა. ჩვენ ვცადეთ, შეგვექმნა ყველაზე გაფართოებული საერთაშორისო სტრატეგია, რომელიც მთელ საერთაშორისო თანამეგობრობას გააერთიანებდა და საერთო ფასეულობებზე იქნებოდა დაფუძნებული. ამიტომაცაა, რომ თითოეული ქვეყნის ინდივიდუალურ ინტერესებზე უფრო მნიშვნელოვანი, აფრიკის სიღარიბის დასაძლევად გამოჩენილი საერთაშორისო ინიციატივა, მსოფლიო სავაჭრო მოლაპარაკებების შედეგები და კლიმატურ ცვლილებებზე მიღებული შეთანხმებაა. ეს ნაბიჯები და გადაწყვეტილებები სხვების წინაშე ალბულოდ პასუხისმგებლობაზე მიუთითებს, იმის აღიარებასა და გააზრებაზე, რომ საერთაშორისო პოლიტიკა არ უნდა იყოს მხოლოდ ინტერესთა თამაში, არამედ ყველა იმ ღირებულების ბრძოლის ასპარეზიც, რასაც წარმოვადგენთ და რისთვისაც ვიბრძვით.

ეს გახლავთ ერთ-ერთი საბაზიკო იმისა, თუ რატომ უნდა ჩავერიოთ და გავაკეთოთ ყველაფერი – თუ საჭირო გახდა, სამხედრო ოპერაციითაც – დაუცველ ადამიანებზე თავსდატეხილი გენოციდის, ტანჯვისა და საშინელი უსამართლობის აღსაკვეთად. ბოლო ათი წლის განმავლობაში ბრიტანეთი მსგავს სიტუაციაში ჩაერია ოთხჯერ: კოსოვოს, სიერა ლეონეს, ავღანეთისა და ერაყის ამბების დროს. თითოეულ შემთხვევაში, შემადრწუნებელი ძალმომრეობის მქონე მმართველობა დაემხო.

კვირის დასაწყისში სიერა ლეონეს ვსტუმრობდი. ამ ხალხს დღესაც ტანჯვით გააქვს თავი, მაგრამ ახლა უკეთესი მომავლის იმედი მაინც

მოსახლეობა დიქტატორული მმართველობის ქვეშ დავტოვოთ? გამოდის, ჩვენ ნებას და ძალას – დავიცვათ ის, რაც გვწამს – განსაზღვრავს ჩვენივე მტრის ძლიერება და სისასტიკე. ვფიქრობ, საკითხისადმი ასეთი მიდგომით ვერასოდეს გავიმარჯვებთ.

ამიტომ ვასკვნი, რომ ჩვენ, ბრიტანელები, მაქსიმალურად უნდა ჩავერიოთ ყველა სხვა გარე პრობლემაში, რადგან ბოლოს ეს პრობლემები ჩვენივე მომავალზე იქონიებს გავლენას. საერთაშორისო მოქმედების სტრატეგიაც საკუთარ ღირებულებებზე უნდა ავაგოთ. ესენია: თავისუფლება, დემოკრატია, სხვების წინაშე ალბულოდ პასუხისმგებლობა, და ასევე სამართლიანობა და სამართალი.

2. ტრანსატლანტიკური თანამშრომლობა კვლავს უმნიშვნელოვანესია

ამჟამად ვამჩნევ და ძალიან ვნუხვარ იმის გამო, რომ ატლანტიკის ოკეანის ორივე მხარეს, გარკვეულ რეგიონებში, საზოგადოებას ინდიფერენტული და ხანდახან, მტრული დამოკიდებულებაა კი აქვს ალიანსის მიმართ, რომელსაც ისეთივე ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს ჩვენი მომავლისთვის, როგორც ჩვენი წარსულისთვის ჰქონდა. მსგავს დამოკიდებულებაში ვგულისხმობ არა მხოლოდ გახლებულ ანტიამერიკანიზმს მარცხენა სანაპიროს რიგ რეგიონებში – რაღაც გაგებით, მასთან გამკლავება შედარებით იოლიც კია. არამედ, ვგულისხმობ უფრო გაფანტულ, მაგრამ მზარდ იზოლაციონალიზმს ჩვენს მარჯვნივ თუ მარცხნივ. თუნდაც, ჩვენთან, ბრიტანეთში, არსებობს მედიისა და პოლიტიკური სპექტრის გარკვეული ნაწილი, რომელიც

ჩვენ, ევროპელები ხშირად ვსვამთ ხოლმე კითხვას: ნუთუ, ღირს კვლავს ამერიკაზე დავამყაროთ მთელი იმედები? არადა, უმჯობესი იქნებოდა, კითხვა ასე შემოგვებრუნებინა: ამერიკის პოლიტიკური ლიდერები კვლავს უყურებენ ევროპას, როგორც თავიანთ პირველ მეკავშირეს?

აქვთ. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია მეზობელი სახელმწიფოს, ლიბერიის ბედიც, რომელიც ახლა უკვე მეტ-ნაკლებად დემოკრატიული გახდა. ეს კი ასე არ იქნებოდა, სიერა ლეონე განგსტერების საკბილოდ რომ დარჩენილიყო. აფრიკის ამ რეგიონის მსგავსად, კოსოვოს შედეგად ბალკანეთიც საგრძნობლად შეიცვალა. იქაურ ქვეყნებს ახლა შეუძლიათ საკუთარი მომავალი ევროკავშირის დაუკავშირონ.

აქედან გამომდინარე, მართლა მაინტერესებს ხოლმე, როცა დარფურის საკითხზე ვსაუბრობთ, ნუთუ გულწრფელად გვჯერა, რომ თუ იქაური სიტუაციის შესაცვლელად ხელსაც არ გავანძრევთ, ძალადობა სუდანის საზღვარზე შეჩერდება? 1990-იანი წლების დასაწყისში ვერაფრით მოვიკრიბეთ ძალა ბოსნიის კრიზისში ჩასარევად. ვიდრე 250 ათასი ადამიანი არ შეენირა კონფლიქტს, ვერ გავაცნობიერეთ, რომ ჩარევის გარდა სხვა გამოსავალი არ გვქონდა.

ამბობენ, რომ სადამის და თალიბანის რეჟიმების დამხობით – ორივე მათგანი ავტორიტარული, მაგრამ ასევე საკუთარ თავში წესრიგის შემცველი მმართველობა იყო – ავღანელებისა და ერაყელების მდგომარეობა გაუარესდა, ტერორიზმმაც უფრო მძლავრად გაშალა ფრთები. ეს მიმზიდველი, მაგრამ სახიფათო არგუმენტია. დაფიქრდით, რას ნიშნავს ეს. ეს იმას ნიშნავს, რომ რადგან ბოროტი ძალები ტერორიზმის გზით სასტიკი წინააღმდეგობას გაგვიწვევენ, რადგან თავიანთ ქვეყანასა და ხალხს დიქტატურის დამხობის შემდეგ ფეხზე წამოდგომას არ დააცლიან, ამიტომ უკან უნდა დავიხიოთ, საკუთარი პრინციპების განხორციელებაზე უარი ვთქვათ და უდანაშაულო

სკეპტიკურად უყურებს ევროპის ერთიანობას და, ამასთან ერთად, ამერიკისგან დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოება სურს – ანუ იმ ქვეყნისგან დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოება, რომელიც ბრიტანეთისთვის მთავარი მოკავშირე უნდა იყოს. ეს ფაქტი პირდაპირ მაცოფებს. მსჯელობენ ჩინეთსა და ინდოეთთან ბრიტანეთის ახალ სტრატეგიულ ურთიერთობებზეც ამერიკასა და ევროპასთან ტრადიციული კავშირების გვერდის ავლით. კარგით, რა! თვალი გაუსწორეთ რეალობას! ცხადია, ჩვენ ორივე ზემოთ ხსენებულ ქვეყანასთან დავამყარებთ კავშირებს, მაგრამ მათთან ურთიერთობაში ხომ გაცილებით უფრო მეტ გავლენას შევინარჩუნებთ, თუკი, ზურგს ორი ძლიერი ალიანსი გავგიმარგებს.

ჩვენ, ევროპელები ხშირად ვსვამთ ხოლმე კითხვას: ნუთუ, ღირს კვლავს ამერიკაზე დავამყაროთ მთელი იმედები? არადა, უმჯობესი იქნებოდა, კითხვა ასე შემოგვებრუნებინა: ამერიკის პოლიტიკური ლიდერები კვლავს უყურებენ ევროპას, როგორც თავიანთ პირველ მეკავშირეს?

სწორედ ამ აზრთა სხვადასხვაობის გამო, ზედმინეწით ზუსტად აზროვნება გვმართებს. ევროპა და ამერიკა ერთსა და იმავე ფასეულობებს ემყარება. ჩვენ ერთად უნდა დავჩქრეთ. ამ ერთად ყოფნას კი ძლიერი ტრანსატლანტიკური ალიანსი სჭირდება. მას ასევე სჭირდება ძლიერი, ეფექტური და უნარიანი ევროკავშირი. სუსტი ევროპა სუსტი მეკავშირეა. ამიტომაც გვჭირდება ევროკავშირის ქვეყნებს შორის ძლიერი კავშირისა და თანამშრომლობის დამყარება და ეფე-

კომენტარი

ქტური ევროინსტიტუტების განვითარება. დედამიწაზე, სადაც ჩინეთსა და ინდოეთს ევროკავშირზე სამჯერ დიდი მოსახლეობა ჰყავს, სხვაგვარი ფიქრი არათანამედროვე აზროვნებად მიმაჩნია.

3. იყავი ძალიან ზუსტი და პირდაპირი გლობალური ტარორიზმის მიმართ

ვშიშობ, რომ მსოფლიოს და განსაკუთრებით კი, დასავლეთის დიდ ნაწილს ამ საფრთხის შესახებ შემადრწუნებლად მცდარი შეხედულება ჩამოუყალიბდა. თუ 11 სექტემბრის შემდეგ რაიმე შეცდომა დაუშვით, ის იყო, რომ ვერ გავიაზრეთ, რამდენად ღრმა და ყოველისმომცველი იყო ტერორიზმის ფესვები. თალიბანის ხელისუფლების დამხობა შედარებით იოლი ჩანდა. თალიბანის იდეოლოგიის აღმოფხვრა – უფრო იოლი. ის, უკვე თაობებია, იზრდება. ემყარება ქეშმარიტ, გულწრფელ რწმენას. ამ რწმენის მიმდევრები კი არიან ადამიანები, რომლებიც მზად არიან ჩვენზე მეტი გამძლეობა და სიცოცხლისუნარიანობა გამოამჟღავნონ; მზად არიან, არ დაეცნენ სულით მაშინაც, როცა ჩვენ დავიღლებით: ნებისყოფა და მიზანმიმართულება შეინარჩუნონ მაშინ, როცა ჩვენ სხვა ათასი საზრუნავი გვანებს ზურგზე (და მაშინ, როცა გვგონია, რომ ჩვენი გაგებით ფანტიკოსების რამდენიმე დაჯგუფება დასავლური ცხოვრების კომფორტს ვერაფერს დააკლებს).

ტერორიზმთან ბრძოლის პარალელურად სხვადასხვა სახელმწიფომ ყოველგვარი განზრახვის გარეშე შეიძლება კვებოს კიდევ ის.

მაგალითად ახლო აღმოსავლეთი მოვიშველიოთ – ტერორიზმი ახლა იქ ერაყის პროგრესს უშლის ხელს. ის აფერხებს ისრაელსა და პალესტინას შორის მშვიდობის დამყარებისკენ მიმართულ პროცესს. ის ლერწამით არხევს ლიბანურ დემოკრატიასაც. ეს ყველაფერი, ცხადია, ყურადსაღები გარემოებებია. მაგრამ გაცილებით უფრო საგულისხმო და ყურადსაღებია ის ფაქტი, თუ როგორი წარმატებით მოახერხეს ტერორისტებმა, ალგვექვა რეალობა ისე, როგორც მათ სურდათ. მათ მოახერხეს, საკუთარი თავი ყველაფერში ჩვენვე დაგვედანაშაულებინა.

დაუსრულებლად შეიძლება ვიკამათოთ, რა იყო სწორი და რა არა სადამის რეჟიმის დამხობისას. მაგრამ რეალობაა ის, რომ თუ ალქაიდას (ერაყში სადამის დამხობამდე) ჩამოვაშორებდით ბაღდადსა და მის შემოგარენში განვითარებულ კონფლიქტს უბრალო მოქალაქეებზე მიმართული მანქანის ბომბებისა და ისეთი ტაძრების აფეთქების გარეშე, როგორც იყო სამარას კათედრალი, სიტუაციის დამშვიდება ნამდვილად იქნებოდა შესაძლებელი. ამის დასტურია ანბარის პროვინციაში განვითარებული მოვლენები, სადაც ნელ-ნელა, მაგრამ მტკიცედ სუნიტები ალქაიდას უპირისპირდებიან. ბასრაშიც, ის, რაც ქალაქს წამლავს, ჯაიმ-ალ მაჰდისა და სხვა დაჯგუფებების ძალადობრივი და კრიმინალური ოპერაციები გა-

თუ 11 სექტემბრის შემდეგ რაიმე შესლომა დავუშვით, ის იყო, რომ ვერ გავიაზრეთ, რამდენად ღრმა და ყოველისმომცველი იყო ტარორიზმის ფესვები. თალიბანის ხელისუფლების დამხობა შედარებით იოლი ჩანდა. თალიბანის იდეოლოგიის აღმოფხვრა – უფრო იოლი. ის, უკვე თაობებია, იზრდება. ემყარება ქეშმარიტ, გულწრფელ რწმენას.

საზოგადოება ზედმეტად აზვიადებს იმ ფაქტს, რომ კონფლიქტის თითოეულ რეგიონში ექსტრემიზმი სხვადასხვაგვარად მჟღავნდება. მაგალითისთვის ისინი იშველიებენ ისტორიულ აბსურდს, რომ ირანის საეჭვო ელემენტები თალიბანთან არიან კავშირში. ისინი ამბობენ, როგორც არ უნდა იყოს საქმე, მათი იარაღი, რიცხოვნობა და კავშირები გაცილებით უფრო სუსტია, ვიდრე ჩვენი.

საკითხის ასე დასმა მთავარ აზრს გვაკარგვინებს. რევოლუციურ კომუნიზმსაც მრავალი სხვადასხვაგვარი გამოვლინება ჰქონდა. მაშინაც, თითქოს, საყრდენ ძალად უპერსპექტივოდ ცუდი ბიჭები აირჩია. მაგრამ ამ ძალასთან გამკლავებას ჩვენ მაინც ათეულობით წელიწადი მოვანდომეთ.

ახალ ტერორიზმსაც თავისი იდეოლოგია აქვს. ის ისლამის რწმენის დამახინჯებულ გაგებას ეფუძნება. მაგრამ მუსლიმურ სამყაროში ის მშვენივრად ეხმიანება მსხვერპლშენიერვის იდეასა და უკმაყოფილების გრძნობას. მის მეთოდებს ბევრი არ ეთანხმება. მაგრამ გაცილებით უფრო მეტი იზიარებს მის სენტიმენტებს. მსოფლიოს დამოკიდებულება მის მიმართ ძირითადად რეაქციულია. მაგრამ გლობალიზაციის ეპოქაში სულ უფრო მეტად კომპლექსური და სტრატეგიულია ტერორიზმის ცნება და მისი ძალის ახლებური გაგებაც.

ეს იმას ნიშნავს, რომ ტერორიზმმა შეიძლება შეაღწიოს ნებისმიერ სიტუაციაში, სადაც მშვიდობა სუსტდება და კონფლიქტის საფრთხე ჩნდება. ტერორის გამოყენებით იოლად არის შესაძლებელი მშვიდობის გარღვევა და კონფლიქტის გამოწვევა. მან იცის, რომ მედიის ეპოქაში, რომელიც მსოფლიოს გარშემო მყისიერი მოძრაობით ტრიალებს, ერთადერთი, რაც ითვლება, დარტყმაა. და არაფერს შეუძლია უფრო მეტი დარტყმის გამოწვევა, ვიდრე უდანაშაულოთა ხოცვას. ამ გლობალურმა მოვლენამ ისიც გაიაზრა, რომ

ხლავთ. ამ ოპერაციებს ირანის რეჟიმის წარმომადგენლები აფინანსებენ, მხარს უჭერენ და აღიარებენ. მოაშორეთ ალქაიდა, მოაშორეთ დამლუპველი ირანული მოქმედებები და სიტუაცია მკვეთრად შეიცვლება, უფრო მეტიც – გარდაიქმნება კიდევ.

სიმართლეა ის, რომ ერაყის კონფლიქტმა მუტაცია განიცადა და გარდაიქმნა ძალად, რომელიც იმავე ელემენტებით საზრდოობს, ყველგან რომ პირისპირ ვეჯახებით. და ყოველივე ამის მიუხედავად, დასავლეთის დიდ და საგულისხმოდ დიდ ნაწილს, ურჩევნია ერაყიდან ჯარები გამოვიყვანოთ. სწორედ ეს მიმაჩნია ჩვენი აზროვნების საშინელ დაჩლუნგებად, რასაც ტერორიზმმა მიაღწია. პალესტინის საკითხის ჩიხში მოქცევა ვისი ბრალია? დასავლეთის. ლიბანის შემთხვევაში – სადაც კრიზისს მიზანმიმართულად ისევ იგივე ძალა იწვევს – ვინ არის დამნაშავე? ისრაელი.

ექვგარეშეა, რომ ავღანეთშიც თალიბანი მხარდაჭერას და შეიარაღებას ისევ იმავე ირანული რეჟიმის წარმომადგენლებისგან იღებს. მათ გაკვეთილი სხვა ქვეყნებისგან მიიღეს. მათ სჯერათ, რომ თუ საკმარისი დოზით გამოიწვევენ ქაოსს, თუ საკმარისი რაოდენობით გაუღებენ დასავლელ ჯარისკაცებს, ჩვენს მორალურად გატეხვას შეძლებენ. სიტუაცია ისევ აირ-დაირევა. და თუ ასეც მოხდება, კრიზისის გამო პასუხისმგებლობას ისევ ავღანეთის მთავრობას და მის დასავლეთელ მეკავშირეებს დააკისრებენ.

ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში ტერაქტები მოხდა მაროკოში, ალჟირში, პაკისტანში, ინდოეთში, იყო რამდენიმე დაკავება საუდის არაბეთში. არც ერთი დიდი ევროპული ქვეყანა არ სარგებლობს იმუნიტეტით. აფრიკაშიც, სუდანშიც, სომალშიც და ისეთ ადგილებშიც კი, სადაც ქრისტიანები და მუსლიმები ერთად თანაცხოვრობენ, ტერორიზმი მაინც ცოცხლობს და აქტიურია.

ახლა ისინიც იფრენენ, ვინც არ აპირებდა



ლონდონი, მილანი,
ფრანკფურტი,
პარიზი, რიგა, ტალინი

სამგზავრო ბილეთი ერთი მიმართულებით
(აეროპორტის გადასახადების ჩათვლით)

339
ლარიდან

დამატებითი ინფორმაციისთვის: www.flylal.com

ფრენების რაოდენობა იზრდება. ფასი მცირდება

Lithuanian Airlines
FLY LAL

ქოქინტარი

ამ მრავალთავიან გველშაპთან ბრძოლის გარდა სხვა ალტერნატივას ვერ ვხედავ. სადაც კი ის თავს წამოჭოფს, იქვე უნდა წავაჭრათ. არ არსებობს მოთხოვნა, რომლის განხილვა და რომლის შესახებ მსჯელობაც ღირდეს. ტერორიზმი უნდა დავამარცხოთ. მორჩა და დამთავრდა.

4. უნდა დავისვამთ საკუთარი ფასეულობები

მხოლოდ სამხედრო და თავდაცვითი ღონისძიებებით მიზანს ვერ მივალწევთ. ეს პოლიტიკური გამოწვევა გახლავთ. ტერორიზმი საკუთარ რიგებში მიმდევრებს ადამიანების ემოციებზე გავლენის მოხდენის საფუძველზე იღებს. მასთან დაპირისპირება მხოლოდ უკეთ და უფრო ღრმად გააზრებული, ნათლად ჩამოყალიბებული შემხვედრი ღირებულებებით შეიძლება.

თუმცა, ამას ვერ მივალწევთ, ვიდრე საკუთარი ღირებულებების დაცვას არ ვისწავლით; ვიდრე არ ვიამაყებთ მათით და მათ დაცვას სრული თვითდაჯერებით არ შევუდგებით. არაფერია უფრო აბსურდული, ვიდრე ეცადო და ცნებები „დემოკრატია“ და „თავისუფლება“ დასავლურ კონცეფციებად გაასაღო ხალხში, მერე კი ძალ-ღონე არ დაიშურო ამ ღირებულებების იმ ხალხებსა და ქვეყნებზე გასავრცელებლად, ვისთვისაც ეს ყველაფერი ძალიან უცხოა. შეიძლება, მართლაც არსებობდეს მთავრობები, ვისთვისაც ეს კონცეფციები უცხოა. მაგრამ არ არსებობს ასეთი ხალხები. მითხარით, ვის მიუცია

იდეას რომ იცავენ; მემარცხენეები კი მართლები არიან, როცა სამართლიანობის დაცვის აუცილებლობას უსვამენ ხაზს.

საზოგადოების თვალში იმ იდეების დაკნინება, რომლებიც ტერორიზმს უმაგრებს ზურგს, მხოლოდ მაშინ გაამართლებს, თუ საზოგადოება დაინახავს, რომ ჩვენი მოტივაცია სამართლიანობის პრინციპების დაცვაა. ამიტომ ვფიქრობ, რომ ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მოგვარება ძალიან მნიშვნელოვანია. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კონკრეტულად ამ პრობლემის გადაჭრის გამო, არამედ იმიტომაც, რომ მშვიდობის არარსებობა ზოგადად ინვესტრაციებს, რომელთაც შემდეგ ექსტრემიზმი სათავისოდ იყენებს. ჰკითხეთ საკუთარ თავს, თუ რატომ ცდილობს ირანის რეჟიმის გარკვეული ნაწილი ხელი შეუშალოს საკითხის გადაჭრას და შემდეგ დაფიქრდით, თუ რატომ არის გადამწყვეტი პრობლემის მოგვარება.

ჩვენი გამოწვევა ზოგადსაკაცობრიო გამოწვევაა. საჭიროა, გვქონდეს საკუთარი მსოფლმხედველობა, არანაკლებ ნათელი, მაგრამ ამავე დროს ჩვენ საკუთარ ღირებულებებზე აღმოცენებული.

5. არანაკლებ მნიშვნელოვანია სვლინდელი დღის წესრიგის

მსგავსი დღის წესრიგის მნიშვნელობა ისაა, რომ საშუალებას გვაძლევს, ჩამოვაყალიბოთ მსოფლიოს საერთო ღირებულებათა სისტემა. ვგულისხმობ მსოფლიოს, სადაც ძალიან მალე ახალი ძალაუფლებები და

შეიძლება, მართლაც არსებობდეს მთავრობები, ვისთვისაც "დემოკრატიის" და "თავისუფლების" კონცეფციები უცხოა. მაგრამ არ არსებობს ასეთი ხალხები. მითხარით, ვის მიუცია საიდუმლო პოლიცია ურჩევნია სიჭყვის თავისუფლებას?

მითხარით, ვის მიუცია ხმა დემოკრატიის წინააღმდეგ? ან ვის უთქვამს, რომ საიდუმლო პოლიცია ურჩევნია სიჭყვის თავისუფლებას?

საიდუმლო პოლიცია ურჩევნია სიჭყვის თავისუფლებას?

ხმა დემოკრატიის წინააღმდეგ? ან ვის უთქვამს, რომ საიდუმლო პოლიცია ურჩევნია სიჭყვის თავისუფლებას?

ეს ღირებულებები ზოგადსაკაცობრიოა. ამიტომ ექსტრემისტთა იდეოლოგიას მეტი თვითდაჯერებით უნდა შევუტოთ: მიუღებელია სახელმწიფოს ფუნქციების მათი რეაქციული გაგება; მათი სურვილი, ხალხს მშვიდობიან გარემოში განვითარების საშუალება მოუსპონ; მათი შეხედულებები ქალების შესახებ კი – აბსოლუტურად რეგრესულად მიმაჩნია. ჩვენ უნდა დავგმოთ არა მხოლოდ მათი ტერორისტული ქმედებების ბარბაროსული მეთოდები, არამედ უნდა შევუტოთ მათ ცნობიერებაში დაგროვებულ წყენასაც დასავლეთის წინააღმდეგ. ამ პროცესში ფასდაუდებელი იქნება უფრო დაბალანსებული და ჭეშმარიტი ისლამის მხარდაჭერის მოპოვება და მისი გამოყენება ტერორიზმის წინააღმდეგ. არაფერია უფრო აბსურდული ჩემთვის, ვიდრე ის აზრი, რომ ავღანეთში თალიბანის, ხოლო ერაყში სადამის რეჟიმის დამხობა და მათი ჩანაცვლება გაეროს მიერ გაკონტროლებული არჩევნებით, რაღაც გაგებით მაინც, მუსლიმებს შეურაცხყოფს. უნდა გავიაზროთ, რომ ტერაქტებში მუსლიმებს სხვა მუსლიმები ხოცავენ და რომ მათი ეს ქმედება აბსოლუტურად ეწინააღმდეგება იმას, რასაც ყურანი ქადაგებს.

მაგრამ, და ეს მძლავრი „მაგრამა“, საკითხისადმი ასეთი მიდგომა მხოლოდ იმ შემთხვევაში ამართლებს, თუ ენერგიულად, ერთი ხელის დაკვრით და სამართლიანი მეთოდებით ვიმოქმედებთ. აი, სწორედ ამ ნაწილში მეჩვენება ხოლმე, რომ მემარჯვენეებისა და მემარცხენეების სტანდარტული პოლიტიკა ხელისშემშლელი ფაქტორი შეიძლება იყოს. პრობლემა ისაა, რომ მემარჯვენეები მართლეს არიან თავისუფლების დასაცავად სამხედრო ძალის გამოყენების

ინტერესები აღმოცენდება, რომელთაც ექნებათ უნარი, დიდი გავლენა მოახდინონ მსოფლიოს მიერ ასარჩევ გეზზე. ასეთი მიდგომა, მომავალში, ექსტრემიზმის წინააღმდეგ აღმართულ ბასტიონად და, ამავე დროს, ცივილიზებულიობისაკენ მომართულ ძალად წარმოგვიდგება, სადაც დასავლეთის ეკონომიკური და პოლიტიკური წონა იმაზე ნაკლები იქნება, ვიდრე ახლანა. გეჭირდება ნაყოფიერი და ძლიერი ბაზა, რომელიც ჩვენი ღირებულებებისადმი აშკარა და ხაზგასმულ დამოკიდებულებას დაეფუძნება. ეს ბაზა გარდაქმნის მსოფლიოს, რომელიც შეეცდება ეს უნივერსალური ღირებულებები გაითავისოს და სამოქმედო გეზად აირჩიოს.

ამასობაში, შინ

ეს წერილი საერთაშორისო მკითხველისთვისაა განკუთვნილი და ამიტომ, წამყვანი თემა მასში საერთაშორისო პოლიტიკა გახლავთ, მაგრამ რამდენიმე საინტერესო გაკვეთილის გახსენება საშინაო პოლიტიკიდანაც შეიძლება.

1. „ღია დახურულის წინააღმდეგ“ ისევე მნიშვნელოვანია დღევანდელ პოლიტიკაში, როგორც „მემარცხენე მემარჯვენეს წინააღმდეგ“. ერები სამაგალითოდ იქცევიან, როცა გამოხატავენ მზადყოფნას დაწარჩენი მსოფლიოს წინაშე გახსნისთვის. გახსნაში ვგულისხმობ ღია ეკონომიკის წარმოებას, პროტექციონიზმზე უარის თქმას, უცხოური ინვესტიციების მიღებას, მოქნილი შრომის ბაზრის შექმნას. ეს ასევე ნიშნავს კონტროლირებული იმიგრაციისგან სიკეთების მიღებას. ვიცი, თითოეული ქვეყნისთვის მიგრაცია პოლიტიკის მწვავე სადებატო საკითხია. მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ ლონდონი გაცილებით უფრო ძლიერი და წარმატებულია კონტროლირებადი მიგრაციის პროცესის ნაქეზებით. იზოლაციონიზმი და პროტექციონ-



ჩვენ გვენდობიან ლიდერები

- **სანდო მონაცემები**
- **ღრმა ანალიზი**
- **ღირებულ კონსულტაცია**



**მარკეტინგული კვლევა
და კონსულტაცია**

საპარტიზო, თბილისი,
0194, საბურთალოს ქ. 32,
80-4 სართული

ტელ: +(995 32) 422 322 (0)
ფაქსი: +(995 32) 422 322 (9)
ელ. ფოსტა: contact@act.ge

www.act.ge

კომენტარი

ნიზმი საზღვრებს არ სცნობს, ჩვენს რეალობაში წარამარა ყველგან გვხვდება. ეს ღირებულებები იოლი და მარტივი გასაფლერებელია, მაგრამ იმდენად უაზროა, რომ დიდხანს ვერ ძლებს.

2. სახელმწიფოს როლი იცვლება. დღეს მისი საფუძველი მოქალაქესთან პარტნიორობა უნდა იყოს, რაც, თავის მხრივ, ორივე მხარისთვის მთავარ უფლებად და პასუხისმგებლობად უნდა იქცეს. მოქალაქის ჩართულობა და მონაწილეობა ღრმა და საფუძვლიანი უნდა იყოს. საჯარო სამსახურებმაც ისეთივე რევოლუციური გარდაქმნის გზა უნდა გაიარონ – პროფესიულად, კულტურულად და ორგანიზაციულად – როგორც კერძო სექტორმა.

ძველი, მონოლითური მეთოდები უნდა დაინგრეს. მომხმარებელს რეალური ძალა და შეღავათები უნდა მიეცეს, სისტემას კი – რეალური სტიმული და ჯილდო. მიზანი ერთი უნდა იყოს – საჯარო სამსახური მოქნილი და ბუნებრივი გზით უნდა ჩამოყალიბდეს, რეფორმა სისტემის შიგნით უნდა განხორციელდეს და არ უნდა იყოს მუდმივად ცენტრისგან თავსმოხვეული და დაძალებული. საჯარო სექტორის კავშირებს არ უნდა მიეცეთ უფლება, გადანყვიტონ საჯარო სამსახურების ფორმა და ყალიბი.

ბრიტანეთის საჯარო სამსახურებში უზარმაზარი ინვესტიციები ჩადეთ. მაგრამ ჯანდაცვის სისტემის კარს პარტნიორობისთვის მოხალისე კერძო სექტორსაც ვუღებთ. შემოგვაქვს ე.წ. შედეგებით

დღეს საზოგადოება ცხადად ანსხვავებს ერთმანეთისგან კერძო ცხოვრების წესისგან წამოსულ პრობლემებს, რომელთაც ლიბერალურად უყურებს და კრიმინალს, რომელსაც, ცხადია – არა. ამას მე ჰომოსექსუალთა უფლებების დაცვას და კრიმინალის მიმართ მკაცრ პოზიციას ვუწოდებ. ის ანგრევს ტრადიციულ მემარჯვენე/მემარცხენე შეხედულებებს.

5. სოციალური გამონაკლისებიც საგანგებო ყურადღებას იმსახურებს. 1979 წლიდან 1997 წლამდე ბრიტანელების უმდიდრესი 20 პროცენტის შემოსავალი გაცილებით უფრო სწრაფად იზრდებოდა (2.5%), ვიდრე უღარიბესთა 20 პროცენტის შემოსავლები (0.8%). დღეს ეს სურათი ამოტრიალდა. 1997 წლიდან უღარიბესი მოსახლეობის შემოსავალი გაცილებით სწრაფად იზრდება (2.2%), ვიდრე უმდიდრესთა შემოსავალი (2%). მაგრამ ამ პროცენტებში ხელმოცარულთა, სოციალურად გარიყულთა მდგომარეობა არ აისახება. ღარიბების შემოსავლების ზევით აღმავალ დინებაში მათი გემი ვერ ჩაერთო. სოციალური გარიყულობის პრობლემა დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის დღესაც ძალიან აქტუალურია.

6. დაბოლოს, პოლიტიკურ პარტიებს მოუწევთ, სამოქმედო გეგმა რადიკალურად შეცვალონ. მითოლოგიის პრინციპების მიუხედავად, პარტიები არ კვდება. საზოგადოებრივი ინტერესი პოლიტიკის მიმართ ისევე მძაფრია, როგორც ძველ დროში ოდესმე ყოფილა. ეს საფრანგე-

არაფარია უფრო ახსურდული ჩემთვის, ვიდრე ის აზრი, რომ ავღანეთში თალიბანის, ხოლო ერაყში სადამის რეჟიმის დახმობა და მათი ჩანასვლია ბაქოს მიერ ბაქონტროლზე არჩევნებით, რაღაცაა ბაბაჯით მაინც, მუსლიმებს შეუძლებელია უნდა გავიზაროთ, რომ ტერაქტებში მუსლიმებს სხვა მუსლიმები ხოსთავან და რომ მათი ეს ქმედება ახსოვდებოდეს ენიანალმდებავა იმას, რასაც ყურანი ქადაგებს.

განსაზღვრული გადახდის სისტემა, ვქმნით კონკურენციას და სავადმყოფოებს უფლებას ვაძლევთ, თვითმმართველ ორგანოებად ჩამოყალიბდნენ. ახალ აკადემიებსა და ნდობით აღჭურვილ სკოლებს გადაეცემათ სრული უფლება, დამოუკიდებელ ორგანოებად ჩამოყალიბდნენ, რომლებიც არ გადაიხდიან გადასახადებს, და ამ საქმისთვის გარეშე პარტნიორები ეყოლებათ მიმაგრებული, მაგალითად ბიზნესკომპანიები, უნივერსიტეტები და საქველმოქმედო ფონდები, რომლებიც დაასპონსორებენ და მართავენ მათ.

3. სოცურუნველყოფის სისტემა იმუშავებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პასუხისმგებლობას ორივე მხარე იზიარებს – სახელმწიფო გასცემს დახმარებას, მოქალაქე კი იღებს დახმარებას და მიღებულს საკუთარი თავის დასახმარებლად იყენებს. საპენსიო რეფორმა, რომელსაც ბრიტანეთი ამ ეტაპზე ატარებს, წლების სვლასთან ერთად შეგვაქმნევინებს სისტემას, რომელიც ხელმისაწვდომი და სამართლიანი იქნება თითოეული თაობისთვის. ამ სისტემის მიხედვით, თითოეული მოქალაქე მიიღებს გარანტირებულ პენსიას, მაგრამ მას ასევე მოეთხოვება თვითონვე იზრუნოს იმაზე, რომ წინასწარ განსაზღვრული საპენსიო თანხა საკუთარი ფინანსებით თვითონვე გაზარდოს.

4. კანონი და წესრიგი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მის როლს სიტყვით ვაღიარებთ. აქამდე პროგრესულ ძალად ითვლებოდა ხალხი, რომელიც უარს ამბობდა ცრურწმენებსა და დისკრიმინაციას და ემხრობოდა მოსაზრებას, რომ კრიმინალში უმთავრესი ბიძგის მიმცემი სოციალური პრობლემები იყო. კონსერვატორები კი მიიჩნევდნენ, რომ კრიმინალი ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დეფიციტით იყო გამოწვეული და ეს კამპანიაც დისკრიმინაციის წინააღმდეგ პოლიტიკორექტულობის გამოვლინება იყო და მეტი არაფერი.

თის არჩევნების ბოლო შედეგებმა ცვლილება დაანახე საზოგადოებას ნამდვილი შეჯიბრი და ისინი გამოვლენ და ხმას მისცემენ რჩეულს.

თუმცა, პოლიტიკაც ისევე ემორჩილება ცვლილებების კანონებს, როგორც ყველაფერი დანარჩენი ამქვეყნად. პოლიტიკა დღეს ნაკლებ კლანურია. საზოგადოება მეტ ინტერესს პრობლემების მიმართ იჩენს, ვიდრე იდეოლოგიების მიმართ. პოლიტიკური ორგანიზების მექანიზმი თუ მოუქნელი და ხისტი, ის ვერ ამართლებს. საზოგადოების ყურადღებ ინფორმაციის მიტანის ათასობით ახალი გზა არსებობს. დღეს ყველაფერზე მეტად პოლიტიკურ პარტიებს სჭირდებათ ხალხში ღიად გასვლა და მათი პროცესებში ჩართვა იმის ნაცვლად, რომ ოფისებში ისხდნენ და დაელოდონ იმ დროს, როცა სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფები თავად გაერთიანდებიან რაღაც სექტებში.

ასე რომ, ჩემი აზრით, პარტიის ნევრობა თავისუფალი უნდა იყოს, პოლიტიკური გადანყვიტულების მიღების პროცესი – ფართო და უფრო წარმომადგენლობითი, ინტერაქტიული და ინტერნეტ კომუნიკაციები კი ნორმად უნდა იქცეს. მოგიწოდებთ, გახსნათ ყველა გზა.

იოქმელა თვითონ!

ასე შეიძლება ყველაზე მოკლედ და ლაკონურად იმის თქმა, რაც მმართველობის წლებში ვისწავლე. ამ გაკვეთილებს ჩემი შემცველ-ლისთვის განკუთვნილ რჩევებად, ცხადია, არ გავასაღებ. პირადად მე საკმაოდ გამიმართლა იმ მხრივ, რომ ჩემი წინამორბედები რეკომენდაციებს ჩემი მისამართით საჯაროდ იშვიათად გამოთქვამდნენ.

ამ პოსტზე სამსახური ისედაც საკმაოდ რთულია, და რადგან ეს საკუთარი გამოცდილებით ვიცი, ჩემს შემცველს ვერაფერს შევთავაზებ მხარდაჭერის გარდა.



ტექსტილი ჯგუფი

შეიქმნეთ თქვენთვის
სასურველი



გაქურჩიანი



რივერსაილი



ილიანი

შანსაი





მოზარდი – მოქალაქე თუ მსხვერპლი ინტერვიუ მალხაზ სალდაძესთან

ინსაუზარა: ნინო ბაქიშვილი

როცა ტელეეთერთი მორიგი სიუჟეტი გადაიცემა მოზარდთა მიერ ჩადენილი დანაშაულების შესახებ, რომლებიც ხშირად წარმოუდგენელი სისასტიკითა და დაუნდობლობით ხასიათდება, საზოგადოებაც გააქტიურდება ხოლმე – გვახსენდება, რომ საქმე მთლად კარგად არ არის. შარშანდელი მოვლენების შემდეგ, როცა თითქმის ყოველ კვირა მოზარდების მიერ ჩადენილ ახალ-ახალი დანაშაულის შესახებ ვიკვებით, ყველა შემოვთქვამდა და დაინტერესდა, ამაზე საჯაროდ დაიწყეს საუბარი. შედეგად სკოლებში დაიდგა დეტექტორები, გამკაცრდა კანონი, გაიზარდა კონტროლი და, შესაბამისად, სასტიკმა დანაშაულმაც იკლო. მაგრამ, რამდენადაა ასეთი მექანიკური ქმედებები საკმარისი ამ პრობლემის გადასაჭრელად. ძალადობა და აგრესია სოციალურ რაღაც დონით ყოველთვის იყო და იქნება, მაგრამ რა უნდა ვქნათ მაშინ, როცა დღევანდელი კანონის მიხედვით, 12 წლის ბავშვს, რომელიც, შეიძლება, ბოლომდე ვერც აცნობიერებდეს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, სრულწლოვანთა კოლონიაში ზუსტად ისე მოუწევს პასუხისმგება, როგორც ზრდასრულს? ვაცნობიერებთ კი, რომ ეს ბავშვი, უპირველესად, თვითონაა მსხვერპლი და მხოლოდ ამის შემდეგ, დამნაშავე?

თემა ძალიან ფართოა, მრავალმხრივი და ამოუწურავი. თუმცა, დღეს უფრო კონკრეტულ საკითხზე ვისაუბრებთ, კერძოდ – გარემოსა და მოზარდის ურთიერთობებზე. რამდენადაა გარემო ძალადობის და აგრესიის მაპროვოცირებელი, როგორია ეს გარემო, როგორ ხედავან მოზარდები თავს სოციალურში? რამდენად ვიცნობთ

ჩვენ, უფროსები იმ სამყაროს, სადაც ეს ბავშვები ცხოვრობენ? ვესაუბრებით მალხაზ სალდაძეს, სახალხო დამცველის აპარატთან არსებული ეროვნული უმცირესობების საბჭოს აღმასრულებელ მდივანს. 2008 წლის ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროს სტიპენდიანტის, ბატონი მალხაზის კვლევის საგანია გარემოს როლი მოზარდთა აგრესიასა და ძალადობაში.

– მოზარდები საკმაოდ ხშირად მიმართავენ აგრესიას და ძალადობას არა მხოლოდ უფროსებთან, არამედ, ერთმანეთთან ურთიერთობაშიც. ვისაუბროთ აგრესიის გამომწვევ მიზეზებზე.

– აგრესიის მიზეზები შეიძლება ძალიან ფართო სპექტრისა იყოს, დანყებული, ვთქვათ, უშუალოდ მოზარდების ფსიქოლოგიური მახასიათებლებიდან, იმ სოციალური გარემოთი დამთავრებული, სადაც ცხოვრება უწევთ. ამ თემას ჩემი კვლევა უკავშირდება, ამიტომ აქცენტს სოციალურ გარემოზე გავაკეთებ: რა გარემოში უწევთ მოზარდებს ცხოვრება, უხდებათ თუ არა ძალადობის გამოვლენა და არიან თუ არა აგრესიულები თავისი თანატოლების ან, თუნდაც, უფროსების მიმართ. თუკი ვისაუბრებთ აგრესიაზე, და კონკრეტულად, ძალადობის გამოვლინებაზე, შეიძლება, ორი მომენტი გამოიკვეთოს – ძალადობა გარკვეული მიზნებისთვის, რასაც მოზარდები იყენებენ და მეორე – ძალადობა, როგორც თვითდამკვიდრების ინსტრუმენტი.



ვილა მთაში

ბაკურიანი

39 39 39

www.cid.ge

ინტერვიუ

– პროკურატურის საიტზე დევს ეს მონაცემები და 2006 წლის შემდეგ, თითქოს, პირიქით, კლება შეინიშნება.

– სტატისტიკური მონაცემები არა მაქვს, მაგრამ რა მასშტაბები აქვს მოზრდა და ნაშაულის, ამის კარგი მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ ხელისუფლება იძულებული გახდა საკანონმდებლო ცვლილება მიეღო, რომლის მიხედვითაც მოზარდებს 12 წლიდან, ისევე შეეფარდებთ სასჯელი, როგორც უფროსებს. ეს ამკარად მიუთითებს იმაზე, რომ მოზარდებში აგრესია და ძალადობა შემაშფოთებლად გამოიკვეთა. ეს ბევრ იმ ქვეყანას ახასიათებს, სადაც მსგავსი მწვავე სოციალური და ეკონომიკური ცვლილებები მიმდინარეობს, საქართველო ამ მხრივ არ არის გამონაკლისი. ზოგადად, ახალ სოციალურ ჯგუფში მოხვედრილი ინდივიდი იოლად ვერ ეწერება ამ გარემოში და შეიძლება, არჩიოს ძალადობა, ანუ ის ფორმა, რომელსაც გაუცხოებული ადამიანური ურთიერთობების სოციალური გარემო სთავაზობს. ეს, ძირითადად, მაინც სოციალური ფაქტორებითაა განპირობებული და სპეციფიკურ სოციალურ ჯგუფებს ეხება. ეხება იმათ, ვინც ყველაზე მოწყვლადნი არიან ამ ცვლილებების პროცესში.

მაგრამ, აღსანიშნავია ისიც, რომ ძალადობასა და აგრესიას ხშირად არა მხოლოდ დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელი მოზარდები მიმართავენ. აქ ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ ძალადობას და აგრესიას მოზარდი თვითგადარჩენისთვის იჩენს და რომ ოჯახი, შესაბამისად ვერ უზრუნველყოფს. თუ მოზარდების მიერ დედაქალაქის ელიტურ რაიონებში ჩადენილ გახმაურებულ მკვლელობებზე ვიმსჯელებთ, ძირითადად, ეს დანაშაულები ჩაიდინეს იმ მოზარდებმა, რომლებიც საკმაოდ უზრუნველყოფილი ოჯახებიდან იყვნენ. რითია ეს განპირობებული?

ლი პოზიტიური წვლილის შეტანა ხდება, ის მსგავსი ურთიერთობების მონესრიგების პატარა ორგანიზებული სივრცეა. იქ იერარქიაა და ამ იერარქიაში გარკვეული ფიგურები ან ფიგურანტები არსებობენ, რომლებსაც აქვთ შესაბამისი ავტორიტეტი და შესაძლებლობა, მოარიგონ რაღაც სადავო საკითხები.

როდესაც ბავშვებს ვესაუბრებოდი, ერთი მხრივ გამოიკვეთა, რომ უბანი ძალიან მნიშვნელოვანია სკოლაში ურთიერთობებისთვის და ზოგადად ურთიერთობებისთვისაც. მაგრამ უბანი ხომ არ არის ერთადერთი სივრცე? მით უმეტეს, არსებობს სხვადასხვა უბანი. ხშირად ხდება ამ სხვადასხვა ჯგუფების, „უცხოების“ ერთმანეთთან შეხებაში მოსვლა და ამ დროს, მართლაც, არ არსებობს მექანიზმი, რომელიც ამას გააწონასწორებდა. აქ უკვე უშუალოდ ძალადობამდე შეიძლება მივიდეს საქმე. აქ ისეთი სოციალური ურთიერთკავშირებია, რომელთაც ნაკლებმოციური მუხტი გააჩნია, ლოიალობა „უცხო“ მიმართ ამ ჯგუფს არა აქვს. და თუკი ხდება შეხება ერთმანეთისგან გაუცხოებულ ჯგუფებს შორის, სიტყვით და ვერბალური მორიგებით საქმე იშვიათად თუ დამთავრდება. ეს იმაზეა დამოკიდებული, „უცხო“ რამდენად აღიარებს ავტორიტეტულად იმ იერარქიას, რომელიც იმ კონკრეტულ ჯგუფშია ან რამდენად კმაყოფილად ჩათვლის თავს იმ შედეგით, რითაც საქმე დამთავრდება. უფრო მეტიც, სულ ახლახან უკვე კარგა ხნის წინ სკოლადამთავრებულმა, 25 წლის ახალგაზრდამ მოკლა თანაკლასელი სკოლის წლებისდროინდელი წყენის გამო. გარემო, შეიძლება, იმდენად აგრესიული იყოს ინდივიდის მიმართ, რომ ეს ფსიქოლოგიური ტრავმა ადამიანს უფრო დიდხანს გაჰყვეს, ვიდრე წარმოგვიდგენია. ერთია მოცემულ დროით სივრცეში კონფლიქტის ძალადობრივი გზით მოგვარება და მეორეა, როდესაც მოზარდებს

თუ მოზარდების მიერ დანაშაულის ელიტურ რაიონებში ჩადენილ განგაშებულ მკვლელობებზე ვიმსჯელებთ, ძირითადად, ეს დანაშაულები ჩაიდინეს იმ მოზარდებმა, რომლებიც საკმაოდ უზრუნველყოფილი ოჯახებიდან იყვნენ.

აქ, ალბათ, აუცილებლადაა გასათვალისწინებელი ის, რომ კომუნიკაციის საშუალებები, რაც ამ მოზარდებს გააჩნიათ და ის სივრცეები, სადაც ისინი ერთმანეთთან ურთიერთობენ, ვერ უზრუნველყოფს კმაყოფილებაზე ორიენტირებულ გარემოს. მოზარდი, რომელიც ჩართულია ამ ურთიერთობებში, თავს ვერ აღიქვამს სოციალის სრულფასოვან წევრად.

წარმოვიდგინოთ ერთ ქვაბში, ერთ სივრცეში ერთმანეთისგან გაუცხოებული ადამიანების შეჯახება, რომელთაც ერთმანეთს უპირატესობა ძალადობის გამოყენების გზით უნდა დაუმტკიცონ. შეჯიბრის ფაქტორი ნებისმიერ სოციალურ ურთიერთობაშია მოცემული, მაგრამ აქ რაში ეჯიბრებიან? არა, ვთქვათ, განათლებაში, სპორტში ან რაიმე კონკრეტულ საქმიანობაში, არამედ, როგორც წესი, სხვის დაჩაგრვას ცდილობენ. ცოტა უტრირებული ნათქვამია, მაგრამ მათ თვითონ უწევთ თვითგამოხატვის და თავის დამკვიდრების გარკვეული წესების მოფიქრება და გამოგონება.

თბილისს თუ ვგულისხმობთ, აქაც, როგორც ყველა ტრადიციულ საზოგადოებაში, არსებობს ისეთი ინსტიტუტები, რომლებიც მედიაციას ეწევა, მაგალითად, უბანი. ამ ინსტიტუტების მხრიდან გარკვეუ-

შორის აღმოცენებული პრობლემების გადაჭრა იმდენად ხანგრძლივადიან პერსპექტივაში ხდება, რომ ძნელი დასაჯერებელიც კია. მართალია, ეს ერთეული შემთხვევებია, მაგრამ კარგად მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად დაძაბულ და უარყოფითად დატვირთულ ემოციურ ფონთან გვაქვს საქმე.

– რა აიძულებს მოზარდებს, ეს ნაბიჯი გადადგან?

– ამის მიზეზი ძალიან ბევრია: ბავშვი ოჯახში უნდა იღებდეს რაღაც ღირებულებებს. თუმცა, მაგალითად, დროის ნაკლებობის გამო, ხშირად ხდება ოჯახის როლის შევიწროება. თანაც, მოზარდს ურჩენია თანატოლთა, თანასწორთა სივრცეში იურთიერთობა. უფრო მეტად ჰქონდეს შეხება ინფორმაციის მიღების და ანალიზის მშობლებისგან დამოუკიდებელ წყაროებთან – უბანთან და ქუჩასთან. ეს ორი სივრცეც უნდა გაიმიჯნოს, იმიტომ, რომ უბანი უფრო უშუალო პიროვნულ ურთიერთობებს გულისხმობს, ნაცნობობას, საერთო გამოცდილებას ემყარება და სწორედ აქედან იკვეთება იერარქია. ქუჩა უფრო ანონიმური სივრცეა. სადაც ასევე ხშირად



ჯაჩიაფხანა სამკაფი



მკაფიის ქსედი:

მ. რუსთაველის გამზ. №40 ტელ:998634 / ქავჭავაძე გამზ. №19 ტელ:252357

GTC ვეკუს ქ. 3 I სართუდი ტელ:923589 / შინდენის ქ. 8/10 ტელ:722004

აბაშიძის ქ. №29 ტელ:293704 / დუბდიანის ქ. 15 ტელ:510001

www.zarapxana.ge

ინტერვიუ

ხვდებიან უცნობი მოზარდები ერთმანეთს. ბავშვებისგან მესმის ხოლმე ასეთი აზრი, რომ აგრესია იმათ მიმართ უნდა გამოიყენო, ვინც უცხოა, მოდის სხვა უბნიდან, ახდენს კონფლიქტის პროვოცირებას, მერე წავა და დაიკარგება, ველარ იპოვი და პასუხს ვერ მოჰკითხავ. ქუჩის სოციალური გარემო ანონიმური ხასიათისაა და მეტ გასაქანს აძლევს ძალადობის გამოვლინებას. ამის გარდა, არსებობს მეტასოციალური გარემოც, რომელიც ზოგადად, მოქმედებს მოზარდთა ქცევაზე. ესაა ის ინფორმაცია, რომელსაც მოზარდი გარემოდან იღებს, სადაც ესმის ძალადობაზე, ხედავს ძალადობას. შემდეგ ასეთ შემთხვევებს, როგორც წესი, უბანში განიხილავენ ხოლმე. საქმის არსს, ალბათ, ბოლომდე ვერ ხვდებიან, მაგრამ ამაზე საუბრობენ.

– ვისაუბროთ სკოლის როლზეც... სკოლაში მასწავლებელთა მხრიდანაც აწყდებიან ძალადობას...

– სამწუხაროა, მაგრამ სკოლაში დაკარგა თავისი ფუნქციური დანიშნულება – იყოს განათლების კერა. საინტერესოა, რამდენად აღიქვამს მოზარდი სკოლას, როგორც იმ სივრცეს, სადაც განათლება უნდა მიიღოს. გამიგია ასეთი აზრიც, რომ დღევანდელი თაობა გაუთავებელი ექსპერიმენტების მსხვერპლია. კარგად არ ვიცნობ განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებს, არ ვიცი, რამდენად ხშირად იცვლებოდა სასწავლო გეგმები და რაზე იყო ორიენტირებული. ერთი რამ ნათელია – მოზარდთა შორის ძალადობას ხელს უწყობს ის, რომ სკოლის, როგორც განათლების მიმცემი სივრცის გააზრება, მოზარდებში დაბალია. ვერ ვიტყვი, რომ ყველა ასეა. არის სკოლები, სადაც ასეთი განწყობა ნაკლებ

შინ სწავლობს, რეპეტიტორებთან. ზოგიერთი, შეიძლება, სწორედ იმიტომაც არიდებდეს თავს სკოლას, რომ იქ აგრესიული გარემო ხვდება.

ბავშვები ამბობენ, რომ უფრო მეტად კონფლიქტები უფროსი თაობის მასწავლებლებთან მოსდით. ამას ასე ხსნიან – უფროსები ჩამყაყუტულები და კომუნისტები არიანო. უცნაურია, მაგრამ ასეთი რამეც ხშირად ხდება – თუ მასწავლებელი განსაკუთრებით თბილი ტონით ელაპარაკება მოსწავლეს და მშობლისეულ მზრუნველობას იჩენს, ბავშვი თავს არაკომფორტულად გრძნობს, ეშინია, რომ თანატოლების თვალში ნაკლებად დამოუკიდებელი გამოჩნდება და ავტორიტეტს დაკარგავს. ამიტომ, შეიძლება, ბავშვმა მასწავლებელს თბილ სიტყვებზე აგრესიით უპასუხოს. სკოლაში საკმაოდ ხშირია ფიზიკური ძალადობის შემთხვევებიც, როცა მასწავლებელი ცდილობს მოსწავლე დაქვემდებარებულ მდგომარეობაში ჩააყენოს. სკოლისადმი უნდობლობას ისიც განაპირობებს, რომ მოზარდებს ინფორმაციის მიღება, ცოდნის შექმნა, ვგულისხმობ, არა აკადემიურ ცოდნას, არამედ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ისეთი გარე რეგულატორის გარეშე შეუძლიათ, როგორც მასწავლებელია. მოზარდებისგან გამიგია ისიც, რომ ძალადობას ბავშვები უფრო მეტად დაბალ კლასებში ავლენენ. თვლიან, რომ მეგობრობა და დადებითი ემოციური მიზმა არ უწყარვებთ მდგომარეობას. ხშირად, როდესაც ხდება რაღაც იერარქიის გამოკვეთა სკოლის გარემოში, როდესაც ესა თუ ის როლი ბავშვს დამკვიდრებული აქვს, მერე უკვე შეუძლია სხვა სტრატეგიები განსაზღვროს. ვთქვათ, ბავშვი მერვე კლასამდე დანით დადიოდა, რომ მის დომინანტურ პოზიციას არავინ შეხებოდა. მერე ექიმობა გადაწყვიტა და მიხვდა, რომ ამისთვის სწავლა

ერთი რამ ნათელია – მოზარდთა შორის ძალადობას ხელს უწყობს ის, რომ სკოლის, როგორც განათლების მიმცემი სივრცის გააზრება, მოზარდებში დაბალია. ვერ ვიტყვი, რომ ყველა ასეა. არის სკოლები, სადაც ასეთი განწყობა ნაკლებ

ბადაა, მაგრამ ბევრი სკოლა მოსწავლეების მიერ აღიქმება, როგორც მხოლოდ თანატოლებთან ურთიერთობის სივრცე, სადაც მასწავლებელი ზედმეტია, უცხოა. მოსწავლეთა დამოკიდებულებაც მასწავლებლის მიმართ ხშირად აგრესიულია. შეიძლება, მოზარდების რაღაც ნაწილს წარმოადგენა ჰქონდეთ იმაზე, რა უნდათ მომავალში, იცოდნენ, რა უნდა ისწავლონ იმისთვის, რომ დასახულ მიზანს მიაღწიონ, მაგრამ ისინი განათლებას არა სკოლაში, არამედ სკოლის გარეთ, ძირითადად რეპეტიტორებთან იღებენ. ხშირად ბავშვებს საერთოდ არა აქვთ გააზრებული, რისი მიღწევა სურთ. აქ, ალბათ, სკოლაცაა დამნაშავე. განათლების, როგორც პრიორიტეტის საკუთარ ცხოვრებაში გამოკვეთა, დამოკიდებულია იმ გარემოზე, სადაც სწავლობ. თუკი ეს გარემო არ აძლევს სტიმულს, მოზარდი მთლიანად საკუთარ თავსა და ძალისხმევასაა მინდობილი. თვითონ უნდა განსაზღვროს, რა არის მისთვის პრიორიტეტული – უბრალოდ, იაროს სკოლაში და დრო ხარჯოს, ან სკოლაში იაროს და ისწავლოს. არიან ისეთებიც, ვინც სკოლაში არ დადის, მაგრამ

საჭირო. ის სწავლას იწყებს. პრობლემები ყოველთვის იქმნება ხოლმე, როცა ბავშვი ერთი სკოლიდან მეორეში გადადის. ახალ გარემოში მოხვედრა ისევ ითხოვს თვითდამკვიდრებას მისგან და ამ დროს ყველა სხვა სტრატეგია ნიველირდება, გარდა ერთისა – უნდა დაიმკვიდროს თავი ან დაიცვას.

– როგორ იქცევიან გოგონები? ისინიც მიმართავენ აგრესიასა და ძალადობას?

– გოგონების საკითხი ცალკე უნდა განვიხილოთ. საინტერესოა, რომ მოზარდ თაობაში გენდერული როლების გარკვეულ გადაზრებასთანაც გვაქვს საქმე. ზოგჯერ გოგონები ისევე იქცევიან, როგორც ბიჭები. ამ დროს სერიოზული კონფლიქტებიც ხდება, იმიტომ, რომ ბიჭები უფრო ტრადიციული და კონსერვატიული შეხედულებებისანი არიან და ვერ იტანენ იმას, რომ შეიძლება, ვიღაც მათ მიმართ უპატივცემულობას იჩენდეს ან ჰქონდეს პრე-



სერტიფიცირებულია

ბინვევთ კომფორტის ახალ სამყაროში ჩაშენებული ტექნიკა თქვენი სამზარეულოსათვის

- ☒ გაზისა და ელექტრო-ღუმელები
- ☒ გაზის, კომბინირებული და კერამიკული გამაყვანებელი ზედაპირები
- ☒ მაცივრები
- ☒ ჭურჭლის სარეცხი მანქანები
- ☒ სარეცხი მანქანები
- ☒ ორთქლისა და მიკროტალღოვანი ღუმელები
- ☒ ავტომატური ყავის მალღობრა მანქანები
- ☒ აირბამნოვები

მიმართეთ მალაზიანთა ქსელს: 1. ჭავჭავაძის გამზ. №37, კორპ.14
2. ყაზბეგის 19ა
3. ბელიაშვილის ქ.№8

ჰოტპოინტი  **Hotpoint**
არისტონი **ARISTON**

ტელ.: 25 80 99
ტელ.: 39 90 10
ტელ.: 51 76 64

ინტერვიუ

ტენზია, იყოს ისეთივე... ასეთ დროს არა მხოლოდ ვერბალური კონფლიქტები ხდება, არამედ ფიზიკურ ძალადობამდეც კი მიდის საქმე. არის კატეგორია გოგონებისა, რომლებიც სკოლის გარდა, სხვაგანაც სოციალიზირდებიან – ეს არის ისევე ქუჩა და უბანი. თუმცა, უბანი უფრო ნაკლებად. უბანთან მიჯაჭვულობა შეიძლება გამოიხატებოდეს მხოლოდ თავდაცვითი მექანიზმების ჩამოყალიბების კუთხით, ეს ხდება ადრეულ ეტაპზე – სანამ ბავშვია, თანატოლ ბიჭებთან მეგობრული კავშირები უყალიბდება და როცა ქუჩაში, იმ უზარმაზარ ანონიმურ სივრცეში რაიმე პრობლემები შეექმნება, უბანი, შეიძლება, მისი დამცველი აღმოჩნდეს. ესეც კონფლიქტის წამახალისებელია ხოლმე და ძალადობის გამოყენებას არ გამოირიცხავს. საკმაოდ ხშირად სწორედ გოგონები არიან იმ კონფლიქტების კატალიზატორის როლში, რომლებიც მკვლელობებით მთავრდება.

გოგონებსაც ისევე აქვთ თვითდამკვიდრების სურვილი, როგორც „მაგარ“ ბიჭებს. არის ჯგუფი გოგონებისა, რომლებსაც უნდათ იყვნენ თავყვანისცემის ობიექტები ან განსაზღვრავდნენ ემოციურ კლიმატს. ისინი უბნის და სკოლის „გამოსულ“ ბიჭებთან მეგობრობენ და ამაცობენ იმით, რომ ასეთი კავშირები აქვთ. თანაც გოგონები უქმნიან ბიჭებს ასპარეზს თავის დასამკვიდრებლად. როგორც მოზარდებისგან გავიგე, გოგონები, რომლებიც თანატოლების მხრიდან ხასიათდებიან, როგორც ყველაზე ლამაზები, ყველაზე უკეთ ჩაცმულები, დამოუკიდებლები, ნაკლებად არიან მიჯაჭვულნი უფროსებს. ისინი ირჩევენ ხოლმე მსხვერპლს, ხდება სიტუაციის პროვოცირება, – როგორც წესი, დასცინიან. შემდეგ ამ კონფლიქტში ერევიან ბიჭები – ლიდერი გოგოს მხარდაჭერა ვალდებულებაა მეგობარი ბიჭების მხრიდან. აქ ძალადობის სპეციფიკურ სახესთან

ერთად მოვიდოდნენ. ვინმეს მართო რომ გაებედა მოსვლა ინტერვიუზე, ეს ჯგუფში უნდობლობას გააჩენდა. იმ ჯგუფში, რომელშიც ენერჯები, აუცილებლად უნდა იყოს დაცული საერთო თანასწორობის პრინციპი – არ უნდა გამოირჩეოდეს.

– ხომ არიან გამორჩეული ბავშვებიც?

– საერთოდ, ბავშვებს არ უყვართ საუბარი იმაზე, თანაკლასელების მხრიდან ხდებიან თუ არა ძალადობის მსხვერპლნი. განზოგადება ძნელია, თუმცა ტენდენციები შეიძლება გამოვყოთ. ჩემი დაკვირვებით, ასეთი ბავშვები მაინც გარდასტავებული არიან. სივრცეს ისინი სკოლის გარეთ, ინტერესების მიხედვით ეძებენ, ვთქვათ რეპეტიტორებთან, ან სპორტზე დადიან და იქ იჩენენ მეგობრებს. ხშირად ამ სივრცეს ინტერნეტი ქმნის. მოზარდს ვირტუალურ სივრცეში შეუძლია მოძებნოს თანამოაზრეები (შეიძლება, ასაკობრივი ჯგუფი არც იყოს გამოკვეთილი), ვისთანაც რაღაც ინტერესების გამო ურთიერთობს, ხშირად ასეთი ურთიერთობა მეგობრობაში გადაიზრდება ხოლმე და აქ სოციუმის შემკვრელი ინტერნეტი ხდება.

– კვლევების მიხედვით, ყველა მოძალადე, ოდესღაც, თვითონ იყო ძალადობის მსხვერპლი. მნიშვნელოვანწილად – ოჯახში. საუბრობენ თუ არა ბავშვები ოჯახურ ძალადობაზე?

– უშუალოდ არ მქონია ამასთან შეხება. როგორც წესი, ოჯახურ ძალადობაზე საუბარს ბავშვები თავს არიდებენ. უცხო ადამიანის ჩარევას ოჯახის საქმეში ერიდებიან. ზოგიერთი მათგანი ძალა-

მოზარდთა ჩამოყალიბებულ მიკროსოციუმში თანასწორობის დაცვა ერთ-ერთი მთავარი პრინციპია. არ უნდა გამოირჩეოდეს სხვისგან, იმ ჯგუფისგან, სადაც მიღებული ხარ. თუ არა ხარ მიღებული, ყოველთვის იქნები აბრაუნის მსხვერპლი

გვაქვს საქმე. ვეკითხებოდი ბავშვებს, როგორ ხდება ამ მსხვერპლის არჩევა და ბევრი პასუხი ასეთი იყო: მათ არ შეუძლიათ თავის დაცვა, ბუნებით გაუბედავნი არიან და არც კარგი კავშირები აქვთ – არ არიან უბანს მიჯაჭვულები, არ არიან უბნის იერარქიაში ჩანერილი ბავშვები.

– რა როლს თამაშობს სწავლა, წარმატებული ბავშვებიც ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი?

– აქაც სკოლას გააჩნია, ზოგიერთ სკოლაში ბავშვს არ უჩნდება სურვილი გამოავლინოს ცოდნა. მოზარდთა ჩამოყალიბებულ მიკროსოციუმში თანასწორობის დაცვა ერთ-ერთი მთავარი პრინციპია. არ უნდა გამოირჩეოდეს სხვისგან, იმ ჯგუფისგან, სადაც მიღებული ხარ. თუ არა ხარ მიღებული, ყოველთვის იქნები აბრაუნის მსხვერპლი, მიუხედავად იმისა, სწავლობ თუ არა. გამიჭირდა იმის დადგენა, ამ სოციუმს ურთიერთნდობა უფრო გამოკვეთს თუ ინდივიდუალური თვალსაზრისით უნდობლობა. ინტერვიუს დროს ბიჭებს ვთხოვე ინდივიდუალურად შემხვედროდნენ. მათ კი მითხრეს, რომ ყველანი

დობას ოჯახის მხრიდანაც აწყდება და თანატოლების მხრიდანაც. ზოგჯერ იმხელაა კონფლიქტი გარემოსთან, რომ მოზარდი, შეიძლება, თვითაგრესიამდეც მივიდეს. იყო თვითმკვლელობის, თვითდაზიანების მცდელობებიც. მოზარდები ხშირად სწორედ იმიტომ იყენებენ აგრესიას და ძალადობას, რომ თავი დაიცვან ანალოგიური დამოკიდებულებებისგან სხვების მხრიდან. ოდესმე, ისინი აუცილებლად გამხდარან ძალადობის მსხვერპლნი, ოჯახს რომ თავი დავანებოთ, თუნდაც, თანატოლების მხრიდან. ოჯახის მიმართ აგრესიას მაშინ იჩენენ, როცა მშობლები ცდილობენ დაგვემონ, დაარეგულირონ და გააკონტროლონ შვილების ცხოვრება პრიორიტეტებიდან დაწყებული, მაგალითად, რა პროფესია აირჩიოს, როგორი იმიჯი ჰქონდეს, სოციალური კავშირებით დამთავრებული. ამაზე პასუხი ოჯახური გარემოსგან გაუცხოება და თვითრეალიზაციის სივრცის სხვაგან ძიებაა. ოჯახის თანადგომის იმედი ნაკლებად აქვთ. მოზარდთა შორის აგრესიას სხვადასხვა სოციალური ფაქტორების ურთიერთგადაჯაჭვული სისტემა განაპირობებს.

www.liboplus.ge

ლიბო

დეველოპერული კომპანია



დეველოპერული კომპანია

ქ. თბილისი 0103, ქ. ნაშებულის 22

T: 995 32 277 772

კლანეტა TOKYO და უკანასკნელი სამურაები

ავტორი, ფოტო: ლიზა ასათიანი







21-ე საუკუნე ამ პატარა კუნძულზე, სადაც სულ რაღაც 120 მილიონი კაცი ცხოვრობს, ჩვენგან განსხვავებით, ორმოცდაათიოდე წლის წინ დაწყებულა.

იაპონიაში, კერძოდ ტოკიოში, წასვლა ჩემი და ჩემი მეგობრის სოფოს დიდი ხნის ოცნება გახლდათ და ამისთვის ჩემებურად კარგა ხანი ვემზადე. ჩვეულებრივ შევიძინე გზამკვლევი, სოფოსთან ერთად შევხვდით მეგობრებს, იმათ მეგობრებს და კიდევ მათი ბიძაშვილის მეგობრებს და წასვლამდე რამდენიმე დღით ადრე, ჩემი ხელჩანთა უკვე სავესე იყო დაჭმუჭნილ ფურცლებზე „ექპერტების“ მიერ მონოდებული ინსტრუქციებითა და იაპონიაში გასატარებელი ერთი კვირის მკაცრი განრიგით.

განრიგით წასვლა, ალბათ, რუმინეთში შეიძლება. ამ მზადებაში, როგორც გაირკვა, მთავარი და ძალზედ მარტივი ფაქტი გა-

მომრჩენია – მომავალში დრო კიდევ უფრო აჩქარებულია და ის ყოველთვის ერთი ნაბიჯით წინ გისწრებს. ტოკიოში ვერავინ ვერ მოხვდება იქ, სადაც, თუნდაც, ორი თვის წინ სხვა ადამიანი მოხვდა. ქალაქი ისეთი შიშისმომგვრელი სისწრაფით იცვლება და ვითარდება, რომ უმეტესობა ადგილებიდან ან დაკეტილი ან გადაადგილებული, ან უკვე მრავალჯერ სახეშეცვლილი დამხვდა. ამ ადგილებში რაც მოსახდენი იყო, უკვე მომხდარიყო და მათ აქტუალურობა დაეკარგათ.

და აი, ასე გავხდი მეც, 12-საათიანი ფრენის და საზარელი Jet leg-ის შემდეგ კიდევ ერთი მოსიარულე კლიშე – სრულიად დაკარგული. დაკარგული თარგმანსა და დროში.

როლში რომ ჩემთან ერთად შემოხვდეთ, რამდენიმე უცნაური ფაქტი ტოკიოს ცხო-



ვრებიდან, რათა მიგახვედროთ, რომ დაკარგულობა, ამ შემთხვევაში მეტაფორა არ არის და დავადასტურო, რომ აქ ჩემი პოეტურობა არაფერ შუაშია.

ქალაქის არც ერთ ქუჩას სახელი არ აწერია და არც ერთმა ძირეულმა და თავმოყვარე ტოკიოელმა არც ერთი ქუჩის სახელი არ იცის. ასე რომ, იაპონური მისამართი უფრო მათემატიკურ ფორმულას ჰგავს, ვიდრე მისამართს. მაგალითად – 32-78-17/3ა ტოკიო. აჰა, – აბა, თქვენ იცით.

თითოეული უზარმაზარი ცაბამბჯენი, რომლის მისამართიც მსგავსი მათემატიკური ფორმულითაა აღწერილი, კიდევ რამდენიმე შიდა მიკრო ქალაქისგან შედგება, რამდენიმე ათეული სადარბაზოთი და, რა თქმა უნდა, რამდენიმე ათეული სართულით. და, სულ დამავიწყდა მეთქვა, თითოეულ ქუჩას კიდევ რამდენიმე სართული აქვს. არც ერთი

შენობა შენობას არ ჰგავს. ის თანამედროვე ხელოვნების, დიზაინის და არქიტექტურის ბოლო მეტამორფოზა უფროა. ბევრი უნიჭიერესი დიზაინერი და არქიტექტორი წლების განმავლობაში იმაზე მუშაობდა, რომ შესასვლელი შესასვლელს არ გვანებოდა და, შესაბამისად, მისი პოვნა ურთულესი ამოცანაა. შენობებს არაფერი არ აწერია და შუშებიც ისეა დაბინდული, რომ ვერ დაინახო, შიგნით რა ხდება.

მოკლედ, პოეტურად კი არა, ისე იკარგები, რომ ბრაზისგან ტირილი გინდება.

იაპონია თავისი ძალზე უცნაური პროდუქტებით, ზეტექნოლოგიური გამოგონებებით და მათი კიდევ უფრო საეჭვო გამოყენების გზებით არის ცნობილი, რომელთა ნახევარზე მეტს, ალბათ ჩვენ, უბრალო მოკვდავნი ვერასდროს გავიგებთ. ეს სულ სხვა წერილის თემაა.

მარტივი, ყველასთვის გასაგები მაგალითი ტანსაცმლის საკიდია. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ტოკიოს სავაჭრო ქსელი 200 სხვადასხვა სახეობის ტანსაცმლის საკიდს სთავაზობს მომხმარებელს. ვის სჭირდება საკიდის 200 ნაირსახეობა, იქნებ, თქვენ მითხრათ, მაგრამ ქალაქი ერთი დიდი სავაჭრო ცენტრია, თავისი ბრჭყვიალა ნეონებითა და გაუთავებელი მუსიკალური და ტელერეკლამებით. შენობები ერთმანეთშია გადახლართული და ერთი კვირა ისე შეგიძლია გაატარო, რომ ქუჩაზე ფეხი საერთოდ არ დაადგა, ერთი შენობიდან მეორეში მოხვდე, საკიდების განყოფილების გვერდით უზარმაზარი თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი ან კინოთეატრი აღმოაჩინო და, რაც მთავარია, არასდროს არ დაიძინო, რადგან არაფერი არასდროს არ იკეტება. თუ, მაინცდამაინც,




ძილი მოგერია, იმავე სართულზე სასტუმრო იპოვო, რომელიც საათობით ქირავდება, ცოტა წაუძინო, მწვანე ჩაი გადაკრა და სხვა სართულზე გააგრძელო კიდეც რამდენიმედღიანი მოგზაურობა.

ახალი ათასწლეულის აღსანიშნავად, 2000 წელს იაპონიაში მომავლის უნივერსიტეტი დაარსდა, რომელიც სტუდენტებს ბაკალავრის და მაგისტრის ხარისხს სთავაზობს. თუ რა დისციპლინებში, ვერაფრით მივხვდი. მათ მთავარ გვერდზე ამაყად გამოქვეყნებულმა მანიფესტმა მთლად დამაბნია: „ჩვენი სასწავლო პროგრამის მიზანია, გავზარდოთ პროფესიონალები, რომლებიც გზას გაუხსნიან ახალ ურთიერთობებს ადამიანებსა და კომპიუტერებს შორის“. ეს მანიფესტი მტკივნეული დასტურია იმისა, რომ რობოტიზაცია მსოფლიოს უმეტეს ნაწილში უკვე დაიწყო და ახლა უკვე ექსპერტები გვჭირდება, რომ

ჩვენივე გამოგონებებთან საერთო ენა გამოვნახოთ. ტოკიო, როგორც მომავლის ლაბორატორია, რა თქმა უნდა, საუკეთესო მაგალითია ამისა. აბა, სად ნახავ კიდეც, ქუჩაში მოსიარულე და მომღერალ ამწეს, რომელიც პირდაპირ აეროპორტიდან გამოსულს შეგვეფეთა; ტაქსის, რომლის კარებიც ავტომატურად იღება და იკეტება (ჩვენ, თბილისის დანჯღრეული ტაქსის კარებებს მიჩვეულნი, მთელი ძალით მიჯახუნების გარეშე რომ არ იკეტება, უცხოპლანეტელებივით ვიქცევოდით), სიგარეტის ჯიხურს, რომელიც კომპიუტერის მეშვეობით ითვლის შენს სახეზე ნაოჭების რაოდენობას, რათა დაადგინოს, ხარ თუ არა სრულწლოვანი, და წყვეტს, მოგცილოს თუ არა სიგარეტი და ა.შ.

იაპონელები, როგორც აღმოჩნდა, მუსიკისა და მუსიკალური გაფორმების დიდი მოყვარულები ყოფილან. ქალაქში ყველა-



ფერს თავისი „საუნდტრეკი“ ანუ მისთვის კერძოდ დაწერილი კომპიუტერული მუსიკა აქვს. მეტროს თითოეული გაჩერება თავის გამორჩეულ მელოდიას გიმღერის. როგორც კი შუქნიშანზე მწვანე ინთება, ის ჭიკჭიკს იწყებს – გა-და-დიო რომ გაცნობოს, ყოველი შენობის შესასვლელი შემოგებების სიმღერას გიკრავს, და ყოველი ღილაკი თავის პატარა კონცერტს გიმართავს.

როგორც კი შანსი მოგვეცა, ნამდვილ ტოკიოურ და თანაც „ანდერგრაუნდ“ კონცერტზე მოხვედრისა, რა თქმა უნდა, სასწრაფოდ გამოვეწყვეთ და გავეშურეთ. იმდენად შეჩვეული ვიყავი, რომ ყველაფერი სადღაც ზემოთ, რომელიმე ცათამბვჯენის ლაბირინთშია შეყუჟული, ანდერგრაუნდ ანუ მიწისქვეშ ჩასვლამ, უკვე ძალიან გამაკვირვა. ბოლომდე გასაკვირვებლად, კლუბში შესვლამდე ფეხსაცმელიც

გაგვხადეს. წითელ შესასვლელში ფეხსაცმლის ზღვის მიღმა – რომელიც ნამდვილ არტ ინსტალაციას ჰგავდა და თანაც ინტერაქტიულს, ჰირომი დაგვხვდა. ჰირომი ჩვენი მასპინძელი და კონცერტის ერთ-ერთი მონაწილე გახლდათ. მისი მუსიკალური წარსული სრულიად მათემატიკურია – განათლებით მათემატიკოს და პროფესიით პროგრამისტ ჰირომის მუსიკა – მუსიკა კი არა, მუსიკალური დანადგარია. დანადგარი ილიის ქვეშ თავსდება და ტანის მოძრაობის მეშვეობით მუსიკა იქმნება. წარმოდგენა უფრო პერფორმანსს ჰგავდა. მათემატიკოსი ჰირომი, 10 წლის ბავშვისთვის შესაფერის ტანისამოსში გამოწყობილი და რამდენიმე ლეპტოპით შეიარაღებული, დარბაზში იდგა. თავისი დანადგარი ნაქსოვ შალის ღუნულა 8 ფენაში გაეხვია და ბოლო ხმაზე ყვიროდა – ისე მომწონხარ

და ისეთი მორცხვი ვარ, რომ ერთადერთი, რაც შემიძლია გავაკეთო – შენი სახელი „დავგუგლო.“

პარადოქსია, იაპონია ძალიან ტრადიციული ქვეყანაა. აღმოსავლური ფილოსოფია და რელიგია ყველგან და ყოველთვის სადღაც აქვე, ამ ნეონით გაჟღერებული ცათამბვჯენების ქვეშ ტრიალებს. ტაძრები და ძენ ბალები აქვე ჩუმად და მშვიდად არსებობს და თავის ფუნქციას უხმაუროდ ასრულებს. რაც ყველაზე შთამბეჭდავია, იაპონური ტრადიცია განუყოფელი და მოქმედი ნაწილია მისი ანწყოსი და მომავლისა და არა – ფუნქციადაკარგული ლამაზი დეკორაცია. გეიშები თავისუფლად დაიარებიან იაპონიის ქუჩებში, ისევე, როგორც ყველაზე თანამედროვედ გამოწყობილი თინეიჯერები. არც ერთია კონტექსტიდან და დროიდან ამოვარდნილი და არც მეორე.



იაპონიაში „საკურას“ ანუ ალუბლის ხის ყვავილობის დროს ჩავედით. სიფრიფანა ალუბლის ყვავილი – იაპონიის სიმბოლო, მისი ფილოსოფია და სიამაყეა. „საკურას“ დროს ყოველდღიური ცხოვრება წყდება და იაპონელები პარკებისკენ მიეშურებიან, ალუბლის ხის ქვეშ დგებიან და დიდხანს ტკბებიან სიფრიფანა ყვავილების ცვენით. „საკურას“ დროს თითოეულ ალუბლის ხეზე კამერა არის დამონტაჟებული და ყოველი საღამოს ახალი ამბები იწყება პატარა სიუჟეტით – თუ რომელი ხე აყვავდება ხვალ – რათა იაპონელებმა მიუსწრონ მის ყვავილცვენას. ალუბლის ხე ხომ მხოლოდ რამდენიმე დღე ან საათი ყვავის. იაპონელებისთვის „საკურა“ სიცოცხლის დღესასწაული და ცხოვრების სიმბოლიკაა, სამურაებთან ასოცირებული. სამურაები – მეომრები, მოძღვარნი და პოეტები, მზად იყვნენ თავიანთი

ალუბლის ყვავილობასავით ხანმოკლე ცხოვრება ჭეშმარიტების, სილამაზისა და საკუთარი მრწამსისათვის შეენიართ, აღექვათ და დაეფასებინათ მშვენიერება ყველგან და ყველგან. „საკურა“ რეინკარნაციის, ცხოვრების მოკლენიანობის, თავიდან დაბადების სიმბოლოა.

იაპონელები თვლიან, რომ ნამდვილი სამურაები აღარ არსებობენ. მე კი მგონია, რომ თავად იაპონელები არიან მსოფლიოს უკანასკნელი სამურაები. მათი არსებობა სავსეა სიცოცხლისა და სილამაზის სიყვარულით, მონინებით და პატივისცემით ცხოვრებისა და ცოცხალ არსებათა მიმართ.

იაპონიაში რომ ჩავედით, ნახევარი იაპონია თეთრი ქალაქის ნიღბებით ცხვირპირაკრული დაგვხვდა. თავიდან ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, რომ სამინელი ეპიდემია



გავრცელდა ქვეყანაში და მალე ყველანი ამოვიხოცებოდით. მერე ვიფიქრე, ალბათ, თავს გამოიხატავს იცავენ, რომ ფილტვები არ დაიზიანონ-მეთქი. მაგრამ გული მიგრძნობდა, რომ ეს ჩემი ლოგიკური განმარტება – მათ ფილოსოფიას მთლად არ ეთანხმებოდა. მართალიც აღმოვჩნდი. ლონდონში დაბრუნების შემდეგ გავარკვეით, რომ ნიღბები გაცივებულ ანდა ალერგიით დატანჯულ ხალხს უკეთია, რათა გარშემოყოფნი არ დაასწეულონ.

იაპონიაში ქურდობა წარმოუდგენელია და ტოკიო პირველ ადგილზეა, როგორც ყველზე უსაფრთხო მეგაპოლისი.

ურთიერთპატივისცემა ისეთ ხარისხშია აყვანილი, რომ ტყუილი – დაუჯერებელი და წარმოუდგენელი ცნებაა. მარტივი მაგალითი – ყოველდღე, დღეში რამდენიმეჯერ, მეტროში მოსახვედრად, მე და სოფოს ბილე-

თის რამდენიმე შემონმება უნდა გაგვევლო. ბილეთზე მგზავრის სახელი და მგზავრობის თარიღებია დაბეჭდილი. ყოველ ჯერზე, გამოიხატის გარეშე, ყველა კონტროლიორი თვალს ხრიდა, რომ არ წაეკითხა ჩვენი ბილეთის თარიღები და ჩვენს პატიოსნებაში ეჭვის შეტანით არ დავემცირებინეთ.

ალბათ, იკითხავთ, თუ იაპონელები ასეთი გასაოცარი ხალხია, იციან როგორ იცხოვრონ ქვეყნის ფასეულებებით, იცხოვრონ 21-ე საუკუნეში სულიერი ცხოვრებით, დააფასონ და შექმნან არნახული სილამაზე, მაშინ მთელი ეს რობოტიზაცია და 200 ნაირსახეობა საკიდებისა რაღა შუაშიაო? რას ემსახურება ეს კონსუმერიზმიო?

პასუხი საკმაოდ მარტივია – იაპონელებსათვის ეს იაპონური ეკონომიკისა და ექსპორტის გაძლიერების გზაა – შესაბამისად, ქვეყნის სიძლიერისა და მუდმივი არსებობის

გარანტია. ამ მარტივად ფორმულირებული სტრატეგიის რეალიზაციაში ყოველი იაპონელი უაღრესი მონდომებითა და მონივნით, ამაყად იღებს მონაწილეობას ყოველი დღის და წუთის განმავლობაში.

იაპონელებმა მოახერხეს შეექმნათ თავისი უნიკალური, პარადოქსული ფორმა თანამედროვეობისა და პოსტთანამედროვეობის შერწყმისა. ჩვენთვის მსგავსი სინთეზი რთული გასაგები და აღსაქმელია. ერთ-ერთი ჟურნალისტი ხუმრობდა, უცხოელები ყველაფერ გაუგებარს აქ ძენს ეძახიანო. სადღაც მართალია ალბათ, მაგრამ თუ მსგავსი სინთეზი გარდაუვალი მომავალია, მაშინ მე პოსტმოდერნიზმის იაპონური ვერსია ბევრად უფრო მიზიდავს, ვიდრე ტრადიციისა და სულიერებისგან დაცლილი მისი ამერიკული მაკდონალდსური სახესხვაობა.

DON'T WORRY

ავტორი, ფოტო: სალომე კიკალიაშვილი

ვუძღვნი ნიკოლა სარკოზის და კარლა ბრუნის, რომლებიც ზუსტად ამ დროს, პარიზის დისნეილენდის ატრაქციონებზე სრიალებდნენ და დედამინის ზურგზე არავინ და არაფერი ანაღვლებდათ. ისევე, როგორც მე, რომელიც სარკოზი-ბრუნისგან განსხვავებით, არა რკინა-პლასტმასის, არამედ ბანგლადეშური ცხოვრების და მისი რეალობის საქანელაზე ვქანაობდი, დაკაში.

სატელეფონო ზარი ერთ-ერთ ტურ-ოპერატორთან.

– ალო, გამარჯობა, ბილეთი მინდა დაჯავშნო!

– სად მიზრძანდებით?

– დაკაში, ბანგლადეშში.

– ერთი წუთით დამელოდეთ.

15 წუთის შემდეგ:

– გვარი და სახელი მიკარნახეთ!

– სალომე კიკალიაშვილი.

– კიკა... კარგი, ბილეთი დაჯავშნილია და ორი კვირის შემდეგ იქნება აილოთ, თორემ ჯავშანი მოიხსნება.

– კარგი, თარიღები ხომ სწორად ჩანერეთ?

– დიახ, დიახ; არ ინერვიულოთ. ბილეთი დაკარამდე დაჯავშნილია.

– უკაცრავად?

– დაჯავშნილია, დაკარი.

– არა, იცით, დაკარი კი არა, დაკა, ბანგლადეშში.

– დაკა?

– დიახ!

– ვაი... დამაცადეთ ერთი წუთი!

10 წუთის შემდეგ:

– დაკა? როგორ ინერება?

– დი, ეიჩ, ეი, ქეი, ეი...

პაუზა.

– კიდევ ერთხელ თუ შეიძლება...

– დი, ეიჩ, ეი, ქეი, ეი...

– ვაი... და... რამე რომ იყოს, დაკარში არ გინდათ წასვლა?

– ?

– გადმოგირეკავთ.





აბა, რა იცოდა იმ უჩვეულო სააგენტოს გოგონამ, რომ ხალხის რესპუბლიკა ბანგლადეში მარტო იმ ფიქრით მივდიოდი, ინდოეთის გვერდზე არის და მის მიმართ არსებულ ჩემს უკიდევანო ნოსტალგიას დროებით მაინც შემისუბუქებს-მეთქი. ინდოეთის არ იყოს, ამ შემთხვევაშიც აქტუალური იყო კითხვები აცრებზე, ტემპერატურაზე, ყოველი შემთხვევისთვის, ახლობლებთან ტრადიციული გამომშვიდობებებით და ა.შ. მართალია, საკმაოდ იხალისა ყველამ, როცა ვთქვი ბანგლადეში, კინოფესტივალზე მივდივარ-მეთქი; მაგრამ, ცნობისმოყვარეობა რომ არა, შეიძლება, ახლა არც მე და არც თქვენ არ ვყოფილიყავით ამ ქვეყნად, ჰოდა, ამიტომაც, ბანგლადეშის კინოფესტივალზე, დიდი ცნობისმოყვარეობის შედეგად, ბოლო-ბოლო მაინც ამოვყავი თავი.

ხალხის რესპუბლიკა ბანგლადეში, ბენგალიის ძველი რეგიონის აღმოსავლეთით მდებარეობს და ჩემს საყვარელ ინდოეთს ესაზღვრება. ისე, არა მარტო ესაზღვრება, არამედ, 1947 წლამდე მისი განუყოფელი ნაწილი იყო. ანუ მაშინ, როდესაც ინდოეთმა რის ვაი-ვაგლახით თავი დააღწია ბრიტანელებს და ქვეყანა ორად გაიყო: ინდოეთად და პაკისტანად. უფრო სწორად, დაყოფა რელიგიური ნიშნით მოხდა. დასავლეთი მხარე, სადაც ინდუსები ჭარბობდნენ, ინდოეთის ნაწილში დარჩა, ხოლო მუსლიმური სარწმუნოების მქონე მოსახლეობა, მთელი თავისი ტერიტორიებით, პაკისტანს შეუერთდა და აღმოსავლეთ პაკისტანად მოიხსენიებოდა. მაგრამ, ენობრივმა, ეთნიკურმა სხვაობამ და იმ დისკრიმინაციამ, რასაც ე.წ. აღმოსავლეთ პაკისტანელები განიცდიდნენ, ქვეყანაში დიდი არეულობა და საპროტესტო აქციები გამოიწვია, რასაც არაერთხელ მოჰყვა სისხლისღვრა. საბოლოოდ, 1971 წელს მათ დამოუკიდებლობას მიაღწიეს და მას შემდეგ, ეს ტერიტორია, ხალხის რესპუბლიკა ბანგლადეშად მოიხსენიება. 135 მილიონიანი მოსახლეობის 88 %-ს მუსლიმები შეადგენენ და მსოფლიოს მუსლიმურ ქვეყნებში, თავისი სიდიდით, ბანგლადეში მეორე ადგილზეა. კარგი, ეს ყველაფერი მანამდეც ვიცოდი, მაგრამ, აი, რამადანის დღესასწაულზეც თუ ამოვყოფდი თავს და ბანგლადეშელი მღვდლის ბანაობას დავესწრებოდი, მართლა არ მიფიქრია. თან როგორ? ტიპური ტურისტული აღჭურვილობით – ფოტოაპარატით ხელში! საშინელება იყო, მაგრამ ამაზე მოგვიანებით.

აო. ჩემი გამომეტყველების შემყურე რეჟიმში უცბად შეარბილა ტონი და მითხრა, რომ სასტუმროსკენ მიმავალ გზაზე, აფთიაქში შევჩერდებოდით და კოლოს ნამალს სასწრაფოდ (სიტყვა სასწრაფოდ მაინც დააყოლა) ვიყიდდით. თან გამიღიმა, რაც ცუდ ნიშნად მივიღე, არ მესიამოვნა, მაგრამ ხმა არ ამომიღია. მიუხედავად იმისა, რომ აფთიაქ-ფარულში ნაყიდ ტუბს გადახაზული და თვალებატრიალებული დიდი კოლო ეხატა და თან უშველებელი ასოებით ეწერა დღეში 3-ჯერ მიისხურეთო, ისტერიულად, იმდენჯერ მივისხი მთელს ტანზე, სანამ თავბრუსხვევები და „უფ, რაღაც ვერ ვარ კარგად, კედელს მივეყუდები“ არ დამეწყო.

WELCOME TO BANGLA

ბანგლადეში არ ჰგავს ინდოეთს, დელის. ის საერთოდ არაფერს არ ჰგავს. ყოველ დილით, მთელი ქალაქი უცნაურ ბურუსში, ქალაქზე ჩამონოლილ სქელ ნისლში იღვიძებს. გეჩვენება, რომ გაზის სუნს მიაქვს იქაურობა. არც ერთი შენობა თუ ნაგებობა, არ გიტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ის დასრულებულია, აშენებულია. გგონია, ძველ დროში მოხვდი და ყველაფერი დიდი ხნის წინათ, დიდი ომის, ტაიფუნის თუ მიწისძვრის შედეგად დაინგრა. ხალხი კი, ამ ნანგრევებში ცხოვრობს. დაკა უცნაური, გახუნებული ფერისა... გახუნებული კი არა, უფერულია. მარტო ოფიციალურად დარეგისტრირებულ 300 ათასი ველო რიქმს აჭრელებულ საზურგეებს შემოაქვთ



უფერულ ქალაქში სიცოცხლე. ის ძველ ბაზილონს უფრო ჰგავს, ვიდრე... არა, სიტყვა თანამედროვე არ შეიძლება ვიხმაროთ, უახლეს ისტორიაში არსებულ რომელიმე ქალაქს. ერთადერთი მშვენიერება, წყალში აშენებული პარლამენტის შენობაა, რომელთან ჩამოსული სტუმრის გატარება, თითოეული ბანგლადეშელისთვის მეტად საამაყო საქმეა. ეს ქვეყანა პარადოქსებითაა სავსე. მაგალითად, დაგმანული, დაბალი შენობა, რომელიც ზუსტად პარლამენტის გვერდზე წამოუჭიმიათ. – „ეს? ეს ციხეა,“ – მიხსნის რეჟიმი. – „ჩვენთან დიდი კორუფციაა. ჰოდა, ხან ვის იჭერენ და ხან ვის“. რალაც შესასვლელ-გასასვლელივითაა, ჯერ ერთში შედიან, მერე მეორეში გადადიან. თან არ გეგონოთ, რომ ეს ერთეულებს ეხება: როგორც ნესი, ამ გზას ბანგლადეშის მთავრობაში მოხვედრილი ყველა ადამიანი გადის. ყოველ ფეხის ნაბიჯზე, ან შეიარაღებულ სამხედრო პირებს ვხვდებით ან ტრანსპარანტებით „შეიარაღებულ“ ათასობით მომიტინგეს. მასობრივი დაპატიმრებების გამო, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა იყო გამოცხადებული. მაგალითად, ფესტივალის გახსნაზე ქალაქის მერი, მშვენიერი ქალბატონი, მეორე დღეს რომ მოვიკითხეთ – უფ, ეგ ჩასვეს უკვეო – გვიპასუხეს. მას შემდეგ, რაც ზემოხსენებული კითხვა-პასუხი რამდენჯერმე განმეორდა, ჩვენ, ჩამოსულმა სტუმრებმა ფიცი დავდეთ, აღარასოდეს, აღარასოდეს

დაგვესვა ეს შეკითხვა. მარტივია, – თუ ნახავ წინა დღეს გაცნობილ მასპინძელს, ხომ კარგი, თუ არადა... მოკლედ, აღარ უნდა იკითხო სად არის, ისედაც ყველაფერი ნათელია. ცხოვრების დონე ინდოეთზე გაცილებით დაბალია. მოსახლეობა კიდევ უფრო ლატაკია. შეუძლებელია, დაკაში ჩამოხვიდე და ყველა ჩამოსული ტურისტი არ გაიცნო, ქალაქში მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელი ადგილია, სადაც ჩამოსულები მისვლას და საღამოს გატარებას შეძლებენ. – „როგორ ვერთობით? როგორ და... რა ვიცი, აბა, ველო რიქმაში ვსვდებით ძმაკაცებთან ერთად და ქალაქში ვსეირნობთ. თუ წვიმს, უფრო კარგია. გივლია წვიმაში? მერე, სადმე დავსხდებით და ვჭორაობთ. ან... აქ ალკოჰოლური სასმელის დალევა ხომ აკრძალულია, ჰოდა, რამენაირად ვშოულობთ ხოლმე სასმელს და რომელიმესთან ავდივართ სახლში. ჰო, კიდევ კინოში დავდივართ, უბრალოდ... უცხოურ ფილმებს ხშირად ვერ ვნახულობთ, აკრძალულია. ადგილობრივ ფილმებს უწევს კონკურენციას და ამიტომ. თუმცა, ნებისმიერი ფილმის შოვნა შეგიძლია DVD-ზე.“ – მითხრა 23 წლის რომეომ. მაგრამ, უცხოურ ფილმებს კონკურენციის გამო კი არა, ქვეყანაში არსებული წარმოუდგენლად მკაცრი ცენზურის გამო კრძალავენ. ისიც კი გავიგე, რომ ვილაც კაცი, ქალაქგარეთ მართავდა შემოტანილი ფილმების ჩვენებებს და კანონის დარღვევისთვის,

ჩამოახრჩვეს. თუმცა, კანონი არავის წაუკითხავს, თვალთაც კი არ უნახავთ. „რა ვიცი, მგონი, არც არსებობს ოფიციალური წესდება უცხოურ ფილმებზე, მაგრამ რას იზამ? მთავრობას არ უნდა და მორჩა“. ცენზურა ბლოკავს ან თავიდან ამონტაჟებს ყველაფერს, სადაც ძალადობის ან სექსის სცენები ნაჩვენებია. ანუ, ნიჭიერ საბჭოთა ცენზორებსაც შეუძრდათ, ისეთი გახურებულია ცენზურა ბანგლადეშში. ცენზურა საფესტივალო ფილმებსაც შეეხო. უბრალოდ, ცენზორებმა საფესტივალო ფილმების ნახვა მხოლოდ ფესტივალის დაწყებისას დაიწყეს და ამიტომ, ფილმების განრიგის მაგივრად, კინოთეატრში შესასვლელ დაფაზე, რვა დღის მანძილზე მშვიდად ეწერა – TO BE ANNOUNCED.

სხოვრებისეული პარადოქსი: ბანგლადეშური კინოფესტივალი

ხომ გახსოვთ, რომ ინდოეთში, კერძოდ კი ბომბეში, არის ბოლივუდი, კალკუტაში – ტოლივუდი. ჰოდა, იცოდეთ, რომ დაკაში – დალივუდია. მთელი მოგზაურობის მანძილზე კოლოებითან გაჩაღებულ სამკვედრო-სასიცოცხლო ბრძოლას ვინ ჩივის, ყველაზე დიდი უცნაურობა წინ მელოდა – ბანგლადეშური კინოფესტივალი. დამიჯერეთ, ასეთ რამეს ყველაზე აქტიური და ფესტივალზე მოსიარულე კინომცოდნე თუ ჟურნალისტიც კი ვერსად



ნახავს. ერთადერთი, რაც ამ ფესტივალისგან ვისწავლეთ ყველამ, იყო ფრაზა – don't worry, რომელიც ნებისმიერ დასმულ კითხვაზე გამზადებულ პასუხს წარმოადგენდა. და საერთოდ, ბანგლადეში, მგონი, ერთი დიდი don't worry-ია. საფესტივალო დღეების მსვლელობის მანძილზე, მე და ჩემი კოლეგები გულამოსკვნისებრი ვცდილობდით გაგვეგო – სად ვართ! რატომ ვართ! რისთვის ვართ! ბატონო ბატონო დავდიოდით წინ და უკან და უპატრონო ბავშვის თვალებით შევცქეროდით ჩვენს მასპინძლებს. მარტო ის ვიცოდით, რომ დილაობით სასტუმრო „ამბალა ინ“-თან მანქანა მოვიდოდა და შიგნით ჩავმსხდარიყავით. აი, მერე უკვე სად გადაგვისვრიდა განგება და სად ამოვყოფდით თავს: კინოდარბაზში, რომელიმე ელჩთან მიღებაზე თუ სავაჭრო ცენტრში, არავინ იცოდა. ფესტივალის პროგრამის კატალოგი გამოფერნის წინა დღეს დაგვირიგეს, ამიტომ, მთელი რვა დღის მანძილზე ყოურის წვერებისგან ისმოდა მხოლოდ – ახლა რას ვშვებით? – don't worry; რა ფილმს ვნახავთ? – don't worry; რამდენი ფილმია კონკურსში? – don't worry; ჩვენი ყოურის მესამე წვერი სად არის? – don't worry; ჩამოვა? როდის? რაა, მალე დივებზეა ელჩად და მალე ჩამოვა? – don't worry; კიდევ რა ფილმებია ფესტივალზე? როგორ, არ იცით? – don't worry. მართალია, შენობის შესასვლელში წითელი ხალიჩა იყო

დაგებული და ჩვენს ყოველ შესვლაზე ხალხი ერთმანეთს კრავდა ხელს – გაატარეთ, მოდიანო, მაგრამ... რას ვიზამთ! იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ ფესტივალზე წარმოდგენილი ფილმები dvd-დან გადიოდა ეკრანზე და მაყურებელი ერთხმად კარნახობდა ხოლმე საპროექციოში მჯდარ კაცს – ჰო, ჰო, ცოტა ზემოთ... არა, არა, ქვემოთ და მარჯვნივ... ჰო, ჰო, მალა დეც! კარგი, არც იმაზე ვიტყვი რაიმეს, შუა საკონკურსო ფილმის ყურების დროს, ფესტივალის დირექტორი აჰმედ მუსტაფა ზამალი რომ ჩამოგვივლიდა ხოლმე ყოურის წვერებს – ჰე, აბა ადექით, ჰოლანდიის ელჩი გველოდება, სახლში წვეულებას მართავს, მაგ ფილმს მერე გაჩვენებთ, აბა, ტემპში, ტემპში ადექით ყველაო. ან კიდევ – ახლა სავაჭრო ცენტრში გასეირნების დროა, ვის უნდა ლამაზი სარების და ბეჭდების ყიდვა? ჰა? ვის? – და... საკონკურსო ფილმი რომ გვაქვს სანახავი? – don't worry! როდესაც ყოურის წვერებმა აღებული ვალდებულება შევასრულეთ და ტალანტ კამპუსის სტუდენტებისთვის თითოეულმა ორ საათიანი ლექციები წავიკითხეთ, მერე გავარკვიეთ, უფრო სწორად, კი არ გავარკვიეთ, გამომეტყველებაზე მივხვდით, რომ ოციდან ორმა სტუდენტმა იცოდა ინგლისური. გვიკითხავს რა, ჩვენთვის.

ესეც ბანგლადეში კინოფესტივალი! კარგი, ქვეყანა ხომ მაინც ვნახეთ.

ბანგლადეში და საქსი

პოპულარული ბანგლადეში რეკლამა: სოფელ ბიჭს ცნობილი მსახიობი მოჰყავს ცოლად. მთელი სოფელი გაოგნებულია. რა არის, ძმაო, შენი საიდუმლო? – ეკითხება ძმა. – ოჰ! – პასუხობს ახალდაქორწინებული კაცი. სადილისას, ბედნიერი ცოლი ხელით აჭმევს ქმარს, – ძმაო, რა არის შენი საიდუმლო? – ისევ კითხულობს უფროსი ძმა. – ოჰ! – ისმის ნაცნობი პასუხი. ოთახიდან ვენებიანი ხმები გამოდის, კარზე კაკუნის და – ძმაო, რა არის ბოლოს და ბოლოს შენი საიდუმლოება? – ოჰ! კარი ისევ იკეტება, მერე უცებ იღება და იქიდან ძმის ძლიერი ხელი მოსჩანს პრეზერვატივით! – აჰა, ისმის კადრს მიღმა ცნობისმოყვარე ძმის ხმა.

რვადღიან ფესტივალზე, ცენზურის თუ ბანგლადეში ფესტივალის თავისებურების გამო, ალბათ, 7-8 ფილმის ნახვა თუ მოვახერხეთ. ისიც ფაქტია, რომ ბანგლადეში კინოსთან შედარებით, ინდური ფილმები ჭეშმარიტი კინემატოგრაფიაა. ცენზურას გადარჩენილ ერთ ბანგლადეში ფილმში ორგანის საოცარი სცენა ვნახე. ეტყობა ცენზურამ ჩათვალა – შეიძლება! წარმოიდგინეთ, გიყვებიან რაღაც ამბავს, მოჩანს ქალი და კაცი, რომელთა მზერა ერთმანეთისკენაა მიმართული, შემდეგ მსხვილი ხედით მაგრად ჩაკიდებულ ხელებს ხედავ და უცბად, ისევ ისე, როგორც წუთის წინ, ჩაცმულ-მოკაზმულ იგივე



წყვილს უყურებ, რომელიც სახლიდან გადის. ფანტაზია, ფანტაზია აამუშავეთ! მოსახდენი მოხდა და თანაც, ასე უცბად! ეს უკეთესია, ვიდრე იქვე მდებარე ერთი აზიური ქვეყანა, სადაც თურმე, ფილმების გაშვების დროს, საპროექციოში ერთი ბოროტი ცენზორი ზის, ხელში თაბახის ფურცლით. როდესაც ფილმში კოცნის სცენა იწყება, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, ცენზორი ქალაქს აფარებს აპარატს და გათეთრებული ეკრანის შემყურე გამწარებული მყურებლის ღმუხის ისმენს. ამ ფაქტს ერთობ საინტერესო ახსნა მოუძებნა ბანგლადეშელმა საჯადმა – კარგი რა, ჩვენ კიდევ ეგ გვინდა, ისედაც ნახე, რამდენი ვართ! საუბარში მალაიზიელი შავ-შავი ულვაშა კაცი ჩაერთო, რომელმაც დააყოლა – აი, ჩვენთან, მალაიზიაში, საერთოდ სასტუმროებში უვარდება პოლიცია ხალხს. თუ ნახეს, რომ ქალი და კაცი ერთად შევიდნენ, კარებს შეუწგრევენ და ქორწინების დამადასტურებელ საბუთს ითხოვენ. ერთხელ ერთ ამერიკელ წყვილს შეუვარდნენ, რა თქმა უნდა (სიცლით დამატა), არანაირი საბუთი არ გააჩნდათ იმ უბედურებს და ამერიკის საელჩო რომ არა, სულ ციხეში ამოვალპობდითო. საღამოობით, პოლიცია პარკებში სეირნობს და, როგორც წესი, დილაამდე ბევრ წყვილს აგროვებსო. აბა, სხვანაირად როგორ გინდათო? – ჩაიცინა ულვაშებში. და ამ დროს – გაუმარჯოს თავისუფალ სექს და მასტურ-

ბაციას! – ხმამალა დაიძახა ჰოლანდიელმა პიტერმა, რაზეც ულვაშა კინალამ დაიხრჩო, მოულოდნელი რეპლიკის გაგონებისას წყალი გადაცდა სასულეში.

– „ჩვენ არანაირი განათლება არ მიგვიღია სექსზე. ამიტომ ჩემს თაობაში, როდესაც ქორწინდებოდნენ, ბევრმა ისიც კი არ იცოდა, რა უნდა ექნა. დღეს ასე არ არის... მაგრამ სექსი ტაბუდადებული თემაა. ერთადერთი, საიდანაც ახალგაზრდებს რაიმე ინფორმაციის მიღება შეუძლიათ, შავ ბაზარზე გამოტანილი პორნოგრაფიული ლიტერატურაა, სადაც ყველაფერი დამახინჯებულად არის წარმოდგენილი,“ – მითხრა, როგორც გამაცნეს, ბანგლადეშის ნომერ პირველმა ბიზნესმენმა, რომელიც საჭირობოროტო თემაზე გაჩაღებულ კამათს შეესწრო.

სხვათა შორის, ეს ლიტერატურა მეც ვნახე და დიდი არაფერი შთაბეჭდილება მოუხდენია ჩემზე. წიგნის ყდაზე ქალის ფოტო იყო, გრძელ, სადღესასწაულო კაბაში. ეს იყო და ეს.

ხანძარზე მსახიობი უსწარმოებელი

ჩაბნელებულ ფარდულში სიგარეტის საყიდლად ჩავედი. მალბორო გინდაო?; კი-მეთქი, ვუპასუხე და რალაც უცნაურ წარწერიანი, სიგარეტის ლურჯი კოლოფი ვიყიდე. – ღერებით ჯობია იყიდო, ჩვენ სულ ასე ვყიდულობთ, რადგან ასე, გინდა არ გინდა, უფრო ცოტას ეწევო – მითხრა საჯადმა.

კაფეში, ფოლგაში გახვეული ფოთოლი ვჭამე. ფოლგინად. შიგნით რალაცები ჩამიყარეს. – რა არის-მეთქი? – ჭამე რა, ნახე როგორ მოგეწონებაო. პატარა კაფედან რომ გამოვედი, მომეჩვენა, რომ სამყაროს სხვანაირად ვხედავდი, სახლები უფრო დაგრძელებულიყო, ხალხი განვლილად მეტყველებდა და ეეე... – ვიფიქრე ჩემთვის. 2 წუთში მივხვდი, რომ ქოქოსის მსგავსი ხილის და სუნელების ნახავი მიჭამია და მეტი არაფერი, ჰოდა განვლილი სახლები წამში დალაგდა ადგილზე. მაგრამ პირველადმა წარმოსახვამ თავისი საქმე ქნა და იმდენად მოვეშვი, რომ აღარც ის ამბავი მანაღლებდა, ჩემს ფორთოხლის წვენში ორი დიდი ბუზი ერთდროულად რომ ჩაიხრჩო. ხოლო მას მერე, რაც ახალი წვენი მოვატანინე და ნრუპვა გავაგრძელე, საჯადმა მეგობრულად მითხრა – შენ რა, გჯერა, რომ ის გადაასხეს და ახალი მოგიტანესო?! ჯანდაბა!

ბუზიანი გამაგრებელი სასმელის შემდეგ, მასპინძლებმა გადაწყვიტეს ჩვენთვის პატივი ეცათ და სოფლებში წაგვიყვანეს სამოგზაუროდ. სოფელი, როგორც ასეთი, ჩვენი გაგებით, იქ არ არსებობს. ტროპიკულ ტყეებში აქა-იქ მიმალული პატარა ქოხები მოჩანს, რომლებიც ზედ მიწაზე დგას. ყოველ ორ-სამ ასეთ სახლს, შუაში დიდი დაგუბებული ტბა აქვს. ტბა საჭირო რამაა. გარეცხავ ყურჭელს, ტანსაცმელს, ბოლოს და ბოლოს,



თავს და ტანს დაიბანს მთელი ოჯახი. წყალი კი არ იცვლება, იმიტომ, რომ ის ტბაა. ამ ტყეებში პატარა და სასაცილო ბავშვებს შეიძლება ნაანყდე, ჯგუფ-ჯგუფად დადიან ფეხშიშველები და უცნაური ადამიანების, ანუ ჩვენს დანახვაზე ყვირილ-ხივილით გარბიან სახლებში. მერე კი, ფანჯრებიდან თავებგამოყოფილი აგრძელებენ ჩვენს თვალღერებას.

ერთ-ერთი სახლის ეზოში, დიდი სუფრა გაგვიშალეს. სპეციალურად ჩვენთვის ყველაფერს welcome დააწერეს, ოღონდ უკუღმა გააკრეს, არა უშავს. საჭმელები ხელით დაგვიყარეს თეფშებზე და ბებიანი უზრდელურ ჭამას რომ ეძახის, ზუსტად ისე – თითებზე ვჭამეთ: ბრინჯი, თევზის წვნიანი და რალაც ფოთლები... მეორეთი – ბუზებს ვიგერიებდით. ყველა ღელავდა, ოჯახში, უფროსი ვაჟი უნდა მოსულიყო თავის ცოლთან ერთად. მნიშვნელოვანი დღე იყო, რადგან ახალგაზრდა ცოლ-ქმარი უკვე კანადის მოქალაქეები გამხდარიყვნენ და ეს, ერთი-ორად ზრდიდა ამ ოჯახის მიმართ პატივისცემას. ეზოში სქელი შავი კაცი შემოვიდა, ვარდისფერ კაბაში გამოწყობილ ასევე სქელ და შავ ქალთან ერთად. კაცი ინგლისურად მოგვესალმა და ცხრაჯერ მაინც გაგვიმეორა – მე კანადის მოქალაქე ვარო, ჩემი ცოლიცო. მერე ჯიბიდან i-phone ამოიღო, შორიდან დაგვანახა და გვკითხა – იცით კი, ეს რა არისო? ჩვენ იმედი არ გავუტრუეთ და ერთდროულად გაგვქნიეთ თავები – არა-თქო.

ამის მერე, სათითაოდ ჩამოგვიარა, ორ-ორი წუთით ყველას თვითონ შეგვირჭო ყურებში ყურსასმენები და ჯასტინ ტიმბერლეიკი მოგვასმენინა, – აი, აიო. თან პერიოდულად ვიღაცეებთან რეკავდა – ეს რეკავს კიდევო. მერე თავისი კანადის მოქალაქე ერთი წლის შვილი დაგვანახა, რომელსაც შუბლზე დიდი, დიდი შავი ლაქა ჰქონდა. არადა, ეს ლაქები სხვა ბავშვებსაც შევამჩნიე და, რა თქმა უნდა, მისი წარმომავლობით დავინტერესდი. – ბოროტი სულების განსადევნად, პატარა ბავშვებს დიდ შავ ლაქას ვუკეთებთ შუბლზეო, მითხრა კანადის მოქალაქემ. ჩემთვის გავიფიქრე, კიდევ კარგი, ჩვენს შვილებს შუბლზე არ ვანეკებთ გიშრებს-მეთქი. ისე, ჯასტინ ტიმბერლეიკზე გამახსენდა. რადგან გარეთ ზამთარია (ამ დროს კი გარეთ + 28-29 გრადუსია), ყველა ბანგლადეშელ მამაკაცს, წელს ქვემოთ ნაჭერი აქვს შემოხვეული, ზემოთ პერანგი აცვია, თავზე კი ჩამოფხატული ქუდი და ნაქსოვი კაშნე აქვს მოხვეული. ბანგლადეშელი ტიმბერლეიკელები არიან. Cool.

სოფლად სადილის შემდეგ, მეთევზეების ნაგებით ვისეირნეთ. გინდა, გინდა და ვერ ხედები რომ გინდაო! მიმტკიცეს და ნავში მომზადებული ბრინჯით ისე გამბერეს, რომ იქიდან ჩამოსვლაში, ოთხი კაცი მაინც მეხმარებოდა. მერე ყველა მეგობრულად დავემშვიდობეთ ადგილობრივებს და იქიდან სულ საპირისპირო გზით, ანუ „პროტივზე“ სიარულ-

ით ჩამოვედით დაკაში. რატომ, არ ვიცი. აქეთ მხარეს ტრასა ცარიელიაო, მითხრეს.

რეშმის, მგონი, ვანყენინე. ვუთხარი, დელი ძალიან მომწონს და დელის ძველი ქალაქი ხომ საერთოდ... ასეთი არაფერი მინახავს-მეთქი. ეს ვთქვი თუ არა, სამ წუთში მანქანაში ჩამსვა და old town-ო გასძახა მძღოლს. დაკას ძველ ქალაქში ვართ. იგივეა. წვნიკა ქუჩები, 5-ნ მილიონი ადამიანი გარშემო... ვნახე, როგორ აკეთებენ ნიჟარებისგან სამაჯურებს, რომელთაც გათხოვილი ქალები ატარებენ. მე ცოტა დავიბენი, ვერ გავიგე უნდა გამეკეთებინა თუ არა. არადა, როგორი მტვერი იდგა პატარა სამაქროში... ამიტომ არის, რომ დაბინძურებული გარემოს გამო, ყველას ტუბერკულოზი ან ასთმა აწუხებს. არა, ძველი ქალაქის ერთ სახლში სტუმრობის შემდეგ, ყველა, მთელი დღე სულ ხველა-ხველებით ვლაპარაკობდით. არადა, ორი წუთით ავედით. ქვის მიხვეულ-მოხვეული კიბეები, ქვის ოთახები, სადაც თითო ოჯახი ცხოვრობს ასე, 9–10 კვადრატული მეტრი იქნება. ჭერი? ალბათ 1,5 მეტრის სიმაღლის. შიგნით არის საძინებელიც, სამზარეულოც და სხვა ყველაფერიც. თქვენ წარმოიდგინეთ, გემრიელად მოკალათებული გრძელბუნვანი ძაღლის დანახვაზე – შენ აქ რამ მოგიყვანა, შე დალოცვილო-მეთქი, მინდოდა მეთქვა. დაბალჭერიან სახლში შესვლისას, ლამის ოთხზე შევფოფხდით. რატომღაც, წინ მივდიოდი ბელადივით. უცბად მივხვდი, რომ აქ, სადღაც,



ჭერი მალღებოდა და თავი ავნიე... ნეტა არ ამენია. ვილაც ბანჯგელიანი, გასაპნული ბიძია იდგა, როგორც რეშიმი მითხრა, ეს ჩვენი მღვდელია, თანაც, წინასწარმეტყველიაო. იდგა წინასწარმეტყველი და თვალეში მიყურებდა. დავიბენი. ზემოთ ავიდეთ, ბანაობას რომ მორჩება, მერე ვნახოთო. მღვდელი კი არა... მართო იმიტომ ავედი ზემოთ, სხვა გზა არ მქონდა, უკან ბარბარა და პიტერი მანვებოდნენ, რომლებიც ჩემ წინ გადაშლილ სურათს ვერ ხედავდნენ – რას ჩერდები, გაიარეო. კიბეებზე უხმოდ ავედით, ის პატარა ოთახები დავათვალერეთ და სასტუმროში მიინდა-მეთქი გამოვაცხადე. ყველა დამეთანხმა. უკან რომ ჩამოვდიოდით, უკვე საბონჩამობანილ მღვდელს გვერდზე ჩაუარეთ და ჩვენ გვაპატიეთ ძახილით გამოვარდით გარეთ.

– მოგეწონა ძველი ქალაქი?

– უფ, პირდაპირ საოცრებაა! – ვუპასუხე რეშიმის.

გადავწყვიტე, რომ მეყო ბანგლადეშური კინო, საპნიანი მღვდლები, ველო რიქშით სეირნობა და სოფლებში საჭმლის თითებით ჭამა. ჩემს ბოლო ბანგლადეშურ დღეს, გარეთ მართო გასეირნება გადავწყვიტე. ქუჩაში ბევრი ხალხი იყო. არ ვიცი რატომ. ვერ მივხვდი. მომიტინგეთა ნაკადი არ თავდებოდა და ყველა აჟიტირებული თვალეებით რალაცას გაჰქიოდა. ალბათ, კიდევ ვილაცა დაიჭრეს მეთქი. დავდექი სასტუმროსთან

და ნათხოვარი აპარატის (ჩემი ბანგლადეშში ჩასვლის მეორე დღესვე აორთქლდა) თვალეირება დავინყე. თვალეირებით ისე გავერთე, რომ ვერ მივხვდი, როგორ აღმოვჩნდი ქუჩაში, ბრბოში. უკან შემოვტრიალდი და... სასტუმროს კარებზე და ფანჯრებზე ჩამოშვებული სქელი ჟალუზები დავინახე. ეე, რა ხდება-მეთქი, შევხედე კარისკაცს. – რას ამბობთ, მემ... ახლა ჟალუზის აწევა როგორ შეიძლებაო; – რატომ? რა ხდება? – ვიკითხე, მაგრამ პასუხისთვის აღარ მომისმენია, რადგან ვიგრძენი როგორ წამიყვანა ბრბომ სხვა მიმართულებით და ჩემ წინ, უამრავი, წელსზემოთ შიშველი კაცი დავინახე, რომლებიც მეტალის ბასრი ფირფიტების ასხმას ირტყამდნენ დასისხლიანებულ ზურგზე და მუჰამედს, მუჰამედს, რალაც არაადამიანური ხმით გაჰყვიროდნენ. ისინი კი, ვინც თვითვევით არ იყო დაკავებული, თავზე შავ ლენტა წაკრულები, სრულ აგონიაში კიოდნენ და დახტოდნენ. და მე, შუაში, აპარატით ხელში. არ ვაზვიადებ, მართლა ვიფიქრე, ეს უკანასკნელი კადრები იქნება, რასაც ჩემი ლაზერით ნაოპერაციები თვალეები დაინახვენ-მეთქი. მომეჩვენა, არა, არ მომეჩვენა, ყველა მე მიყურებდა და ისე ყვიროდა მუჰამედს. მეც ვიყვირე, ჩუმად. არ ვიცი რამდენ ხანს ვიდექი ბრბოში. პერიოდულად ვილაცა ძალიან ახლოს გამივლიდა ხოლმე და მხარზე მხარს ძლიერად გამკრავდა. მერე კი...

დაახლოებით ისე, ფილმებში რომ არის, უცბად ყველაფერი რომ ჩერდება და ხედავ მას, მხოლოდ მას, შენკენ მომავალს... დაახლოებით ასეთი ეფექტი იყო საჯადის და რეშიმის გამოჩენა ბრბოში. მე მეძებდნენ. სასტუმროს კარისკაცს უთქვამს, იქ არის ის გოგო, უშველეთო. მათი დანახვა ისე გამიხარდა, რომ როგორც ბედკრული შვილი მშობლებს, ისე მოვუახლოვდი, თავი ნაზად დავადე მხარზე და აღმოვხდა – თქვენთან მიინდა.

ეს დღე არასდროს დამავიწყდება.

P.S. მომავალ ფესტივალზე ისევ დამპატიფეს. ჩამოდიო. კი-მეთქი ვუთხარი. აეროპორტში 5 საათით ადრე მივედი და სულ არ მანაღვლებდა ის, რომ მერე დუბაის აეროპორტში 11 საათი უნდა მეყურყუტა. სახლში მიინდოდა. ძალიან მიინდოდა. დუბაიში, თბილისისკენ მომავალ თვითმფრინავში რომ ჩავჯექი, თავი თიანეთი-ყებოტას ავტობუსში მეგონა. მგზავრებს მუხლებზე სქელი ლეიკოებით შეკრული დიდი ყუთები და ჩანთები ედოთ. თავები ზედ ჰქონდათ მიყუდებული და ისე ეძინათ. ქართველმა კაცებმა სულ დამატებით ითხოვეს სასმელი და მერე ბორტგამცილებლებთან საუბრობდნენ – და მაინც რა გქვია? ვერ იტყვი თუ არ იტყვი? თუ არ მეტყვი, მე თვითონ წავიკითხავ, გულზე ხომ განერია... Don't worry-თქო გავიფიქრე, საზურგეს მივეყუდე და მოვეშვი.



ფოტო: ბარბა ნიკაბერიძე



ფოტო: ბარბა ნიკაბერიძე





ესა იცოდეს ლადო

ავტორი: ქეთი ბაგუნაშვილი
ფოტო: ლევან ხერხეულიძე, ლადო ბურდულის პირადი არქივი,
ილუსტრაციები ლადო ბურდულის დღიურებიდან



ლადო ბურდული გულმსთან, კეთისთან და ღარიასთან ერთად

ისტორია

ჩვენ იოლად ვაკრავთ ადამიანებს იარლიყებს, რომელთა მოშორება, როგორც წესი, ძალიან რთულია. ლადოს შემთხვევაში ეს იარლიყები ბევრია: გიჟი, „ლუზერი“, ფუი, ეშმაკს (პირფერის გადაწერის თანხლებით)! და ა.შ. როცა ლადოს უსმენ, შეიძლება, მართლაც იფიქრო, რომ გიჟია, მაგრამ თუ ბოლომდე ამ აზრზე რჩები, ეს იმას ნიშნავს, რომ მისთვის არც მოგისმენია. თუ მართლა უსმენ, მიყვები, თუ ფიქრს იწყებ, მაშინ ხვდები, რომ მართალია, მაგარია, მნიშვნელოვანია. და ბოლოს აღიარებ, რომ გმირია. და რატომ გვიჭირს ასე ამის აღიარება?

როკ-ფესტივალებით, კონცერტებით, თავის სახლში მოწყობილი საღამოებით, მუსიკით თუ, უბრალოდ, თავისი ცხოვრებით, ჯერ კიდევ 90-იან წლებში, ლადომ შექმნა ის ალტერნატიული სივრცე, რომელიც ბევრისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ეს იყო ადგილი, სადაც ადამიანები მოდიოდნენ დაცლილები და მთრგუნველი რეალობიდან და ივსებოდნენ იმედით, იდეებით, შექმნის და კეთების სურვილით. ლადო ბურდულის ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევაა სწორედ ეს არის – მან შეძლო იმ რეალობის შექმნა, რომელიც უპირისპირდებოდა კარჩაკეტილობას, სიყალბეს, ქუჩას, სტერეოტიპებს... და ეს რეალობა ბევრი ადამიანისათვის იქცა ჟანგბადისა და შთაგონების წყაროდ.

„გახსოვდეთ თქვენი ისტორია, გახსოვდეთ თქვენი გმირები“ – ასეთი მინანური აქვს ლადო ბურდულისა და ჯგუფ „რეცეპტის“ ძველი ალბომის ახალ გამოცემას. თუმცა, დაეინყების საშუალებას ლადო არ გაძლევს. ალბათ, არც ერთი ქართველი როკ-მუსიკოსი არ არის დღეს ისეთი აქტიური, როგორც ლადო. თითქმის ყოველკვირეულად აქვს კონცერტი, რომელსაც თვითონ „one man show“-ს არქმევს. უკრავს კლუბებში, ფაბებში, ქუთაისში, ბათუმში... მუშაობს ახალ პროექტზე სიმებიან კვარტეტთან ერთად...

გთავაზობთ რამდენიმე თვის მანძილზე ჩანერილი საუბრების ფრაგმენტებს. ლადო ყოველთვის პირდაპირი და მკაცრია, ზოგჯერ ეგოცენტრული და წინააღმდეგობებით სავსეც. თუმცა, ამ ყველაფრის მიღმა, სიცოცხლის სიყვარულია. როკენროლი.

გთავაზობთ, მოუსმინოთ ლადოს. მერე კი გირჩევთ, კიდევ ერთხელ მოუსმინოთ „ჩემო მშვენიერო ლედის“ და მერე ყველაფერი თავის ადგილას დადგება.

და ესა იცხოვდა ლადო... სიყვარულზე

მე და ქეთი შევხვდით ერთმანეთს და მერე გაჩნდა დარია. ადრე წარმოდგენები სხვანაირი მქონდა, საერთოდ ყველაფერზე. ძალიან დიდ ყურადღებას ვაქცევდი ვიზუალურ ფორმებს, და მივხვდი, რომ, თურმე, სულიერი ფორმებიც არანაკლებ საინტერესოა. დავილაღე ამდენი პრეტენზიული ქალებით, სულ რაღაც რომ უნდათ და ძალიან რომ განუხებენ. ქეთი გავიცანი და გამიკვირდა, რომ არსებობს ადამიანი, რომელსაც არაფერი არ უკვირს, ძალიან პირდაპირია და უბრალო, ბევრი პუდრი-პამადის გარეშე, რომელიც ცხოვრების წესით საერთოდ არ მგავს. უცებ აღმოჩნდა, რომ ვიპოვე მეგობარი, ვისაც აინტერესებს ისეთი თემები ჩემ შესახებ, რომლებიც აქამდე სხვას არავის აინტერესებდა. ჯერჯერობით ერთად ვართ და იმედია, ერთად ვიქნებით. კარგად ვარ და მივხვდი – სადაც კარგად ხარ, იქ უნდა დარჩე.

ალბათ, ცხოვრებაში დგება ასეთი ეტაპი, როცა მოთხოვნა ქალი-სადმი იცვლება. სანამ პატარა ხარ, სულ გინდა დედოფალი, ქერათმიანი, ცისფერთვალეა, უბინო, ტულეტში რომ არ დადის, შენ რაც იცი, იმან რომ არ იცის და სულ გაკვირვებული თვალებით რომ გიყურებს. მერე დრო გადის, ყველაფერი იცვლება და უფრო ადამიანი გინდა, რომელიც უფრო ნაღვლიანი, უფრო ადამიანურია და რომელიც უფრო ახლოსაა შენთან.




მე პატარა გოგოები სულ არ მევასება. სულ ვამბობდი, რომ ოღონდ ეს პატარა გოგოები არ იყვნენ ჩემს ცხოვრებაში და ამ ქვეყანაში გაჩნდნენ ნაშები, 27-28 წლის, ცხოვრება რომ ესმით და კარგად რომ ჟიმაობენ. მაგრამ მივხვდი, რომ ამ ქვეყანაში ეს არასდროს არ მოხდება, აქ ხომ ქალებს დაღვინებას და დამოუკიდებლობას არ აცლიან. ქალები ან ადრეულ ასაკში უნდა მოსპონ და გაანადგურონ, ან მეორე უკიდურესობაა, თუ ასაკი გადაუვათ, უნდა გაბოზდნენ და საზოგადოებისგან გარიყულები უნდა გახდნენ.

ამიტომაც, რომ ვერ გავშორდით თინეიჯერულ თამაშებს. აქ ცხოვრობ 25 წლამდე და მერე მკვდარი ხარ. სულ მინდა ეს შეეცვალო. მინდა, რომ 60 წლის კაცმა 60 წლის ქალი მოიყვანოს ცოლად, მინდა გაიგონ, რომ სიყვარული არ არის მხოლოდ თინეიჯერების პრეროგატივა. ვინც ასე უყურებს სიყვარულს, მაგარი ანტიქრისტე და არარელიგიური ტიპია. მინდა, რომ ქუჩაში 70 წლის ქალები მინი იუბკებში ველოსიპედებით დადიოდნენ და ბედნიერები იყვნენ. ბევრი შეყვარებული მინდა ვნახო და მინდა, რომ ასაკი არ ჰქონდეს სიყვარულს და თინეიჯერობის შემდეგ სიყვარული გარყვნილებად არ ითვლებოდეს. მაგრამ აქ ფუძემდებ რაღაც ვირუსი ჩადებული, თვითონ ხალხია ასეთი, ბავშვობაში იმდენი კომპლექსი აქვთ დაგროვილი, რომ სიყვარულის თავისუფლად მიღება არ შეუძლიათ.

მუსიკაზე

80-იანი წლები, მოვედი როკში. დამხვდა სცენა, სადაც ტიპები მღერიან ფარფლებს, პინკლოიდებს და არავინ არ მღერის ქართულად. მარტო რამდენიმე კაცი და ისინიც ტერენტი გრანელის და გალაკტიონის ლექსებზე. ანუ როკში, რომელიც ყველაზე სოციალური მოვლენაა და რომელშიც ყველა ყველა იმას, რითიც ცხოვრობს, ამას აქ არავინ არ ყვებოდა, მოსაყოლი არაფერი არ ჰქონდათ, ყველა იყო სადაც მისტიკაში. და პირველად მე დავინყე ჩემი სულიერი მდგომარეობის მოყოლა. ეს უკვე დიდი კონფლიქტი იყო ამ ხალხთან. მე ეს შევძელი იმიტომ, რომ სხვა ბექგრაუნდი მქონდა და არ ვიზრდებოდი პინკლოიდებზე და რაღაც სისულელეებზე. დავინყე და მივედი იმ ჩინეთის კედელთან, რომელიც აქ დღემდე არსებობს. ეს



ლადო უფროს შვილთან, თაჯისთან ერთად

საქართველოში მუსიკის რენესანსი მოხდა მაშინ, როცა ალტერნატივა მოვიდა. მაშინ, როცა გააქრნენ გიჟები და აუყანეს ამდენ იმპოტანტს, რომლებიც იღიბით კი არა, მხოლოდ თავისი ფულაბით მოვარდნენ და ყველაფერს დადა უტირავს. ამიტომაც იზოზოქრავს მხოლოდ რამდენიმე წელი და დღეს ეგანიც აღარ არიან. ამ ხალხს საბანკური მუსიკაში კი არა, სულ სხვაგან აქვთ.

ისტორია



ლადო ჩავეჭინიავა



არის ადამიანების გულგრილობა თავისი საქმის, თავისი პროფესიის მიმართ – გაუცნობიერებლობა, ზედაპირულობა და უსიყვარულობა.

მე და ქიშომ (ქიშო გლუნჩაძე) შევიმუშავეთ გეგმა და ვთქვით, რომ კორპუსებში კარდაკარ სიარულს და კონცერტების ტარებას აზრი არ აქვს და მივედით ტელევიზიაში. იქ დაგვხვდა ძალიან მშვიდი ხალხი, რომელთაც 500 რუჩკიან პულტზე მარტო ორის ხმარება იცოდნენ, დანარჩენი არც უცდიათ, სურვილიც არ გასჩენიათ. დავინწყეთ ამ ყველაფრის ჯერ ნგრევა, მერე შენება. დავინწყეთ მეორე არხზე გადაცემით „ოქროს ბიბილო“. მერე იყო გაყოფა-გამოყოფა, „მაესტრო“ და ასე შემდეგ. დიდი ბრძოლის შემდეგ „მაესტროზე“ გავაკეთეთ პირველი შიტ-პარადი. და ამით გაჩნდა რაღაც ახალი და ჯანმრთელი სივრცე ქვეყანაში და რა მოხდა – მოხდა ზუსტად ის, რაც თქვა ნიუ-იორკის მერმა: როგორც კი გავხდი მერი და დავინწყე კეთილი საქმეების კეთება, მოვიდა ბევრი კეთილი ადამიანი, კეთილი პროექტებით და დედა უტირა ყველა ჩემს კეთილ პროექტს. აი, ეს მოხდა აქაც. შიტ-პარადი როგორც კი გახურდა, უცებ გამოცოცხლდა ბევრი ტიპი, მებაჟეები და ვიღაც გაუგებარი ხალხი, ვინც მოიტანა 200 დოლარად ჩანერილი საზიზღრობები და მოვიდა იქ, სადაც რაღაცას სიმწრით ვაშენებდით, ისიც დაანგრის და დღეს არაფერი აღარ არის. ის ხალხი, ვინც ტელევიზიაში იყო, იყვნენ პატარა ბიზნესმენები, თავისი პატარა მიზნებით, რომლებმაც ჩვენი რესურსი გამოიყენეს და ჩვენი იდეა მოკლეს.

საქართველოში მუსიკის რენესანსი მოხდა მაშინ, როცა ალტერნატივა მოვიდა. მაშინ, როცა გაქრნენ გიჟები და აუყენეს ამდენ იმპოტენტს, რომლებიც იდევით კი არა, მხოლოდ თავისი ფულებით მოვარდნენ და ყველაფერს დედა უტირეს. ამიტომაც იბოხოქრეს მხოლოდ რამდენიმე წელი და დღეს ეგენიც აღარ არიან. ამ ხალხს საგანძური მუსიკაში კი არა, სულ სხვაგან აქვთ.

დღეს ქართულ შოუ-ბიზნესში იდეა და სცენა არ არსებობს, არ არსებობენ იდეური ადამიანები, რომლებიც ამას გააკეთებენ. დარჩა არასწორი ხალხი. აი, მაგალითად FM სადგურები, 15 სადგური გვაქვს, არცერთი არ მუშაობს იმიტომ, რომ არასწორად აკეთებენ. იქ, სადაც არანაირი პროდუქცია არ იქმნება, ან თუ იქმნება, ისეთი სიფანდი, რომელიც ერთ დღეში გიჟანგდება და ხელში გიქრება, ამდენი რადიო რა საჭიროა? ვის ატრიალებენ, რას ატრიალებენ, მაიკლ ჯექსონს უკეთებენ საქართველოში რეკლამას თუ რა იდეაა ამაში?

მე ახლა 44 წლის ვარ და ჩემი საქმისთვის არასდროს მილაღატია. თან რადიკალური ცხოვრებით ვცხოვრობ და ამ ქვეყნის მენტალიტეტს ვზრდი, ყველას ვეჭიდავები. ძალიან რთულია ასეთ ტიპად დარჩე. ადვილია, ამ ნაკვალევზე ფული აკეთო, ანუ ის აკეთო, რასაც დღეს შოუ-ბიზნესი აკეთებს. ქართულ შოუ-ბიზნესში იმიტომ არის ასეთი ვაკუუმი, რომ გმირები აღარ ჰყავთ, არავინ არ აკეთებს ამას იდეისთვის, არავინ არ ხტება და ჰოპს მერე არ ამბობს, ანუ არ არის ინფანტილურობა.

ისტორია

შოუ-ბიზნესშიც არის თინეიჯერების ასაკი. ყველაზე დიდი ბიზნესი კეთდება იქ, სადაც პატარა ბავშვებთან გაქვს საქმე, მშობლები კარგად იხდიან და იმიტომ. და მერე ეს ბავშვები სირები იზრდებიან. აქ რომ ველური დასავლეთის მსგავსად შენით სცადო, შენით გახურდე, ამაში ყველაფერი გიშლის ხელს.

წარმატებაზე

პატარა როცა ვიყავი, მე-9 კლასში, გადამიღეს ფილმში „მე მოვედი“, რის მერეც გოგოები საიდან აღარ მპოულობდნენ და მირეკავდნენ. მერე „საქორნილო საჩუქარში“ რომ ვითამაშე, ჩემი პერსონაჟის ბედი სოფლებში კრებებზე იხილებოდა და კოლექტივები წერილებს მიგზავნიდნენ. ანუ პოპულარობა ძალიან ადრე გავიარე. ბევრი ადამიანი ვიცი, ვინც გააგიჟა წარმატებამ. ჩემი დამოკიდებულება ასეთია: როგორც კი სირები ტაშს დამიკრავენ, ესე იგი, რაღაცას ისე არ ვაკეთებ. სანამ ისინი მაგინებენ, მე ვიცი, რომ სწორ გზაზე ვდგავარ.

ბავშვობაშივე მიეხვდი, რომ წარმატება, პოპულარობა ადამიანს კლავს. არ ვთვლი, რომ წარმატებული ვარ. წარმატება უნდა იჩაღიწო, მაგრამ პარალელურად ეს წარმატება უნდა ანგრიო. როგორც კი ასეთი, სულიერად მსუქანი ტიპი ხდები, შენი დღეები დათვლილია.

მინდა, რომ 60 წლის ქასმა 60 წლის ქალი მოიყვანოს სოლად. მინდა, რომ ქუჩაში 70 წლის ქალები მინი იუბკაში ველოსიკალებით დადიოდნენ და ბედნიერები იყვნენ. ბევრი შეყვარებული მინდა ვნახო და მინდა, რომ ასაკი არ ჰქონდეს სიყვარულს და თინეიჯერობის შეიღებ სიყვარული გარყვნილებად არ ითვლებოდეს.





ხოლო როცა იწყებ ამის წგრევას და ხალხს ფიქრს აწყებინებ, ეს ძალიან კარგი პროცესია.

აქ 17 წლის ბავშვები ისეთ მანქანებზე ზიან, რომლებზეც დასავლეთში ღვანლმოსილი ტიპები ჯდება 60 წლის ასაკში. ან ტიპს 17 წლის ასაკში რომ მიიყვან და პირდაპირ დირექტორად დასვამ, რომელმაც არ იცის ეს სტრუქტურა როგორ ამენდა და ეს გზა არ გაუვლია, ის როგორ შექმნის რაღაც უკეთესს? არ შეიძლება, ახალგაზრდებს ასეთი პოპულარობა მისცე, იმიტომ, რომ მერე გაგიყვანებინ ან თავს მოიკლავენ. და როცა ასეთ ხალხთან მიდის ნაღდი ხალხი, მათ აგრესია უჩნდებათ, ხვდებიან, რომ ეს ნაღდია და ადრე თუ გვიან ეტყვის – შე, სიროო. ამიტომ თავიდანვე იშორებენ ეგეთ ტიპებს და ურჩევნიათ თავისნაირი ხალიავა როყები მოდიოდნენ და დაინგრა ქვეყანა. მარტო მუსიკაში არ ხდება ეს. საქმე რომ წინ წავიდეს, ამას სჭირდება დიპლომები და გამოცდილება, რომელთაც ესენი ვეღარ აკრეფენ. შედეგად ყველაფერში კონკურენტუნარო სივრცეა და მოთხოვნა ხარისხზე საერთოდ არ არის. არასწორი ხალხი არასწორ ადგილზე და მორჩა, ქვეყანა წინ ვერ მიდის.

სამშობლოზე

ერთ-ერთი პირველი მე წავედი ამ ქვეყნიდან, პერესტროიკის დროს, და იქ ცუდად ნამდვილად არ ვიყავი. მაგრამ მიხვდი, რომ რახან ღმერთმა მე აქ გამაჩინა, აქ ვარ საჭირო. და კიდევ არიან ჩვენი შვილები. თუ ყველა ნორმალური გაიქცა, ვინ უნდა ჰყავდეთ მათ მაგალითი – კრიმინალები, რომლებიც მოდის მიხედვით იცვლიან ჰალსტუხებს და სახის გამომეტყველებას, თუ იდეური ხალხი, რომლებიც თავის პრინციპებს იცავენ მთელი ცხოვრება?

სულ ვფიქრობდი, ამდენი განდონი რომ ცხოვრობდა 90-იანებში, რეებანებით და წვერებით რომ დადიოდნენ, სად გაქრა ეს ხალხი?

არსად, დღეს მათ უბრალოდ ჰალსტუხები უკეთიათ და თანამდებობები უკავიათ.

მე დავბრუნდი ერთი რამის გამო, სირთულეების არ მეშინია, პირიქით, ჩემთვის სადაც სირთულეა, იქ არის სიცოცხლე. არ შეიძლება, როცა შენი ქვეყანა ცუდადაა, გაიქვე და სხვის გამოიღო პურმარილზე დაჯდე, როცა შენი მოვალეობა აქ პურმარილის გაშლაა.

მთელი ბავშვობა რადიკალი ვიყავი, ახლა ცოტა შევიცვალე, დავილაღე. 38 წლის ასაკში დავდიოდი იროკეზი თმებით, 6 საყურე მეკეთა, ახლაც დავდივარ შორტებით და მილიონ ასეთ რამეს ვაკეთებ. და ეს იმისთვისაც, რომ ეს წვერებიანი მაიმუნები მიხვდნენ, რომ მე კი არა ვარ მშობარა, თვითონ არიან მშობრები, რომ სიყვარულს და თავისუფლებას ვერ მოერევა ადამიანი და ვერც ეს სინთეტიკური ადამიანები, დროებითი ნეშომპალეები მოერევიან.

მანახეთ, ამ ქვეყანაში საყურისანი ბიჭები სად არიან, საყურისანი პოლიციელი ან პოლიტიკოსი, როკ-ენ-როლს რომ უსმენს ფლეიერში, სად არიან ასეთი ტიპები? ბიზნესში არიან? არა, იმიტომ, რომ რეპუტაციას უფრთხილდებიან, ყველა რეპუტაციაზე ლაპარაკობს. რა რეპუტაცია სჭირდებათ ამ სოფელში? ადამიანებს შეუძლიათ ისე იცხოვრონ, როგორც მე ვცხოვრობ და, ამავე დროს, შეძლონ აქ არსებობა? აი, მოდი, ყველაზე კაი ტიპებს ერთი საყურე დავკიდოთ, მეტი არაფერი. ის კი არ მოვთხოვოთ, რომ საზოგადოებას ესაუბრონ და გაატრაკონ. 2 კვირა შეძლებენ თავის უბანში არსებობას? ადამიანებს ძალიან უჭირთ იყვნენ განსხვავებულები, მათ რაღაც სისტემაში ერთფეროვანი ყოფა ურჩევნიათ. ჩემი არსებობით მათ გვერდზე, ხაზს ვუსვამ იმას, რომ რაღაც სხვაც არსებობს და ამაზე უამრავი ქვა და გინება მომხვედრია.





კომფორტის სტილი

ავტორი, ფოტო: სანდრო ნავარიანი




ისტორია

მოკლედ, URBAN CLUB-ი ინტელექტის ამაღლების და საღად აზროვნების გაკვეთილებია, რას თავისთავად, ძალიან კარგია, არათუ ბათუმში, კვიცტაუნის და თბილისშიც ძალიან კარგი იქნებოდა.



ირაკლი ჩხატია, ლევან ხუჯაბა, გიორგი ქათამაძე



ბათუმი ზაფხულს ელის. ამას, თუ ბათუმში ხარ, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხედავ. იქაც რომ არ იყო, იცი – ბათუმი ყოველ გაზაფხულზე საზაფხულო სეზონისთვის ემზადება. ჯერ-ჯერობით მაინც ასეა – ბათუმელები ძირითად შემოსავალს სწორედ ივნისში, ივლისსა და აგვისტოში ელოდებიან. ამიტომაც, ახალი სასტუმროები, ბარები, რესტორნები, დისკო-თეკები და კლუბები ისეთი სისწრაფით ჩნდება, თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებ.



ქალაქის ასეთი დუღილის ფონზე ყველა სხვა საკითხი უკანა პლანზე გადადის, რაც არავისთვისაა გასაკვირი. გასაკვირი შეიძლება ის უფრო იყოს, რომ ბათუმის ბულვარის ცენტრში, „მწვანე ბარში“, სადაც, წესით, გარუჯული გოგო-ბიჭები უნდა თუხთუხებდნენ, რამდენიმე ათეული ადამიანი ზის და ფასბინდერის ან გოდარის რომელიმე ფილმს უყურებს, ან რობი კუხიანიძე უკრავს იმ რამდენიმე ათეული მს-

მენელისთვის, ან შოთა იათაშვილი კითხულობს თავის ლექსებს...

იქ, „მწვანე ბარში“ URBAN CLUB-ია.

ამ კლუბის არსებობის შესახებ სულ ცოტა ხნის წინ შევიტყვე. ამბავი სწრაფად და ხმაურიანად გავრცელდა. თუმცა, ვინც კი ამ კლუბის შესახებ რამე მითხრა, ვერაფრით გამაგებინა, რა არის URBAN CLUB. ასე, უბრალოდ ამბობდნენ, ესა და ეს კლუბიაო, დანარჩენს კი ჩემით უნდა მივმხვდარიყავი:

საცეკვაო კლუბია, ქალთა კლუბი თუ ბოტანიკოსთა კლუბი.

ერთი სიტყვით, რალა ბევრი გავაგრძელო და ახალი ამბის გაგებიდან რამდენიმე დღეში ბათუმში ამოვყავი თავი.

პირველად ლევან ხუჯაძე გავიცანი, მერე – ირაკლი ჩხეტია და ბოლოს – გიორგი ქათამაძე. ამ ბიჭებმა დააარსეს URBAN CLUB.

სანამ იმას შევიტყობდი, თუ რატომ გაუჩნდათ კლუბის დაარსების სურვილი, გავა-



რკვე, რა დატვირთვა აქვს URBAN CLUB-ს. საინფორმაციო ფლაერში წერია: „პროექტი თავისი სახელწოდებიდან – URBAN CLUB – გამომდინარე გულისხმობს კონკრეტული იდეების განხორციელებას იმ თვალსაზრისით, რომ ბათუმში წლების განმავლობაში პირველად, კონცეპტუალურად შეიქმნას ქართული ახალგაზრდული კულტურის მიკროფონი, რომელიც ღია იქნება ყველასათვის და გაითვალისწინებს პროექტის მონაწილეთა მიმდინარე შემოქმედებითი მომენტების

წარმოჩენას, საზოგადოებასთან ღია, აქტიურ დიალოგს. ასევე შექმნას პრეცედენტი „ალტერნატივისა“, რაც მოწინავე პლურალისტური, ღია სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების აუცილებელი პირობაა.“

მოკლედ, რომ ვთქვა, ის, რაც ზევით წერია, უბრალოდ, ინტელექტის ამადლების და სალად აზროვნების გაკვეთილება, რაც თავისთავად, ძალიან კარგია, არათუ ბათუმში, კეიპტაუნშიც და თბილისშიც ძალიან კარგი იქნებოდა.

არ ვიცი, ალბათ, ბათუმში იმართება სხვა სალამოებიც, ლიტერატურული, მუსიკალური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, და ასეთი სალამოები თბილისშიც იმართება, მაგრამ არ მახსენდება თბილისური ჯგუფი ან ორგანიზაცია, გარკვეულ სივრცეში მუდმივად რომ ატარებდეს განსხვავებულ და საინტერესო სალამოებს. და თუ ასეთი რამ ხდება, მაშინ ამას ფესტივალის სტატუსი აქვს მინიჭებული. URBAN CLUB-ი კი მკაცრად კლუბურ ხასიათს ატარებს, რაც დამფუძნებლების, სამი



მართალია, ასეთი კლუბის დაფუძნებას ბათუმში ადრესტ ბრძნობდნენ და უნდოდათ, ეს ნიშა კლუბის გახსნით როგორც თვითონ შეავსოთ, მაგრამ მათი გაღვიძება და ამოქმედება მხოლოდ ღრმა დაკრახინა შეძლო.



მეგობრისგან შემდგარ ჯგუფ „MIKROfonis“ დამსახურებაა.

რატომ შექმნეს URBAN CLUB-ი? პასუხი ბევრნაირი შეიძლება იყოს: ამ ადამიანებმა იგრძნეს, რომ საზოგადოებაში მსგავს საღამოებზე მოთხოვნა არსებობდა.

მოთხოვნა არაფერ შუაში იყო, მათ უბრალოდ გადაწყვიტეს, ალტერნატიული „გართობა“ შეეთავაზებინათ ახალგაზრდებისთვის.

საკუთარი მსოფლმხედველობის ასეთი ფორმით ჩვენება გადაწყვიტეს.

ამბიცია ჰქონდათ, რომ უკვე რაც იციან, დროა, სხვებსაც გააგებინონ.

ალბათ, ამ ვერსიებიდან კლუბის გახსნის წინაპირობა ცოტ-ცოტა ყველაფერი იყო, ზემოწამოთვლილი მიზეზებიც და სხვა დანარჩენებიც. მართალია, ასეთი კლუბის დეფიციტს ბათუმში ადრეც გრძნობდნენ და უნდოდათ, ეს ნიშა კლუბის გახსნით როგორმე თვითონ შეევსოთ, მაგრამ მათი გაღვიძება და ამოქმედება მხოლოდ ღრმა დეპრესიამ შეძლო.

დეპრესია უკვე ყველასათვის მოსაბეზრებელი გახდა – ვეღარც გრძნობ, ხარ თუ არა დეპრესიაში. ყოველ შემთხვევაში, იმ ასი ადამიანიდან, რომელიც ამბობს, დეპრესიაში ვარო, 95-ის არ მჯერა. აღარც ის აზრია აქტუალური, რომ თუ დეპრესიაში არ ხარ, ვერაფერს გააკეთებ. დღეს ყველაფერი პირიქით ხდება, სრულიად თავისუფალი, ხალისიანი და ყოველ ახალ დღეზე შეყვარებული უნდა იყო, რამე ღირებული რომ შექმნა. თუმცა, ეს სამი ბიჭი, ასი ადამიანიდან იმ

ისტორია

ხუთის რიცხვში შედიან, რომლებიც მართლა დეპრესიამ დააფიქრა, და მათი შთაგონება და სურვილები სადაც, გზაჯვარედინზე გადაკვეთა. მათ მოხერხდა უმოქმედობა, იმაზე ფიქრი თუ რამდენ საინტერესო რამეს გააკეთებდნენ, საშუალება რომ ჰქონოდათ. ჰოდა, ადგნენ და რისი საშუალება და შნოც ჰქონდათ, ის გააკეთეს.

ბიჭები რომ გავიცანი, რამდენიმე საათში ჩემ ცოლს ველაპარაკე, მკითხა, როგორი ტიპები არიანო. კი ვიცოდი, „ტიპებში“ რაც იგულისხმა, მაგრამ მე ვიზუალურად ავუხსენი: ერთი იესოს ჰგავს, მეორე – მოსეს, მესამე კი ბიძაჩემ ბატკას-მეთქი. ისე კი, ტიპები, როგორც საინტერესო ადამიანებზე ვამბობ ხოლმე, მაგარი ტიპები არიან – სამივე ერთმანეთისგან განსხვავებული (აქ უკვე ვიზუალურ მხარეს არ ვგულისხმობ). მას შემდეგაც კი, რაც ოთხი დღე ერთად გავატარეთ, სულ ვფიქრობდი, ამათ საერთო რა აქვთ-მეთქი. არ არსებობს საკითხი, რაზეც ერთნაირი შეხედულება ჰქონდეთ. ეგაა, რომ გრებენშიკოვი და ჯიმი მორისონი სამივეს მოსწონს, თორემ აჭარული ხაჭაპური ჯობია თუ აჩმა, საპრეზიდენტო

მმართველობა თუ რესპუბლიკური – ამაზე ყოველთვის კამათობენ.

ბათუმში პირველი ორი დღე გადაუღებლად წვიმდა, მეც სახლში ან სადმე ბარში ვიჯექი და ურბანელებთან ერთად ლუდს ვსვამდი. ბევრს ვსვამდით. როგორც იქნა, გადაიღო, ღამე იყო, თორმეტს გადაცილებული, მაგრამ პლაჟზე გავედით – ძლიერი ქარი უბერავდა და ტალღებიც დიდი უნდა ყოფილიყო – მიყვარს ზღვის ლელვა და ამიტომაც გადავწყვიტე პლაჟზე გასვლა. ლევანმაც მხარი ამიბა, მიყვარს, როცა ზღვას ვუყურებ, განსაკუთრებით დასავლეთისკენ ყურება მიყვარსო.

ლევან ხუჯაძე ოქტომბერში ჩამოვიდა საფრანგეთიდან. წელიწად-ნახევარი იქ იყო და ფრანგულს სწავლობდა. სანამ საფრანგეთში წავიდოდა, პლაჟზე იჯდა და დასავლეთისკენ იყურებოდა. უყურებდა ღრუბლებს, რომლებიც დასავლეთიდან მოჰქონდა ქარს და ფიქრობდა, აზზე ხარ, ეს ღრუბლები სულ ცოტა ხნის წინ საფრანგეთში იყვნენ, მერე ჩვენში, ახლა კი აქ არიან. ძალიან უნდოდა ევროპაში წასვლა. წასვლა რბილი ნათქვამია, მას გაღწევა უნდოდა. ძალიან ბე-



თავისუფლების შეზღუდვის გარდა ისინი ბრძნობდნენ, რომ ასეთი თავისუფლება უფრო უკომფორტო არსებობა იყო და არა ცხოვრება, არადა, მათი მიზანი კომფორტული ცხოვრებაა – საკუთარ თავს კომფორტისტებს უწოდებენ. კომფორტი კი მათთვის მატარებლის და ფეხნახალობის ვილის გარდა, თავისუფალი შემოქმედება და აზროვნებაა.



ერი იწვალა იმისთვის, რომ აქედან გაეღწია, იმაზე ბევრი კი – იქ, სადაც გააღწია, მაგრამ ძლიერი აღმოჩნდა, იწვალა, განცხადებები აკრა ქუჩებში, გიტარაზე დაკვრას ვასწავლიო, რესტორანში ვიმუშავებ მიმტანადო, დავშლი და ავანყობო და ასე იშოვა სამსახური. დაბრუნდა საქართველოში და ახლა ისევ გაღწევაზე ფიქრობს, ჯერ პლაჟზე არ ზის და დასავლეთიდან მომავალ ღრუბლებს არ შესცქერის, მაგრამ, შიგადაშიგ, ამოიხრავს ხოლმე, წასვლა მინდაო. დეპრესიაშია.



ვისხედით მე და ლევანი პლაჟზე და ტალღებს ვუყურებდით. ზღვა ლელავდა, ირაკლი კი ჩვენ გვერდზე იდგა, ყურებში ყურთსასმენები ჰქონდა გარჭობილი და მუსიკას უსმენდა, ზღვისკენ კი იყურებოდა, მაგრამ მუსიკას ფეხს ისე აყოლებდა, აშკარად არ იყო ბათუმის პლაჟზე. სიგარეტს ეწევა ბევრს, ძალიან გამხდარია, უყვარს კარტოფილი ფრი და ბევრი ლუდი. ისიც ცოტა ხნის წინ დაბრუნდა საქართველოში. უკრაინაში იყო. იმასაც გალწევა უნდოდა და გააღწია. მანაც მძიმე თვეები გაიარა

და დაბრუნდა. ორივე დაბრუნდა, მიუხედავად იმისა, რომ საზღვარგარეთ უფრო თავისუფლებები იყვნენ, ვიდრე საქართველოში. მიზეზი ის იყო, რომ მობეზრდათ „შავი სამუშაოს“ კეთება, სხვაზე მუშაობა და თავის გატანაზე ფიქრი. თავისუფლების შეგრძნების გარდა ისინი გრძნობდნენ, რომ ასეთი თავისუფლება უფრო უკომფორტო არსებობა იყო და არა ცხოვრება, არადა, მათი მიზანი კომფორტული ცხოვრებაა – საკუთარ თავს კომფორტისტებს უწოდებენ. კომფორტი კი მათთვის, მაგარი მანქანის და

ფეშენებლური ვილის გარდა, თავისუფალი შემოქმედება და აზროვნებაა. სწორედ ამის დრო და საშუალება არ ჰქონდათ საზღვარგარეთ, მიუხედავად იმისა, რომ ხედავდნენ – თავისუფალი შემოქმედებისთვის ასპარეზი იქ უფრო დიდი იყო. ამიტომ, ისევე ბათუმში დაბრუნება არჩიეს, უასპარეზო ბათუმში, სადაც, თუ მოინდომებ, ადვილად არა, მაგრამ მაინც შეძლებ, ასეთი ასპარეზი შენით შექმნა.

>>> ბაზრქილება გვ. 192

„შეჩერდი, წამო, მშვენიერი ხარ!“

ავტორი: ლანა ლოლობერიძე

ფოტო: ლევან ხარხელიძე, ლანა ლოლობერიძის პირადი არქივი

დრო, მარად ცვალებადი, წარმავალი. დრო, რომელიც მიდის, თუ მიქრის.. შენი დრო, განგების ძალით შენთვის განკუთვნილი. რომელიც იწურება.

როგორ გადავარჩინოთ რაღაც ამ დროიდან, რომელშიც არასდროს აღარ ვიქნებით. ეს ადამიანის მარადიული ფიქრებია და ამ ფიქრებიდან ჩნდება სწრაფვა დროის შეჩერებისა. „შეჩერდი, წამო, მშვენიერი ხარ!“ – ამას დიდი მწერალი მოითხოვდა. და თუ ჩაულრმავდები, შეჩერების ღირსია ყველა წამი, ისიც, რომელიც რაღაც მნიშვნელობით არის სავსე, და ისიც, რომელშიც არაფერი არ ხდება, სულ არაფერი, უბრალოდ – წვიმიან დარში მზის სხივის ერთი გაეღვება, ან სულაც პირქუში, ღრუბლიანი დღე, მაგრამ ის მაინც უმალლესი მნიშვნელობით არის სავსე, რადგანაც ამ დღეში ხარ შენ! შენ არსებობ! შენ ცხოვრობ, სუნთქავ, მოძრაობ, რაღაც გადარდებს, რაღაც გიხარია, და ცხოვრება მიდის და ერთი, იდუმალი მნიშვნელობით, ანუ არსებობით სავსე წამი ცვლის მეორეს... შეჩერდი, წამო, შენ ისეთი მშვენიერი ხარ! მშვენიერი ხარ უკვე იმიტომ, რომ იყავი ერთხელ და არასოდეს აღარ განმეორდები. და დროზე ფიქრი მოულოდნელად ამოატივტივებს გონებაში ახმატოვას სიტყვებს:

მაგრამ გახსოვდეთ, მე გაგაფრთხილეთ,
ამ ქვეყნად ვცხოვრობ უკანასკნელად,
და აღარასდროს მოგვევლინებით,
არც ვით მერცხალი და არც ვარსკვლავი,
ზარების რეკვის ხმა გულსაკლავი,
წყარო ჩხრიალა, ღამის ჩრდილები,
ან ეს ლერწამი, ეს მე არა ვარ,
მე გეუბნებით დაუფარავად,
რომ აღარასდროს განვმეორდები,
და არც ქვითინით და არც გოდებით
აღარ დაეუფრთხოთ სიზმარს არავის.

(ჩემი თარგმანი)

და ისე მინდა ვუთხრა ჩემს ახლობლებს: მაგრამ გახსოვდეთ, მე გაგაფრთხილეთ, ამ ქვეყნად ვცხოვრობ უკანასკნელად, და აღარასდროს მოგვევლინებით... იმის იმედიც მაქვს, რომ ეს სიტყვები ირონიულ ღიმილს გამოიწვევს მათში!

5 მაისის „ლე მონდში“ დაიბეჭდა საინტერესო წერილი სათაურით „დატკბი დაუბრკოლებლად“. ვფიქრობ, რომ სტატიაში ბევრი რამ არის ჩვენთვისაც საყურადღებო. საზოგადოებას, რომელმაც ისტორიული კანონზომიერების ძალით, გაიარა ტოტალიტარიზმის 70-წლიანი ეპოქა და დღეს ჩაბმულია ლიბერალიზმისა და მონდიალიზაციისათვის დამახასიათებელ საპირისპირო ვენებათა ჭიდილში, ჯერ წინ დიდი და ძნელი გზა აქვს გასავლელი, ვიდრე წამდვილ თანამედროვე ერთობად ჩამოყალიბდება. ამ გზაზე მნიშვნელოვანია იმათი გამოცდილების გაზიარება, ვინც ეს ძვრები ჩვენზე ადრე გადაიტანა. ვფიქრობ, რომ ამ პროცესში უებარია სიტყვის ძალა. ამის დასტურს დღევანდელ ფრანგულ რეალობაში ვხედავ. სიტყვა! ალბათ, არცერ-





საქართველო „სტიმსი“, რეჟისორი რობერტ სტურუა, კომპოზიტორი ზია ყანდელი

UITNODIGING

HOMMAGE AAN TWEE GROTE
GEORGISCHE KUNSTENAARS

ZONDAG 20 APRIL 2008, 14.00

Deze wind m
de vertelling
en de liefko
doen mij alle

Weergaloos
"n Tweede G

Ana Kalandad



ანა კალანდაძისა და სოფიკო ჩიაურელისადმი მიძღვნილი საღამო კოლანდიში, 2008

თი ერი არ ანიჭებს მას ისეთ მნიშვნელობას, როგორც ფრანგები. მეფეებს და საზოგადო მოღვაწეებს აქ უმთავრესად საქმეებით კი არ იხსენებენ, არამედ მათი გამონათქვამებით. მაგალითად, ყველა ფრანგმა არ იცის, რა გააკეთა ლუდოვიკო XIV-მ ქვეყნისთვის, ის კი ნამდვილად იცის, რომ მან თქვა, „სახელმწიფო – ეს მე ვარ;“ რომ ანრი მეოთხემ თქვა – „პარიზი ღირს მესად“, ფრანსუა პირველმა – „ყველაფერი დაკარგულია, ღირსების გარდა“, მარი-ანტუანეტამ – „თუ პური არა აქვთ, ჭამონ ფუნთუშა“, ფუშემ – „ეს უარესია, ვიდრე

რომლებიც ერთი წერილით და, მით უმეტეს, წიგნით ხდებიან ცნობილები. მერე ამ წიგნებზე იწერება სტატიები, იმართება დისკუსიები ტელეეკრანებზე და ბევრი წიგნი ბესტსელერად იქცევა. ვფიქრობ, გამოსახულების და შოუბიზნის საყოველთაო მბრძანებლობის ეპოქაში განსაკუთრებულად მისასალმებელია წიგნის და სიტყვის ამგვარი კულტი. მართლაც რომ, პირველად იყო სიტყვა...

მაგრამ დავუბრუნდეთ თავიდან ნახსენებ სტატიას: „დატკბი დაუბრკოლებლად“. ავტორი წერს:



Sophiko Chiaureli (1937 - 2008)

დანაშაული, ეს შეცდომაა“, ტალიერანმა – „მათ (ბურონებმა) არაფერი არ ისწავლეს და არაფერი არ დაივიწყეს“, და ისევ ტალიერანის გამონათქვამი: „ბატონ შატობრიანს მიაჩნია, რომ დაყრუვდა, თუ მასზე არ ლაპარაკობენ“. 1974 წელს, საპრეზიდენტო დებატებისას, ფისკარ დ'ესტენმა უთხრა მიტერანს: „თქვენ არ გაქვთ მონოპოლია გულზე“, და ფრანგები თვლიან, რომ ამ ფრაზამ მოაგებინა ფისკარს არჩევნები. ისევე როგორც, 1988 წელს, ასევე დებატებისას, შირაქმა უთხრა მიტერანს: „დღეს არც თქვენ ხართ პრეზიდენტი, არც მე – პრემიერ-მინისტრი. ამიტომ ნება მომეცით, მოგმართოთ – ბატონო მიტერან“, რაზეც მიტერანმა უპასუხა, „თანახმა ვარ, ბატონო პრემიერ-მინისტრო!“ ირონიით გამსჭვალული ფრანგები ამბობენ, რომ ამ ენამახვილობამ განაპირობა მიტერანის გამარჯვება.

სიტყვა რომ ფრანგებისთვის ბრძოლის და დარწმუნების მთავარი იარაღია, ამას დღევანდელობაც ადასტურებს: დღეს საფრანგეთში წერს ყველა, პოლიტიკოსები, მსახიობები, საზოგადო მოღვაწეები თუ სხვა ცნობილი ადამიანები, წერენ არაცნობილები,

„ჰიპერთანამედროვე ადამიანი, რომლის არსებობის მიზანია ყოველთვის ჰქონდეს მეტი და განსაკუთრებული, ვალდებულია ტკებოდეს. უცილებლად. ყველაფრით. არაფრით... თავისი ბედნიერებით, და ხანდახან, თავისი უბედურებით, რათა თავი დააღწიოს მას. დაიკმაყოფილოს სურვილები, მოიხმაროს. შენ შეგიძლია მიიღო ის, შეიბრალო, შეებრძოლო, „ჰიპერთანამედროვე“ არსებობს თავის „უფრო მეტი ღირებულების“ მოპოვების სამყაროში, მღელვარების გამწვავების ატმოსფეროში, რომელიც თან ახლავს ამ „უფრო მეტი ღირებულების“ ძიებას.“

ფსიქოანალიტიკოსი შარლ მელმანი ხატავს ოცდამეერთე საუკუნის დასავლელი ადამიანის პორტრეტს: „ვიცნობ მოძრაობს უკომპასოდ, არ მიდის არავითარ დათმობაზე, გმობს უკანდახევას, უწონადი არსება, დღეს გამარჯვებული ლიბერალური საზოგადოების პროდუქტი, ის აღმოცენდა ორი კულტურის შეჯახების ნიჟარაზე, ერთისა, რომელიც ემყარებოდა სურვილთა დათრგუნვას და წარმოშობდა ნევროზებს და მეორისა, რომელიც გვირჩევს მათ თავისუფალ გამოხატვას. ამ არსების დევიზია:

გინდოდეს ყველაფერი, ამ წუთას, აქ და ყოველთვის, და განუსაზღვრელი რაოდენობით.

თავს ნუ მოიტყუებთ, განსაკუთრებულისკენ მიდრეკილება თავისთავად გულისხმობს სიამოვნების მიღების სიძნელეს. მარკეტინგის (ანუ ყიდვა-გაყიდვის) ცივილიზაცია მიმართავს ჩვენს მიდრეკილებებს ტკობის უამრავი ობიექტისკენ (ნაწარმი, სამსახური, დანინაურება), და ეს ლტოლვა ტკობისკენ არის თავისთად ბიძგი დაუკმაყოფილებლობისკენ. ეს ყველაფერი იწვევს დეპრესიულ მდგომარეობას, რომელიც ყველას განგვი-

პიერ დე კუბერტენი ამბობდა: თხილამურებით სრიალი იქნებ არ არის ნამდვილი ბედნიერება, მაგრამ ის მას ძალიან ჰგავს. ლადო (მესხიშვილი) ხშირად იმეორებდა ამ სიტყვებს პატარა კორექტივით: კუბერტენი ამბობს, რომ თხილამურებით სრიალი ძალიან ჰგავს ბედნიერებასო, მე კი ვფიქრობ, რომ ის არის ნამდვილი ბედნიერება. და მე სრულიად ვეთანხმებოდი კუბერტენის თუ ლადოს ამ განცდას: მართლაც ბედნიერება ხომ სხვა არაფერია, თუ არა გრძნობათა სისავსე და სიმძაფრე, და სწორედ ეს გრძნობები გიპყრობს, როდესაც

თებს... თუმცა, განცდა იგივე იყო თბილისშიც, თელავშიც, ბათუმშიც, ყველგან, სადაც კი მითამაშია ეს უმშვენიერესი თამაში, რომელიც არსებობს წესებსაც გთავაზობს: ანუ ელევანტურობას, წესიერებას, მონიშნულმდგის პატივისცემას, სილამაზისკენ სწრაფვას. და კიდევ ერთი: ბულონის ტყის განაპირას გაშენებული ლონგმანის კლუბი კი იწვევს ჩემს ალფრთოვანებას, მაგრამ ნამდვილი სინაზით მიყვარს თბილისში, მტკვრის სანაპიროზე დინამოს საკმაოდ მოძველებული და მოუვლელი კორტები (თანხების სიმცირის გამო), ჩვენი „სენიორთა“

რაზე ფიქრობდა ანა, როდესაც წერდა:
„მიჯნურმა ჩემმა ჩემს მტარს ბაღის ქარი
ბაულო და შემოუძლვა ჩემს ნაღკოტში
მონურად, მღაბლად“... იღბა ამ ხატის უკან
რეალური პერსონაჟი, ან პერსონაჟები,
თუ ეს იყო პოეტის განხილვა ზოგადად
აღამიანურობისგან, ერთბაშისგან,
სიყვარულისგან?



ანა კალანდაძე, 2007

ცდია. და რაკი სამყაროში არაფერი იკარგება, აუცილებელი ხდება „კომპენსაციების ძიება“. ეს არის ტენდენცია, რომელიც გვაიძულებს დავრეკოთ ან გავგზავნოთ ესემესი, როცა არაფერი გვაქვს სათქმელი, ჩვენი დაუკმაყოფილებლობის გარდა“.

დღევანდელი დღის საკმაოდ შემაშფოთებელი სურათია დახატული, არა? და ჩვენც ხომ არ ვადგავართ ამ „სუპერთანამედროვე ადამიანის“ ჩამოყალიბების გზას? თუ ის უკვე ჩვენი საზოგადოების ორგანული ნაწილია?

კარგი განწყობის და სიხარულის ერთ-ერთი უებარი წყარო: ჩოგბურთი! ჩავენერე ერთ მშვენიერ კლუბში ბავშვობიდან საოცნებო ბულონის ტყის განაპირას და ვთამაშობ! შაბათ-კვირას და სხვა დღეებშიც, როცა ჩნდება ამის შესაძლებლობა.

და კორტებზე კი ნამდვილად ყველაფერი გავიწყდება, ასაკიც, ცხოვრებისეული სიძნელებიც, პირადი წუხილები და, წარმოდგინეთ, საერთო (ანუ ქვეყნის) ტკივილებიც კი, სულ ცოტა ხნით მაინც!

დგახარ კოხტის წვერზე, გაჰყურებ შენ წინ გადაშლილ, თითქოს მირაჟიდან ამოზრდილ კავკასიონს, სუნთქავ მთის მაცოცხლებელ ჰაერს და მერე ეშვები დაბლა იმისათვის, რომ რამდენიმე წუთში ისევ შეჯდეს საბაგიროზე და კვლავ მთელი არსებით შეინოვო მთის, თოვლის, მზის სამყარო, რომელიც იმ წუთს უკვდავებასთან გაზიარებს. ეს მაშინ იყო, იმ შორეულ დროში, როდესაც ბაკურიანი და თხილამურები ლადოს და ჩემი ცხოვრების უდიდეს ნაწილს შეადგენდა... ალბათ, უცნაურია, მაგრამ დღეს გრძნობათა ისეთივე სისავსის და ინტენსივობის განცდა მეუფლება ჩოგბურთის კორტზე! ხანდახან თვითონ მიკვირს, რა იწვევს ამ სიხარულს. ალბათ, აქ – ბულონის ტყე, იშვიათი გულმოდგინებით მოვლილი კორტები, კლუბის მარად მომღიმარი პერსონალი და ასევე მომღიმარი და კეთილგანწყობილი მოთამაშეები, და მერე – თვითონ მოედანი, ხანდახან კარგად დარტყმული ბურთი, მუდმივად – სწრაფვა უკეთესისკენ, სხეულის ფლობა და სირბილი, და – უსაათოდ ახალგაზრდული შემართება, რაც ყველა ასაკის მოთამაშეს ერთნაირად ახასია-

ანუ ასაკოვანთა კლუბი, თავისი მირიანით და ზაზათი, და ავთოთი, თავისი ტრადიციებით და ქართველებისათვის აუცილებელი აყალმაყალით, თავისი შეჯიბრებებით და მასთან დაკავშირებული ვნებათაღელვით! დინამოს კორტები, სადაც ოდესღაც არამ გერასიმოვიჩი (მეტრეველის და კაკულიას ბრწყინვალე მწვრთნელი) მისწორებდა დარტყმებს, სადაც ტარდებოდა უმაღლესი დონის შეჯიბრებები მეტრეველის და ნასტასეს მონანილოვით, სადაც ცხოვრების უდიდეს ნაწილს ატარებდნენ ჩვენი ოჯახის სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები, დიდი ლადოდან დანყებული პატარა ანამდე... და როდესაც ერთ დღეს გავრცელდა ხმა, რომ ვიღაცა ყიდულობს ამ ადგილს საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად და კორტებს სადღაც გარეუბანში გადაიტანენო, ნამდვილად გული გამიჩერდა! მაშინ თანამდებობის ერთ ჩემთვის ახლობელ პირს შეეჩვიე, ასეთი საშინელი რაღაც თქვეს-მეთქი, და მან კი ძალიან მშვიდად მიპასუხა: და რატომ უნდა იყოს ჩოგბურთის კორტები მაინცდამაინც ქალაქის შუაგულში, ასეთ მშვენიერ ადგილასო, არ სჯობს, გაიყიდოს და თანხა ქალაქის ბიუ-

პარიზული ჩანაწერები



საქათაქალი „სტიქსი“

ჯეტში შევიდესო! გამიკვირდა. ვერც კი წარმომედგინა, რომ პრობლემის ასე შემობრუნება შეიძლებოდა. საკითხის არსი ხომ ისეთი ნათელია! დიახ, კორტები სწორედ აქ უნდა იყოს, კარგ ადგილას, სანაპიროზე, იმიტომ, რომ ყველაფერი არ უნდა ექვემდებარებოდეს ყიფა-გაყიდვის კანონებს, იმიტომ, რომ კორტები და პატარა ტყის მსგავსი პარკი მის გარშემო ჰაერით სჭირდებათ ბავშვებს და უფროსებსაც, რომლებიც აქ მუდმივად დადიან, რომ ის,

ამ ბოლო დროს ამეკვიცა ფიქრები დაკარგულ დროზე, არა ფილოსოფიურ, არა პრუსტის მიერ უკვდავყოფილ, არამედ კონკრეტულად ყოველი ჩვენგანის მიერ დაკარგულ დროზე. და მენანება ეს დრო, რომელსაც დაუფიქრებლად ვკარგავთ, ვკარგავთ მუდმივად, ყოველდღიურად, (თუნდაც ზედმეტი, არააუცილებელი ძილის სახით), როცა ვიცით, რომ ის მიდის, და რომ სულ ჩქარა ჩვენ მასში აღარ ვიქნებით.



საქათაქალი „სტიქსი“

ამ ბოლო დროს ამეკვიცა ფიქრები დაკარგულ დროზე, არა ფილოსოფიურ, არა პრუსტის მიერ უკვდავყოფილ, არამედ კონკრეტულად ყოველი ჩვენგანის მიერ დაკარგულ დროზე. და მენანება ეს დრო, რომელსაც დაუფიქრებლად ვკარგავთ, ვკარგავთ მუდმივად, ყოველდღიურად, (თუნდაც ზედმეტი, არააუცილებელი ძილის სახით), როცა ვიცით, რომ ის მიდის, და რომ სულ ჩქარა ჩვენ მასში აღარ ვიქნებით.



საქათაქალი „სტიქსი“

უბრალოდ, ამშვენებს და ალამაზებს ქალაქს და, ბოლოს და ბოლოს, იმიტომ, რომ ეს თბილისის მშვენიერი ტრადიციაა, სილამაზის და კეთილშობილების დამამკვიდრებელი! ერთი რამ კი ნამდვილად ვიცი, თუ ოდესმე, სანამ ცოცხალი ვარ, ეს საკითხი მართლა დაისმება, მე პირადად ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ სანაპიროს კორტები თავის ადგილას დარჩეს.

მაია ფანჯიკიძემ, ჰოლანდიაში საქართველოს ელჩმა, მიმინვია ანა კალანდაძის და სოფიკო ქიაურელისადმი მიძღვნილ საღამოზე ჰააგაში. საღამო მოაწყო საქართველოს საელჩომ და ჰოლანდიაში არსებულმა ბაგრატიონის ფონდმა.

გულუბრყვილო ილუზიაა? ვნახოთ. მე არ დამიკარგავს რწმენა იმისა, რომ ყველა პროგრესული თანამედროვე ტენდენციების დანერგვასთან ერთად, თბილისი თავის განუმეორებელ ტრადიციულ სახესაც შეინარჩუნებს. ანუ იმას, რითიც ის მართლაც უნიკალურია მსოფლიოს უმშვენიერეს ქალაქებთან შედარებითაც კი.

პირველივე წუთებიდან – დადებითი ემოციები! ჩვენი საელჩო, მშვენიერი ჰოლანდიური სახლი – საქართველოს პატარა ნავთსაყუდელი ნიდერლანდებში. აქაურობას შემოკედლებული ადამიანები, დაკავებულნი თავისი საქმით და საქართველოს პროპაგანდით. მაია, უკვე ნამდვილი პროფესიონალი დიპლომატი და ენთუზიასტი, ნინო თარხანმოურავი და ეკა მხეიძე, ბაგრატიონის ფონდის ხელმძღვანელები, რომლებიც თარგმნიან ანა კალანდაძეს ჰოლანდიურ ენაზე(!), მაია ჩიჯავაძე, მხატვარი, დამკვიდრებული ამსტერდამში, ამ საღამოსთვის საგანგებოდ ჩამოსული გია ყანჩელი – მთელი ჩემი ცხოვრების თანამგზავრი, მისი მშვენიერი

ცხოვრება ეფემერულია, მაგრამ ის, რომ შენ გაიარე ეს ეფემერული ცხოვრება, არის მარადისობის ფაქტი.



საქათაქალი „სტიქსი“

მეუღლე – ლულა, ნიკუშა შენგელაია თავისი ოჯახით...

დარბაზში – ჰოლანდიელები და ქართველები. ბევრი კარგი სიტყვა, ბევრი ემოცია... ნინო თარხან-მოურავმა, რომელიც ჩვენი შესანიშნავი მხატვრის და ჩემი ძალიან ახლობელი რეჟისა თარხან-მოურავის შვილი აღმოჩნდა, წაიკითხა საინტერესო მოხსენება ანა კალანდაძის შესახებ და მისი ლექსების თარგმანები,

ლოდ ადამიანის) წალკოტში, და მაშინვე ირგვლივ ყველაფერი ქცნება და ხმება და ბოლო ეღება სულის მბრწყინავ ზეიმებს. „არ შეველ ტაძრად უწმინდური სადაც შევიდა“... რამდენი სიმწარეა ამ სიტყვებში! არა მგონია, რომ ანასთვის უწმინდური მტერია, ეს, ალბათ, მიჯნურია, რომელმაც მტერს გაულო ბალის კარი, ვინაიდან ლალატი ბევრად უფრო მომაკვდინებელია, ვიდრე მტრობა!

მიჯნურმა ჩემმა ჩემს მტერს ბალის კარი გაულო ... და შემოუძღვა ჩემს წალკოტში მონურად, მდაბლად. დაჭკნა შროშანი, გახმა ვარდი, დამდაბლდა დაფნა, მოელო ბოლო სულის ჩემის მბრწყინავ ზეიმთა. არ შეველ ტაძრად, უწმინდური სადაც შევიდა, მიჯნურმა ჩემმა ჩემს მტერს ბალის კარი გაულო.

ანას ეს სიტყვები და კიდევ ბევრი სხვა თან მდევდა მთელი დღე და განსაკუთრებით ზღვის პირას... ეს ჩრდილოეთის ზღვა



REUTERS

ბირმა, 2008

გია ყანჩელმა და მე ვილაპარაკეთ სოფიკოზე და ანაზე, წავიკითხეთ ანას ლექსები. აჩვენეს სოფიკოს შესანიშნავი ფოტოების ვიდეოკოლაჟი, სადაც მისი სილამაზე მართლაც გამოაგნებელია, და ნაწყვეტები ფილმებიდან. ...

„როდესაც გვტოვებს ის, ვინც თავისთავად ბრწყინვალეა, შენ წინ უფსკრული კი არ ითხრება, არამედ უეცრად წამოიშრება მწვერვალზე“, – ეს დაწერა ერთმა მარტინიკელმა მწერალმა ამ დღეებში გარდაცვლილ დიდ მარტინიკელ პოეტზე – ემე სეზერზე. „ზოგიერთების არსებობასთან დაპირისპირებისას, სიკვდილი სხვა არაფერია, აღმოჩენის გარდა და ეს მისი ერთადერთი გამარჯვებაა“.

ამ სიტყვებში დიდი და კარგად გამოთქმული სიმართლეა. ანა კალანდაძე დადუმდა და ეს სიჩუმე უეცრად აივსო მისი სტრიქონებით, მისი ტკივილებით და სიხარულით, მისი ნალღვლით. რაზე ფიქრობდა ანა, როდესაც წერდა: „მიჯნურმა ჩემმა ჩემს მტერს ბალის კარი გაულო და შემოუძღვა ჩემს წალკოტში მონურად, მდაბლად“... იდგა ამ ხატის უკან რეალური პერსონაჟი, ან პერსონაჟები, თუ ეს იყო პოეტის განხილვა ზოგადად ადამიანურობისგან, ერთგულებისგან, სიყვარულისაგან? ხატი კი უძლიერესია: მონურად, მდაბლად, ალბათ, წელში მოკაკული და თავნახრილი, ლალატის გზაზე შემდგარი მიჯნური უღებს კარს მტერს და შემოჰყავს პოეტის, (თუ უბრა-



REUTERS

ბირმა, 2008

პარიზული ჩანაწერები

როგორ გადავარჩინოთ რაღაც ამ დროიდან, რომელმაც არასდროს აღარ ვიქნებოთ. ეს ადამიანის მარადიული ფიქრებია და ამ ფიქრებიდან ჩნდება სწრაფვა დროის შეჩერებისა. „შეჩერდი, წამო, მშვენიერი ხარ!“ – ამას ღიმილი მხარავს მოითხოვდა. და თუ ჩაუღრმავდება, შეჩერების ღირსია ყველა წამი, ისიც, რომლის რაღაც მნიშვნელობით არის სავსე, და ისიც, რომელმაც არაფერი არ ხდება, სულ არაფერი, უბრალოდ – წვიმიან დარბაზში მზის სხივის ერთი ბაეღვება, ან სულაც პირქუში, ღრუბლიანი ღლი, მაგრამ ის მაინც უმალღესი მნიშვნელობით არის სავსე, რადგანაც ამ ღლიში ხარ შენ!



ვლადიმერ ნაბოკოვი, 1947



მიტარანის მუშა და ნიელი, „ღამაღლი სიყვარული“ ან კენტი და უკანონო შილი გაზარინი მიტარანის დასაფლავებაზე, 1995

რატომღაც უფრო უსასრულო მეჩვენა და უფრო იდუმალი. აქ სივრცეს, მართლაც, არა აქვს საზღვარი... ტალღები წარმოიქმნება შორს, ძალიან შორს და მწყობრად განლაგებულნი, თეთრი, მოძრავ ზოლებად მოქრის ნაპირისკენ.....აღბათ, ასეთ ზღვაზე აქვს ნათქვამი პასტერნაკს:

Передо мною волны моря.
Их много. Им немислим счет.
Их тьма. Они шумят в миноре.
Прибой, как вафли, их печет.

Гуртом, сворачиваясь в трубки,
Во весь разгон моей тоски
Ко мне бегут мои поступки,
Испытанного гребешки.

დიდი ხანია მივხვდი, ჩემი სამყაროს აღქმა ყველაზე მეტად ზღვასთან არის დაკავშირებული. მიყვარს ის, რაც მუდმივად ცვალებადია და წარმავალი. არასდროს არ მხიბლავდა არაფერი, რასაც აზის მარადი-

სობის დაღი. ახლა დავდივარ ამ ცივ და ოქროსფერ ქვიშაში და უცებ სულ სხვა ზღვა მიდგება თვალნი. და სულ სხვა, ცხელ და მშობლიურ ქვიშაში მეფლობა ფეხი. ღიძავა. ჩემი ღიძავა. ამას ოდესღაც ახალგაზრდული მიამიტობით ვწერდი:

ღიძავა ჩუმი, ჩუმი ღიძავა,
ნაძვების ჩერო,
აღბათ შავი ზღვა შენი ძიძა,
ღიძავა ჩემო...

შეხედე, ტყეა ღამეზე შავი,
ბნელი და ქუში,
მერე ზღვა დგება და ჩუმი თრთოლვით
შენ, მე და ღიძავას გვიხუტებს გულში.


ღიძავა. ბიჭვინთა. ახალგაზრდობა. სიყვარული. ტკივილი – პირადი, გადაჯაჭვული საერთოსთან. შეუძლებელია, იმ სანაპიროზე კიდევ ერთხელ არ გავიარო. იმ ზღვაში არ შევცურო. მიყვარს ის ზღვა, ჩვენი, „შავი“ და მაინც მყუდრო, და არა ეს, უსასრულობაში გა-

ჭრილი და გაყინული. და პასტერნაკიც ჩვენს ზღვაზე წერდა! მართალია, არა ღიძავის, არამედ ქობულეთის სანაპიროზე, მაგრამ ამას ნამდვილად არა აქვს მნიშვნელობა. ორივე შავი ზღვის სანაპიროა და ორივე – ჩვენი!

ამ ბოლო წლებში გია ყანჩელს ევროპის სხვადასხვა ქალაქებში ვხვდები და ეს ყოველთვის სიხარულით მავსებს! გია – გარეგნულად ჯმუხი, უკარება, მაგრამ როცა მიუახლოვდები, თბილი და იუმორით სავსე.

ხელში მიჭირავს ასეთი პრეს-რელიზი იერუსალიმიდან: განათლების მინისტრმა, ვოლფის ფონდის თავმჯდომარემ, პროფესორმა იული თამირმა გამოაცხადა, რომ მსოფლიო მუსიკის ორმა გამოჩენილმა პიროვნებამ, ქართველმა კომპოზიტორმა გია ყანჩელმა და იტალიელმა დირიჟორმა კლაუდიო აბადომ, გაინაწილეს 2008 წლის ხელოვნების პრიზი (100,000 დოლარი).

>>> ბაზრქილება გვ. 196



აღაიანი თავის აღბილას

ავტორი: ნინო ბაქიშვილი

ფოტო: ლევან ხარხაულიძე, მიზა მინდაძის პირადი არქივი

მიზა მინდაძე რომ გავიცანი, კიდევ ერთხელ დამწყდა გული და შემშურდა მისი ყოფილი და ახლანდელი მოსწავლეებისა – სკოლაში არასდროს მყოფი საყვარელი მასწავლებელი. ალბათ, ამიტომაცაა, დღემდე არ მიყვარს სკოლა. ხანდახან, როცა ჩემს სკოლასთან მიწევს ხოლმე ჩავლა, გული უსიამოვნოდ მეკუმშება. ეს შენობა ჩემთვის ყრუ და მკვდარი კედლებია, საიდანაც ყრამული კი ისმის ხოლმე, მაგრამ სიცოცხლე და ცოცხალი ურთიერთობები, მგონია, რომ დღესაც ისევე არ არსებობს, როგორც მაშინ, ჩემს ბავშვობაში. ამაზე პატარაობისას ბევრი არ მიდარდია, სკოლის გარეთ ნამდვილად მყავდა კარგი მასწავლებლები, მაგრამ ხომ შეიძლება იქაც ყოფილიყვნენ? ჰოდა, როგორც ჩანს, სწორედ ამიტომ ამიჩუყა გული ამ უცნაურმა და დაუდეგარმა კაცმა – მიზა მინდაძემ.

მიზა მინდაძე თვლის, რომ სწორედ სკოლაში იპოვა საკუთარი თავი და დღესაც იქაა – უკვე წელიწად-ნახევარია თბილისის ყველაზე დიდი, 161-ე სკოლის დირექტორია. თავად რომ ჰკითხოთ, გიპასუხებთ, რომ მისთვის ყველაზე საუკეთესო პროფესია საგნის მასწავლებლობა და კლასის დამრიგებლობა იქნებოდა. ცოტა ბავშვია, ადმინისტრაციული და ბიუროკრატიული საქმეები არ განუხებს, ხარ ბავშვებთან, გიყვარს და ისინიც სიყვარულით გპასუხობენ, ასწავლი და მათგანაც სწავლობ! ამგვარი ფუფუნების საშუალება დღეს მიზა მინდაძეს არა აქვს, ახლა სხვა საქმე აქვს გასაკეთებელი – ოდესღაც არსებული საბჭოთა სკოლა ქართულ სკოლად უნდა აქციოს, უნდა გააცოცხლოს. რაც იცის, მარტო ბავშვებს კი არა, მასწავლებლებსაც უნდა ასწავლოს. უნდა შექმნას პრეცედენტი იმისა, რომ ჩვეულებრივმა, უფასო საჯარო სკოლამ ბავშვებს კარგი განათლებაც მისცეს და თავისუფალი აზროვნება ასწავლოს.

„– ამას წინათ, ერთი ახლობელი იყო სკოლაში მოსული. განათლების მუშაკია. ვისაუ-

ბრეთ, ვილაპარაკეთ იმაზე, რაც ამ წელიწად-ნახევარში გავაკეთეთ და თვითონ დავრჩი გაკვირვებული, თურმე, რამდენი რამ გაკეთებულია. განათლების კანონის კარგად ცოდნა ბევრ შესაძლებლობას გვაძლევს. ვაკეთებთ იმას, რასაც სხვა სკოლებში, უბრალოდ, ვერ ბედავენ, ეშინიათ, ყოყმანობენ. გადაჩვეულები არიან თავისუფლებას, არ იციან ამ თავისუფლების გამოყენება. ინსტრუქციებს ელოდებიან. განათლების კანონი, რომელზედაც მეც მომიწია მუშაობა, უპირველესად, იმას საშუალებას გვაძლევს, რომ თავისუფლების უფრო მაღალი ხარისხი გვექონდეს. მაგალითად, მეთერთმეტე კლასელები აქ კი არა, თბილისის არც ერთ სკოლაში არ დადიან, აცდენენ. ურიგდებიან მასწავლებლებს, მოდიან, წერენ საკონტროლოებს, მიდიან და ფაქტიურად, სასწავლო პროცესი თითქმის ყველგან ჩაშლილია. აქ ვცდილობთ შეცვალოთ სიტუაცია. თითოეულ მეთერთმეტე კლასში შევედით და ვესაუბრეთ ბავშვებს; გავარკვიეთ, ვის რომელი საგანი აინტერესებდა და კლასები ასე, ინტერესების მიხედვით დავყავით. გაუძლიერეთ რაღაც საგნები, საათების რაოდენობა გავზარდეთ. ქართული და ინგლისური უკლებლივ ყველას სჭირდება, ზოგს მათემატიკა უფრო აინტერესებს, ზოგს ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო საგნები. საათების გაზრდამ მოგვცა შესაძლებლობა, მაქსიმალურად დაგვეტვირთა ამ სკოლის მასწავლებლები და მოგვეყვანა ახლებიც.

მართლაც, კარგი პედაგოგები მოვინვეით. ის პედაგოგები, ვისთან ერთადაც მიმუშავია, ვისაც კარგად ვიცნობ. ჩვენი მცდელობა დაინახეს ბავშვებმა და სკოლაში სიარული დაიწყეს. შედეგი იმისა, თუ რა ისწავლეს, ვერ არ არის, მაგრამ დადიან სკოლაში, ინტერესი გაუჩნდათ. ახლა ჩემი მიზანია, განბილებულები არ დარჩნენ. მათ უკვე დაინახეს განსხვავება დამოკიდებულებაში და ეს უკვე მიღწევია. უფროსკლასელებთან გაცილებით ძნელია, მათ უკვე რაღაც სტერეოტიპები



აქვთ ჩამოყალიბებული. პატარებთან უფრო იოლია. მათი ინტერესების გათვალისწინებით ვაყალიბებთ სპორტულ კლუბს, ამხელა სპორტული ბაზაა და თითქმის ცარიელია სკოლა სამი საათის შემდეგ. გვექნება მხარეთმცოდნეობის კლუბი, წავლენ ექსკურსიებზე. ჩვენში, ექსკურსიებზე ძირითადად, საქეიფოდ დადიან ხოლმე, კი ბატონო, იქეიფონ კიდევ, არაფერი მაქვს სანინალმდეგო, მაგრამ, ის,



რაფორბატორი სკოლის დირექტორი მიხა მიხაძე

რასაც ნახავენ, მერე უნდა განიხილონ, უნდა ისაუბრონ. ვაკეთებთ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სტუდიას. ნელ-ნელა ლაგდება ყველაფერი. დიდი სკოლაა, ძნელი არ არის, ოღონდ დრო უნდა.

დღეს სკოლებში რთული მდგომარეობაა. ჩემი მოსწავლეობის დროს, მოტივაციაც ჰქონდათ და მართლაც, შესანიშნავი პედაგოგები იყვნენ სკოლაში. ჩემი კლასის და-

მრიგებელი, ვანო ფანჯიკიძე, გასაოცარი კაცი იყო. სკოლის დამთავრების შემდეგაც ხშირად ვნახულობდით. ბევრი რამ მოგვცა, როგორც მზრუნველი მამა, ისე გვედგა გვერდით. ბუნებრივია, კარგი მასწავლებლები ყველა თაობაში იყვნენ და არიან, მაგრამ სკოლაში ისინიც მოხდნენ, ვინც სხვაგან ვერსად იშოვა სამსახური. იმათ სკოლა ეზიზღებოდათ და იძულებული იყვნენ, ემუშა-

ვათ, სხვაგან არსად ივარგეს და სადმე ხომ უნდა დასაქმებულიყვნენ? ძალიან ბევრი სოფლიდან ჩამოვიდა, ადრე სოფლიდან ისინი მოდიოდნენ, ვისაც სოფლის ასპარეზი არ ჰყოფნიდა, კაცი რომ ტოვებდა სოფელს, სოფელი ტირილით აცილებდა. დღეს ბევრი შემთხვევითი ადამიანია სკოლაშიც და სხვაგანაც, ამან ბევრ რამეზე იმოქმედა, ამან შექმნა უგემოვნო ტელევიზია, უხარისხო გაზე-



ეს ბავშვები სრულ ნიჰილიზმში არიან ბაზრდღილები, ვერ ბიტანენ და სრულიად მართლები არიან. ჩვენ ვართ დამნაშავენი, ბავშვები უდანაშაულონი არიან. თანას, ამას ვერ ვახსოვნიარაბთ, ისევ ბავშვებისკენ ვიხვერთ ხელს. მათ ჩვენი ნდობა აქვთ დაკარგული – ეს ეხება მშობლებს, მასწავლებლებს, მთელ საზოგადოებას.

თები. ის უხამსობა და უკულტურობა, რაც ტელევიზიიდან ჩანს, აქ, სკოლაში პირდაპირ, ზედაპირზე ძვეს. გოგონები ხანდახან ისეთი ჩაცმულები მოდიან, ლილიპუტების ცირკში მგონია თავი. სხვა ათასი პრობლემაცაა: მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლები ძირითადად აგვყვენ და მხარში დაგვიდგნენ, მაინც დაგვჭირდა მასწავლებლების მოწვევა, ძირითადად „გერმანული სკოლიდან“, მათი, ვისაც ვიცნობ და ვენდობი. ჩვენი მასწავლებლები კლასის კარს რომ მოიხურავენ, მშვიდად ვარ. ძალიან მინდა ის გამოცდილება, რაც იქ გვექონდა, გადმოვიდეს საჯარო სკოლებში. უპირველესად, არა პროგრამა, არამედ, სწორი დამოკიდებულება.”

ბატონმა მიშამ მითხრა, რომ მას ცხოვრებაში საოცრად უმართლებს – საჭირო დროს ყოველთვის ხვდება ერთგულ და კარგ ადამიანებს. გაუმართლა სულ თავიდანაც, როცა ძალიან თბილ გარემოში გაიზარდა. არადა, თითქოს ასე არც უნდა ყოფილიყო – მისმა მშობლებმა საკუთარ თავზე გამოსცადეს 30-40-იანი წლების მთელი სიმძიმე. დედამისი, მერი ჯუღელი პატარა დაობლდა, მამამისი თბილისის მერი გახლდათ და 1935 წელს კაბინეტში მონამლეს, 37-ში დაიჭირეს დედამისის დედაც და დახვრიტეს, თორმეტი წლის მერი კი სახლიდან გამოასახლეს. საშინელი



დრო იყო, ხალხის მტრის შვილები სკოლაში ცალკე რიგში ისხდნენ. ამ ყველაფერს მართო დარჩენილმა გოგონამ გაუძლო, ისწავლა და ძალიან მაღალი რანგის ექიმი, თერაპევტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გახდა. ბატონი მიშას მეორე ბაბუა ტყეში ემალეობდა კომუნისტებს. ამ მძიმე წლებამოვლილმა ადამიანებმა შვილები სითბოთი და სიყვარულით გაზარდეს. გაუმართლა მაშინაც, როდესაც ბატონი გურამ რამიშვილი გაიცნო, კაცი, ვინც საბჭოთა დროს შეუძლებელი შეძლო – დამოუკიდებელი და თავისუფალი ქართული სკოლა დააარსა.

„– დღევანდელი მოზარდების თაობა პრინციპულად განსხვავდება ჩვენგან, არა იმიტომ, რომ ბავშვია სხვანაირი. იმიტომ, რომ ესენი სხვა პირობებში გაიზარდნენ. ჩვენ უბედურესი ბავშვობა გვექონდა. ჩვენი მშობლების თაობამ რა არ გამოსცადა საკუთარ თავზე – 37-იანი წლები, სამამულო ომი... გაჭყლეტილები, დაჩაგრულები იყვნენ და უცებ, მშვიდობიან პერიოდში გაუჩნდათ შვილები. მიუხედავად ამისა, მოახერხეს და ყველაფერი მისცეს შვილებს – თავისუფლება, დიდი სითბო და სიყვარული. მატერიალურ კეთილდღეობას არ ვგულისხმობ. მაშინაც უჭირდა ხალხს, მაგრამ მთავარი ნამდვილად არ გვაკლდა. დღევანდელმა თაობამ ომი ნახა, ნახა საშინელი 15 წელი, ისეთი წლები, რაც მაშინ,

სამამულო ომის დროსაც კი არ გადახდენია საქართველოს, ნახა სამინელი რღვევა, ხოცვა და ნგრევა... და ისინი ნელ-ნელა გაემიჯნენ უფროსებს, გაგვიუცხოვდნენ, ეჭვის თვლით გვიყურებენ. დღეს შეიქმნა ორი საქართველო – ბავშვების და უფროსების. არა პოლიტიკურად, არამედ, სწორედ ასაკობრივი ნიშნით დაიყო ქვეყანა. ეს ბავშვები სრულ ნიჰილიზმში არიან გაზრდილები, ვერ გიტანენ და სრულიად მართლები არიან. ჩვენ ვართ დამნაშავენი, ბავშვები უდანაშაულონი არიან. თანაც, ამას ვერ ვაცნობიერებთ, ისევ ბავშვებისკენ ვიშვრთ ხელს. მათ ჩვენი ნდობა აქვთ დაკარგული – ეს ეხება მშობლებს, მასწავლებლებს, მთელ საზოგადოებას. ნდობის დაკარგვა ადვილია, აღდგენა – ძალიან ძნელი. ადვილად აღსაზრდელი ბავშვი საერთოდ არ არსებობს, ბავშვის გაზრდა ძნელია. აქ, ამ სკოლაში მძიმე სოციალური ფონია, ეს ხომ ჩვეულებრივი სკოლაა, უბანს ემსახურება. არიან მოსწავლეები, რომლებსაც არავინ ჰყავთ, ერთს საერთოდ მეზობლის ქალი უფლის, დედა რუსეთშია წასული. არიან ბავშვები, ვისაც არა აქვთ სახლი, არიან ისეთებიც, ვისაც უბრალოდ, შიათ. ხანდახან ვფიქრობ, ხუთი-ექვსი ბავშვი რომ არ იყოს, სკოლაში გაცილებით მშვიდი სიტუაცია იქნებოდა. სად გავყარო ეს ბავშვები? შეიძლება, ძალიან ამბიციურად უღერს, მაგრამ ვინ მოუვლის ჩემზე უკეთ? რომ ვიცოდე, ასეთი ბავშ-

ვებისთვის არის რალაც სპეციალიზირებული სკოლა, სადაც აღზრდიან, არაფერს დაუშავენ, ადამიანებად აქცევენ, კი ბატონო, მაგრამ ასეთი რამ, სამწუხაროდ, ჯერ არ არსებობს.”

ბატონი მიშას ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ახალ სკოლაში სწორედ ესაა – ნდობის მოპოვება. ბავშვს უნდა სჯეროდეს მასწავლებლის, უნდა ენდობოდეს მას. ამ ნდობის მოსაპოვებლად დირექტორი ხშირად ესაუბრება ბავშვებს. როგორც კი რომელიმე კლასში გაკვეთილი ცდება, თუ დრო აქვს, მაშინვე შედის და ელაპარაკება. ხანაც, ვისაც სჭირდება, ცალკე იბარებს თავისთან, კაბინეტში და იქ საუბრობენ. ბავშვებს თავიდან არ სჯეროდათ, უნდობლად უყურებდნენ, ნელ-ნელა მოდიან კონტაქტზე. ერთ-ერთის მშობელი დაუბარებია, და ძალიან წუხდა, სულ თავბედი ვინყევლე, იმიტომ, რომ მივხვდი, ჩემგან რომ გაიყვანდა მამა შვილს, აუცილებლად სცემდა. ეს კაცი რომ ადრე მცნობოდა, სკოლაში როგორ დავიბარებდი, ისეთიც არაფერი დაუშავებია მის შვილსო.

„– შევდივარ ყველა კლასში და ველაპარაკები. იმაზე, რაც მანუხებს, რაც არ მომწონს, იმაზეც, რაც მიხარია. ბავშვებთან არ უნდა დამალო არაფერი, უფროსი ვარ და უნდა ვარეგულირო ჩემი სიბრაზე, მაგრამ რომ გავბრაზდი, ეს უნდა დაინახოს ბავშვმა, რომ გამიხარდება, ისიც უნდა დაინახოს. ბავშვი ვგრევე ხვდება სიყალბეს. ის ჩემნაირი

ადამიანია, პატარაა, მაგრამ ჩემნაირია, გამოცდილება აქვს ნაკლები. ესაა ჩვენს შორის განსხვავება. მიჭირს, მაგრამ ნელ-ნელა ვაგებინებ, რომ საკონტროლო იმისთვის კი არ მინდა, რომ რაიმეში გამოვიჭირო, არამედ, იმისთვის, რომ გავიგო, სად უჭირს, რომ მერე უკეთ დავეხმარო... ეშინიათ, არ მენდობიან. ამ სკოლაში მე მივდივარ ბავშვებთან, იქ, „გერმანულ სკოლაში“ ბავშვს რომ სჭირდებოდა, თვითონ მოდიოდა ჩემთან, მენდობოდა.. ბავშვებს სულ ვატარებდით ექსკურსიებზე. ვთვლი, რომ აღზრდის უმნიშვნელოვანესი ნაწილია ეს გასვლები. იმიტომ, რომ ერთია კლასი, სადაც კეთდება საქმე. მეორე, როცა ურთიერთობ საკლასო ოთახს გარეთ. ეს ის გარემოა, სადაც ბავშვმა უნდა გამოავლინოს თავი და შენც გაგიცნოს, უნდა დაგინახოს, შენც ცოცხალი ადამიანი ხარ – ხან ძლიერი, ხან არც ისე. ორი ადამიანის ურთიერთობაა, ამას ემატება ერთად ყოფნის სიხარული, ბევრი რამის ნახვა, ემოციები, მხიარულება...“

თურმე, 161-ე სკოლის მოსწავლეთა მშობლები ძალიან გაკვირვებული დარჩნენ, როცა უფროსკლასელებმა რალაც დაამავეს და ახალმა დირექტორმა მათ კი არ უყვირა, მუშტი კი არ უბრაზუნა და დაემუქრა, უბრალოდ, დაისვა და დაელაპარაკა. ჩვენთან ბავშვებიც და მშობლებიც შეჩვეულნი არიან ამას – შეურაცხყოფის მიყენება ესმით, როგორც დასჯა,



ისტორია

მხოლოდ ყვირილის და მუქარის ემინიათ და ამას მოელიან დორექტორისგან. ასეთი სტერეოტიპია, რას ვიზამთ. ეს სტერეოტიპი ახლა არ გაჩენილა. დიდი ხანია, საქართველოში ასე ფიქრობენ ბავშვებიც და უფროსებიც. მიშა მინდაძე ამ სტერეოტიპს პირველად ოცი წლის წინ შეეჯახა, როცა მისი პირველკლასელი გოგონას მასწავლებელმა უთხრა – ბატონო, თქვენი შვილი არაფერს აკეთებს სკოლაში, მარტო ზის და ხატავსო. რა უნდა გაეკეთებინა წლის ბავშვს, სექტემბერში გაკვეთილზე? წერა ჯერ არ იცოდა, ალბათ, მასწავლებელი უინტერესოდ ყვებოდა და ფიქრებში გართულმა, ხატვა დაიწყო. სწორედ მაშინ გადაწყვიტა ბატონმა მიშამ, რომ რაღაც აუცილებლად უნდა ელონა. დასხდნენ გურამ რამიშვილი, ნინო რამიშვილი, კოტე გაბაშვილი და მიშა მინდაძე და გადაწყვიტეს, სკოლა გაეკეთებინათ. სკოლის იდეის ავტორი და სულისჩამდგმელი გურამ რამიშვილი გახლდათ, სწორედ მან დაარწმუნა ბატონი მიშაც და სხვებიც, რომ სკოლაში წამოსულიყვნენ. დამოუკიდებელი სკოლის შექმნა საბჭოთა კავშირში დაუჯერებელიც კი იყო, მაგრამ დაინყეს. დაინყეს და გამოუვიდათ კიდეც.

იმ დღიდან რადიკალურად შეიცვალა ბატონი მიშას ცხოვრება. ფიზიკოსი, ბიოფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, ვინც აპირებდა სამეცნიერო კარიერას გაჰყოლოდა, უცბად სულ სხვა გარემოში – ბავშვებთან აღმოჩნდა. თავიდან 51-ე სკოლაში ჰქონდათ ერთი ოთახი და მხოლოდ რვა მოსწავლე ჰყავდათ, წლის ბოლოს მათთან სამოცდაცამეტი მოსწავლე სწავლობდა. ორი წლის შემდეგ – ორიათასი ბავშვი. ასე შეიქმნა ის სკოლა, თბილისში ყველა „გერმანული სკოლის“ სახელით რომ იცნობს. თუმცა, ეს სკოლები გერმანული არასდროს ყოფილა. უბრალოდ, გაძლიერებულად ისწავლებოდა გერმანული ენა და ეს სახელიც იმიტომ დამკვიდრდა. მაშინ, საბჭოთა კავშირის დროს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ერთადერთი ევროპული ქვეყანა იყო, რომელთანაც ცოცხალი ურთიერთობა შეიძლებოდა, სადაც ახალგაზრდას სწავლა და განათლების მიღება შეეძლო. თანაც, იმ დროს თბილისში უკვე იყვნენ აღმოსავლეთ გერმანიაში განათლება მიღებული, ენის კარგად მცოდნე ადამიანები და სწორედ ისინი მიიწვიეს მიშა მინდაძემ და მისმა კოლეგებმა ახალ სკოლაში.

„– მაშინ, საქართველოში ქართული სკოლა არ არსებობდა, ადამიანი, პიროვნება იქ არავის აინტერესებდა. არ არსებობდა ქართული, ორიგინალური სახელმძღვანელოები. ერთადერთი, რაც ქართულ სკოლას განასხვავებდა დანარჩენი საბჭოთა სკოლებისგან, ეს იყო – ქართული ენა და ლიტერატურა და საქართველოს ისტორია ისწავლებოდა, მაგრამ ისიც სტანდარტულად, ჩარჩოებში. სხვა საგნებს საბჭოეთის ყველა რესპუბლიკაში ერთნაირად ასწავლიდნენ. მაგალითად, ფიზიკა ქართულად ისწავლებოდა, მაგრამ ცუდად ნათარგმნი, უინტერესო ნივით. ამ ჩარჩოების გარღვევა გვინდოდა. იმ დროს სკოლა სრულიად უუფლებო იყო, მასწავლებელს ვერ მიიღებდი, თუ სამინისტროდან არ დანიშნავდნენ. არაფერს ვამბობ ფინანსურ მხარეზე. ჩვენ რამდენიმე პრინციპი ჩავდეთ – უპირველესად, შევეცადეთ, რომ ინდივიდი დაგვენახა თითოეულ მოსწავლეში. მოვიწვიეთ მაღალი რანგის სპეციალისტები, უნივერსიტეტის თანამშრომლები, მოვიწვიეთ მამაკაცები. როგორც დედ-მამა სჭირდება ბავშვს ოჯახში, ასევე სჭირდება ქალი და კაცი მასწავლებელიც. მაშინ მასწავლებლობა არაპრეს-



ტიჟული პროფესია იყო. მაგრამ მალე ჩვენს სკოლაში მუშაობა გარკვეული წრის და ფენის ადამიანებისთვის სასიამოვნო და პრესტიჟულ პროფესიად იქცა. ძალიან ბევრმა გააცნობიერა, რომ მასწავლებლობა ქვეყნისთვის მსახურებაა, რომ განათლება ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ იმ ხალხისთვის გავაკეთეთ სკოლა, ვისაც არ შეეძლო ქრთამის მიტანა სკოლაში. არ შეეძლო იმიტომ, რომ არ ჰქონდა და ისედაც, მორალურადაც არ შეეძლო ამის გაკეთება. აღმოჩნდა, რომ იმაზე მეტია ასეთი ხალხი, ვიდრე ჩვენ გვეგონა. ბევრჯერ მშობლებმა გადაგვარჩინეს. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, გვერდით გვედგა მაშინდელი ცუკას მდივანი გურამ ენუქიძე. ხმამაღლა ამის თქმას ერიდებოდნენ, მაგრამ ჩუმად რაც შეეძლოთ, ყველაფერს გვიკეთებდნენ. ერთია თანამდებობრივი პასუხისმგებლობა, მეორე – ადამიანური. ისინიც ხვდებოდნენ, რომ კარგ საქმეს ვაკეთებდით.

თავიდან ყველანი თანაბრად ვმუშაობდით, უბრალოდ, მე ყველაზე ადრე დავანებე თავი სამსახურს და ამიტომ გავხდი დირექტორი. გვექონდა სიძნელებიც, ტრაგედია – ვაკო დვალისვილის სიკვდილმა დაგვანგრია. სკოლები რომ დაიყო, მშვიდად ვიყავით. ვიცოდით, პეტრიაშვილზე სკოლას ვაკო დააყენებდა ფეხზე. მისი სიკვდილის შემდეგ, უზარმაზარი ვაკუუმი გაჩნდა, პატრიაშვილზე ერთ წელიწადში სამი დირექტორი მოვიდა და წავიდა, მართლა ძალიან გაგვიჭირდა. ბუნებრივია, გვექონდა შეცდომებიც, არ გვიფიქრია ადმინისტრირების გამართულ სისტემაზე. დღეს ჩვენი სკოლების ყოფილ მოსწავლეთა შორის ბევრი ძალიან წარმატებული და ცნობილი ადამიანია, რაც ძალიან მახარებს. სამწუხაროდ, ბოლო წლებში იფიქრეს, რომ სკოლის დირექტორი შეიძლება იყოს ნებისმიერი ადამიანი, ვინც მენეჯმენტში ერკვევა. არადა, ეს ნამდვილად არ არის სამეურნეო თანამდებობა. რასაკვირველია, ამ ყველაფერში სკოლის დირექტორი უნდა ერკვეოდეს, მაგრამ მას, უპირველესად, ბავშვი და სკოლა უნდა უყვარდეს. უნდა შეეძლოს ურთიერთობები მშობელთან, მასწავლებელთან, ურთიერთობის აწყობის უნარი სკოლის დირექტორად მუშაობისას გადამწყვეტია. თავის საგანში შეიძლება არც იყოს ყველაზე მაგარი მასწავლებელი, მაგრამ პედაგოგი კი ნამდვილად უნდა იყოს. და მთავარი – დირექტორიც და მასწავლებელიც, თვითონ უნდა იყოს ბავშვი, არ უნდა ჰქონდეს დაინყებულობა ბავშვობა. უნდა შეეძლოს, გაბავშვდეს, კი არ გაიდიოტდეს, გაბავშვდეს – ბავშვის პოზიციიდან შეხედოს რაღაცებს. და კიდევ, ხალისი არ უნდა დაკარგოს.”

მიმა მინდაძის მეუღლე ფისო სვანიძე თბილისში ძალიან ცნობილი სკოლის „ქართული სასწავლებლის“ დამაარსებელი და

სამეცნიერო ხელმძღვანელია. ეს ის სკოლაა, სადაც მოსწავლეებს დაბალი კლასებიდანვე ასწავლიან ფიზიკასა და ქიმიას, იაპონურსა და კიდევ რამდენიმე უცხო ენას. ბატონი მიშა ამბობს, რომ „ქართული სასწავლებელი“ მაინც განსაკუთრებით ნიჭიერ ბავშვებზეა გათვლილი, იქ ყველა ვერ ისწავლის. ჩემი სკოლა კი – ნებისმიერი ბავშვისთვისაა, ჩვეულებრივ ბავშვზე უნდა იფიქრო, განსაკუთრებით ნიჭიერები როგორმე მაინც იპოვნიან თავის გზა-კვალსო.

როცა „გერმანულ სკოლებში“ საქმე მეტნაკლებად აწეწო, მიშა მინდაძე სკოლიდან წავიდა და წლების განმავლობაში თბილისის განათლების სამმართველოს უფროსად მუშაობდა, სკოლისთვის კარგი საქმეების კეთება შეეძლო, თორემ, მაინდამაინც, არ მოსწონდა ჩინოვიკობა.

ქლასი უნდა აღვიქვათ არა როგორც ერთი მთლიანობა, არამედ, როგორც ინდივიდუალთა დაკომპლექსებული სიმრავლე. თითოეული ბავშვის უნდა მივუღებთ ინდივიდუალურად, თითოეული ბავშვისგან მივიღოთ მათი მნიშვნელობა. ბავშვები არ შეიძლება სალსახად, მხოლოდ ერთი მაჩვენებლით შევადაროთ ერთმანეთს.

„– მალევე მომბეზრდა. მძიმე სამუშაოა და უკუგება არა აქვს. სკოლაში სასიამოვნო ურთიერთობებია, იქ – მარტო უარყოფითი ემოციები. წამოვედი და 27-ე სკოლა გავაკეთე. დღეს, მით უმეტეს, აღარ მაინტერესებს არანაირი თანამდებობა – რეფორმის შემდეგ აღარ მჭირდება სამინისტროსთან ურთიერთობა. სკოლა დამოუკიდებელია. თუ რაიმე არასწორად გაკეთდება სკოლაში, მხოლოდ ჩემი ბრალი იქნება, სხვას ვერ დავაბრალებ. საბჭოთა სკოლა იდეოლოგიურად, არსობრივად დაფუძნებული იყო კოლექტიური აღზრდის პრინციპებზე. იმ სკოლაში არსებობდა კლასი, მთლიანობა, ინდივიდუალობის გამოხატვა ძალიან ძნელი იყო და არც არავის აინტერესებდა. დღეს კი, კლასი უნდა აღვიქვათ არა როგორც ერთი მთლიანობა, არამედ, როგორც ინდივიდებით დაკომპლექტებული სიმრავლე. თითოეული ბავშვს უნდა მივუდგეთ ინდივიდუალურად, თითოეული ბავშვისგან მივიღოთ მათი მნიშვნელობა. ბავშვები არ შეიძლება ცალსახად, მხოლოდ ერთი მაჩვენებლით შევადაროთ ერთმანეთს. მნიშვნელოვანი ისაა, თავის თავს როგორ აჯობა ამ ბავშვმა. ეს ნელ-ნელა ინერგება, ესაა დღეს ჩვენი დევიზი. რაღაცას ვაღწევთ, რაღაცას ვერა. ბედნიერი ვარ, ჩვენი სკოლა რომ გვექონდა, სწორედ ამაზე იყო ორიენტი-

რებული და ამაში გარკვეული გამოცდილება გვაქვს. გაუქმდა საავტორო სკოლები, აქ მე დავზარაღდი. თუნდაც, ამბიციის გამო – საავტორო სკოლა მქონდა, რომელსაც ჩემი სახელი ეწერა და დღეს აღარ აწერია. სკოლები კი გაუქმდა, მაგრამ კანონმა დაუშვა საავტორო პროგრამები. სკოლა, ადმინისტრირება აღარ არის საავტორო, თორემ შემოძლია აქ, ამ სკოლაში გურამ რამიშვილის პროგრამით ვიმუშაო. ბევრი რამ, რისთვისაც ადრე ბრძოლა გვიხდებოდა, რაც ადრე აკრძალული იყო, დღეს დაშვებულია. სკოლა დამოუკიდებელია, მასწავლებელსაც დანიშნავ, პროგრამებსაც შექმნი, ნიგნებსაც დანერ. ისე, როცა ამ სკოლაში მოვედი, მაშინ მართლა დავაფასე ჩვენი სკოლები, ის სული, ის მთლიანობა რაც „გერმანულ სკოლას“ ჰქონდა.”

ლოტოტრონიში მონაწილეობა არ მიუღია. როცა 161-ე სკოლაში ადგილი გათავისუფლდა, მაშინ განათლების მინისტრის მრჩეველად მუშაობდა და კახა ლომაია შეესთავაზა, ხომ არ წახვალ ამ სკოლაში. ჯერ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად მუშაობდა, მერე დირექტორების გამოცდები ჩააბარა და სწორედ იმ 20%-ში მოხვდა, ვისაც ლოტოტრონი ასცდა, ვინც თვითონვე აირჩია სკოლები.

– თავისთავად, ამ ლოტოტრონის გაკეთება არ შეიძლებოდა, თან არც ყოფილა ამის საჭიროება, არც კანონი ითხოვდა ამას. უბრალოდ, ზედმეტი თავის ტკივილი აიცილეს თავიდან. ლატარია, ზოგადად, ობიექტურია, ჩაყავი ხელი, ამოიღე და, შენი ბედი. მაგრამ ეს ხომ ქარხანა არაა, აქ ადამიანებთანაა სამუშაო. ფეხბურთელი რომ მოდის და ფეხბურთის სკოლაში უნდა მუშაობა, მუსიკოსებთან ხომ არ გაუშვებ? აბსოლუტური ცინიზმი იყო, როდესაც განათლების სამინისტროს ერთ-ერთმა მესვეურმა თქვა, ყრუ-მუნჯების სკოლაში ყრუ-მუნჯს ხომ არ გავუშვებთ დირექტორადო. ასეთ სკოლებში სპეციფიკური ცოდნა საჭირო. დიდი შრომა უნდა გაენიათ, ოთხასი ადამიანი უნდა მიეღოთ, ენახათ, გასაუბრებოდნენ.

NEW WORLD DISORDER

HOMO INCOGNITUS

ავტორი: ღაბით ბაკარიძე
ფოტო: ლევან ხერხეულიძე
გამოყენებულია ანა ტაბატაძის ილუსტრაციები



ამ ფაშისტურ, პოლიციურ სახელმწიფოში რომ გადარჩე, გაიფიქრა მან, უნდა იცოდე გვარი, საკუთარი გვარი. ნებისმიერ სიტუაციაში. ფილიპ ქინრედ ლიქი, „ამღვრევა“

შეიცნობთ ჭეშმარიტებას, და ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთ თქვენ. იოანე, 8-32

მხოლოდ მას შემდეგ, რაც ყველაფრისგან გათავისუფლდები და დამოუკიდებელი გახდები, მხოლოდ მას შემდეგ, რაც უარს იტყვი საკუთარ თავზე და ყოველივე არსებულზე; უფრო სწორად კი, მას შემდეგ, რაც ყველაფერს მოიკვეთ და ყველაფრისაგან გათავისუფლდები, შეძლებ ამალდე ღვთაებრივი წყვილიადის ზეზუნებრივ ნათებაში. წმ. დიონისე არეოპაგელი, „მისტიკური ღვთისმეტყველება“



კარგად მასსოვს, რომ ბავშვობაში მასწავლიდნენ რა გვარის ვიყავი, რა ეროვნების და რომელ რელიგიურ კონფესიას მივუკუთვნებოდი, მიუხედავად იმისა, რომ მოუნათლავი ვიყავი და მხოლოდ 14 წლისამ გავაკეთე არჩევანი საკუთარი რწმენის შესაბამისად. თუმცა, არავინ მასწავლიდა, რომ მთავარი საკუთარი არსებობის გაცნობიერების უნარია, და ყოველგვარი კუთვნილება, ჯანსაღი რომ იყოს, თავისუფალი არჩევანის შედეგად უნდა განხორციელდეს. მაშინ არ დაფიქრებულვარ იმაზე, რომ ეს ყველაფერი სოციალური პროგრამირების ნაწილს წარმოადგენდა და სოციუმისთვის უფრო მნიშვნელოვანი კუთვნილების განცდის ჩამოყალიბება იყო, ვიდრე ინდივიდუალიზმის განვითარება.

მას შემდეგ ბევრი რამე შეიცვალა, შეიცვალა გაბატონებული იდეოლოგია, სახელმწიფო, სადაც ვცხოვრობდი, მაგრამ არ შეცვლილა ის საბაზისო პროგრამები, რომლებითაც დღემდე ახალი ბიოკომპიუტერების ჩატვირთვა ხდება. დღეს ბევრს ლაპარაკობენ ტოტალიტარიზმზე და ფუნდამენტალიზმზე, ნაციონალიზმზე და გლობალიზაციაზე, მაგრამ ცოტა თუ ამჩნევს, რომ ყოფით დონეზე ყალიბდება ყველა ის ჩვევა, რომელიც ხელს უშლის ლიბერალური ფასეულობების დამკვიდრებას. ჩვენ ტოტალიტარულ გარემოში ვცხოვრობთ და მოგვწონს ეს თუ არა, ამით დიდი არაფერი იცვლება. მიკრო თუ მაკროკოსმოსის კვლევისას, თუ თავს დავანებებთ ინდულგირებას და რეალობას თვალეში შევხედავთ, დავინახავთ, რომ სანამ არსებობს სოციუმი, იარსებებს ყველაფერი ის, რაც ტოტალიტარული აზროვნების საფუძველს წარმოადგენს. ცნობიერი თანამშრომლობის საზოგადოების შექმნა ისეთივე უტოპიაა, როგორც სამოთხე დედამიწაზე. თუმცა, ეს, არა მგონია, პესიმიზმის

საფუძველი იყოს. პირიქით – ეს საინტერესო გამოწვევაა მათთვის, ვისაც უნდა სხვანაირად შეხედოს რეალობას და თვითაქტუალიზაციის ახალ გზებს ეძებს.

– ოდესღაც, ჩვენზე ყველაზე – ცდება ატარებდნენ. შემდეგ ექიმები გადაშენდნენ, როგორც დინოზავრები. და ჩვენ დავრჩით მარტო. ჯერ გაუგებარია, ექიმები მართლა გადაშენდნენ რაღაც შეცდომის შედეგად თუ ეს მათი მორიგი ხრიკი და ექსპერიმენტი. ასეა თუ ისე, ჩვენ – პაციენტები დავეუფლეთ მიტოვებულ ლაბორატორიას და ვაგრძელებთ დანყებულ ექსპერიმენტებს.

ზურა ჯიშკარიანი, „პროგრამული უზრუნველყოფა №2013“

ისინი გამოწვევას უცხადებენ ძველ რეალობას და ახალ მსოფლიო წესრიგს. ისინი ცდილობენ გატეხონ საკუთარი წარმოდგენები და მოაწყონ რევოლუცია საკუთარ ტვინში. ისინი აგროვებენ არმიას და აცხადებენ, რომ არსებობდნენ მანამ, სანამ გაიგებდნენ ამის შესახებ.

– ერთი წელი ერთად ვცხოვრობდით, ერთ სახლში, ავთოს სახლში, ავთონომია გვერქვა... – ყველა ზურა ჯიშკარიანი, მეტსახელად Dreamhacker-ი. – ერთად გვეძინა, ერთად ვჭამდით, ერთ ფილმებს ვუყურებდით, ერთი ქალები და ერთი კაცები გვყავდა. შემდეგ მივხვდით, რომ ეს ყველაფერი უფრო პოლიკლინიკას ჰგავდა... ათასი ხალხი მოდიოდა და ავადდებოდა ამ იდეებით, ამ ვირუსებით და მიდიოდა. და გადავწყვიტეთ, რომ გაგვეკეთებინა „ლაბორატორია“ – არტ-ჯგუფი, მუსიკა, პერფორმანსები, ლექსები, სიზმრების გაცვლა, მეგობრობა, თრიფ-რეპორტები...

FUCK YOUR CULTURE



ანა ტაბატიძე /
taha / hyperhardhurt

მე ვარ წინ-უკან, მარჯვნივ-
მარცხნივ, შუაში, შიგნით-გარეთ,
ზემოთ-ქვემოთ, მე ვარ სულ.
მე ვარ შენ, ისიც, ისიც, ისიც, ისიც
და ასე უსასრულოდ.
ყველაფერი მბასოვს და ავირჩიე,
88 წელს 10000000000000-ჯერ
რომ გავჩენილიყავი, აქ საქართვე-
ლოში და ღეღანიმი ყოფილიყო ჩუკა.
მერე კიდევ მოვალ მუსიკად.



როლი:
ბესო კაპჭელაშვილი
(ბესკა / dreams KGB
/ & many others)

მოღეღი: 1985წ30 / 09
საქართველოს ადგილი: ღეღანიწა
მოღეღენების სასურველი განვითა-
რება: ადამიანის ახალი მოღეღი /
ახალი მსოფლიო ქაოსი / ვირუსები
/ resistance / free drugs / free sex / free mind

მათი უკვე იცნობენ ქართულ არტ-სივრცეში, თუმცა, ჯერჯერო-
ბით ახერხებენ არ შეერწყან მეინსტრიმს და შეინარჩუნონ თავისი
უნიკალური კოდი. მათი კრედიო თავისუფალი შემოქმედება და შეუ-
ზღუდავი ექსპერიმენტებია. ექსპერიმენტები საკუთარ თავზე და
რეალობაზე.

ზურა: ჩვენი აზრით, ხელოვნება, რომელიც ცხოვრებაზე არ მო-
ქმედებს და პიროვნებას არ ეხება, დიდი ხანია მოკვდა. ამიტომაც,
ჩვენი ხელოვნება ნაწილობრივ გადადის მედიცინაში, ნაწილობრივ
პოლიტიკაში და ა.შ. ჩვენ ერთმანეთში ვურევთ სხვადასხვა ფორ-
მებს, ჟანრებს და ახალ ჰიბრიდებს ვქმნით. ეს ექსპერიმენტებია
საკუთარ თავზეც, ურთიერთობებში, სექსში, სიზმრებში... თუნდაც
ფსიქოტროპული ნივთიერებების გამოყენებით. ჩვენ მიგვაჩნია, რომ
პიროვნებას უნდა ჰქონდეს გამოხატვის თავისუფლებასთან ერთად
ექსპერიმენტების თავისუფლება. რაც მესება მე და ჩემს ნერვულ
სისტემას, ეს არ არის არავის საქმე. ყველას უნდა ჰქონდეს უფლე-
ბა, რაც უნდა, ის გააკეთოს, თუ, რა თქმა უნდა, ეს სხვის თავისუ-
ფლებას ხელს არ შეუშლის. ჩვენ მოვუწოდებთ ყველას, ჩაერთონ
ამ ექსპერიმენტებში. დღეს ექსპერიმენტების გარდა, ყველაფერი
მოსაწყენია.

ბესო: ამ ექსპერიმენტებითაა შესაძლებელი მრავალფეროვნების
შეტანა, როგორც ჩვენს პირად სამყაროში, ასევე, საერთოდ, რეა-
ლობაში.

ავთო: მიზანი, ალბათ, ისიცაა, რომ ურთიერთობები იყოს უფრო
საინტერესო. ადამიანს როდესაც ხვდები, საინტერესოა სხვა კუთ-
ხით დაგანახოს ყველაფერი.

ზურა: ყოველი ეპოქის დასაწყისში, როდესაც ჩიხში იყო შესუ-



ლი ისტორია, ხელოვნება, მეცნიერება, პოლიტიკა, ექსპერიმენტების
ხარჯზე ხდებოდა გამოსავლის მოძებნა... ცოცხალი ორგანიზმების
ევოლუციის დროსაც იქმნება მუტანტები, ეს ბუნების ექსპერიმენ-
ტია. ათიდან ცხრა იღუპება, მაგრამ ერთი აგრძელებს ევოლუციას.
ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, სოციალური, კულტურული მუტაციებია.
ჩვენ მუტაციებს ვქმნით, რომელთა მრავალფეროვნებაც დაეხმარება
ადამიანებს პოსტაპოკალიპტურ ეპოქაში.

მათი მიზანი სოციალურ პროგრამირებასთან დაპირისპირებაა, და
ამ ბრძოლის იარაღად ისევ სოციალური პროგრამირების ელემენტე-
ბს იყენებენ. კომპიუტერული კოვობების მსგავსად, ცდილობენ შიგ-
ნიდან გატეხონ სისტემა, რომლის კვანძებსაც ჩვენ წარმოვადგენთ
და რომელიც ადამიანების მართვითაა დაკავებული.

ზურა: ექსპერიმენტები, რომლებსაც ჩვენ ვატარებთ, შეიძლება
იყოს მიმართული თვითშემეცნებისაკენ. მაგალითად, ამ ექსპერიმენ-
ტებით შეგიძლია აღმოაჩინო ის პროგრამები, რომლებიც ჩვენშია ჩა-
წერილი და ადრე ვერ ამჩნევდი. შემდეგ კი შეცვალო, შეცვალო სა-
მყაროს შენეული ალქმა. მეორე მხრივ კი, ექსპერიმენტებს სიახლის
საძებნელადაც ვატარებთ. ჩვენ შუასაუკუნეების ალქიმიკოსების
როლს ვასრულებთ, ვატარებთ ბევრ სხვადასხვა ცდას, ერთმანეთში
ვურევთ სხვადასხვა სუბსტანციას. შეიძლება ვცდებით, ალქიმიკო-
სებიც ხომ ეძებდნენ ფილოსოფიურ ქვას. მაგრამ, შეიძლება, უცბად,
მენდელეევივით ახალი თეორია დაგვეჩიხმროს. მთავარი მიზანი კი,
მაინც სტერეოტიპების ნგრევაა, რეალობის ნგრევაა. ეს იმას ჰგავს,
როდესაც თეატრში ხარ და იცი, რომ ცა დეკორაციაა და ურტყამ,
რომ ეს ცა ჩამოხიო. შენ ეს შეგიძლია, მაგრამ შემდეგ გადიხარ ამ
სპექტაკლიდანაც. მთელი კაცობრიობა ამ სპექტაკლს უყურებს. მო-



EVERYTHING YOU KNOW IS WRONG




წინავე ხალხები წინა რიგებში სხედან. აფრიკა კი უკანა რიგშია და ვერაფერს ხედავს.

პეტრე გადმოვიდა ნავიდან და წყალდანყალ ნავიდა, რათა იესოსთან მისულიყო. მაგრამ, ქარი რომ დაინახა, შეეშინდა, ჩაძირვა დაიწყო და იყვირა: უფალო მისხენი მე! იესომ იმ წამსვე გაუწოდა ხელი, ამოიყვანა და უთხრა: რატომ დაეჭვდი, მცირედმორწმუნე?

მათე, 14:29-31

დაეჭვება გვათავისუფლებს ძველი პროგრამების ზემოქმედებისაგან, რწმენა კი გვეხმარება ახალი პროგრამების ჩატვირთვაში. კარგია თუ ყოველივე ეს საკუთარი ნებით ხდება. პროგრამები გვჭირდება სამოქმედოდ. მთავარი ის არის, რომ საკუთარ ბიოკომპიუტერში ჩატვირთული პროგრამების ქმედებაზე სრულად შეგვეძლოს პასუხისმგებლობა.

ზურა: ტვინი შეიძლება განვიხილოთ როგორც ბიოკომპიუტერი. ჩვენი ცხოვრების მანძილზე კი ვიძენთ გამოცდილებას, პროგრამებს, რომლებიც ამ კომპიუტერს ამუშავებენ. ჩვენ შეგვიძლია ყველა ამ პროგრამის გადაყენება, წაშლა, შეცვლა, განთავისუფლება.



მიშა ბაბუსოვიანი / "არყის ბიჭი"

ღაგიბაღე 1984 წელს...



თაზო ლიპარტიანი / Paris Lee / გრინჩი (1986-....)

გავლილი წლები, რაღაც გარკვეულ ღვემდე სრულიად უინტერესო მიმართა, მაგრამ არ შემოიპლია უარგყო, რომ ასე თუ ისე, გავლენა აქვს ღვე-განღულ ღვეზე... ღვეგანღულ ღვეს კი არის **PARIS+ANNIE**, მისაღწევი მიზნები, საკუთარი ყოველღვეურობის ამსახველი აუღით-არტები და ღვკუმენტი-VHS...



ზურა ჯიშკარიანი / Zomb!

ნაციონალობა: კავკასიის აზორი-გენი. აღმსარებლობა: რადიკალური ისლამი. გამოშვების თარიღი: 1985. გამოშვების მიზანი: უცნობია. სისტემურ-სულიერი მღვთმარებობა: არასტაბილური. სოციალური მღვთმარებობა: არასტაბილური. IQ: არასტაბილური. ლაზორბატორიული აქტივობის წიგნაკი: ალტერნატიული აგენტურის ქსელი: კონტრ-აგენტი უფვაღთვაღე-ბს იმბა, გინვ გითვაღთვაღებს შენ.



- და როგორ თავისუფლდებით ამ პროგრამებისაგან?

ზურა: შენ იმართებ შიზოფრენიას და მიდიხარ საკუთარი თავის ტოტალურ დესტრუქციამდე. შენში უშვებ ყველა სისტემურ კოდს, და ატარებ, შემდეგ მათ ცვლილებას ნელ-ნელა იწყებ. იცვლი სოციალურ როლებს. დღეს პოლიტიკოსი ხარ, ხვალ მუსიკოსი, შემდეგ გეი, ფაშისტი, ანარქისტი. და სისტემა კარგავს კონტროლს. როდესაც ამას ბევრი ადამიანი აკეთებს, ჩნდება ტოტალური სოციალური ცვლა, ქაოსი. ეს ყველაფერი გნოსტიციზმთანაცაა დაკავშირებული. გნოსტიკოსების აზრით, ეს სამყარო არის ყალბი, სპექტაკლი, მატრიცა. ამ სამყაროს ღმერთიც ყალბია, სატანაა. ჭეშმარიტი ღმერთი ამ სამყაროს გარეთაა და მასთან დაკავშირების ორი გზა არსებობს. ერთია ასკეტიზმი, განდგომა და მეორე – ამ სამყაროს დანგრევა, დესტრუქცია. ჩვენ მეორე გზას ვირჩევთ. ოლონდ ჩვენი დესტრუქცია არის ძალიან რბილი, არა რევოლუციური. ჩვენ, უბრალოდ, ვიმუშავებთ კორპორაციებში დღისით, და საღამოს ამ კორპორაციების კოდებს გავტეხავთ.

- იმისათვის, რომ რომელიმე პროგრამისაგან განთავისუფლდე, ის ჯერ უნდა აღმოაჩინო. როგორ ახერხებთ ამას?

ზურა: მემ-ალერგია, ეს ის რეაქციაა, რომელსაც შენი შიდა პროგრამები ავლენენ უცხო მემების – მენტალური ვირუსების მიმართ. მაგალითად, ჰომოფობია, ფაშიზმი, რადიკალური ანტიკომუნიზმი მემ-ალერგიაა, შენი რეაქციაა უცხო პროგრამებზე. სწორედ ექსპერიმენტების საშუალებით, როდესაც შენ ცდი სხვადასხვა რადიკალურ კონცეფციებს, ალერგიული რეაქციით შეგიძლია აღმოაჩინო ის პროგრამები, რომლებიც შენშია ჩანერილი. აი, მაგალითად, მიხვედი ფართიზე, სადაც ბევრი გეია, და უცებ აღმოაჩენ, რომ არ გსიამოვნებს ან გეზიზღება ეს ხალხი, ეს იმას ნიშნავს, რომ ჰომოფობიის პროგრამა ჩატვირთულია. ამის შემდეგ, შეგიძლია, გამოიკვლიო რატომ, როდის მოხვდა ის შენში და როგორ შეგიძლია მისი გადაკეთება, ან დემონტაჟი.

ბესო: ან შეგიძლია ზოგიერთი პროგრამა შენ სასიკეთოდ გამოიყენო.
ზურა: თუმცა, რაში შეიძლება გამოიყენო ჰომოფობია ან ფაშიზმი, ძნელი ნარმოსადგენია.

- და რა ინსტრუმენტები არსებობს ბიოკომპიუტერის გადაპროგრამირებისათვის?

ზურა: ბევრი სხვადასხვა მეთოდი არსებობს. მაგალითად სტრესი, მედიტაცია, ალკოჰოლი აფერხებს, აჩერებს სასიცოცხლო პროგრამ-

NO
PHOTO

MK-ULTRA

ღაზაღუებისას მეძინა ღა რის ვაი-
ვაგაზბით გამაღვიძებს... ქალაქს, სადაც
ცვბოფრბ, ჭუთაისი ჰქვია. აქ ცბო-
ვრება მიმჩნია რაღაც ზებუნებრივ
გამოცდას, რომელსაც უნდა გავუმლო...
ღაზორატორიას ღავტკავშირღი მას
ბემღღეგ, რაც წავიციებე მიაღი "პრო-
გრამული უზრუნველყოფა". იქ იყო
ნახსენები "ბირთვული განთავღი",
"უსიტგეოგრაფი" ღა "პოსტ აპოკა-
ლიფსური რეჟიმი".



პაატა შამუგია

მე არ ვარსებობ. მე გამომიგონეს
მასონებმა, რომლებიც ებრძვიან
მართლმადღებლობასა ღა ერთგულ
ტრადიციებს... ჭეშმარიტად გეტყვი
თქვენ: ყველა ადამიანში ზის მღო-
გვისმარცვლისოღენა შამუგია, რო-
მელიც რაღაც მანქანებით ცღილოს,
თავის არსებობაში ღავგავრწმუნოს.
მაგრამ მე არ მოგტყუებღი.
მე ვიცი, რომ ეს ფიქციაა.



ღო ნავტა / Cosmo
ნავტა / many others

მიყვარღა ზაღი, იმიტომ, რომ ღე-
ზიღი ვიყავი... მძულღა სკოლა,
იმიტომ, რომ ღავტკვიანღი... კინო-
სასცენარო ფაკულტეტიღან სამჯერ
მაღუბღენ, იმიტომ, რომ ზეღ-
მეტად კარგად ვწიღი. არასოღეს
მიმუშავი, ვარ ლოღი ღა ვაზივარ
მწობღეს კისერზე. მიყვარს პიტ
ღოჭეტი, ნიკ ზეღი ღა პაზოლი-
ნი, როცა მთვრალი ვარ, ზეროღი
ბუკოგსკი მგონი.



მების მუშაობას, ისეთ ინსტინქტებს, როგორიცაა თვითგადარჩენის
ინსტინქტი და ამ დროს ადვილია ახალი პროგრამების შეყვანა ბიო-
კომპიუტერში. კიდევ რევოლუცია. ამ დროს მთელი მასების გადა-
პროგრამება მიმდინარეობს. აი, ავთო მაგალითად უძილობით თავი-
სუფლდება.

ავთო: იყო პერიოდი, როდესაც ორი კვირის მანძილზე საერთოდ
არ მეძინა, როდესაც უძილობის ამ დონეს აღწევ, ყოველდღიური
პრობლემები აღარ განუხებს და ძალიან გიადვილდება შენს ტვინში
რალაცეების წაშლა, რალაცეების ჩანერა.

ზურა: ჯონ ლილიმ გამოიგონა სენსორული დეპრივაციის კამერა.
როდესაც ახდენ ტვინის სრულ იზოლაციას გარეგანი იმპულსებისა-
გან, როგორცაა ხმაური, სინათლე, სითბო და შეხება, იწყება ხილ-
ვები. და ამ დროს ადვილია ტვინში პროგრამების შეცვლა.

ჯონ ლილი და ტიმოთი ლირი იმ მეცნიერებს შორის იყვნენ, რომ-
ლებიც დაინტერესდნენ ადამიანის ბიოკომპიუტერის პროგრამი-
რებით და თავისი მოღვაწეობის დიდი ნაწილი სწორედ ამ თემის
კვლევას მიუძღვნეს. ისინი სწავლობდნენ მეთოდებს, რომელსაც
სხვადასხვა რელიგიური თუ პოლიტიკური ორგანიზაციები იყენებდ-
ნენ თავისი ადვოკატების სამართავად. ყველაზე მარტივი და ყველაზე
ძლიერი იარაღი მდგრადი პროგრამული უზრუნველყოფის ჩამოსაყა-


ლიბებლად – გამეორებაა. სიტყვიერი ფორმულების: ლოცვების, მან-
ტრების და ლოზუნგების გამეორებას სწორედ ამ მიზნით იყენებენ.
ეს ფორმულები სამუდამოდ ჩაიბეჭდება თქვენს გონებაში და ახალი
ხედვაც ნელ-ნელა ყალიბდება. ხშირად, მსგავსი ჩვევების ჩამოყალი-
ბება ყოფით დონეზე ხდება. იქნება ეს პირადი ჰიგიენის დაცვის რი-
ტუალი, საზოგადოებაში ქცევის წესები თუ გემოვნება. უკვე ჩამოყა-
ლიბებულ სისტემაში ახალი პროგრამების შეყვანისას კი, იმუნური
რეაქციის დასაძლევად და ძველი პროგრამული უზრუნველყოფის
დროებით შესაჩერებლად ჰიპნოზი გამოიყენება, ან ქიმიური ნივთიე-
რებებით ცნობიერებაზე ზემოქმედება, მაგალითად ალკოჰოლით და
ნარკოტიკებით. თუმცა, უფრო ხშირად, ძველი პროგრამების გათიშ-
ვას ძლიერი სტრესითაც აღწევენ. მაგალითად, ფიზიკური ზემოქმე-
დებით, ან მორალური შეურაცხყოფით. ფიზიკური ზენოლით ასწა-
ვლიდნენ ბავშვებს ვისთვის და რისთვის უნდა მიექციათ ყურადღება
საბჭოთა სკოლებში და მე-19 საუკუნის გიმნაზიებში.

„ჩვენ ყველანი ნეიროგენეტიკური რობოტები ვართ. და რაც არ
უნდა უსიამოვნოდ გვეჩვენებოდეს ეს ფაქტი, სანამ არ ვალიარებთ,
ვერ გავთავისუფლდებით ჩვენი რობოტულობისაგან. მხოლოდ ამის
შემდეგ შეძლებთ ვმართოთ ჩვენი ნერვული სისტემა და დამოუკიდე-
ბლად გადავპროგრამოთ საკუთრი თავი“, აცხადებს ტიმოთი ლირი.



ავთო ბურჭვიძე / რჩი

22 წლის, უცხოელზე მეტად, ღივი მიმავლით და ინტერნეტისა და ფართო სპექტრით. მჯერა, რომ არსებობენ უცხოპლანეტელები და ჭალები. მჯერა, რომ ცხოველებსაც აქვთ თავიანთი უფლებები და ზოგჯერ ალა-მიანზე მეტიც. არ მჯერა, რომ ღე-ღამიწას აქვს ღერძი. არ მჯერა, რომ იმედი ზოლოს კვდება, მე ყოველთვის თავში ვკლავ. ცხოვრების კრედიტ: იყავი არაჯანმრთელი და მოკვდი ახალგაზრდა.



Accidental Lover BoyZ
<http://www.myspace.com/accidentalloverboyz>

Dream Laboratory
<http://www.myspace.com/thedreamlaboratory>

Nothing FM
<http://www.myspace.com/nothingfmproject>

Eva
<http://www.myspace.com/allthisfuckindreamsforeva>

KungFu Junkie
<http://www.myspace.com/shaolindance>

Monroe is Me
<http://www.myspace.com/annieandparis>


თუ თქვენ ტვინში შეყვანილია პრიმიტიული ცნობიერების პროგრამა, რომლის მიხედვითაც სამყარო მხოლოდ ორ პოლუსად: შავი-თეთრი, კეთილი-ბოროტი, ნათელი-ბნელი, რეალობა-ილუზია და ა.შ. იყოფა, მაშინ, რასაც თქვენ ფიქრობთ, ჭეშმარიტება გგონიათ, ხოლო რასაც თქვენი ობიექტი ფიქრობს – ტყუილი. და პირიქით.

ტიმოთი ლირი, „ნეიროპოლიტიკა“

ტრადიციული პედაგოგიკის მთავარი პრინციპი რეალობის პოლარიზაციაა, როდესაც კარგად იცი, რა არის კარგი და რა ცუდი, რა არის მისაბაძი და რა გასაკიცი. თუმცა, რეალობა გაცილებით მრავალფეროვანია და არჩევანის თავისუფლების მეტ ხარისხს გვთავაზობს. ამ ტრადიციის საკვანძო იდეა ავტორიტეტი, მოძღვარი, ლიდერი, პიროვნება, ინსტიტუტი, რომელიც ერთგვარი ორიენტირია ამ პოლარულ სივრცეში. „ლაბორატორიის“ წევრები ეჭვქვეშ აყენებენ ტრადიციული საზოგადოების ფასეულობებს და ილაშქრებენ ავტორიტეტების ტირანიის წინააღმდეგ.

ბესო: ჩვენ საზოგადოებაში არიან ავტორიტეტები, მაგალითად შოთა რუსთაველი, ილია ჭავჭავაძე, რომლებიც ხელშეუხებელია. ამათი შენებური ინტერპრეტაცია არ შეგიძლია, არ გაქვს უფლება,





ნინი ჯუღაშვილი

გმუშაობ ინჟინრად. მყავს მზატვა-
რი girlfriend და ერთი თუთიყუში.
ვარ გრაფომანი, მიყვარს ღამის
კლუბები და როტერდამის პირა-
ტული რაღიოები... როგორც ბიჭები
ამბობენ, "ლავორატორიის ევროპულ
ფორნეს ვიჯავ"... შემდეგი გარე-
რეზა როტერდამი, თეთრი ხილი ღან
მარცხნივ.



და თუ ამას აკეთებ, სოციუმთან პრობლემები გექმნება.

ზურა: მაგალითად „მგზავრის წერილები“. არსებობს აზრი, რომ სანამ ამას ილია დაწერდა, უკრაინაში დაიწერა რაღაც მსგავსი. შენ რომ ადგე და განაცხადო, ილია პლაგიატიანო, ჩათვალე, რომ შენ გახდები ასოციალური პიროვნება, ქვეყნის მტერი. თითქოს ამით შენ ქართულ იდენტურობას ებრძვი.

ბესო: დღეს ყველაზე მნიშვნელოვანი თემა ავტორიტეტებთან ბრძოლაა.

- თქვენ არ გყავთ ავტორიტეტები?

ზურა: ავტორიტეტები კლასიკური გაგებით – არა. ჩვენ გყავს პიროვნებები, ვისაც პატივს ვცემთ, ვისი აზრებიც ძვირფასია, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მათ იდეებს უსიტყვოდ ვიღებთ და ყველაფერში ვეთანხმებით. პირიქით, ვენინააღმდეგებით კიდეც და სხვის მიერ მათ მიმართ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებიც არ გვაღიზიანებს.

ბესო: ამაში არაფერია ცუდი, იღებ ამ ადამიანებისაგან რაღაცას, რაღაცას არ იღებ.

ზურა: ადამიანი როდესაც იბადება, მას რაღაც გამოცდილება ხე-

დება წინ, რაც დარჩა, სხვა ადამიანების გამოცდილება. და იქიდან რაღაც უნდა მიიღო და რაღაც არა.

Paris Lee: სკოლაში დაწვერე შუშანიკის დახასიათება. განსხვავებული კუთხით. სრულიად შესაძლებელი იყო, რომ შუშანიკის კონფლიქტი ქმართან ეჭვიანობამ გამოიწვია და არა რელიგიური მსოფლმხედველობამ, რადგან მავადეანობაში, ქრისტიანობისაგან განსხვავებით, დაშვებული იყო მრავალცოლიანობა. და თან დაწვერე, რომ შუშანიკის მავოხისტური მოთხოვნებიც ჰქონდა. დირექტორის კაბინეტში დამიბარეს, სკოლიდან მაგდებდნენ. იმის მაგივრად, რომ შევექე, საკუთარი აზრი რომ გამოვთქვი და აეხსნათ რაში იყო ჩემი შეცდომა, უბრალოდ, გამკიცხეს იმის გამო, რომ გავბედე და განსხვავებული აზრი გამიჩინა.

ზურა: არაფერი მაქვს საწინააღმდეგო თავად იმათ მიმართ, ვისაც სისტემა ავტორიტეტებად აცხადებს. პრობლემა ისაა, რომ ამ ადამიანებს სისტემა იყენებს თავისი მიზნების განსახორციელებლად. მაგალითად, იგივე ბეროუზი და ბიტნიკების ფილოსოფია სისტემამ ძალიან კარგად გამოიყენა თავის სასარგებოდ. ბიტნიკების ცხოვრების სტილი კონტრკულტურაა თავისი არსით.



Hundertwasser



Frank Lloyd Wright



Gaudi



Le Corbusier



Axis

www.axis.ge

თაობა 13 - 19

ავტორი: ნინო ლომაძე
ფოტო: დავით მისხი

1 იენისს, მსოფლიოს ოცდახუთ ქვეყანაში ბავშვთა დაცვის დღეს აღნიშნავენ.

თუმცა, ჩვენთან ახლა აქტუალური მხოლოდ არჩევნებია. ნინა თუ პოსტსაარჩევნო რიტორიკამ და ლოზუნგებმა მთელი ჩვენი ყოფა მოიცვა და გაჩნდა განცდა, რომ ამქვეყნად, საარჩევნო ბიულეტენების, პარტიათა სარეკლამო ბილბორდებისა თუ დამატებითი სიების გარდა, აღარაფერია საინტერესო. სწორედ ამიტომ, ჩვენი სპეცპროექტის სტუმრებად პოლიტიკურად ყველაზე უხმო სოციალური ჯგუფი, ახალგაზრდები (და არა ბავშვები) შევარჩიეთ.

რას ნიშნავს თაობა 13-19? როგორია მათზე სისტემებისა და სოციუმის გავლენა და რას არის ის მემკვიდრეობა, რომელიც მათ სტერეოტიპებისა თუ ტრადიციების სახით ერგოთ? რა არის მათი ცხოვრების წესი? როგორ აღიქვამენ ახალგაზრდები მუდმივად გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ თუ საზოგადოებრივ განწყობებს და აქვთ თუ არა გააზრებული, რომ ამ ქვეყნის მომავალი არიან? რა მოსწონთ და რა აღიზიანებთ, რას ნიშნავს მათთვის თავისუფლება და როგორ ხედავენ საკუთარ მომავალს?

ჩვენს სპეცპროექტს არც კვლევის ამბიცია აქვს და არც იმის პრეტენზია, რომ ქვეყნის მასშტაბით მოზარდების ზოგად სახეს ქმნის. თუმცა, პროექტი მეტ-ნაკლებად წარმომადგენლობითია და სხვადასხვა სოციალური ფენისა თუ ინტერესების მქონე 15 ახალგაზრდასთან ინტერვიუზე აგებული.

ერთი სიტყვით, 1 იენისს ვულოცავთ მათ, ვინც ყველაზე საინტერესო ცვლილებების, ხმაურიანი ამბოხისა და გამონევენების ხანაშია.

P.S. ტექტებს სტილისტური ჩასწორების გარეშე გადავაზობთ.





ბაბა მაისურაძე, 18

მე სკეიტერი ვარ. 14 წლიდან ვსრიალებ და სკეიტბორდინგი ჩემი ცხოვრების წესია. თავიდან ინტერნეტში ინსტრუქციებით ვცდილობდი ტრიუკების კეთება მესწავლა. ბევრს ვწვალობდით და ასე ნელ-ნელა დავხვეწეთ. ისე ეკონომიურზე ვსწავლობ. იქ სწავლა არ მომწონს. მომავალი წლიდან პროგრამირებაზე გადავალ თსუ-ში. ვიცი, იქაც ვერაფერს ვისწავლი, მაგრამ სამაგიეროდ, ჩემით შევძლებ რალაცეების კეთებას. არსებობს სპეციალური საიტები, რომლებიც სხვადასხვა პროგრამებზე მუშაობას გასწავლის, მყავს პროგრამისტი მეგობრებიც და ასე ვაპირებ სწავლას.

თავისუფლება ნიშნავს სრულად აკეთო ის, რაც გინდა და არაფრით შეიზღუდო. არის ბევრი რამე, რასაც შეგნებულად არ ვაკეთებ, იმიტომ, რომ ვიცი, რალაც პრობლემები შემექმნება. მაგალითად, მომდის ხოლმე უცნაური იდეები თავში. აი, თუნდაც ნახევარი თავი თეთრად შევიღებო, ნახევარი შავად. ამას არ გავაკეთებ, იმიტომ, რომ ძალიან ხშირად ვჩხუბობთ მარტო იმის გამო, რომ ვილაცას არ მოსწონს მე რომ სკეიტზე ვდგავარ. მოვა ვილაც და დაიწყებს გარკვევას თუ რატომ ვარ მე „ეგეთი“, „სხვანაირი“, სკეიტზე რომ ვდგავარ, ეგეთი რატომ ვარ. მერე გადადის ცინიზმში, თუ გაატარე, თავში წამოგარტამს, გეუზრდებოდა. ამიტომ ვცდილობთ პირველივე სარკაზმზე აგრესიით ვუპასუხოთ. ეს ჩხუბები ხანდახან კვირები, შეიძლება თვეც გაგრძელდეს. თუ ძალიან გართულდა ამბავი, მერე „ქუჩის ელიტის“ დახმარება ხდება საჭირო.

ამ აგრესიას აქვს თავისი მიზეზი. ეს, მგონია, იმის ბრალიც არის, საბჭოთა კავშირის დაშლის მერე კრიმინალებს რომ გაუჩნდათ ძალაუფლება. ისინი გახდნენ ეგრეთ წოდებული ელიტის ნაწილი. ეს ძალიან ცუდი ტენდენცია და მაგალითი იყო ახალგაზრდებისთვის, მათთვის, ვინც აფხაზეთის ომის ნანგრევებში გაიზარდა. წარმატებული ადამიანი კრიმინალებთან ასოცირდებოდა. წარმატების მიღწევაც, მათი აზრით, მხოლოდ წართმევით და ძალადობით შეიძლება. ამიტომ არ მიკვირს ის, რაც დღეს ხდება. იმის მჯერა, რომ ამ ზეგავლენისაგან თავისუფალი თაობა ეხლა იზრდება, ისინი, ვინც ჯერ 6-7 წლისანი არიან და ამ ყველაფერს არ მოსწრებიან.

ისე, ძალიან რაც მინდა, იმას მაინც ვაკეთებ. პირსინგები და ტატუ რომ მინდოდა, რომელსაც მაინცდამაინც ქურდული მნიშვნელობა და ახსნა არ ჰქონდა, გავიკეთე. თმა მინდოდა გრძელი და მაქვს.

ბავშვობაში ბიოლოგია მიყვარდა და 12 წლისამ ერთ კომპანიაში დავინყე მუშაობა. კომპანიას „ფიტო დიზაინი“ ერქვა და ეზოების გამწვანებით, ინტერიერის ფიტო-დიზაინით იყო დაკავებული. მე კონსულტანტი ვიყავი, კლიენტებს მცენარეების შერჩევაში ვეხმარებოდი. მერე არსებობდა ასეთი არასამთავრობო ნაღმსაწინააღმდეგო ორგანიზაცია, სადაც ახალგაზრდულ მოძრაობაში ვიყავი. ვატარებდით აქციებს, ვანყობდით კონფერენციებს, საქველმოქმედო აქციებს ნაღმების საწინააღმდეგოდ. მოვუწოდებდით მთავრობას და სახელმწიფო დაწესებულებებს არ გამოეყენებინათ ნაღმები.

პატრიოტიზმი ჩემთვის ორნაირია, ერთია, რაც სკოლაში მასწავლეს და მეორეა, რასაც მე განვიცდი. მიხარია, ჩემს ქვეყანაში რაიმე კარგი რომ ხდება. მინდა, რომ მეც მივიღო მონაწილეობა რალაცის უკეთესობისაკენ შეცვლაში. მეც ხომ შემიძლია, მაგალითად რომელიმე სფერო უფრო განვავითარო. რაიმე სიახლე შემოვიტანო. ვამაყობ იმიტაც, რომ მე პირველი სკეიტერი ვარ თბილისში და შეიძლება მთელს საქართველოშიც. დღეს შემიძლია ვთქვა, რომ სკეიტბორდინგი ერთგვარ კულტურად მკვიდრდება, სულ უფრო მეტი ადამიანი ინტერესდება და მისდევს სპორტის ამ ექსტრემალურ სახეობას. საქართველოში, ვიცი, ეს ვერ გახდება ჩემი პროფესია, ვერ ვიშოვი ამით ფულს, რომ ოჯახი ვარჩინო, არ გამომივა, მოკლედ, პროსკეიტერობა. მაგრამ არა უშავს. ■

სალომე ტიხიჯაძე, 15

არ მომწონს სკოლა. მასწავლებლებს არა უშავთ, ბავშვები არ მომწონს, იმიტომ, რომ ისეთები არიან, მთელი საქართველო როა, ერთნაირები – ინდივიდუალური არაფერი გააჩნიათ. სხვასაც ვერ აღიქვამენ ადამიანად. ზუსტად მაგათნაირი რახან არა ვარ, ვერ წარმოუდგენიათ ჩემთან მეგობრობა, მაგრამ რა ვქნა.. მე ვუკრავ კონტრაბასზე და იმას ვსწავლობ, რაც მაინტერესებს. ეს არის მუსიკა. მუსიკალურ ათწლეულში კლასიკას ვსწავლობ, ისე პანკს ვუსმენ. სკოლაში ახლო მეგობრები არ მყავს, ისე ბევრი მყავს ძაან.

ჩემი მეგობრები თავისუფალი ადამიანები არიან. თავისუფლება ჩემთვის მასის გავლენისგან დამოუკიდებლობას ნიშნავს. მე ამ გავლენისაგან თავისუფალი ვარ. ვაკეთებ იმას, რაც მაინტერესებს და არ მადარდებს, რას ფიქრობენ სხვები. მთავარია, მე მომწონდეს და რაც მე მომწონს, ჩემი მშობლებისთვის და მეგობრებისთვის არასდროს არის რაღაც უცნაური და საოცარი.

არ მომწონს ისეთი ბიჭები „ბეზბრედენიკებს“ რომ ეძახიან, ამ „ახევებზე“ რომ ფიქრობენ, ოდნავ განსხვავებულს დაინახავენ და გვერდზე გაჰყავთ საცემად. ისიც მაღიზიანებს გოგოებს ასეთი ბიჭები რომ მოსწონთ. მათი გულისთვის ბიჭები ერთმანეთს თავპირს რომ დაამტვრევენ, უხარიათ, იმიტომ, რომ ამ გოგოს ავტორიტეტი სხვების თვალში ეგრევე იზრდება.

ცოტა ხნის წინ ნახევარ თავზე თმა გადავიპარსე. ქუჩაში რომ დავდიოდი, ხალხს მაგარი რეაქცია ჰქონდა. ზოგი ამბობდა სანყალი, ალბათ, უპატრონოაო, ზოგი – მაგას ქეცი ჭირსო, ზოგი იგინებოდა, რა თაობა მოდის, ქართველებს გვარცხვენენო. რა უნდა მეთქვა, მეცინებოდა. მაგათი აზრი არასდროს მაინტერესებდა. სხვების გულისთვის ხომ არ გადამიპარსავს თავი, ამას ჩემთვის ვაკეთებ. მომწონს და იმიტომ.


იმ დღეს კლასელებთან ერთად ვიყავი სადღაც, მარხვაზე იყო თითქმის ყველა. რატომღაც მოვეყვი, მეც მიმარხულია-მეთქი. შენ მარხვაზე როგორ უნდა იყოო, მითხრა ერთმა. რატომ, რანაირი ვარ-მეთქი, ვკითხე. აი, ეგრე სტერეოტიპულად აზროვნებენ, – რახან მე პირსინგები მაქვს და პანკს ვუსმენ, ე.ი. ეკლესიასთან არანაირი კავშირი არ შეიძლება მქონდეს. არადა კარგი გოგოა, ვერ მიხვდა უცებ რას მეუბნებოდა. მერე ბოდიში მომიხადა, მაპატიე, ასეთი რამე რო გითხარო.

მეგობრებთან ერთად ვერთობი, მუსიკას ვუსმენთ, სადმე საინტერესო კონცერტი თუ არის და როკს უკრავენ, მივდივართ. ასეთი კონცერტები იშვიათად იმართება ხოლმე და ძალიან ცოტა ხანს გრძელდება, გახურდები და მთავრდება.

აქ არტი არ უნდათ, მუსიკაც, ესტრადა უფრო აინტერესებთ. ესტრადა მე არ მიყვარს, როკს ვუკრავ. სწავლასაც საქართველოში არ ვაპირებ, აუცილებლად წავალ სადმე. დავბრუნდები თუ არა, ეგ უკვე აღარ ვიცი. თუ შემეძლება აქ ის საქმე ვაკეთო, რაც მიყვარს, მაშინ ჩამოვალ, თუ არა და არა. მარტო იმიტომ, რომ ეს ის ქვეყანაა, სადაც დავიბადე და გავიზარდე, არ ჩამოვალ. ეგეთი გადარეული პატრიოტიც არ ვარ. ■







ლუკა ბობაჩია, 14

სკოლა არ მიყვარს, მარტო მე არა, ბევრს არ უყვარს. ბავშვებიც არ არიან ისეთები, როგორიც მინდა რომ იყვნენ. აღიზიანებთ ჩემი ჩაცმულობა, ის, რასაც მე ვუსმენ. არაფერს მეუბნებიან, მაგრამ ისე მიყურებენ, თითქოს რაღაც უცხო ცხოველი ვიყო. მე უკვე შეჩვეული ვარ და აღარ მაინტერესებს სხვა რას ფიქრობს. მასწავლებლები არაფერს არ მეუბნებიან.

ეს ხელბორკილი იმიტომ გვიკეთია, რომ ყველასგან გამოირჩევა. თან მოგვწონს და თან სხვებისგან გამოგვარჩევს.

თავისუფალი არა ვარ და მგონია, რომ საქართველოში არავინ არის თავისუფალი. იმიტომ, რომ სხვა მენტალიტეტის ხალხი ცხოვრობს. არ მაინტერესებს დიდად, მაგრამ მიწევს მაინც რაღაცების გათვალისწინება. იქ სკოლა, იქ მშობლები. მამაჩემს და ჩემს ძმას არ მოსწონთ, როგორც ვიცვამ. უფროსი ძმა მეუბნება, რომ მე ასე არ უნდა ვიარო. ვეუბნები, გამოვიცვლები რამდენიმე წელიწადში და ასეთი აღარ ვიქნები-თქო. შეიძლება, ტანსაცმელი გამოვიცვალო, მაგრამ შინაგანად ისეთივე დავრჩე. შეიძლება, მომბეზრდეს და შევიცვალო კიდევ. სრულწლოვანი რომ გავხდები, წავალ საზღვარგარეთ სასწავლებლად. არქიტექტურა მაინტერესებს, ან კიდევ შეიძლება რეჟისორი გამოვიდე. ოჯახში მითხრეს, რომ გაიზრდები, უცხოეთში გაგიშვებ სასწავლებლად. იქ უფრო მეტ რამეს მივალწევ ვიდრე აქ. ისე, ჯობდა ამერიკაში მეცხოვრა, იქ უფრო მეტი თავისუფლებაა. მაგრამ არა უშავს, აქაც კარგია. ■

გვანსა შალჩიანი, 14

სკოლაში ბოლო მერხზე ვჯდები, ჩემთვის. ათასში ერთხელ გაკვეთილს თუ მოვყვები, რაღაცეებს ვსწავლობ, გეოგრაფია მაინტერესებს. უფრო ბიჭებთან ვმეგობრობ. ჩემს სკოლაში გოგოებს ძირითადად ჩაცმა აინტერესებთ, მაგრამ მაინც ერთნაირად აცვიათ. მარტო მე დავდივარ ასეთი ჩაცმული. ეს ბოქლომი მომწონს და იმიტომ მიკეთია. ეს ჩავეტილი გულის სიმბოლოა. ჩემი საყვარელი ადამიანი შიგნით ჩავეტე... მაღიზიანებს ქუჩაში საშინელი თვალებით რომ მიყურებენ. ხანდახან მაგინებენ, დაურტყვიათ კიდევ. რატომ ხარ აქ თუ არ ხარ ჩვენნაირი – მიზეზი ეს არის. ახსნასაც ვცდილობ მაგრამ არ ესმით. მივეჩვიე და ისე აღარ განვიცდი, ყურადღებასაც არ ვაქცევ. ორ წელიწადში ლონდონში მიშვებენ მშობლები სასწავლებლად. სწავლას რომ მოვრჩები, იქ საცხოვრებლად დავრჩები ალბათ. მშობლებსაც უნდათ იქ რომ დავრჩე. ჟურნალისტობას ვაპირებ. ■

არ მინდა, ჩემი ფოტო რომ გავიდე სურნალში. დამატებით პრობლემების შექმნა არ მინდა. ჩემი თავიც არ მომცემს მაგის უფლებას, რომ ჩემი ფოტო სურნალში დაიბეჭდოს. არ მინდა, ჩემი სახე ხალხმა რომ ნახოს. რატომ – არ ვიცი, მიჭირს ახსნა. არ მოსულა, რა. თუნდაც იმის გამო, რომ მაქვს რალაც პრობლემები პოლიციასთან. ჩემს ფოტოს რომ ნახავენ და რალაცეებს ნაიკითხავენ, კიდევ მეტ პრობლემას შემიქმნიან, რათ მინდა?!

ეგრე ვცხოვრობ, ქუჩაში ვარ გაზრდილი და სხვანაირად ვფიქრობ. ამბიციური ვარ ცოტა. არ მივცემ ჩემს თავს იმის უფლებას, რომ ვინმემ რამე დამიშავოს და მე იმას ერთი ზედმეტი სიტყვა შევარჩინო. ყოფილა ეგეთი შემთხვევა, მომხვედრია ხელი და სანამ იმათთვის უარესი პასუხი არ გამიცია, მთელი ღამე ვნოლილვარ და გამითენებია მაგაზე ფიქრში, რომ, შური მალე მეძია. დილიდან ღამემდე მიდევნია, საჭირო მომენტი რომ არ გამეშვა ხელიდან. შურს რო იძიებ, შეიძლება დაგიჭირონ, მაგრამ სამაგიეროდ, ისე იქნები, ამაყად.

მაგაზე ვფიქრობ, ჩემი საქციელით შეიძლება ჩემს თავსაც და ჩემს ოჯახს, მეგობრებს რალაც ზიანი მივაყენო. მაგრამ ეგ მომენტი რომ დგება, ვილაც შეურაცხყოფას რომ მომაყენებს, ისე გამოვდივარ ნყობიდან, რომ მაგაზე უკვე აღარ ვფიქრობ. დამიჭრია ადამიანი ბევრჯერ, დანიტაც და იარალიტაც. იმ მომენტში მარტო იმაზე მიფიქრია, რომ რაც შეიძლება მეტად დამეზიანებინა ის, ვინც მე გამამწარა.

კი, მიპატიებია კიდევაც. არ გამოდიოდა რო არ მეპატიებინა, ისეთი ხალხი ჩაერია. მაგრამ ღამე რომ ვნებოდი, ძალიან ცუდად ვიყავი. სულ მაგაზე ვფიქრობდი. ჩემი ინიციატივით არასდროს არავისთვის არაფერი არ მიპატიებია.

ჩვენ არავის არ ვეხებით, ჩვენთვის ვართ. თუ დამიშავებენ, მეც ვუპასუხებ. არავისთვის, არასდროს ჩაცმის გამო, ან გარეგნობის გამო არაფერი მითქვამს. ვისაც რა უნდა, ის ჩაიცვას და ისე იცხოვროს. შეიძლება არ მომწონოს, მაგრამ არაფერს ვეტყვი. აი, გეიები მეზიზღებიან. გეიპარადს ხო გეგმავდნენ. ეგ რო გაეკეთებინათ, ვისაც კი ვიცნობ და ნუსიერ ადამიანად აღვიქვამ, ყველა ერთად შევიკრიბებოდით, ჩავიდოდით პარკში და ვინც შეგვხვდებოდა, ყველას მაგრა ვცემდით. ხელით კი არა, ბიტიტ უნდა ცემო ეგენი. რო ვუყურებ, ყელში მიჭერს რალაც, ისე მეზიზღებიან. ეგეთი ადამიანები, რაც არ უნდა მოხდეს, ჩემგან პატივისცემას ვერ დაიმსახურებენ.

ვერთობით, დავდივართ ყველგან, კინოში, ბარებში, რესტორნებში გოგოებთან ერთად. დაბადების დღეებს სუფრაზე აღვნიშნავთ, ვსხედვართ და სადღეგრძელოებს ვამბობთ, ერთმანეთს ვესიყვარულებით. მომწონს ერთმანეთს კარგ რამეებს რო ვუსურვებთ, თორემ, მარტო დაღევა არ მსიამოვნებს. ტრადიციულ სადღეგრძელოებს ვამბობთ. ოჯახის, დედამიშვილების, სამშობლოს. მერე რაც გულზე მომანვეება, იმას ვიტყვი.

კი, ვკითხულობ, იარაღების სურნალები მიყვარს.

ეს ეკლესიაც რალაც ის გახდა ამ ბოლო დროს. მონასტრები ხომ საერთოდ, შეგხვდება ვინმე, კითხავ რას შევბიო და “მონასტრში ვიყავი, ძმაო”, გიპასუხებს. ეკლესიის ეზოში ჯიპების შეყენებები და მამაოსთვის ძვირფასი საჩუქრების ჩუქნები. დაცვის ბიჭებით ეკლესიაში სიარული. ეგეთ რამეებზე მეცინება, ხანდახან მაღიზიანებს კიდევ. იშვიათად მივდივარ ხოლმე, მაგრამ თუ მივდივარ, ლოცვების მოსასმენად მივდივარ, რალაცეებზე ვფიქრობ ხოლმე. ბევრჯერ რალაც ისეთი გამხსენებია ლოცვის დროს, რაზეც მაგრა მინანია. რა ვიცი, მე ასე ვარ. თუ დადიხარ ეკლესიაში, მაშინ, რომ გამოხვალ იქიდან, რალაც საშინელება აღარ უნდა გააკეთო. ამიტომ იშვიათად მივდივარ.

იმაზე ვფიქრობ ხოლმე, რომ სანამ ცოლს მოვიყვან, მინდა ჩემი რალაც მქონდეს. ისედაც შევძლებ ჩემი თავის რჩენას, რომ არ ვიმუშავო. როგორ და ვილაცეები მომცემენ. არა, არ ვთხოვ არავის, ისე მომცემენ. როგორ და ვეტყვი რომ მომცენ და მომცემენ. არა, ეგ თხოვნა არ არის. არსად წასვლას არ ვაპირებ. ოჯახს კი უნდა, რომ სასწავლებლად წავიდე, მაგრამ მე არ მინდა. უნივერსიტეტში ჩაბარებას ვაპირებ. რაც მე მინდა, იმ ცოდნას აქაც მივიღებ. თუ ძან გინდა სწავლა, ყველგან შეიძლება. ძირითადად, იმიტომ ვსწავლობ, რომ დედაჩემს ვასიამოვნო. გაკვეთილებზე დავდივარ, დანარჩენი ისე ვცხოვრობ, როგორც მე მინდა. ■





მაკა კამარიძე, 17

ვსწავლობ საავიაციო უნივერსიტეტში, ვცეკვავ ლათინურ ცეკვებს. რაზეც ცეკვა შეიძლება, ყველაფერს ვუსმენ, ქართული ესტრადის გარდა.

მინდა სამსახური დავიწყო სწავლასთან ერთად, გამოცდილება რომ დავაგროვო.

ბოლომდე თავისუფალი მაშინ ვიქნები, როცა ჩემს თავს მთლიანად მე თვითონ უზრუნველყოფ.

ადრე სულ ვფიქრობდი, ამას რომ გავაკეთებ, ჩემი ოჯახის წევრები, მეგობრები რას იტყვიან-მეთქი. ახლა ასე აღარ ვფიქრობ, რასაც ვაკეთებ, იმაზე პასუხს მე ვაგებ, ამიტომ ყველანაირ გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად ვიღებ.

არ მომწონს, როდესაც საკუთარ მეობას კარგავენ და სხვისი გავლენის ქვეშ ექცევიან. სხვაზე შთაბეჭდილება რომ მოახდინონ, შეიძლება ისეთი რამე გააკეთონ, მიუღებელია რომაა პირადად მათთვის. ეს ჩემ გარშემო ძალიან ხშირად ხდება.

ვფიქრობ, წარმატების მიღწევა საქართველოშიც შეიძლება და ეს მარტო ქვეყნის მმართველებზე არ არის დამოკიდებული. ხალხზე ძალიან ბევრი რამეა დამოკიდებული. თუ ადამიანი არ გახდა უფრო მონდომებული, თუ ჩვენ თვითონ არ შევიცვალეთ, არაფერი გამოვა. ნებისმიერ ადგილას მიაღწევ წარმატებას თუ მართლა შეეცდები. ამერიკაში წარმატებული ადამიანები თუ ცხოვრობენ, ეს მარტო მთავრობის დამსახურებაა? თუ ხალხი არ მიხვდა, რომ ყველა საქმე ჩვენი გასაკეთებელია, არ იშრომა ბევრი და არ დაიხარჯა, ვინ იქნება მთავრობაში, ამას მნიშვნელობა არა აქვს. ვერაფერს მივალწევთ და ამ ქვეყანაშიც არაფერი შეიცვლება. ■



არო ჩხიკვიშვილი, 13

მუსიკა მიყვარს. მუსიკალურ ათწლეულში ვსწავლობ, ვიოლანჩელოზე, როკს და ჯაზს გიტარაზე ვუკრავ. ცოტა ხნის წინ ჯაზ-ბენდში დავინყე დაკვრა. მოკლედ, მუსიკა მაინტერესებს.

სკოლაში კარგად ვსწავლობ. ცოტა ხნის წინ, გრძელი თმა მქონდა და გაკვეთილიდან გამომაგდეს, მომიწია შეჭრა და ეხლა ასე მაქვს. როცა შემოძლია, სკეიტერებთან ერთად გავდივარ. მიყვარს გარეთ ხეტიალი.

ეს აკრძალვები ნერვებს მიშლის. ვისაც როგორ უნდა, ისე უნდა იცხოვროს. ეს თავისუფლების შეზღუდვაა. რას მიაღწევ მაგით, სექსს რომ უკრძალავ ქორწინებამდე ახალგაზრდებს?! ყველაზე ძალიან ძველბიჭობა და „სწერვა“ გოგოები მალიზიანებს, თავისთავზე რო აქვთ დიდი წარმოდგენა. მაგათ აზრს ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს და ვცდილობ, ნეიტრალურად ვიყო მათთან.

არ მომწონს უსიყვარულობა. მინდა შეყვარებული მყავდეს, მარტოდ რომ არ ვიგრძნო თავი. რატომღაც უჭირთ გოგოებს შეყვარება. არ ვიცი რატომ. ■



BILLY, 15

ნეტში ნიკი მაქეს ასეთი, „ჩამოხეული ბილბორდები“, მეგობრებმა ნელ-ნელა შემიმოკლეს და billy დარჩა. ყველა ბილის მეძახის.

ნელს ვაბარებ და ძალიან ბევრს ვმეცადინებ, მასწავლებლებთან დავდივარ. თუ დრო მაქვს, სადამოებით გავდივარ მოტოთი, მეგობრებს ვნახულობ, მუსიკას ვუსმენ. მუსიკას თითქმის მთელი დღის განმავლობაში ვუსმენ, შემოდის ვთქვა, რომ მუსიკაში ვცხოვრობ. პანკ როკი მიყვარს. თეატრალურში ტურიზმზე ვაბარებ. ისე, სასწავლებლად სადმე სხვაგან მინდა წასვლა. კარგი განათლება რომ მივიღო, ჯერ იმიტომ. მერე, იქ მინდა ვიცხოვრო სადაც ბევრი, ბევრი, ბევრი მუსიკაა. იმიტომ, რომ აქ მუსიკა არ არის. დაბრუნებით აუცილებლად დავბრუნდები. რა ვიცი, დედა, მამა, მეგობრები. რაღაც უგულო უნდა იყო, ყველა რომ დატოვო და აღარ დაბრუნდე. აქეთ-იქით მინდა ვიარო, გზაში ვიყო.

ვაკეთებ იმას, რაც მინდა. ჩემთვის მთავარი რაღაცეებია მუსიკა, მოტოციკლეტი, ოჯახი და მეგობრები. ყველაზე კარგად მაშინ ვარ, მოტოთი რომ დავდივარ. წავალ ხოლმე ქალაქგარეთ და ვერთობი. ეს მოტოციკლეტი ჩემთვის იგივე ადამიანია. ამას კითხვა „რას“ არასდროს დავფუსვამ, ეს ჩემთვის არის „ვინ“, სიგიჟემდე მიყვარს. 2 წლის წინ მობლემმა დაბადების დღეზე მაჩუქეს. ვგიჟდები კატაობაზე - ველოსიპედით, როლიკებით და სკეიტით, არ აქვს მნიშვნელობა. ჩავიცვამდი ხოლმე როლიკებს, დავჯდებოდი ველოსიპედზე და ხან ერთით ვკატაობდი, ხან მეორეთი, დრო ტყუილად რომ არ დამეკარგა. ათასჯერ დავმტვრეულვარ, მაგრამ თავი არ მიმინებებია. თუ გინდა, ყველაფერს გააკეთებ. ჩემი სახლის სარდაფში მისრიალია როლიკებით და სკეიტით, ძალიან რომ მინდოდა.

მალიზიანებს ქუჩაში პირდაღებულები რომ მიყურებენ. მერე რა, თუ მომაცხებენ რამე უსიამოვნოს, მეც მივაცხებ, უზრდელად კი არა, ისე მშვიდად. მითქვამს შენ შენს თავის თავს მიხედე და მეც ჩემს გზაზე წავალ-მეთქი. კიდევ ძალიან მალიზიანებს ბევრი შავი შარვალი და გოგოები, უაზროდ რომ ლაპარაკობენ, რომ უნდათ მაგარი fashion-ები იყვნენ და არ გამოსდით.

მაგარი მოუსვენარი ვარ, სულ რაღაც აზრები მომდის თავში. 12 წლის ვიყავი, მეგობრებთან ერთად პირველი აქცია რომ ჩავატარე. ორგანიზატორი მე ვიყავი. „მსოფლიო თამბაქოს გარეშე“- ეს იყო ჩვენი დევიზი. არაფერი, ერთ-ერთი სიგარეტის სარეკლამო ბილბორდიდან დავინწყეთ სვლა და რუსთაველის მეტროსთან გავეჩრდით. გზაში, გამვლელებს ბუკლეტებს ვურიგებდით, 100 არგუმენტით - რატომ არ უნდა მოსწიო სიგარეტი. ბუკლეტების დაბეჭდვაში დახმარება თამბაქოს საწინააღმდეგო ერთ-ერთ ორგანიზაციას ვთხოვე, დამთანხმდნენ. მაღე, მეორე აქციაც მოვანწყვეთ - ქუჩაში ვინც ეწეოდა, ვთხოვდით სიგარეტი ბუნკერში ჩაეგდო და სამაგიეროდ ჩუპა-ჩუპსს ვთავაზობდით. ეს ჩემი იდეა მერე მაგრა აიტაცეს, ასეთ აქციებს ეხლა ბევრი აწყობს.

ორი წლის წინ, კიდევ, ცხრა მეგობართან ერთად, საქველმოქმედო აქცია მოვანწყვეთ. ერთ-ერთ ნარკოლოგიურ კლინიკას მივმართეთ და დარბაზის დათმობა ვთხოვეთ. ერთი კვირის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებებს ვმართავდით, გვექონდა პოეზიის, მუსიკის სადამოები, იყო დისკუსიები. ქუჩაში ბუკლეტებს ვარიგებდით და გამვლელებს სადამოებზე ვეპატიჟებოდით. ღონისძიებაზე დასწრება ფასიანი იყო. მოდიოდა ხალხი, დარბაზი ივსებოდა. შემოსული თანხით კი კლინიკაში ოცდამდე ახალგაზრდებს ან სულ უფასოდ, ან ნახევარ საფასურად მკურნალობის საშუალება მივეცით. არ მახსოვს რამდენ ახალგაზრდას დავეხმარეთ.

ასეთი რამის გასაკეთებლად ნელს დრო არა მაქვს, ვაბარებ. მერე მომივა კიდევ უცნაური იდეა თავში, აბა, ისე უაზროდ რა გამაჩერებს. ■

დილას ვილვიძე 9-ის ნახევარზე და სკოლაში მივდივარ. აუცილებლად ვიგვიანებ და ძირითადად, მეორე გაკვეთილზე მივდივარ. ან საერთოდ არ მივდივარ, უფრო ხშირად არ მივდივარ, მეზარება.

ცოტა ხნის წინ, პირველ არხზე გავიდა ჩემი ინტერვიუ, სადაც მკითხეს, როგორი იყო ჩემთვის იდეალური ქალი. საშინელებები ვთქვი მაშინ; ვთქვი, რომ ქალს უნდა შეეძლოს დალევა და უნდა იყოს გოთი. რა იციან იმათ, რა არის გოთი. მეორე დღეს ისტორიის მასწავლებელმა დერეფანში გამაჩერა და ეგ რა გილაპარაკიო, მკითხა. უბრალოდ, ის ვთქვი, რასაც ვფიქრობდი-მეთქი, ვუბასუხე. შენ სკოლა შეარცხვინეო.

მთელი ერთი თვე დამრიგებელს კლასში რამე რომ არ მოეწონებოდა, ყველაფერს მე მაბრალებდა, რაღაცნაირი გაბრაზებული მიყურებდა სულ. ამ დროს, არასდროს კლასის აჯანყებებში მონაწილეობა არ მიმიღია, არ მაინტერესებს ეგეთი რამეები. სიუჟეტის მეორე დღეს რა დამავიწყებს, სკოლაში რომ მივედი და ყველა მე მიყურებდა – საშინელება იყო. სწავლით ჩემთვის ვსწავლობ. დავდივარ მასწავლებლებთან, მათემატიკაზე, ინგლისურზე. სწავლის გაგრძელებას ვაპირებ, მაგრამ აქ არაა. შეიძლება აქ ჩავაბარო, ერთი წელი ვისწავლო და მერე წავიდე. წასვლით კი ნამდვილად წავალ. ოჯახმა მითხრა გაგიშვებოთ. სკოლაში რა უნდა მასწავლონ? შემოვა მასწავლებელი, ტელეფონზე დარეკავს, ან რამე წასაკითხს დაგვიტოვებს და თვითონ გავა. ერთი-ორი კარგი მასწავლებელი კი გვყავს, ქართულში მაგალითად.

სკოლაში კარგად ვარ ყველასთან, კარგად ვესაუბრები და ვემშვიდობები, მეგობრობით არავისთან არ ვმეგობრობ. ისე, უფრო ხშირად მძინავს სკოლაში. მეძინება ხოლმე გაკვეთილებზე, მერე ვინც გვერდით მიზის, ის მაღვიძებს.

სკოლაში ადრე უფრო ხშირად ვჩხუბობდი. აგდებულად მექცეოდნენ. ისე, მოდიოდნენ, დაჩაგვრის ამბავში და რაღაც მიზეზებს იგონებდნენ, მაგალითად ის გოგო რატომ მოგწონსო მეუბნებოდნენ და მცემდნენ. არადა, არ მომწონდა. სკოლაში უფრო წყნარად ვიცვამ. იმდენჯერ მომცეს შენიშვნა, რომ დავიღალე. დამრიგებელი მეუბნებოდა, დირექტორი შენი გულისთვის მეჩხუბება და თუ ასე გააგრძელებ, შენთან ერთად მეც გამაგდებენო. ბოლოს ამომივიდა ყელში და გავიხადე. როგორ არ მიშლის წერვებს. ვცდილობ პატარა დათმობებზე წავიდე. მერე მგონია შეიცვლება ეს ყველაფერი. ალბათ ჩვენი თაგ უნდა გავაკეთოთ რაღაცა, რომ რამე შეიცვალოს. ვაკეთებთ კიდევ.

რომ გავიხსენოთ, ოცი წლის წინ როკერი, ან საერთოდ, მასისაგან გამორჩეული ადამიანი სულ თითზე ჩამოსათვლელი თუ მოიძებნებოდა. დღეს უფრო მეტნი არიან. მართალია, უმეტესობა იმიჯისთვის იცვამს ასე, მაგრამ მაინც კარგია, რომ მათაც სხვანაირად აცვიათ.

მე და ჩემი მეგობრები მასისგან განსხვავებულად ვიცვამთ. ექსტრემალურ სპორტს მიყვებით, ზოგი გრძელ თმას ვატარებთ, მუსიკას ვუსმენთ. მე გიტარაზე ვუკრავ.

მალიზიანებს ის, რომ ქვეყანაში ყოველ დღე აქციაა. მალიზიანებს ხალხი, ვისაც ჰგონია, თუ ასე გაცვია, ესე იგი გეი ხარ, ან სატანისტი, ან უბრალოდ საშინელი ტიპი.

მინდა, სადმე სხვაგან ვიცხოვრო, უფრო თავისუფალი ვიყო და არავის აინტერესებდეს ჩემი არაფერი. მაგრამ თან არ მინდა ჩემი მეგობრების დატოვება. აქაც ასწორებს ყოფნა. მომწონს, ასე რომ ვცხოვრობ და ამდენი წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც არ ვიცვლი ჩემს აზრს. მაინც იმას ვაკეთებ, რაც მინდა. ეს ბრძოლები რაღაც სტიმულსაც მაძლევს. ხანდახან, იმაშიც მეხმარება, რომ კარგად გავიგო მეთვითონ ვინ ვარ.

ახლა ჯგუფს ვაკეთებთ, პანკ როკს დავუკრავთ და ამ ყველაფერს დავუპირისპირდებით – ხალხის შეხედულებებს, ამ მენტალიტეტს და ყველაფერი განსხვავებულის მიმართ საშინელ აგრესიულ დამოკიდებულებას. იქნებ მუსიკით შევცვალოთ რამე ამ ქვეყანაში. ■







ფოტოზე სახე არ უნდა გამოჩნდეს. ისე დაგელაპარაკებით, ფოტოს და გვარის გარეშე. რატომ და რომ დამიჭირონ? ციხეზე ბიჭები არიან. მერე რაღაც ლაპარაკი რო იქნება, უცებ გაიგებენ ჩემი ფოტო ჟურნალში რომ იყო და არაა წესი, რა. გამრიყავენ და რომც დამჩაგრონ, პასუხს ვერ გავცემ. ჩემი აზრის გამოხატვის უფლება როგორ არა მაქვს, მაგრამ ყველგან არა. ეგეთი რამეები სხვაგან შეიძლება, მაგრამ ეს საქართველოა და აქ კაცობა და ვაჟკაცობა სხვანაირად ესმით. შეიძლება რო დამიჭირონ, ვუშვებ, რატო არ ვუშვებ. რაღაცეები ხდება, ვჩხუბობთ ხოლმე.

საერთოდ, პოლიციასთან ყველანაირი თანამშრომლობა გამორიცხულია. ვთქვათ, ჩემი მეგობარი დაჭრეს, ხო? ის თავს დაჩაგრულად გრძნობს და უნდა რომ გამოჯანმრთელდება, გაამწაროს ის, ვინც დაჭრა. მე რო ის დამჭრელი პოლიციასთან ჩავუშვა, ჩემს მეგობარს შურისძიების შანსი აღარ რჩება. ეს ეგეთი კაცური წესებია. საქართველოში სულ იყო ეგეთი წესები. ქურდული არ არის, ეს კაცობაა. შურისძიება ჩემთვის კაცობაც არის. შეურაცხყოფას რომ მოგაყენებს, ორმაგად უნდა გასცე პასუხი, დაჩაგრული რომ არ დარჩე.

მაგ დროს არ ვფიქრობ, რომ ამ საქციელისთვის შეიძლება პასუხი ვაგო და დიდი მსხვერპლის გაღება მომიწიოს. არ ვფიქრობ და მორჩა. ეხლა შეიძლება ვიფიქრო, მაგრამ იმ დროს ეს არ გამასხენდება. ნუ, იძიებ შურს, ნახვალ ამ პაბეგში, იქნები იქ ათი წელი და ჩამოხვალ მერე, რა.

საქმეზე რომ მიდიხარ, დაზოგვა არ არსებობს, არ ფიქრობ მაგაზე. მე თუ მკითხავ, შემთხვევით ხდება რომ გადარჩებიან ხოლმე, ღმერთი არ წირავს. ჩემი ხელიდან ვისაც დანა მოხვდება, ის მკვდარია ჩემგან. ეგრე რომ გავმწარდე? შეგინებაც საკმარისია. ჩხუბის დროს ეგრეა. ისე შეიძლება ადამიანმა გაამწაროს, რომ რამდენიმე წელი ვიცადო, მერე ვიპოვო და დავჭრა კი არა, სანამ არ მოკვდება, იქამდე ვუყურო. ეგრე ჯერ არავის გავუმწარებოვარ. დაჭრით დამიჭრია. ვერ დამიჭირეს ფაქტზე. ვინც დავჭერი, იმან, რა თქმა უნდა, არ თქვა ვინ ვიყავი. არ მოსულა და იმიტომ... არაფერი. ჩემი მშობლები, ჩავარდნენ ისტერიკაში, ეს როგორ გააკეთეო. მერე დამშვიდდნენ, მეჩხუბნენ, რა. რა უნდა ექნათ მეტი, ხო არ ჩამაბარებდნენ? დამსაჯეს და სახლიდან არ მიშვებდნენ.

ხანდახან მიფიქრია, რომ ბიჭებთან ერთად ჯდომას და დროის ფლანგვას, ჯობია რომ წიგნი ავილო და ვისწავლო. ეგ შეგნებული გვაქვს, რომ გაუნათლებლობით ვერაფერს მივალწევთ. ისე, ძალიან სერიოზულ სწავლას არ ვაპირებ. რას ვაპირებ და ბიზნესი მექნება. რაღაც სწავლა როგორ არ არის საჭირო, მაგრამ გაგიჟებით არ ჭირდება ბიზნესს სწავლა. გაგიჟებით არც არაფერს არ ჭირდება სწავლა.

ჩემთვის ნამდვილი ქართველი ტრადიციების მიმდევარი ადამიანია ვაჟკაცი, თავს რომ არავის დააჩაგრინებს და უმიზეზოდ თვითონაც არავის დაჩაგრავს. არ უნდა იცანცარო, ქუჩაში არ უნდა იყვირო, ისულელო. ჩემს სამშობლოს რომ დაჭირდეს, ომშიც წავალ. მაგრამ სამშობლოს სიყვარული მარტო ომში წასვლა არ არის. ბევრი რამე შეგიძლია შენი სამშობლოსთვის გააკეთო. აი, საზღვარგარეთ რომ წახვალ, ისე არ უნდა მოიქცე, რომ შენს ქვეყანაზე ცუდი შთაბეჭდილება შეექმნათ. რომ მიდიან და ყაჩაღობენ, ჩემთვის მიუღებელია. არ მომწონს ჩვენს ქვეყანას რომ არცხვენენ. მეც მიყაჩაღია, მაგრამ საქართველოში. თავანი მქონდა ჩასატანი და ვილაც არიფს ოქროს ცეკვი წავართვი. ეგ სულ სხვა რამეა, ისინი იპარავენ იმიტომ, რომ მოიპარონ და მე იმიტომ წავართვი, რომ მჭირდებოდა.

გოგოებმა არ იციან ჩვენი ჩხუბების ამბები. გოგოებს ეგეთ რამეებს არ ვუყვებით. ისე, იშვიათად ვჩხუბობთ, ვცდილობთ, ლაპარაკით მოვაგვაროთ, ნუ, თუ ვინმე ხისთავიანი შეგხვდა, რას იზამ. ვერ ვიტან, ბიჭებმა ზოგჯერ რომ იციან ტრაბახი, ის ვცემე, ეს ვცემეო. გოგოებიც არიან, ვისაც ეგეთი ბიჭები მოსწონთ. მე ეგეთი გოგოები არ მომწონს. ■



გიორგი კამლაძე, 17

ყოველ დილით სამსახურში მივდივარ. „კვირის პალიტრაში“ ვმუშაობ და რუსულ და ქართულენოვან გაზეთებს ვყიდი. ადრე ბარმენად ვმუშაობდი.

„ჯეობარს“ რომ ვუყურე, ბარმენობა მაშინ გადავწყვიტე. მომეწონა როგორც მუშაობდნენ. კოლეჯში მინდა ჩაბარება მიმტანის პროფესიაზე.

ქუთაისიდან ვარ, ბებია ახლაც იქ ცხოვრობს. თბილისში ბინა მინდა ვიყიდო და ბებიაც თბილისში გადმოვიყვანო საცხოვრებლად. ამისთვის ფულს ვაგროვებ. ჯერჯერობით ტელევიზორი და დივიდი ვიყიდე და ნელ-ნელა შევაგროვებ ბინისთვისაც.

ისე რომ ვიცხოვრო როგორც მინდა, პროფესიაა საჭირო, მერე კი მონდომება, აქტიურად მოქმედება და ძალიან, ძალიან დიდი ნებისყოფა. ჩემით ვიპოვე ორივე სამსახური და რამდენიმე თვეა ვმუშაობ. ჩემთვის ეს უკვე წარმატებაა, რომ ვმუშაობ. ჯერჯერობით, იშვიათია, როცა 17 წლის ახალგაზრდამ ამ ასაკში უკვე იცის, რა უნდა და თავისი მიზნისკენ მიდის. ■



დათო ცხესლაძე, 17

საავიაციო კოლეჯში ვსწავლობ, მერე უნივერსიტეტში ჩავაბარებ. არასდროს მყვარებია სწავლა, მაგრამ ვიცი, სხვა გამოსავალი არ არის. ხატვა უფრო მომწონს. ეგაა, რომ ამ ხატვით ვერ ვიცხოვრებ.

სპეციალურად ავირჩიე რთული ფაკულტეტი, რომ სულ დაკავებული ვიყო და სხვა რამეზე არ გადავერთო. იყო დრო, როცა სხვა წრეში ვტრიალებდი, ყოველ დღე ამ ჩხუბებზე დავდიოდი, ვიდექი ბირჟაზე და არაფერი არ მაინტერესებდა.

ბავშვობაში მეც არ მქონია ისეთი ავტორიტეტი სკოლაში, ხშირად მწაგრავდნენ ხოლმე. ისე, გასართობად შეიძლება ვილაცხას თავში წამოერტყა, ან შეურაცხყოფა მოეყენებინა. ამიტომ მე თვითონ ქუჩაში რომ ვიყავი, მახსოვდა ეს განცდა და უსამართლოდ არავის მოვექცევივარ. გარეთ, ქუჩაშიც იმიტომ ვიყავი, რომ ამ ჩემს კომპლექსს რამენაირად მოვრეოდი და ასეც მოხდა. ეხლა ვსწავლობ.

ჩემი მეგობრები ზოგი დაიჭირეს, ზოგი ისევ ისე ცხოვრობს, ზოგმა სწავლას მოკიდა ხელი. არასრულწლოვანთა კოლონიაში არის ერთი მეგობარი. მაღაზიიდან 10 ლარის მოპარვისთვის 4 წელი მისცეს. 14 წლის იყო მაშინ, ეხლა 15-ის არის. უკვე ძალიან შეცვლილია, რომ მირეკავს, საშინელი აგრესიულია. სამი წლის მერე როგორი იქნება, არ ვიცი. ალბათ, კიდევ უფრო აგრესიული და გაბრაზებული. ადრე რომ ვხვდებოდი, სიხარულით სავსე იყო, უხაროდა ცხოვრება, მხიარული ტიპი იყო. მერე 10 ლარს კი არა, ყველაფერს იზამს, უკვე ლაპარაკობს კიდევ ამაზე, სიძულვილით და ბოლმით არის სავსე.

მობილურის განწევაზე, 10 და 30 ლარის მოპარვისთვის 4-5 წელს რომ აძლევენ, მერე ასეთები გამოდიან. იმათ, მერე ქუჩიდან სახლში ვედარ აბრუნებენ, მორჩა. 4 წელი ისეთ გარემოში ცხოვრობდა, სადაც სულ ჩხუბები და საქმის გარჩევებია.

ჩემთვის რომ არ ეთხოვათ და სულ მაგაზე არ ელაპარაკათ, შეიძლება, არ მესწავლა. დედაჩემის დამსახურებაა სწავლა რომ დავიწყე. დამოუკიდებლობისთვის, ბოლომდე დამოუკიდებლობისთვის ჯერ პატარები ვართ, მგონი. გვჭირდება მშობლის ყურადღება, კონტროლი ცუდი სიტყვაა, ყურადღება უფრო.

პატარა რომ ხარ, ადვილად ეგები ყველაფერზე, ნარკოტიკზე, სიგარეტზე. უსაქმურობისგან თავის დაღწევის საშუალებაა, გართობაა. რამით ხო უნდა დაკავდე? კიდევ, უფროსები გაქვებენ. ვისაც ნარკოტიკი აქვს, უფასოდ გთავაზობს, გასინჯავ, მოგეწონება და ასე. ჩემსხელს ძნელად იბირებენ, უფრო პატარებს, ასე 14-15 წლის ბიჭებს. ჩემს სკოლაში ასეთი რამეები სულ ხდებოდა.

ძალიან მინდა ისეთი სამსახური ვიშოვო, ოჯახის რჩენა რომ შევძლო. თუ რამეს გინდა მიაღწიო, ამისთვის თავი არ უნდა დაზოგო და შენს თავზე იმუშავო. მაგრამ ინსტიტუტს რომ დავამთავრებ, არ ვიცი შევძლებ თუ არა სამსახურის შოვნას. ძალიან დიდი მონდობებაა საქმით. მინდა, რომ გარეთ გავდიოდე და არაფრის მეშინოდეს. არ მეშინოდეს, რომ ვიღაც მოვა და რამეს დამიშავებს, რამეს წამართმევს. თავისუფლება მინდა, რა. ■

ანა კობახიძე, 14

ალბათ, რაღაც უცნაური ნიჭი უნდა მქონდეს, ამ სკოლაში სწავლა რომ შეეძლოს. ჩემს კლასში ძალიან კარგი ბავშვები არიან, მაღალი ქულები აქვთ ყველაფერში და ამ დროს, არ იციან ინგლისის დედაქალაქი. აი, ასე გვასწავლიან. სკოლა საერთოდ სხვა სამყაროა ჩემთვის. ჩემს კლასელებს რალაცნაირი, ცარიელი ცხოვრება აქვთ, არანაირი ინტერესები. მიჭირს მათთან ურთიერთობა. მეგობრებიც უფრო სკოლის გარეთ მყავს. უკვე ვფიქრობ იმაზე, რა მინდა ცხოვრებაში ვაკეთო და ჩემი მიზნები მაქვს.


ამჟამად, ჩემს მეგობართან ერთად რუსთაველის სარდაფში წარმოდგენას ვდგამ. მე ვცეკვავ, ვმღერი და თან რეჟისორი ვარ. ძალიან მინდა ეს თეატრალური წარმოდგენა კარგად გავაკეთო. ცოტაოდენი ფული დავაგროვო და პარიზში წავიდე, ტვინი რომ გავინიავო. არ მინდა ჩემი მშობლები მარტო იმისთვის მჭირდებოდნენ, რომ დამაფინანსონ. მეც შემიძლია უკვე რალაცვების კეთება.

მე თავისუფალი ადამიანი ვარ. იყო თავისუფალი, სულ არ ნიშნავს, მაინცდამაინც, პანკი, გოთი, იმო, ან რამე ეგეთი იყო. არც ერთი ვარ, მაგრამ ვცხოვრობ ისე, როგორც მინდა.

ბევრი რამე არ მომწონს. არის ასეთი ტრადიციები და სტერეოტიპები, რომლებიც არავის აღარ სჭირდება. გაუთავებელი კამათი ქალიშვილობის ინსტიტუტზე, სექსუალური უმცირესობების მიმართ რალაცნაირი აგრესიული დამოკიდებულება. არავის საქმე არ არის, ვინ როგორ იცხოვრებს. ყველა თვითონ ირჩევს თავის გზას. ვმეგობრობ რამდენიმე გეისთან და ვერ ვხვდები, რატომ უნდა მანუხებდეს ის ფაქტი, რომ ჩემს მეგობარ ბიჭს ბოიფრენდი ჰყავს. რა მოხდა მერე? ამ ადამიანმა ასე გადანწყვიტა და მორჩა. ისიც გასაგებია, ეკლესია ამ აზრს რომ არ იზიარებს, ეს ბუნებრივია.

ამ დროს რელიგია ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის. ეს არის ის, რაც ყველაზე დიდ ენერჯის მაძლევს. არ ვდგები ყოველ საღამოს დაძინებამდე ხატების წინ და ლოცვებს არ ვკითხულობ. შეიძლება, ეს ლოცვა ძილის წინ, გულში წავიკითხო. არც ქუჩაში, მარშუტკაში ვინერ სხვის დასანახად პირფვარს. არც გარეგნობაზე და არც ქცევაზე არ მეტყობა, რომ მართლმადიდებელი ვარ, ან კი რა უნდა დამეტყოს? ეკლესიაში სიმშვიდისთვის მივდივარ და არ ვფიქრობ და, მით უმეტეს, არ მეშინია, რომ ამას თუ არ გავაკეთებ, ღმერთი დამსჯის.

პატრიოტიზმზე და სამშობლოზე რომ ვლაპარაკობ, რატომღაც ეგრევე ჩვენი პრეზიდენტი მახსენდება. რა ვიცი, მგონი არ არის ეს ასოციაცია სწორი. კი, მიყვარს ჩემი ქვეყანა. ამისთვის წავალ საფრანგეთში, კარგად ვისწავლი და ჩემს საქმეს ძალიან მაგრა გავაკეთებ. ჩამოვალ ხოლმე, წელიწადში ერთხელ, ორჯერ, შეიძლება უფრო ხშირადაც, იმიტომ, რომ მიყვარს აქაურობა, თუმცა, აქ ვიცხოვრებ თუ არა, ჯერ არ ვიცი. რატომ არ არის ეს ქვეყნის სიყვარული? ■







მიზო ანთაქი, 15

სკოლა მომწონს. ქართულ-ამერიკულ აკადემიაში დავდივარ და ვცდილობ, კარგად ვისწავლო. მომწონს ეს ინტერაქტიული სწავლის მეთოდი. გაკვეთილებზე მიდის დისკუსიები, განხილვები – ინგლისურში, მაგალითად რემარკს გავდივართ. ერთ თავს ვკითხულობთ და მერე რა თემებიც გამოიკვეთება, იმაზე ვსაუბრობთ.

თანატოლებში ბევრი რამე არ მომწონს. მაინც ცდილობენ ნაიძველბიჭონ, ეს “სვეტსკობაც” მალიზიანებს. არ მიყვარს, როდესაც ყველანაირად ცდილობენ პოპულარულები გახდნენ და რაღაც სისულელეებს აკეთებენ. ასეთები, სამწუხაროდ, ბევრი არიან. ურთიერთობა ყველასთან მაქვს, იმიტომ, რომ სხვადასხვანაირ ხალხთან რომ ურთიერთობ, უფრო საინტერესო და მრავალფეროვანია ცხოვრება, ყოველთვის პოულობ და იგებ ახალს. მხოლოდ ძალიან რადიკალურ ძველ ბიჭებთან კონტაქტს ვერიდები. ხან გამომდის, ხან არა. ქუჩაში რომ მივდივარ, უცებ ვიღაცა – შენ ძმაო, როკერი ხარ? – გკითხავს, მერე შეურაცხყოფას მოგაყენებს. შეიძლება ჩემი ჩაცმულობის სტილი არ მოეწონოს. მაქსიმალურად ვცდილობ, არ ავყვე, მაგრამ თვითონვე მიყავთ იქამდე, რომ აღარ გამოდის თავის არიდება. მგონია, რომ ეს ხალხი ნაკლებად პროგრესულია, ერთ ადგილას არიან გაჭედნილები. შეიძლება, ძალიან ბევრი პრობლემა აქვთ და ამის გამო არიან ასეთი აგრესიულები. შეიძლება ინფორმაციის ნაკლებობის ბრალიც არის.

მე ქუჩის რომანტიკა არ მაინტერესებს, ვკითხულობ, მიყვარს ლიტერატურა. ვონეგუტი და ბრედ-ბერი ჩემი საყვარელი ავტორები არიან. ვუსმენ ფსიქოდელიურ მუსიკას, როკს და სხვა მიმართულებებსაც. სხვა ბევრ რამესაც ვუსმენ, იმიტომ, რომ თუ არ დაინტერესდი, შეიძლება, ვერასდროს მიაგნო იმას, რაც კიდევ უფრო მოგეწონება.

რელიგია მაინტერესებს თეორიულად, აგნოსტიკოსი ვარ – ანუ არც ვაღიარებ და არც უარვყოფ. ძველ სკოლაში ამის გამო მოახერხეს და სატანისტი შემარქვეს. გამოდის, რომ თუ ქრისტიანი და, მით უფრო, მართლმადიდებელი არ ხარ, ე.ი. რაღაც სექტას მიეკუთვნები. ასე აზროვნება არ არის ჩემთვის თავისუფლება. თავისუფლება არჩევანის უფლებაა, ოღონდ გააზრებული არჩევანის გაკეთება უნდა შეგეძლოს. კიდევ თავისუფლება საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომაა, სხვადასხვა ქრილში განხილვა და გადანყვეტილების ისე მიღება. აბა, აბსოლუტური დამოუკიდებლობა და, მით უფრო, აბსოლუტური თავისუფლება არ არსებობს.

ტრადიციების დიდი მიმდევარი არა ვარ. არ მიყვარს ეს სუფრის ტრადიცია, ჯდომა და უაზრო ჭამა. ყოველთვის ვთვლიდი, რომ სადღეგრძელო ადამიანებს იმისთვის სჭირდებათ, რომ დალიონ. შეიძლება ორიგინალში, ანუ ძველად, საიდანაც ეს ტრადიცია მოდის, სადღეგრძელოებს სულ სხვა დატვირთვა ჰქონდა. დღეს სხვანაირად არის, ვიღაც გამოთვრება და რაღაც სისულელეებს მოყვება, შენ კიდევ უნდა იჯდე და უსმინო. მერე იჩხუბებენ.

მე მუსიკის მოსმენით, კითხვით, სკეიტბორდინგით, მეგობრებთან ერთად ყოფნით ვერთობი. ფსიქოლოგობა მინდა. სწავლის გაგრძელებას საქართველოში არ ვაპირებ. აქ მგონია, რომ შრომა ნაკლებად ფასდება, არაჯანსაღი კონკურენციაა, არ ხდება შენი პროფესიული ნიშნით შეფასება. მინდა დიდ წარმატებას მივალნიო. ყველაზე მეტად ის მინდა, რომ ბოლომდე შევძლო ჩემი ინდივიდუალის შენარჩუნება და მასის ნაწილი არასდროს გავხდე. ■

14 წლის რომ გავხდი, სანთლების ჩაქრობისას ჩავიფიქრე სადმე საქართველოს გარეთ ნავიდე სასწავლებლად-მეთქი. ეხლა შევიცარიამი ვსწავლობ „ტასისის“ სკოლაში. მალე უნივერსიტეტის არჩევა მომიწევს. მინდა გამიმართლოს და ზუსტად იქ მოვხვდე, სადაც ჩემს პროფესიას მივაგნებ.

ქართულ სკოლაში მეტი საზუთხავი მქონდა, აზროვნება ნაკლებად მჭირდებოდა, ამერიკულ სისტემაში კი პირიქით არის. აქ ყველაფერს ვარჩევთ, ვმსჯელობთ და ვანალიზებთ. აქ ხშირად მიწევს გადანწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება. ვცდილობ სხვებსაც ანგარიში გავუწიო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვებზე ვარ დამოკიდებული. არანაირ შეზღუდვას, განსაკუთრებით ოჯახიდან, არ ვგრძნობ. თუმცა, შინაგანად ოპონირების განცდა მაინც მაქვს ხოლმე, ვცდილობ თავი არ დავკარგო და ზედმეტი არ მომივიდე. რაც უფრო თავისუფალი ვარ, მით მეტ პასუხისმგებლობას ვგრძნობ თითოეული გადადგმული ნაბიჯის მიმართ.

„ტასისი“ სასვია ბუდისტებით, კათოლიკებით, მაჰმადიანებით და პროტესტანტებით. ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი ლუთერანია. ჩემი „roommate“ კათოლიკეა და ჩემი ისტორიის მასწავლებელი – მაჰმადიანი. ახალ ადამიანებს რომ ვიცნობ, არასდროს უპირატესობას მათ აღმსარებლობას არ ვანიჭებ, პირიქით, მიხარია შესაძლებლობა რომ მეძლევა მეტი გავიგო მათ კულტურასა და ტრადიციებზე. საინტერესოა, რითი განვსხვავდებით ან რა გვაქვს საერთო.

ზოგადად რელიგიების ისტორია ძალიან მაინტერესებს. მე და ჩემი მეგობარი ჯენი (ჯენი თვითონ ლუთერანია) ხშირად ჩავუჯდებით ხოლმე და ვცდილობთ გავარკვიოთ რა ვართ, რისი და რატომ გვწამს. მგონია, რომ ვიდრე რომელიმე რელიგიას საბოლოოდ მიიღებ, მანამდე რაც შეიძლება მეტი განსხვავებული უნდა ნახო და დააკვირდე. უნდა მიხვდე, რომელია შენთვის ყველაზე მისაღები და რომელთან შეგიძლია შენი თავი ყველაზე მეტად დააკავშირო. ისე, ეკლესიაში ვერ დავდივარ ხშირად. აქ არ არის მართლმადიდებლური ეკლესია და, სამწუხაროდ, როცა თბილისში ვარ, იმისდა მიუხედავად, რომ პატარა სამების ეკლესია ჩემი სახლიდან ზუსტად ათ ნაბიჯშია, იშვიათად ვახერხებ შესვლას. მაინც მგონია, რომ მთავარია ღმერთის გნამდეს და არა აქვს მნიშვნელობა მართლმადიდებელი იქნები, მუსულმანი თუ რამე სხვა.

აქაურობა თბილისს ბევრი რამით არ ჰგავს. მგონია, რომ საქართველოში სექსუალური თავისუფლებითვის ხალხი არ არის მზად, განსაკუთრებით ჩემხელა ბავშვები. გარემოა თვითონ ასეთი, ეშინიათ სხვისი სალაპარაკო და თითოთ საჩვენებელი არ გახდნენ. ბევრი ჩემი ქართველი მეგობარი ამაზე ფიქრსაც კი ვერ ბედავს. ეგრე არიან გაზრდილები და ვერ წარმოუდგენიათ, მგონი სურვილიც არ აქვთ, რომ შეიძლება შეყვარებულთან სექსუალური ურთიერთობა ჰქონდეთ.

აქ, სულ პირიქითაა. გოგოები კონტრაცეპტივებს ხმარობენ და მაშინ აქვთ სექსი შეყვარებულთან, როცა მოუნდებათ. ხანდახან, რამეს რომ მოუყვები ხოლმე ქართველ გოგოებზე, გაოცებულები მიყურებენ, რა იყო, საქართველოში გოგოებს ტვინი არ აქვთო, მეკითხებიან. მგონია, რომ ადამიანი თვითონ თუ არის მზად სექსუალური ურთიერთობისთვის, უნდა გააკეთოს, გარემოსგან ყველანაირი ზეგავლენის მიუხედავად.

საქართველოში ყველა შენ საქმეში რომ ერევა და პირადი ცხოვრების საშუალებას არ გაძლევენ, ეგ მიშლის ნერვებს. ყველა გაკვირდება და გაკრიტიკებს, თავს მოვალედ თვლიან შეგაფასონ. „განსხვავებული“ არ მოსწონთ. არ მოსწონთ, როცა ვინმე მათ მიერ შემოფარგლულ საზღვრებში არ ჯდება. ასე მგონია, ჩემი თანატოლებისთვის ეს ყველაზე ძნელი და დამაბნეველია. ვეღარ გაიგეს, როგორ მოიქცნენ და რა გააკეთონ. პოლიტიკოსები გაჰყვირიან: „ევროპა ვართ, ევროპაო“, მაგრამ როგორც კი ვინმე „ევროპულად“ დაიწყებს მოქცევას, მაშინვე თავს ესხმიან, ქართველი ხარ და შენი ტრადიციები არ უნდა დაივიწყო. მოკლედ, ორმაგი სტანდარტებია. ■





პიონერული მანიფესტი კედელზე: ინტერვიუ მიროსთან

ავტორი, ფოტო: დავით მესხი





არტი თუ კრიმინალი?

მეორე მსოფლიო ომის დროს, სტენსილს, როგორც ხატვის ტექნიკას, პროპაგანდისტული მიზნებისთვის იყენებდნენ, რადგან საკმაოდ მარტივი დასამზადებელი იყო, სწრაფად კეთდებოდა და ვრცელდებოდა. ერთ-ერთი პირველი სტენსილი, მაგალითად, გერმანელების მიერ შექმნილი მუსოლინის პორტრეტი იყო. 70-იან წლებში, ფრანგმა არტისტმა ბლუკ ლე რეტმა ნიუ-იორკში ყოფნისას, აღმოაჩინა გრაფიტი და გაუჩნდა სურვილი იგივე პარიზში გაეკეთებინა, მაგრამ საფრანგეთი არ იყო ამერიკა. უნდოდა, რაღაც განსხვავებული ყოფილიყო, რაც უფრო მოუხდებოდა პარიზის არქიტექტურას და 1981 წელს, ახალი წლის დღეს, ქალაქში პირველი სტენსილი გამოჩნდა. ლე რეტმა პარიზს დაუბრუნა ვირთხები, ათასობით ვირთხა პარიზის კედლებზე, ერთადერთი თავისუფალი და პარიზისთვის ისტორიული ცხოველი. რა თქმა უნდა, ეს უკვე არტ აქცია იყო! დღესდღეობით, მისი ნამუშევრები, სხვა თანამედროვე სტენსილ არტისტებთან ერთად (მაგალითად, ბენქსი (Banksy), ინგლისში უკვე გალერეებში და თანამედროვე ხელოვნების ცენტრებშია, ქუჩებში არსებული ნამუშევრები კი შემინულია და დაცული.

არის ქალაქები და ადგილები, სადაც ამის კეთება აკრძალულია და არალეგალური, მაგრამ არსებობს სტენსილ არტისტების მანიფესტი, სადაც გარკვეული კანონებია ჩამოყალიბებული; მაგალითად, დაუშვებელია კერძო ტერიტორიებზე ხატვა ან დისკრიმინაციული შინაარსის მქონე სურათების კოპირება, ებრაელების საცხოვრებელ ადგილებში სვასტიკის ხატვა და ა.შ. სტენსილი მთლიანად ქუჩას ეკუთვნის და თავისუფალია. თუ გალერეაში მხატვრის ნამუშევარს ნახავს 50 ადამიანი, ქუჩაში მას ათასობით მნახველი ჰყავს.

მირი პირველია, ვისი ნამუშევრებიც თბილისის კედლებზე გამოჩნდა და ვინც ქუჩის არტის გამოფენა გახსნა. სტენსილებს გამთენიისას აკეთებს, ღამით ასეთი საქმიანობა კრიმინალს რომ არ ჰგავდეს. მის ნამუშევრებს დღისა და ღამის ნებისმიერ დროს მნახველი ჰყავს, და რადგან მგონია, რომ ხალხი თავის გმირებს უნდა იცნობდეს, მასთან ინტერვიუს ჩანერა გადაეწყვიტე.

აღმოჩენა

„პირველად, ოთხი წლის წინ ვნახე ინტერნეტში და ძალიან მომეწონა. განსაკუთრებული შთაბეჭდილება სტენსილის რეალისტურმა, თითქმის ფოტოგამოსახულებამ მოახდინა. თავად რეჟისორი და ოპერატორი ვარ და ეს იდეალური ჰობი აღმოჩნდა ჩემთვის. ორი წლის წინ, ჟურნალ „ოზონის“ დაბადების დღის დილას გავაკეთე პირველი სტენსილი თბილისში და შუადღეს, როდესაც ეთნოგრაფიულ მუზეუმში გამართულ ივენთზე ამო-





ვედი, ნაცნობები უკვე ქალაქში გამოჩენილ ნახატებზე საუბრობდნენ. ერთმა ჩემმა მეგობარმა არ იცოდა, ჩემი გაკეთებული რომ იყო და შთაბეჭდილების ქვეშ მითხრა, რომ ქალაქში რაღაც ნახა, რამაც ბავშვობა გაახსენა და მოულოდნელად გაახარა. ეს ჩემი თაობის სათამაშოს, „ელექტრონიკის“ გამოსახულება იყო. ესეც მოულოდნელი ფიტბექი!“

ყოველთვის დაღვინით?


„სანამ ქალაქის კედლებზე გავაკეთებდი, ჩემი სახლის სადარბაზოში ვცაღე ცდის ჩატარება. მამაჩემის რეაქცია მოულოდნელი იყო, ლამის სკანდალი დამატეხა თავს. მეზობლებმა სატანისტობაში დამდეს ბრალი. ძირითადი ინსპირაცია, მაინც, ჩემს ბავშვობაში მიღებული შთაბეჭდილებებია. მაგალითად, სახლში გვექონდა კინოს ლექსიკონი, საიდანაც თავში ჩამებეჭდა კადრები ფილმებიდან „ჟანა დ'არკი“ და „ექიმ კალიგარის კაბინეტი“. მეორე 20-იან წლებში გადაღებული ჰორორ ჟანრის ფილმია, ამიტომ, მეზობლების ასეთი რეაქცია არ გამკვირვებია. რაზეც მართლა მწყდება გული, ისაა, რომ ხშირად ვხედავ დამახინჯებულ, თვალებამოთხრილ, ვილაცის ზედმეტსახელგადაწერილ ჩემს ნამუშევრებს.“

პრობლემები პოლიციასთან?

„არსებობს სტენსილის რეიტინგი – რამდენ ხანს გაძლო. ეს არ არის კარგის და ცუდის მაჩვენებელი. უბრალოდ, ფაქტად არსებობს. ერთ-ორ კედელს თუ არ ჩავთვლით, თბილისში ჩემი პირველად გაკეთებული სტენსილები თითქმის აღარ დარჩა, მაგრამ მუნიციპალიტეტს მათ განადგურებაში მონაწილეობა არ მიუღია. ლე რეტმა თქვა – ალბათ, მსოფლიოში 60 პროცენტს არ მოსწონს გრაფიტი და დაახლოებით, 40 პროცენტს – მოსწონს, მაგრამ, ამ 40 პროცენტიდან 60-ს არ აქვს სურვილი ნახოს იგი თავის კედელზე. თბილისშიც ასეა, ძირითადად, ადგილობრივი მოსახლე თუ გადაღებავს. ერთხელ, პოლიციამ სტენსილის გაკეთების დროს გამაჩერა და შენიშვნა მომცა, მაგრამ განმარტების შემდეგ საქმე უპრობლემოდ დავამთავრე.“

იღია თუ ლეკორი?

„საერთოდ, სტენსილს, თავისი პროპაგანდისტული წარსულის გამო, მემარცხენე პარტიები დღესაც იყენებენ პოლიტიკური იდეების გასავრცელებლად. მეც მქო-



XS Немцкая кинематография.





ნია შემოთავაზებები დაკვეთით შემესრულებინა რაიმე, მაგრამ ეს არ მაინტერესებს, სხვა შემოსავლის წყარო მაქვს და სტენსილს მხოლოდ იმიტომ ვაკეთებ, რომ ჩემი ჰობია. თუმცა, მქონდა სურვილი, როდესაც ნოემბრის ამბების შემდეგ ტელევიზიით გადმოსცემდნენ სხვადასხვა პოლიტიკოსების ჩანაწერებს, გამეკეთებინა ყურები კედლებზე, კედლებსაც ხომ აქვთ ყური? მაგრამ ჩემთვის სტენსილი სხვა დატვირთვას ატარებს, უფრო დიზაინერულს და კიდევ – რალაცების გაფორმება მინდა. რალაცით ეს საკუთარი ოთახის მონწყობის სურვილს ჰგავს. სტენსილებს, ძირითადად, იმ ტრექტორიაზე ვაკეთებ, რა გზის გავლაც ყოველდღიურად მიწევს. და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ხალხმრავალ ადგილებში – ბევრმა რომ ნახოს. მინდა, თბილისის გარდა, სხვა ქალაქებშიც გავაკეთო, მაგალითად ბათუმში. იქ ვარ, ვისვენებ და ვტოვებ რალაცას ჩემგან, რასაც მერე სხვაც ნახავს.“

სასარბებლო საქმი

„ჩემამდეც იყო თბილისში რამდენიმე სტენსილი გაკეთებული, მაგრამ მე ვარ პირველი, ვინც სტენსილი ვაკეთე მასშტაბში. დიდი ფორმატი გაცილებით ეფექტურია. ძალიან მიხარია, როცა სხვების ნამუშევრებსაც ვხედავ. ესე იგი, არსებობს კიდევ ვიღაც, ვინც ჩემსავით ფიქრობს და დროს უთმობს თბილისის ქუჩებს, შემოქმედებითად აზროვნებს. დღესდღეობით, სტენსილის დედაქალაქად მელბურნი ითვლება. მთავრობაც ჩართულია, ეწყობა ფესტივალები, მოხატული ქუჩები ტურისტს იზიდავს და მაყურებელს რიგში დგომაც უწევს, რომ მთელი ეს პროცესი ცოცხლად ნახოს.“

თბილისი – მსოფლიოს ნაწილი

სხვადასხვა ქვეყნებში ყოფნისას, ქალაქების დათვალიერებისას, შთაბეჭდილებას კულტურულ ძეგლებთან ერთად, ქუჩებში არსებული უკვე ცნობილი არტისტების მიერ კედლებზე შესრულებული არტიც ტოვებს, ყურადღებას იპყრობს და ქალაქის სახეს ქმნის. მე ეს, ტურისტ-ფოტოგრაფს ძალიან მაინტერესებს. ქალაქის ამოცნობა კედლის ფრაგმენტით, თითქმის, შეუცდომლად შემიძლია. მირის ნამუშევრებმა თბილისს ეს გრძნობა შემატა და ქუჩებში სეირნობა უფრო საინტერესო გახდა. ყოველთვის სიურპრიზივით გხვდება, იმ ადგილას, სადაც ადრე უსახური კედელი იყო.

უცნაურ და სასიამოვნო აღმოჩენებს გისურვებთ, გამოფენა გახსნილია!



შეცდომის უფლების გარეშე

ავტორი: ანა კორძია-სამადაშვილი

ფოტო: ღვინო მისხი

მაგიური, მისტიკური ნიშნები ოდითგანვე განსაკუთრებულ ადამიანებს, რჩეულებს ამშვენებდა – ქურუმებს, მეომრებს, ჯადოქრებს... როგორც კი ადამიანმა აღმოაჩინა, რომ უზარმაზარი და უსასრულო რამის ნაწილია, ტატიურებაც გაჩნდა, როგორც ამოუცნობთან დაკავშირების სიმბოლური გზა. ტატიურებულს ნაკლები ლაპარაკი უწევს — მისი სვირინგი თავად გვიყვება მის შესახებ.

კანქვეშ შეყვანილი საღებავების მეშვეობით სხეულის მოხატვის ხელოვნებას ტატიურები ტატაუს უწოდებდნენ, რაც „ჭრილობას“, „დაღს“ ნიშნავს. ამ ნახატებს ათასგვარი დატირთვა შეიძლება ჰქონოდა. ზოგი ავ სულელებს აფრთხობდა, ზოგი – ავადმყოფობას, ზოგიც წარმატებული ნადირობის საწინდარი იყო. შეხედავდა ჩვენი წინა-წინა-წინაპარი ახალგაზრდობის სხეულს და უმაღლეს მიხვდებოდა, ვისთან ჰქონდა საქმე – რომელი ტომის და გვარის შვილი იყო, რა ადგილი ეკავა თავის ხალხში.

ეგვიპტელ მუმებიზსაც კი, რომლებიც ოთხი ათასი წლისანი არიან, სვირინგები ამშვენებს. პეროლოტე, ჰიპოკრატე, ქსენოფონტე — ყველა ჰყვება, რა ეხატათ ფრაკილებს თუ ბერძნებს. ზოგი ხალხი სვირინგის ღირსად მხოლოდ წარჩინებული გვარის შვილებს თვლიდა, ზოგი კი ტატუს საიდუმლო მიმონერისთვის იყენებდა: მონას გადაპარსავდნენ, თავზე წარწერას გაუკეთებდნენ და მერე, თმა რომ მოეზრდებოდა, დანიშნულების ადგილას გაუშვებდნენ ხოლმე. იქ მას, საბრალოს, კვლავ გადაპარსავდნენ და გაიგებდნენ, რომ...

მერე კი, როცა ქრისტიანობა გავრცელდა, მიიჩნიეს, რომ ტატიურება ცოდვაა – ნეტა, რატომ? და ევროპის მრავალ ქვეყანაში ის სასტიკად იყო აკრძალული. მწირებს კი მაინც ჰქონდათ ტატუები – ჯვრები, მონასტრების და წმინდა რელიკვიების გამოსახულებები. არალოგიკური ამბავია, მაგრამ ასე ყოფილა.

ყველაზე შესანიშნავი სვირინგები მეზღვაურებს ჰქონდათ, განსაკუთრებით მათ, ვისაც სამზრეთში უწევდათ ზღვაოსნობა. მეზღვაურებს სჯეროდათ, რომ გემის დაღუპვის შემთხვევაში ვერცერთი ზვიგენი ვერ მიეკარება კაცს, რომლის სხეულსაც ჯვარი ან – ჰოი, საოცრება! – საყვარელი გოგოს სახელი ამშვენებს. თუ ფეხზე მამალი გეხატა, ნამდვილად მიაღწევდი ნაპირს, თუ ღუზა ან დელფინი გქონდა ამოსვირინგებული, ილბიანი კაცი იქნებოდი. ხოლო თუ მეზღვაურის სხეულზე კუს აღმოაჩენდი, მიხვდებოდი, რომ მან ეკვატორი გადალახა. ისე, კუს დიდი აღმოჩენა არ სჭირდებოდა – კაცები ამაცობდნენ და მას ყველაზე თვალსაჩინო ადგილას იხატავდნენ ხოლმე.

დანარჩენი „ცივილიზებულ“ სამყარო კი თვლიდა, რომ ტატიურებული ადამიანი პრიმიტიულია, და ევროპელებმა თავისზე ათჯერ უფრო განვითარებული მაიასა და აცტეკების უძველესი ცივილიზაციების შვილები ველურთა კატეგორიას მიაკუთვნეს, ბნელებმა და სნობებმა. მათ ტატუ მონებისა და დამნაშავეების დაღად აქციეს: ბანქოს მოთამაშეებს ექვსკუთხედები ამოუსვირინგეს, ბრაკონიერებს – რქები, წარწერები ჰქონდათ მათ, ვისაც სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს ან გააციმობირეს. ასეთი ხალხისა ეშინოდათ, მათთან საქმის

დაჭერას ყველა ერიდებოდა, მოკლედ, ტატუ დალი იყო, ამ სიტყვის ყველაზე ცუდი მნიშვნელობით.

როგორც ჩანს, მავანთ ახლაც ასე ჰგონიათ – რომ ტატიურებული ან კრიმინალური ელემენტია (როგორი სიტყვაა: „ნაციზარი“), ან აგრესიული ნაძირალა, ან ასოციალური, იმთავითვე წარუმატებლობაზე ორიენტირებული ბედოვლათი.

სულაც არა.

როცა ირმა ასკურავას შეხვდებით, უმაღლეს მიხვდებით, რომ უბრალოდ ოსტატთან კი არა, ხელოვანთან გაქვთ საქმე. ის მხატვრების ოჯახში გაიზარდა და ჩანს, ამიტომაცაა მისი ნამუშევრები არა უბრალოდ სვირინგი, არამედ ნახატები. პირველი ნახატი პუმა იყო, ბენჯიანი — თავად განსაჯეთ, როგორია ბენჯის ხატვა, თან სხეულზე, თან შეცდომის უფლების გარეშე – სვირინგს ვერც წაშლი, ვერც გადააკეთებ, ვერაფერს უზამ: როგორიცაა, ისეთად დარჩება მუდამ, სანამ სხეული არსებობს.

სწორედ ამ პუმას დამსახურებაა ის, რომ ირმას დღეს უჩვეულო გამოსახულება ამშვენებს. ჩვენთვისაა უჩვეულო, თორემ ისინი, ვინც ტატუს ხელოვნების საიდუმლოებებში ერკვევიან, უმაღლეს მიხვდებიან: ეს ტატუს გასაკეთებელი მანქანაა, და ასეთი ტატუ იმის ნიშანია, რომ თქვენს წინაშე თვითმარქვია კი არა, ნამდვილი ოსტატი დგას. ირმას ეს ტატუ პუმას გამოსახულებითა და შეგირდის თვალშისაცემი ნიჭით აღტაცებულმა გიო შვაცაბაიამ გაუკეთა, მას კი, თავის მხრივ, ტეხასში შვიდწლიანი სწავლების შემდეგ, ოსტატმა დეგომ დასდო ასეთი პატივი. ოღონდ გიოს „დიპლომი“ ხელზე აქვს, ირმას – თეძოზე.

დღეს ირმა უკვე ექვსი ტატუს მფლობელია. მისი და მისი მასწავლებლის ეს ნამუშევრები საუკეთესო რეკლამის მაგივრობას სწევს: შეხედავთ და იფიქრებთ, მეც კი მინდა ასეთი ტატუებიო. მხოლოდ მეუღლეს ვერ აცდუნა ირმამ: ერთი ტატუ გაიკეთა მკერდზე და მორჩა, აღარ უნდა, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ასეა.

არა აქვს მნიშვნელობა, რა სქესის წარმომადგენელი და რა ხნისა ბრძანდებით – ტატუს გაკეთება მუდამ შეიძლება. ირმას ყველაზე ხშირი კლიენტი ოთხმოცი წლის ქალბატონი იყო, რომელმაც პერმანენტული მაკიაჟი გაიკეთა. უბრალოდ – ქალების საყურადღებოდ – ჭკუა უნდა იხმაროთ და მაინცდამაინც მკერდი არ უნდა მოიხატოთ – გაგიკვირდებთ და დაწვევა სჩვევია, და არც მუცლის მოსვირინგება ღირს – ერთხელაც იქნება, გაგებრდებთ და ივლით მერე დეფორმირებული მშვიდობის მტრედით... მართალია, ტატუ 30 კილოგრამის მომატებას და კუნთის ხუთი სანტიმეტრით გაზრდასაც კი უძლებს, მაგრამ რა ძალა გადგათ.

ვუყურე ირმას და მის ნამუშევრებს, ვუყურე, ვუსმინე და მუხანათური აზრი შემომეპარა: მეც ხომ არ გამეკეთებინა ერთი ლამაზი ტატუ? კაცმა რომ თქვას, რატომაც არა? მხოლოდ ის მაშფოთებს, რომ ირმამ ამისხნა: ერთი მაინც თუ გაქვს, ველარ გაჩერდები, კიდევ და კიდევ მოგინდებო. რა ვიცი, ვითომ მინდა მე ახალი საეჭვო სურვილები?



























ЗАЕМЪ СВОБОДЪ



წიგნიდან იყო და არა იყო რა

ავტორი: ღათო ტუჩაშვილი

(გაბრძელება)

1988 წლის 26 მაისის დილას, სანამ იმდღევანდელი ფათურაკებიანი თავ-გადასავალი დაიწყებოდა, ენერგიულად შევალე უნივერსიტეტის კომკავშირის მთავარი ოთახის კარი და მასპინძლებს ხმამაღლა, ომახიანად მივულოცე და-მოუკიდებლობის დღე. მახსოვს მათი გაოცებული სახეები, საპასუხო სიჩუმე და ეჭვი იმისა, თუ კონკრეტულად რომელი მათგანი მყავდა ჩათრეული ეროვნულ მოძრაობაში. სიმართლე რომ ვთქვა, მიუხედავად ღია თუ ფარული დაპირის-პირებისა და ხშირად რადიკალურად განსხვავებული პოზიციებისა, თვითონ უნივერსიტეტში ზოგიერთ კომკავშირელთან საკმაოდ ნორმალური, ადამიანური ურთიერთობები მაინც გვქონდა. კომკავშირელი აქტივისტების დახარისხებითაც იმთავითვე ვხალისობდით ხოლმე, რადგან მათ შორის მხოლოდ ერთეულებს სჯეროდათ, რომ კაცობრიობის ნათელი მომავალი მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციას უკავშირდებოდა. ბევრისთვის კი კომკავშირული ასპარეზი, უმოკლესი გზა და საშუალება იყო შემდგომი პარტიული კარიერისთვის და მათ გარდა, იყვნენ ისეთებიც, ვინც უბრალოდ არ იცოდა რა უნდა ექნა ზოგადად თუ კონკრეტულად და კომკავშირული მოღვაწეობით იქცევდა თავს.

შეიძლება ამის გამოც (სხვა მიზეზებთან ერთად) უნივერსიტეტის კომკავშირის ისტორია (სხვებთან შედარებით) მშვიდობიანად გასრულდა იმავე 1988 წლის ზაფხულში, როცა გიგა ამაშუქელმა კომკავშირის ბილეთების საჯარო აუტოდაფე მოაწყო ირაკლი ცინცაძესთან ერთად. თუმცა იყო რამდენიმე ალტერნატიული დასასრულიც და კომკავშირის ბილეთების ნაწილი (მაგალითად) მტკვარმა ნაილო კასპის ზღვის მიმართულებით.

იმავე 1988 წლის სექტემბრის დასაწყისში, ისე საგრძნობლად გაიზარდა ხელისუფლებით უკმაყოფილო სტუდენტების რიცხვი რომ უკვე კომკავშირის აქტივისტებმაც დაიწყეს ფიქრი კომკავშირის ბილეთების გადამაღლაზე და სასტუმრო საქართველოსთან მომხდარი შეტაკების შემდეგ კი - მათ უგზოუკვლოდ გაქრობაზეც.

იმ დღეს ფილარმონიისკენ იმიტომ წავედით, რომ ფილარმონიაში მიმდინარე კონფერენციაზე მოსკოვიდან ჩამოსულმა ევგენი პრიმაკოვმა მატყუარები გვინონდა ქართველ სტუდენტებს და მილიციამ კი სასტუმრო საქართველოსთან გზა გადაგვიკეტა. ჩხუბი მაშინვე დაიწყო და მახსოვს გოჩა საითიძემ ისეთი მონდომებით იჩხუბა, რომ ტრანსპორტის მოძრაობაც შეფერხდა, გაჩერებული ტროლეიბუსებიდან კი მგზავრები შემოგვეშველნენ, თუმცა მილიციის კორდონი მაინც ვერ გავარღვიეთ. მაგრამ ვიცავით საშინლად კმაყოფილები, რადგან გავარღვიეთ მთავარი - შიში, რომელიც ჯერ კიდევ მასიურად არსებობდა საქართველოში და ევგენი პრიმაკოვის გინებით გული ვიჯერეთ.

მიუხედავად თბილისური წარმომავლობისა, ევგენი პრიმაკოვი ტიპიური იმპერილისტი და, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, გაცილებით აგრესიულია საქართველოს მიმართ, ვიდრე ნებისმიერი სხვა რუსი. იმ დღესაც, როცა მაინც შევძელით მისი ნახვა და იმის თქმა, რასაც ვფიქრობდი მის შესახებ, მახსოვს მისი გაოგნებული სახე მოულოდნელობის გამო და ალბათ, ასეთივე გამომეტყველება ჰქონდა რამდენიმე წლის შემდეგ, როცა პირველად გაიგო, რომ ქართველი სიძე ეყოლებოდა. ევგენი პრიმაკოვის ის ქართველი სიძე ჩვენი მეგობარია და ჩვენებური ტრადიციისამებრ, მათ საქორწილო მოგზაურობას ჩვენი საერთო მეგობარი, თამაზ (იგივე კოკო) კაპანაძე ახლდა თან. პირველი ღამე კოკომ, ახალშეუღლებულთა სიახლოვეს, მეზობელ ოთახში გაატარა, სადაც ბოლთას სცემდა და ყოველ ათ წუთში ერთხელ ჩურჩულით უკაკუნებდა სიძე-პატარძალს: აფხაზეთი არ დაგავიწყდეს, ბიჭო...

საბჭოთა არმია რომ დავით გარეჯის უნიკალურ სამონასტრო კომპლექსს ანგრევდა, ასეთი სისასტიკისა, არათუ ევგენი პრიმაკოვის, ჩვენს საყვარელ ლექტორებსაც არ სჯეროდათ და ერთხელ ჩვენმა ძვირფასმა დეკანმა, ცხოვნებულმა კორნელი დანელიამ მკითხა, რამე ნივთმტკიცება თუ გაქეთო. მაშინ უკვე ღამ-ღამობით ისროდნენ (ვითომ კვალის დასაშლად) და მთელი ღამე უდაბნოს ქედზე ჩასაფრებულები იმ ადგილებს ვიმახსოვრებდით, სადაც რაკეტები ეცემოდა.

მერე დილით, რუსებმა რომ ვარჯიში დაამთავრეს, წინაღამითნასროლი რაკეტის ტიპის ერთ-ერთი „სნარიადი“ ამოვთხარეთ და თბილისში წამოვიღეთ. ასე, მხარზერაკეტაგადებული მივაღექი კიდევ მშობლიურ უნივერსი-



ტეტს და მოპოვებული ნივთმტკიცება ბატონი კორნელის კაბინეტში ჩამოვდგი. ყველაფერს დაგიჯერებთ, ოღონდ ამას აქ ნუ დამიტოვებთო და ისევ ფიქრია ჩიხრაძემ მოიფიქრა – ეს სწორად ირაკლი ციციშვილს მივუტანოთო. ბატონი ირაკლი მაშინ ძეგლთა დაცვის სამმართველოს უფროსი იყო და ისიც პრიმაკოვით არ იჯერებდა, რომ რუსები რამის დანგრევას იკადრებდნენ.

მივადექით სამსახურში და თვალები ისე გაუფართოვდა ჩვენი დანახვისას, რომ მდივანმა სასწრაფო დახმარების მანქანა გამოიძახა და მერე გავიგეთ, რომ გულის ინფარქტი ჰქონდა. დედაჩემმა მე დამაბრალა ყველაფერი და რამდენჯერმე საავადმყოფოშიც გამაგზავნა ვაშლებით ხელდამშვენებული...

1988 წლის 21 და 22 სექტემბერს კი უნივერსიტეტის ეზო საესე იყო სტუდენტებით და ორი დღის მანძილზე, მართლაც იმ დროისათვის გრანდიოზული მიტინგები იმართებოდა. უნივერსიტეტელების გარდა, სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებიც შემოგვიერთდნენ და უკვე იგრძნობოდა, რომ ამ ქვეყანაში ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდებოდა. მაგრამ სამწუხაროდ

როგორც ჩანს, პრეზიდენტები მიდიან და მოდიან, მონები კი რჩებიან და ჩვენი უბედურებას სწორედ ეგ არის, რომ მონები ყოველთვის ახალ ბელადს თუ არა, ახალ პრეზიდენტს მაინც ეძებენ და თუ ვერ პოულობენ, თვითონვე ქმნიან...

1988 წლის შემოდგომაზე უნივერსიტეტში ჯუმბერ პატიაშვილის სტუმრობა, რამდენიმე დღის შემდეგ ტელევიზიით გადაიკა და მოსახლეობაში ნამდვილი შოკი გამოიწვია. ადამიანებისთვის, ვინც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ტოტალიტარულ გარემოში გაატარა, უბრალოდ, დაუჯერებელი იყო ის, რასაც ცისფერ ეკრანზე ხედავდა – ცეკას პირველ მდივანს ხმამაღლა, დღისით, მზისით ვილაც სტუდენტები ეკამათებოდნენ და რაც ყველაზე მთავარი იყო, მათ იქვე, დარბაზში, ტრიბუნის მისადგომებთან არავინ ხვრეტდა. თავად უნივერსიტეტშიც, უფროს თაობას არაერთგვაროვანი რეაქცია ჰქონდა ჩვენს თავხედობაზე და მაინც იმედოვნებდა, რომ საბჭოთა რეალობა მარადიული და უსასრულო იქნებოდა.



სწორედ იმ 21 სექტემბერს პირველად დავაფიქსირე ტენდენცია, თუ როგორ ცდილობდნენ უკვე გაჩენილი, სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები იმის ახსნასა და დამტკიცებას ხალხისთვის, რომ ამ აქციის ორგანიზატორები სწორედ და მხოლოდ ისინი იყვნენ და არავინ სხვა.

ხელისუფლება კი უკვე სერიოზულად შეშფოთდა, სერიოზულად იგრძნო საშიშროება იმისა, რომ სერიოზული მოძრაობა დაიწყო და ოქტომბერში ჯუმბერ პატიაშვილი კვლავ უნივერსიტეტს ეწვია.

უნივერსიტეტში იყო ერთი ლექტორი, რომელიც პატიაშვილს პირველი ეგებებოდა ხოლმე, უდიმოდა საჯაროდ და მის საამებლად, ზვიად გამსახურდიას ლანძღავდა. გამსახურდიას დროს ის ლექტორი (გვარის დასახელებისთვის მაინც ვერ ვიმეტებ) ზვიადის უკან იჯდა ხოლმე პრეზიდენტი და შევარდნაძეს ლანძღავდა. შევარდნაძის ჩამოსვლის შემდეგ კი მე გადამიდგა ერთხელ უნივერსიტეტში და ბატონ ედუარდზე აუგს როგორ ბედავო და ქალივით დამწყევლა.

ტელევიზიით უნივერსიტეტის შეხვედრის ჩვენებას ბუნებრივი შედეგი მოჰყვა – ხალხს, გარკვეულწილად, შიშის სინდრომი მოესხნა და მიტინგების მსმენელთა და მონაწილეთა რიცხვი ი არნახულად გაიზარდა. ჯერ იპოდრომზე, 1988 წლის ნოემბრის ბოლოს კი რუსთაველის პროსპექტზე გამოსული ადამიანების რაოდენობა მართლაც დაუჯერებელი იყო. მთავრობის სახლის წინ ზღვად ქცეული ხალხის მასა, მართლაც უსასრულო იყო და პროსპექტის ორივე მხარეს ჩარიგებულ ჭადრებს სკოლის მონაფეხები და სტუდენტები ლექსებითა და მონოდებებით აჭრებდნენ. თავად აქცია კი წინა საღამოს, 22 ნოემბერს დაიწყო და აქციის ორგანიზატორები ეროვნულ-დემოკრატიები იყვნენ. დასაწყისში რამდენიმე ადამიანი შიმშილობდა მხოლოდ, მაგრამ მათი რიცხვი კატასტროფული სისწრაფით იზრდებოდა და როგორც მიკროფონში აცხადებდნენ ხოლმე, ბოლოსკენ მოშიშვლილთა რაოდენობამ ცხრაასს მიაღწია. მიტინგებს, ძირითადად, გააჭანტურია უძღვებოდა და სიტუაციასაც თავად ხელმძღვანელობდა. ყოველ შემთხვევაში, სურვილი ლიდერობისა აშკარად ჰქონდა და მშვენივრადაც ართ-

უახლესი ისტორია

მედა თავს ამ რთულ ფუნქციას. განხეთქილება ეროვნულ მოძრაობაში ვერ არ იყო სერიოზული და მიკროფონთან სხვა ლიდერებსაც ნახავდით დღის ნებისმიერ მონაკვეთში. მიუხედავად იმისა, რომ მაშინაც მჯეროდა და ახლაც მჯერა, რომ შიმშილობა, როგორც უკიდურესი ფორმა პროტესტისა, ალბათ მხოლოდ ციხეშია გამართლებული, როცა სხვა საშუალება ბრძოლისა აღარ არსებობს, ჩვენ მაინც გვიხაროდა ამდენი ბედნიერი სახის დანახვა.

სწავლა შეწყდა და ქალაქი პარალიზებული აღმოჩნდა, მაგრამ ჩვენდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პროსპექტზე ერთი მინაც კი არ ჩამსხვრეულა, არანაირი ექსცესი არ მომხდარა და ამ შინაგან დისციპლინასა და წესრიგს, როგორც ჩანს, თავად ის საოცრად ამაღლებული განწყობილება განაპირობებდა, რომელიც ადამიანებში აშკარად იგრძნობოდა. იგრძნობოდა ერთგვარი შიშიც ფინლისა, რადგან არავინ იცოდა, რითი გასრულდებოდა ყოველივე და მომავლის ბუნდოვანება ცოტა დაძაბულს ხდიდა სიტუაციას. თუმცა, ერთი შეხედვით ეს არ ჩანდა და პირიქით მხიარულება, სიმღერა და იუმორი თანამდევნი აღმოჩნდა იმ დროისათვის მართლაც გრანდიოზული აქციისათვის.

სწავლა თითქმის ყველგან შეწყდა იმ ერთი კვირის მანძილზე, მაგრამ ქარხნები მაინც მუშაობდნენ და ყოველდღე (ძირითადად ირაკლი წერეთლის ინიციატივით და მონოდებით) ხალხის უზარმაზარი მასა დაიძრებოდა ხოლმე ამა თუ იმ ქარხნის გასაფიცად. 25 ან 26 ნოემბერს (ზუსტად ვერ ვიხსენებ), უნივერსიტეტში, ხუდონჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით, შეკრება უნდა გა-

– თუ ააშენებენ, ჩვენ მაინც დავანგრევთ!

მასხოვს ადამიანთა უბედნიერესი სახეები, რომელთაც უსწრაფესად გადაჭრეს (ერთ-ერთი) ურთულესი პრობლემა და კმაყოფილები დაუყვენენ ვარაზისხევის ოცდამეთერთმეტე ქარხნის მიმართულებით. ჩვენც, ბედნიერი სახეებითა და კუნტრუშით გავეყვით ათი ათასობით ადამიანს და აღარც გაგვხსენებია უნივერსიტეტში შეკრებილი მეცნიერებისა და სპეციალისტების აზრი, რადგან ხუდონჰესის პრობლემა ჩვენთვის, (მათ გარეშეც) უკვე მოგვარებული იყო.

იუმორი ფაბრიკა-ქარხნების გაფიცვასაც ახლდა თან, როცა შეშინებული დირექტორები თუ პარტკომები ასეთი მასის დანახვისას საწყობებში იმალებოდნენ და მათზე განაწყენებულ მუშებს კი ისინი იქიდან მუჯლუგუნებით ამოყავდათ. თავდახრილ დამნაშავეებს წარუდგენდნენ ხოლმე მოძრაობის ლიდერებს და ისინიც დირექტორებსა და პარტკომებს იქვე, რამდენიმე წუთში უხსნიდნენ დამოუკიდებლობის ყველა სიკეთეს. უკმაყოფილო მუშებს სხვადასხვა პრეტენზიები ჰქონდათ – ზოგს ხელფასი ეცოტავებოდა, ზოგს ბინას უგვიანებდნენ. ზვიად გამსახურდია, ჩვეული იუმორით, წერეთელთან აგზავნიდა ხოლმე უბინაოებს – თუ ჩვენი იდეებისთვის არ გცალიათ, სოციალურ პრობლემებს, გენაცვალე, აგერ ირაკლი კურიერებსო...

მიუხედავად შიმშილისა, მთავრობის სახლის წინაც არ ეზარებოდათ ხუმრობა და ამაში არაბუნებრივი არაფერი იყო. თუმცა ოფიციალური პრესა სერიოზულად შეეცადა ჭორების გავრცელებას ეროვნული მოძრაობის დისკრედიტაციის



კომკავშირელი აქტივისტებიდანაც მხოლოდ ერთეულსაც სჯეროდათ, რომ კანონრიგის ნათელი მომავალი მხოლოდ ოქტომბრის რევოლუსიას უკავშირდებოდა. ბევრისთვის კი კომკავშირული ასპარაჟი, უმოკლესი გზა და საშუალება იყო შეიძლონი პარტიული კარიერისთვის და მათ ბარდა, იყვნენ ისეთებიც, ვინც უბრალოდ არ იცოდა რა უნდა ექნა ზოგადად თუ კონკრეტულად და კომკავშირული მოღვაწეობით იქცევადა თავს

მართულიყო და ვაკის მხრიდან შენობას რომ მიუახლოვდით, რუსთაველიდან უნივერსიტეტისკენ მოძრავი ზღვა დაინახე.

გაოგნებული ვუყურებდი ხალხს, რომელიც ოცდამეთერთმეტე ქარხნის გასაფიცად მიდიოდა (ძალიან მხიარულად) და ვიღაცის რჩევით, უნივერსიტეტშიც შემოიარეს, ჩაუხვიეს ვარაზისხევი და კიბეებთან შეჩერდნენ. მერაბ კოსტავამ ომახიანად მიმართა სრულიად გადაჭედული ვარაზისხევის:

– მეგობრებო, აქ, უნივერსიტეტში, ამ წუთებში განიხილავენ ხუდონჰესის მშენებლობის საკითხს, რომელიც არ უნდა აშენდეს!

ტაშის ხმა მთელი ვერა და ვაკე შეაზანზარა და ისევ სამარისებური სიჩუმე რომ ჩამოვარდა, ეროვნული მოძრაობის ვიღაც (როგორც ჩანს ყველაზე გულწრფელმა) წევრმა მიაბიჭურად იკითხა: მაინც რომ ააშენონ?

ასეთი სიჩუმის მომსწრე მანამდე არ ვყოფილვარ და ამ საშინელ სიჩუმეში პაუზა (პასუხის მოლოდინში) უსაშველოდ გაინელა.

– რომ ააშენონ? – კითხვა გაიმეორა მერაბ კოსტავამ, ცოტა ხანს იფიქრა, მერე, როგორც სჩვეოდა, მარჯვენა ხელი ზეაღმართა და ომახიანად დასჭექა:

მიზნით და გაზეთ კომუნისტში ისიც კი დანერეს რომ ლამ-ლამობით მოშიმშილეები ვნებებისაგან თავს ვერ იკავებენო. რასაკვირველია მას გულისხმობდნენ რომ მოშიმშილეებს შორის (მათივე ენით რომ ვთქვათ) სექსუალურ კავშირებსაც ჰქონდა ადგილი და მაშინ სექსი ისეთივე დანაშაულად ითვლებოდა საქართველოში, როგორც ახლა სექსისაგან თავშეკავება. საბჭოთა ხელისუფლებას კი იმ პუბლიკაციით იმის თქმა უნდოდა, რომ რუსთაველზე სინამდვილეში პატრიოტები კი არ შიმშილობდნენ, არამედ სექსუალური მანიაკები და აღვირახსნილი სტუდენტები. ცხონებულმა ზურა საყვარელიძემაც იმ წერილის გამოქვეყნების შემდეგ, სრულიად უწყინარი ხუმრობა მოიგონა, ოღონდ თვითონ ისე ხუმრობდა ხოლმე ამაზე, რომ არც კი ელიმებოდა. რომან გვენცაძე ყოველ დღით ხომ იბარებსო ზეპირ მოხსენებას იმ მორიგე მილიციელისაგან, ვინც წინა ღამეს რუსთაველზე დატოვეს მოშიმშილეებთან და ბატონი რომანი რომ შეეკითხება – აბა, გუშამ რა ხდებოდაო, უფროსს ხომ არ მოატყულებს ის რიგითი მილიციელი და ალბათ სიმართლესაც „ჩესტის“ ალებით მოახსენებსო:

– ტყვნა და შიმშილი, უფროსო!..

DREAM TOWN

სამსოვნრებელი კომპლექსი
ქავთარაქის ქუჩაზე



სარეაგაციო ზონა,
13.000 აკვ. მეტრი, შიდა ეზო,
სპორტული მოედნები,
ბავშვთა სათამაშო მოედნები,
ფანჯარები, 24 საათიანი დაცვა.

877 233 233

MAGI STYLE
www.magistyle.ge

თანამედროვე ბიზის სავაჭრო
ცენტრი უსაღებოებით,
პანორამული ლიფტებით
აფაფებით, ბაზილით,
გასართობი ცენტრით.

ბინები ბარდვას დასრულებული რემონტით
გულაური



2003

გიორგი გვახარია ნაწილი ოსტაგითართმაცა

შოკოლადი და ვარდები

ეს რა მოუვიდა თბილისს? მგონი გადაავიწყდა ჟულიეტ, ან, როგორც უკეთილშობილესი ქალი, დეიდა მერცია ამბობდა ხოლმე – ჯულიეტ ბინოში.

დეიდა მერცია ჩვეულებრივი გამყიდველია ფალიაშვილის ქუჩის ჩვეულებრივ მაღაზიაში. არაჟანს ყოველთვის მასთან ვყუდულობდი. ლაშა ბაქრაძეს გაუკვირდა ერთხელ, არაჟანს გამო პლენანოვიდან ვაკეში რატომ დადისარო. მაგრამ ამდენი "სათვალის" წამკითხველი კაცი (ან ქალი) მიხვდებოდა, ალბათ, რომ გვახარიათვის მოვლით სიარული ჩვეულებრივი ამბავია. მით უმეტეს, როცა საქმე ეხება არაჟანს – ყველაფერს რომ შეგიძლია მოასხა – მლაშეს, ტკბილის, მჟავეს გასანეიტრალებლად.

**რუსთაველზე როსა ილაქით და „ბაღდაძის“
ყვიროდით, საღდას, გულის სიღრმეში, ეჭვი ხომ მაინც
გაქარაბოდით, რომ ისტორიის მორიგი თეატრალური
ნარმოდანის პერსონაჟად იქნებით? დასავლეთ
საქართველოდან დაძრული ავტოკოლონების
შეფუძრეს გინახოდით, მაგრამ დროდადრო ხომ მაინც
„ატორმუზაბლა“ თქვენი აჩქარებული გული?**

თუმცა აქ მთავარი არა არაჟანი და არც შედარებით იაფი მაღაზია, რამდენადაც გამყიდველისა და მისი მუშტრების კეთილგანწყობაა. სხვა მაღაზიებისგან განსხვავებით, აქ არასდროს უყურებდნენ ამრეზით "ფსიქოს" წამყვანს, მორალს არ უკითხავდნენ. პირიქით, შაბათს გაშვებულ ფილმებს გატაცებით ურჩევდნენ და უკვეთდნენ კიდევ რაღაცებს.

განსაკუთრებით, დეიდა მერცია; ყოველთვის კოპნიად გამოწყობილი პატარა ქალი, ასე 65 წლისა – ქერად შეღებილი თმით, კოპნიზე კოპნია ცხვირით და უზარმაზარი "ბროშკით" ლურჯ ხალათზე. ერთხელ გამომიტყდა, "ფსიქოში" დავრეკე კიდევ, მაგრამ აღარ მაცალე ლაპარაკი და დამიკიდეთ.

რას ვაცლიდი?! ლუი მალის "ზარალის" მერე დაურეკავს. ლიკა ნადარაია დატუქსა, რატომ მოიხსენიეთ აგდებით ბინოშის გმირი, რას ნიშნავს ეს "შეგზულქებიანი დედაკაციო"? (ჰო, ასე თქვა ზუსტად

ლიკამ. უფრო მეტიც, ერთ "დამრეკავ კაცს" პირდაპირ მიახალა, რამდენიმე გრამით მეტი თუ გაქვთ ქალებზე, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერს უნდა დაეპატრონოთ)

ლიკა მაგარია. ჩემსავით არ უყვარს ბინოში. ეგრევე მიხვდა, როგორ გაამაყირა მსახიობი ლუი მალმა, "ფამ ფატალის" როლში რომ გამოიყვანა. ბინოში გოდარმაც შავ დღეში ჩააგდო. "დიდება მარას" გადაღებაზე დაუძახა და ეპიზოდური როლი მისცა. გადაღება დასრულდა, მაგრამ დებიუტანტმა სახლში წასვლა არ ისურვა – იდგა და აღფრთოვანებული უყურებდა მანსტროს. უხეშობითა და უზრდელობით სახელგანთქმულმა გოდარმა მიაძახა: "ნუ თვალთმაქცობთ, თითქოს გვეხმარებით. თქვენი გადაღება დასრულებულია!"

მაგრამ დეიდა მერცია არც აირონსია და არც გოდარი. ჩვეულებრივი, კოპნია ქალია, აფხაზეთიდან დევნილი. მას, ისევე როგორც მილიონობით ადამიანს ამ პლანეტაზე, მასსავით კოპნია ქალებს და კაცებს, გაგიჟებით უყვარს ელეგანტური ჟულიეტ ბინოში – მსახიობი, რომელიც, მისი თაყვანისმცემლების მტკიცებით, სულ "სინათლეს ასხივებს", მსახიობი, რომელმაც ლეგენდარულ ლორენ ბეკოლს წაართვა "ოსკარი". იმდენად უყვარს, რომ 2000–2002 წლებში "ჯულიეტის" სურათიც კი ედო სალარო აპარატთან.

ქართველი გამყიდველები ცოტა მოგვიანებით მიაკრობენ სალარო-აპარატებს ღვთისშობლის ხატებსა და ჯვრებს. 2003 წელს ასეთი პრაქტიკა ჯერ არ იყო დანერგილი. პრინციპში, სალარო აპარატებსაც იშვიათად ნახავდით თბილისის მაღაზიებში.

2003 წლის შემოდგომაზე ჯულიეტ ბინოშის სურათი გაქრა დეიდა მერციას დახლიდან. ბინოშის ადგილი ახლა ნაციონალური მოძრაობის ლიდერმა, მიხეილ სააკაშვილმა დაიკავა, უფრო სწორად ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო პლაკატმა "საქართველო შევარდნადის გარეშე". არ არის გამორიცხული, კოპნია გამყიდველზე ჩემმა მანჭვა-გრეხვამ იმოქმედა. იმდენი ვუმტკიცე, ბინოში სიყალბის განსახიერებაა, კეთილშობილი ქალის სახე მისაკუთრა, გემოვნება არა აქვს – თავის შვილს "რაფაელი" დაარქვა-მეთქი... ისე შეეუჭამე ტვინი, რომ დამიჯერა. შეიძლება იმოქმედა პაუზამ თავად ბინოშის შემოქმედებაში – ამ დროს "ლანკომის სახე" მეორე შვილზე ფეხმძიმედ იყო და კინოში მუშაობაზე დროებით უარი თქვა.



სრამლიანი სათვალე

ჩემი მანჭვა-გრეხვა 2000 წელს გადაღებულმა "შოკოლადმაც" განსაზღვრა – ფილმმა, რომელშიც ბინოშს პირველად მოუხდა თავისივე "იმიჯის" თამაში, ანუ იმ როლის განსახიერება, მილიონობით კოპნია ქალმა და მამაკაცმა რომ არგუნა. აქამდე მონაცვლეობით თამაშობდა მსხვერპლს ("ყოფიერების აუტანელ სიმსუბუქეში") და ვნებიან მოძალადეს ("ზარალში"), საყვარელი მამაკაცები ატყუებდნენ, მაგრამ მაინც გამონახავდა ხოლმე თავის თავში სიცოცხლის ძალას. მისი ეს გარდასახვა კილოვსკის "ლურჯში" მრავალტანჯული ქალის მზერით დასრულდა. თანაც, პათეტიკური მუსიკის ფონზე.

პრინციპში, "შოკოლადის" გენერალური რეპეტიცია ბინოშმა ერთხელ გაიარა – "ინგლისელ პაციენტში". წარმოუდგენლად მოუხდა მედდის სახე. აი, ისეთი მედდისა, არა მარტო ნემსს რომ აკეთებს კარგად, არამედ "ტრენინგიც" რომ აქვს გავლილი – როგორ გაიღიმოს და როდის გაიღიმოს, რათა მაქსიმალური კომფორტი შეუქმნას პაციენტს. ამერიკელებს მოეწონათ ასეთი ქალი. განსაკუთრებით იმით აღფრთოვანდნენ, რომ ელვგანტური მედდა ფრანგია, ე.ი. იმ კულტურიდანაა, რომელიც ყოველთვის ანიჭებდა უპირატესობას "კაი ცხოვრებას" და მაქსიმალურ კომფორტს. აკი თავად დაამკვიდრეს კიდეც ეს სიტყვა – "ბურჟუა", რომელსაც მერე კიდეც ერთი სიტყვა "პეტი" დაუმატეს, რათა ერთმანეთისგან გაემიჯნათ "წვრილი" და "მსხვილი" ბურჟუები – ჩვენს კარგ ქართულ ენაზე რომ ვთარგმნოთ, "წვრილი" და "მსხვილი" ქალაქელები.

"შოკოლადში" ბინოშის გმირი ქალიშვილთან ერთად ჩადის პატარა ფრანგულ ქალაქში და ამ "პატარა" ბურჟუების გაკეთილშობილებას

**მთელი ეს „შოკოლადის რომანტიკა“ ვილასისთვის
შეიძლება სახელმძღვანელო გახდეს მსიკა ბიზნესის
დაწყებისთვის, ვილასს კი პოლიტიკური აზროვნების
დაკმაყოფილებაში დაეხმაროს. წითელფხვასაშლიანი
ბინოში აქ სომ სოფლის მასშტაბის სუპერმენს ჰგავს,
რომელიც ფსიქონალიტიკოსის ტახტის ნაცვლად
შოკოლადის ფილას იყენებს და იმარჯვებს კიდეც.**

ინყებს. პრინციპში, ეს სამხრეთული ქალაქი უფრო სოფელს ჰგავს, მაგრამ მისი მცხოვრებლები დარწმუნებულები არიან, რომ ქალაქში ცხოვრობენ.

ჩრდილოეთიდან (!) მოვლენილი მესია გახსნის ტკბილეულის მალაზიას და გაყიდის შოკოლადს, რომელიც არა მარტო ნაზია და სწრაფად დნება პირში, არამედ ასხივოსნებს კიდეც სტერეოტიპებში დამხრწვალ სამხრეთელ ადამიანებს.

მოკლედ, კეთილი ფერია გააძღვებს ქალაქს შოკოლადით, ნონკონ-ფორმისტ მანანალასაც მიაგნებს, ჯონი დეპის გმირის სახით და მასთან ერთად დაამარცხებს ბოროტ ქალაქის მერს და შუა საუკუნეებში ჩარჩენილ ეკლესიის მსახურებს.

მთელი ეს "შოკოლადის რომანტიკა" ვილასისთვის შეიძლება სახელმძღვანელო გახდეს მცირე ბიზნესის დაწყებისთვის, ვილასს კი პოლიტიკური აზროვნების დაკმაყოფილებაში დაეხმაროს. წითელფხვასაშლიანი ბინოში აქ ხომ სოფლის მასშტაბის სუპერმენს ჰგავს, რომელიც ფსიქონალიტიკოსის ტახტის ნაცვლად შოკოლადის ფილას იყენებს და იმარჯვებს კიდეც.

სხვათა შორის, "ფსიქოს" მხურვალე დამცველმა, დეიდა მერციაშვილმა მკითხა ერთხელ, ეგ წითელი ფხვასაშლიანი რომ გაქვთ გადაცემამში,

რისი სიმბოლოაო. მაგრამ არაფერი ვუპასუხე.

ჟულიეტ ბინოშზეც არ ვპასუხობდი, როცა მეკითხებოდნენ, რა დაგიშავა მაინც ამ ქალმაო. მხოლოდ ვიჭყანებოდი. და ვიგრძობოდი.

ვერ ვპასუხობდი. არის რაღაცები, რაც გულში უნდა დაიტოვო. საიდუმლოდ. დროებით მაინც.

აი, მთელი ეს 2003 წელი რომ ავიღოთ, შევარდნაძის წასვლით "სახლში"... რუსთაველზე როცა იდექით და "გადადექის" ყვიროდით, სადაც, გულის სიღრმეში, ეჭვი ხომ მაინც გეპარებოდათ, რომ ისტორიის მორიგი თეატრალური წარმოდგენის პერსონაჟად იქეცით? დასავლეთ საქართველოდან დაძრული ავტოკოლონების შემყურეს გიხაროდათ, მაგრამ დროდადრო ხომ მაინც "ატორმუზებდა" თქვენი აჩქარებული გული? ნაცემ და შეურაცხყოფილ ვახტანგ რჩეულიშვილს რომ ხედავდით, "ღირსია, ღირსია" რომ გაიძახოდით, გული ხომ სულ სხვას გეუბნებოდათ? ანდა, ბურჯანაძე-დემოკრატების აქტივისტი ყმანვილი თავისუფლების მოედანზე გამართულ მიტინგზე, მერიის აივანზე რომ გაიძახოდა, დასავლეთიდან ყველაფერი კი არ უნდა გადავიღოთ, იქ კაცები კაცებს ცოლადაც ირთავენო, ცოტათი ხომ გაგინვრილდათ ეს გაუგებარი და დაუმორჩილებელი ორგანო – გული?

მაგრამ ხომ შეინახეთ საიდუმლოდ?

მეცხრე სიმფონია შეასრულეს. გაისმა "ოდა სიხარულისადმი" და კილოვსკის "ლურჯის" ფინალისა არ იყოს, პათეტიკურმა ჰანგებმა ყველა ალაგზნო. ვინღა მიაქცია ყურადღება ორმაგ ვარიაციას ბეთოვენის მუსიკაში – ხიფათის მოტივს, რომელიც ბოლომდე მიყვება გამარჯვების ეიფორიას?

შეიძლება იგრძნო კიდეც ვილასამ, მაგრამ არ შეიმჩნია, საიდუმლოდ შეინახა.

გადაეხვიეთ ერთმანეთს მილიონებო, და ჩვენც შევასრულეთ ეს მონოდება. ჩვენც დავემსგავსეთ ახალგაზრდა კარამზინს, სიჭაბუკეში რომ ოცნებობდა – მალალ მთაზე რომ შემედლოს ასვლა და მთელი კაცობრიობისთვის დაძახება – "ძმებო, მოეხვიეთ ერთმანეთს" და თუკი ცრემლიანი ხალხი მართლა გადაეხვევა ერთმანეთს, მშვიდად მივაბარებდი უფალს ჩემს სულსო.




იური ლოტმანი იხსენებდა ხოლმე კარამზინს, მოგვიანებით ისევ და ისევ ეს ორგანო – გული რომ აუცრუვდება თავის იდეალებზე. გერცენ-

საც იხსენებდა, დაჟინებით რომ ამტკიცებდა, კაცობრიობის მკერდი ასე თავისუფლად არასდროს სუნთქავდა, როგორც 90 წლის გაზაფხულზეო... სწორედ ეს გაზაფხული დასრულდება ომით და ტერორით, მილიონობით მსხვერპლით და არაადამიანური სისასტიკით – დაასკვნის ლოტმანი.

დაასკვნის, მაგრამ არ გვეტყვის, ნულარ იცხოვრებთ ილუზიებით, ნულარ მოაწყობთ რევოლუციებს და ნულარ შეგეშინდებათ, თუკი სიძულვილის სიძულვილს იგრძნობთ თქვენს თავში, თუკი მიხვდებით, რომ შეუწყნარებლები ხდებით თავად შეუწყნარებლობის მიმართო.

"თუ გინდათ, რომ თბილისს ერევანი დავარქვათ, მხარი დაუჭირეთ სააკაშვილ-ჟვანიას!", "პოლიტიკაში უნდა დარჩნენ სისხლით და ხორციით ქართველები!", "კმარა" აფერისტმა ებრაელმა, ჯორჯ სოროსმა დააფინანსა!", "რამაზ ჩხიკვაძე ოპოზიციას იმიტომ შეუერთდა, რომ მას მეუღლე მართავს. მეუღლეს "ნატაშა" ჰქვია და იგი ებრაელია!"...

ამეებს როცა გაიგებთ, ნუ შეგეშინდებათ რევოლუციის! მაშინაც კი, როცა საერთო ეიფორიასა და პათეტიკაში თქვენი აჩქარებული გული დროდადრო "ატორმუზებს" ხოლმე. სილიკონტურებიან გოგოს როცა დანახავთ, მიკროფონით ხელში, ახალგაზრდა რევოლუციო-



სრამლიანი სათვალე

ნერებს რომ ჰკითხავს მრავალმნიშვნელოვანი სახით, "ბავშვებო, გამოცდით, ვინ გაფინანსებთ?", ნუ დაგაფრთხობთ ზიზლი, რომელიც მოულოდნელად აღმოცენდება თქვენს კეთილშობილ გულში.

"შეუწყნარებელი შემწყნარებლის" ყველაზე ძლიერად მოსილ სახედ ლოტმანი ვოლტერს მიიჩნევს. ყოველწლიურად, ერთსა და იმავე დროს, ბართლომეს ღამის თარიღის მოახლოებასთან ერთად, ვოლტერი ავად ხდებოდა. 200 წელი აშორებდა იმ ღამეს, როცა კათოლიკებმა ამოჟლიტეს პროტესტანტები – ქალები, ბავშვები. ამის გაკიცხვა ფილოსოფიურად შეიძლებოდა. მაგრამ ვოლტერი ამ დროს ავად ხდებოდა – ისტორიის ეს სისხლიანი ღამე ძალიან ბევრს ნიშნავდა მისთვის. რცხვენოდა, რადგანაც მისი სინდისი, ჩვენი სინდისისგან განსხვავებით, ამ პლანეტაზე მცხოვრები მილიონობით კოპნია ქალისა და კაცის სინდისისგან განსხვავებით, დროსა და სივრცეში არ შემოისაზღვრებოდა.

რელიგიური ფანატიზმის მსხვერპლთა ვოლტერი პირადად იცავდა. ე.ი. თავის კაბინეტში, კალმით და ფურცლით კი არ ებრძოდა შეუწყნარებლობასა და უფიცობას, არამედ სასამართლოებში ჩიოდა – დასცინოდა სისხლისმსმელ მტერს და ტიროდა ძალადობის მსხვერპლთან ერთად.

ჰუმანიზმის დაცვა გაბედულობას მოითხოვს, ვაჟკაცობას მოითხოვს – ამბობს ლოტმანი თავის ერთ ლექციაში. ინტელიგენტურობა ნიშნავს შეხედო შენს ქვეყანას გვერდიდან და რაც მთავარია, შე-

„მეტირება, რომ ამ საზოგადოებრივ სივრცეში ვარ!“

ალბათ, ოდესმე მაინც გაგიმეორებიათ ვოლტერის ეს

სიტყვები. გაგიმეორებიათ მაინც.

შეიძლება „შევარდნადის ხალხის“ იმხანა ამახსოვროს

დღეებში. უყურებდა პარლამენტის დარბაზში სიმღერ–სიმღერით შევარდნილ

სიმღერით შევარდნილ რევოლუციონერებს და ტიროდა. უყურებდა „ფსიქოს“, რომლის წა-

მყვანი დაჟინებით ცდილობდა „უსისხლო რევოლუციების“ პროპა-

განდას და თავისთვის ფიქრობდა, რომ ამ ქვეყანაში ცხოვრება აღარ

შეიძლება, რომ ამ ქვეყანაში ცხოვრება აღარ შეიძლება.

ხედო შენს თავს გვერდიდან – შეგანუხოს შენმა სულმოკლეობამ, დაგტანჯოს შენმა ბინიერებამო.

"მეტირება, რომ ამ საზოგადოებრივ სივრცეში ვარ!"

ალბათ, ოდესმე მაინც გაგიმეორებიათ ვოლტერის ეს სიტყვები. გაგიმეორებიათ მაინც.

შეიძლება "შევარდნადის ხალხის" იმხანა ამახსოვროს დღეებში. უყურებდა პარლამენტის დარბაზში სიმღერ–სიმღერით შევარდნილ რევოლუციონერებს და ტიროდა. უყურებდა "ფსიქოს", რომლის წამყვანი დაჟინებით ცდილობდა "უსისხლო რევოლუციების" პროპაგანდას და თავისთვის ფიქრობდა, რომ ამ ქვეყანაში ცხოვრება აღარ შეიძლება.

–"ეგენი ყველანი უნდა გაყარო ამ ქვეყნიდან. ციხეში ჩაამწყვდიო!"

უმტკიცებდა დეიდა მერცია ასე 16–17 წლის ჟღალზე ჟღალ გოგონას, როცა დეკემბერში, კვირადღეს, არაჟანზე შევიარე მის მაღაზიაში. მე რომ დამინახა, ეგრევე გაისწორა "ბროშე" და წინაღობის "ფსიქოს" გარჩევაზე გადავიდა. ემზარ ჯგერენაიამ გული მატყინაო. არ მოეწონა ემზარის ნათქვამი: "ახალმა ხელისუფლებამ

არ უნდა დაიწყოს რუსეთზე ლაპარაკი. ყველაფერი ისევე მაგათ არ უნდა დააბრალოს. აილოს და მოაგვაროს ურთიერთობა რუსეთთან". დამემდურა, რატომ შეწყვიტეთ ზარები "ფსიქოში", მინდოდა დამერეკა და მეთქვა, რომ რუსეთის აგენტებით სავსეა საქართველო და სააკაშვილი ყველას ვერ გაუსწორდებო. მერე ასლან აბაშიძის წყევლა–კრულვაზე გადავიდა და იმ ჟღალ გოგონას უთხრა, ცოტა ტვინი გაანძრე – მთელი მსოფლიო ქართველებზე ლაპარაკობს, ყველა ჩვენს ქებაშია, "სამაგალითო ნაციას" გვინოდებენ, შენ კი მამალაძეს იცავ და წუნუნებო.

აღარ მახსოვს, ედო თუ არა სალაროსთან ახლა უკვე პრეზიდენტობის კანდიდატის, მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო პლაკატი. ბერლინის ფესტივალისთვის საბუთებს ვაგროვებდი და როგორც ყოველთვის, ამ დროს გაფანტული მქონდა ყურადღება.

ერთ რამეს გასწავლი, ძვირფასო მკითხველო. თუკი ვიღაცის მიმართ გაღიზიანებას გრძნობ, მაგრამ ვერა და ვერ ხვდები მიზეზს, ანდა, თუკი არ ხარ დარწმუნებული, რომ შენი გაღიზიანება სამართლიანია, მიმართე პროვოკაციას, "შეუგდე" რამე თემა და დააკვირდი, როგორ მოიქცევა. ხომ შევთანხმდით უკვე – ჩვენი, ყველა, რეჟისორებიც და განუხორციელებელი რეჟისორებიც, გამოუხსნორებელი მანიპულატორები ვართ.

– "დეიდა მერცია, ერთ თვეში ბერლინის ფესტივალზე მივდივარ. ჯულიეტ ბინოში ისევე დაბრუნებია კინოს. ამერიკულ ფილმში სამხრეთაფრიკელ ჟურნალისტს თამაშობს ბერლინში ჩამოვა ფილმის პრემიერაზე. ავტოგრაფი ჩამოგიტანო?"

– "ზანგის როლს თამაშობს?" – გაიკვირვა დეიდა მერციამ და რუსეთის აგენტებზე მოინდომა საუბრის გაგრძელება. თან არაჟანის ქილას მიჩვენდა, ვადაგასული რომ არ მოეცა.

– "არ მითხრა ესლა, რომ ჯულიეტ ბინოში გიყვარს!". ჰო, შენობით მომმართა რატომღაც ამ ჟღალმა გოგონამ, დეიდა მერციას "ბორჯომის" ბოთლების დანყოფანაში რომ ეხმარებოდა.

ჩემი დისშვილიაო, გამაცნო. შარშან კრასნოდარის უნივერსიტეტში ჩააბარა და სულ "გამირუსდა", ჩამოვიდა ახლა და "ვარდების რევოლუციას" მილანძღავსო. მაღაზიიდან გამოსვლას ვაპირებდი, მაგრამ მაგიური ფრაზით გამაჩერა: "შენზე აბოდებს!"

მადლობა გადავუხადე, ჩავანყვე ჩემი ხაჭო–არაჟანი და ვაშლის წვენები. მაგრამ ახლა უკვე კარებში გამაჩერა დეიდა მერციამ:

"– შენსავით ვერ იტანს ჯულიეტ ბინოში!"

ჟღალ გოგონას უზარმაზარი ნაწნავი ჰქონდა გადაკიდებული. ისე მათვალეიერებდა, რომ უხერხულიც იყო გაქცევა. თანაც, მერციას ვერ ვაწყენინებდი – ერთხელაც გაბრაზდებოდა და ვადაგასულ არაჟანს მომაჩერებდა.

"–კრასნოდარიდან დედაჩემს მაილი გამოვუგზავნე. საქართველო არ გენატრებო, მკითხა. ჰოდა, მეც ვუპასუხე, შენ მენატრები მართო და "ფსიქო" – მეთქი".

"მადლობა, მადლობა" ძახილში აღარც ბინოში მახსოვდა და აღარც პოსტრევოლუციური ვნებებით ანთებული დეიდა მერცია. მაგრამ ის კი ვიცოდი, რომ თაყვანისმცემლისთვის გულის გატეხვა არ ივარგებდა – მადლობის ნიშნად ერთი-ორი წუთით მაინც უნდა დამეგრისა მისთვის სახე და სხეული.

ჩემი თვალეიერება–თვალეიერებით, დეიდა მერციას "განყოფილებიდან" გამოვიდა. ერთი თხოვნა მაქვს, შენი მაილის მისამართი მომეცი, რაღაც მინდა გამოგიგზავნო. უჰ, ამაზე როგორ ვეტყობდი



სრამლიანი სათვალე

უარს. ვისთვის არ მიმიცია მაილი! სრულიად თავისუფალი ხარ ამ დროს – გინდა წაიკითხავ, გინდა არა, გინდა წაშლი და გინდა სა- თუთად შეინახავ.

თამუნას მაილი დიდხანს მქონდა შენახული. თუმცა არასდროს მი- პასუხია და არც არავის გაუხსენებია ჩემთვის "რიჟა" გოგოს არ- სებობა. დეიდა მერცხის "გასტრონომი" კარგა ხანია დაიხურა – იმ ადგილას ახლა რაღაც "სვეტსკი კაფე" გახსნეს. თამუნა კი შეიძლება საბოლოოდ გადასახლდა რუსეთში და საერთოდ არ აინტერესებს, რა ხდება ჩვენთან.

ჰო, თამუნა ერქვა. მაილის მისამართს ინერდა მაღაზიის "ფაქტუ- რაზე" და თან, ბინოშე მონდომა ლაპარაკი:

–"მერციკომ მითხრა, რომ ვერ იტან. იცი, როგორ გამიხარდა! აი, იქ, დახლზე, "ალპენ გოლდ"– ი დევს, ძაან უყვართ რუსეთში. მაგას მაგონებს. არადა შოკოლადის კარიკატურა უფროა!"

მეზარებოდა ბინოშე ლაპარაკი. ეს "ალპენ გოლდ" რა ჯანდა- ბა იყო, არ ვიცოდი. შოკოლადი საშინლად მილიზიანებს ღრძილებს, ამიტომ მისი გემო აღარც მახსოვს. სხვათა შორის, ბერლინში, როცა ამჯერად უკვე ფილმის, "შოკოლადის" ნახვის შემდეგ, ჩემს "კარონ- ნი" მანჭვა-გრეხვას მივმართე, ვილაცამ ეს მითხრა სწორედ – შოკო- ლადი არ გიყვარს და იმიტომ იფურთხები ახლა ფილმზეო.

ჰო. ღრძილების ანთებას არა მარტო შოკოლადი, არამედ ასეთი კი- ნოც ინვეს; თბილ საბანში რომ გაეხვევი, ბუხართან მოკალათდები, ჩაიდებ შოკოლადს პირში და დატკბები (მაგარი სიტყვა გვაქვს ქარ- თველებს) "თაფლი-ქალით", რომელმაც იცის, როგორ გამოასხივოს სინათლე თვალებიდან.

არს ბინოშის ბიძი, არს მე და არს მრავალი სხვა

კომნია ბოზო-ბიჭი ამ პლანეტაზე, შოკოლადის

ფილავით რომ ვსდილობთ სხვის მართვას, ავად არ

ვხდებით ბართლომეს ღამის წლისთავზე... თანაც, ასეთი

„ბართლომეს ღამე“ არაერთია ისტორიაში. მთელი

სხოვრება ავად ხომ არ ვიქნებით? ვინდა ბააკითებს

საქმეს – ვინდა დაიკავებს მოძღვრის ნიშანს?

ამდენ სიტყვოს მარტო არაჟანი თუ გაანეიტრალებს.

თამუნას მაილი იმ საღამოსვე მომივიდა. ძალიან მიჭირს მისი სტი- ლის ადღენა – ქართულ-რუსულ-ინგლისურის ნახავი იყო. ბეჭდვის დროს, ეტყობა, ნერვიულობდა, ამიტომ უამრავი ასო (განსაკუთრე- ბით ხმოვნები) ჰქონდა გამორჩენილი. მინდოდა მხოლოდ წერილის შინაარსი გადმომეცა, მაგრამ ასე, ვერაფრით დაგაჯერებდი, ძვირ- ფასო მკითხველო, რომ ჟღალნანწავიანი გოგოს წერილმა მართლა ამაღელვა.

მოკლედ, დაახლოებით ასეთი მაილი იყო

"შენობით რომ მოგმართე, რა სახე გქონდა? ყოველთვის ვიცოდი, რომ დიდი წარმოდგენა გქონდა შენს თავზე, მაგრამ ასეთი ელემენ- ტარული რაღაცა თუ გაგალიზიანებდა, არ მეგონა.

"ფსიქო" რომ ძალიან მიყვარს, ეს უკვე გითხარი. დედაჩემს რა შეეუთვალე, ესეც გითხარი. ბუნებრივია, რომ გაგეხარდა. ყველას გაუხარდებოდა. თუმცა კომპლიმენტი რომ არ მეთქვა შენთვის და ჩხუბი დამენყო, წარმომიდგენია როგორ გავარდებოდი მაღა- ზიდან. არაფერია, კაცი ტელევიზორში როცა გამოდის და მთელ საქართველოს ელაპარაკება, არ შეიძლება გულწრფელი იყოს. გა- პატიებ ამას.

მაგრამ იმას ვერ გაპატიებ, რომ ჩემი საყვარელი გადაცემა, დე-

დაჩემივით რომ მენატრებოდა კრასნოდარში, პოლიტიკურ შოუდ აქციე და ამ "ოპერეტა-რევოლუციის" იდეოლოგი გახდი. შენ გგო- ნია, მართლა მნიშვნელოვნად შეიცვლება აქაურობა? გგონია აღარ იარსებებენ ბასილ მკალავიშვილები? აღარ გააჩნევენ ქურდულად საქმეებს? მართლა დარწმუნებული ხარ, რომ "საქართველო – შე- ვარდნაძის გარეშე" იქნება უსადღეგრძელო, უქორწილო, უპანაშვი- დო ქვეყანა? მართლა უძველესი ევროპელი ხომ არ გგონია შენი თავი?"

არა, "ოპერეტა-რევოლუცია", მგონი, არ დაუნერია. "გარდიანის" სტატიას ერქვა ასე. უჰ, როგორ აღვფოთოდი ყველა მაშინ! აბა რას იტყვიან მემარცხენეებში, ვილაცამ გვითხრა და ჩვენ ხმა არ ამოვი- ლეთ. მხოლოდ ამ დაუმორჩილებელმა ორგანომ – გულმა გაგვკრა ისე.

მაგრამ, რა დროს "გარდიანია". ისევე თამუნას მაილს დავუბრუნ- დეთ

"ზაფხულში კეტრინ ჰეპბერნი მოკვდა..."

ეს ამბავი ნამდვილად არ ვიცოდი. საერთოდ, ჰეპბერნი დიდი ხნის მკვდარი მეგონა.

"... როგორი მაგარი ქალი ყოფილა. ყოველთვის სპენსერ ტრესის ცოლი მეგონა, ერთად არ ცხოვრობდნენ?.. თვითონ უთხოვია, ცოლს არ გაშორდეთ. არ ვიცოდი, რომ სპენსერ ტრესის ყრუ-მუნჯი შვილი ყოლია. კეტრინი ეუბნებოდა, თურმე, ნულარ მიაყენებ ტკივილს, არ გააგებინო ჩემი არსებობა – უკეთესია ტყუილში იცხოვროს, ვიდრე კიდევ უფრო მეტად დაიტანჯოსო. ამიტომაც მესმის ამ ხალხის – თავის თავს რომ იტყუებენ და უხარიათ საქართველოს გაბრწყინე- ბა. დედაჩემისაც მესმის – სოხუმში ბავშვებს ასწავლიდა სკოლაში, ახლა კი "სელიოდკას" ყი- დის. დარწმუნებულია, რომ სააკაშვილი სახლში დააბრუნებს.

მაგრამ შენ რაღა დაგემართა? "

მერე გრძელი სია იყო ფილმებისა, რომლებ- ბმაც მასზე დიდი შთაბეჭდილება დატოვეს.

ცოტა სნობური, აქა-იქ საიდანლაც გადანერი- ლი... თუმცა ამ სიის "გაშიფვრაზე" თავი არ მომიკლავს – ვცდილობდი მეპასუხა თამუნას- თვის "რაღა დამემართა", უფრო სწორად "რაღა დაგემართა"...

და რატომ არ შეიძლება მიყვარდეს ის სახე, რომელიც ჟულიეტ ბინოშმა შექმნა "შოკოლადში".


არა, პასუხის დაწერას არ ვაპირებდი. სხვათა შორის, მითხრა, პა- სუხი არ მომწეროო. ჩემთვის ვიჯექი კომპიუტერთან და ვფიქრობ- დი.

"არ უნდა ენდო დოგმებს, რიტუალებს, ტრადიციებს. ისინი ხომ ადამიანებმა მოიგონეს. ნუ გეშინია შეცვალო შენი ცხოვრება – ეს შენი ცხოვრებაა და მეტი, ასეთი აღარასდროს გექნება" – ამ "მე- სიჯზე" აგებული ბინოშის მთელი ბენეფისი "შოკოლადში" – წი- თელფესსაცმელიანი ბინოშისა. რატომ უნდა გამაღიზიანოს, რატომ უნდა აღმამფოთოს ასე "შოკოლადის ქალმა", როცა თავადაც იგივეს ვაკეთებდი მთელი ამ 2003 წლის მანძილზე?

მანამდეც და ამის შემდეგაც.

არც ბინოშის გმირი, არც მე და არც მრავალი სხვა კომნია გოგო- ბიჭი ამ პლანეტაზე, შოკოლადის ფილმებით რომ ვცდილობთ სხვის მართვას, ავად არ ვხდებით ბართლომეს ღამის წლისთავზე... თანაც, ასეთი "ბართლომეს ღამე" არაერთია ისტორიაში. მთელი ცხოვრება ავად ხომ არ ვიქნებით? ვინდა გააკეთებს საქმეს – ვინდა დაიკავებს მოძღვრის ნიშანს?

ვინდა იამაყებს იმით, რომ "ზედმეტი გრამები" აქვს – ზოგს თავში და ზოგს კიდევ სხვაგან.





მეორე მავთული

ავტორი: აკა მორაჩილაძე

ერთი ჩემი მეგობარი, დაბადებული და გაზრდილი ქალაქ ქუთაისში, სრულიად გადასარევი ფოტოოსტატი საბჭოთა დროებში, უფრო სწორად იმ ხანაში, როცა ეს ჩვენი კავდატა ვ ამერიკე გამოჩნდა ქართველ ახალგაზრდათა წინაშე, ანეკდოტურ ისტორიაში გაეხვა. რაღა ანეკდოტი ეგ იყო, მაგრამ მაინც.

რახანღა ყმანვილკაცი იყო იმ დროში, ყმანვილს კი ზოგჯერ მოზომვა გაუჭირდება, კეთილ ხალხთან დაითრო და ერთი თავისი გულისვარდის მონახულება გადანყვიტა. მეტად დამთვრალი ყოფილიყო და ამიტომ თუ დაემართა ასეთი რამ, რომ სადარბაზო აერია, სართული კი არ, და მოჰყვა ერთ მდუმარე კარზე კაკუნს.

რახან იმ კარს უკან არავინ იყო, არც გაუღეს, რამაც მისი, როგორც ნაქეიფარი კაცის შინაგანი აღშფოთება გამოიწვია. აბა, წარმოიდგინე, აგრერიგ გრძნობამორეული წამოსულხარ, გულისვარდი კი კარს არ გიღებს.

გულისვარდი ტკბილად მყოფობდა მეზობელ სადარბაზოში, თავის წამდილ ბინაზედ, ამ ჩემმა მეგობარმა კი მეტი ვეღარ შეიძლო, კაკუნს თავი ანება და კარი ტკბილად, მხრით შეიტანა.

საბჭოთა დრო იყო, კარები მაშინ დიდი სიმტკიცით, რკინა-ბეტონითა და საიდუმლო კლიტეებით არ იყო შემაგრებული. მაგალითად, ბებიაჩემს კარის დაკეტვისა რცხვენოდა, სულ ამბობდა, აბა, რა ცხოვრება მოვიდა, კარი უნდა ჩაკეტო.

ჰო, მოკლედ, მიანვა, შეიტანა და შევარდა კიდეც, მისი აზრით, გულისვარდის, ისე კი ვინმე უცხოს ბინაში და იქ რომ არავინ დაუხვდა, თვალთ კი დიდად ვეღარ გაარჩია, რომ სხვაგან იყო, მიეგლო ტახტზე და დაიძინა.

ქართული კინოს სახელგანთქმულობის და სიმაგრის ეპოქაში ამ ამბავს სრულიად გასაგებელი, რომანტიკული გაგრძელება ექნებოდა. გმირის თავგადასავალი, მთელი ამბავი, ირონია სუძბის ქართული გზა და ასე შემდეგ, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ქართული ცხოვრება გამოდგა და არა ქართული კინო, სადაც გზის მუშებს შეუძლიათ პეპლებს სდიონ.

ჩემი მეგობარი, ისევაც მთვრალი, ჯანჯღარითა და ერთი ამბით გააღვიძეს, წამოაჯინეს და სანამ თვალების მოფშვნეტას მოახერხებდა, ხელბორკილიც მოარგეს.

სახლში ბევრი ხალხი ირეოდა: ფორმიანები და უფორმოები. მაგიდაზე ქალაღები გაეშალათ და რაღაცებს წერდნენ, იქვე ეგლო ტომარა, რომელშიაც რაღაც ტანსაცმელები ჩაეტენათ. ყველა უჯრა გამოენათ, კარადების კარები დაელოთ.

ჰოდა, წამოაყენეს ეს ჩემი მეგობარი და ჩასვეს მანქანაში, რითაც გააქანეს განთქმულ ქუთაისის სამმართველოში, საიდანაც მოგესენებათ ნახევარი უხილავი ნაბიჯიც არ არის, თუ არ იყო, თავისი მხეცური რეჟიმით განთქმულ ქუთაისის ციხემდე, რომელიც ახლა

დანგრეულია, მაშინ კი პირდაპირ გრგვინავდა თავისი აუტანლობით. იმ ციხეში კომბლესს გამაყუჩებელი ნაწილების სახელები ეწერა. ისე, გასართობად. კაცს რომ ცემდნენ, ეუბნებოდნენ, ანალგინს გასმევთო, ჰოდა, კომბალს ეწერა ანალგინი. საინტერესო რამე იყო, როგორც ეტყობა, ის ქუთაისის ციხე, სადაც ერთ კამერას დაფაც კი ამშვენებდა – აქ იჯდა ამხანაგი სტალინიო.

მაგრამ ამაზე სხვა დროს.

მოკლედ, რა იფხიზლა ამ სანყალმა კაცმა, გამოარკვია, რომ ბრალი ედება მოქალაქის პირადი ქონების ხელყოფასა და ქურდობაში და რახან წესიერი, უბრალოდ მთვრალი ყმანვილკაცი გახლდათ, ამაზეც იტანჯა თურმე ფიქრში – ეგრე როგორ დაფთვერიო, რომ იქიდან რალაცების მოპარვა გადავწყვიტე, რა შავ ქვად მინდოდა იმათი კაბა-ხალათები, კაცი ფოტოგრაფიას მოსკოვში ვსწავლობ და წინსვლას დავეძებო.

თურმე კი, საქმე როგორ ყოფილა.

სახლის პატრონი რომ შინ მობრუნებულა, ჯერ შეტეხილი კარი, მერე კი მძინარე უცხო ვინმე უნახავს და უფიქრია, ამ მოქალაქეს თავის სიმთვრალეს და ჩემი კარის შემოტეხვას ვაზღვევინებ და რამეს გამოვრჩებო.

სახლში გაქურდვის ინსცენირება მოუხდენია და მილიციაში დაურეკავს, მოდით, ჩემთან ქურდს სძინავსო, თან, რასაკვირველია მეზობლებიც შეუყრია, ნახეთ, ნახეთ ერთიო.

თავის მოკლე ჭკუით ამას უფიქრია, საქმეს წამოვიწყებთ, ამ ნაქეიფარ ყმანვილკაცს ფულს ავართმევ, მილიციაც თავის წილს აართმევს და მოგებული დავრჩები, ის კი ციხეს დაუძვრება და ამით გაიხარება.

მოკლედ, ყველანი აქეთ გამოდგნენ ქურდები, ყმანვილკაცი კი სხვისი კარის შეტეხვასა და იქ დაძინებაში თუ იყო დამნაშავე, თორემ სხვაში არაფერში.

მაგრამ სახლის პატრონმა, სხვანაირად კი დაზარალებულმა, ვერ გაითვალისწინა ორი ამბავი: ერთი, რომ ყმანვილკაცს და მის ოჯახობას იმდენი ფული არ გააჩნდა, ყველანი რომ მაშინ არსებული საქრთამო ფასებით დაექრთამა და მეორეც, ქვეყანაში იმხანად მიმდინარეობდა კამპანია ქურდული ცხოვრების წესისა და ზოგადად ქურდობის, როგორც დანაშაულის წინააღმდეგ.

ეს ხმამაღალი კამპანია იყო, ტელეგადაცემებით, ქართული საბჭოთა ტელევიზიის ეთერში კუკურია თვალებას ხსენებით და იმხანად ქურდის, კატას გამოჩენით, ინტერვიუებით და მთელი ამბებით. ამასთან ერთად კი ის იყო, რომ საქართველოს უფროსობამ მოახერხა ასეთი რამ, რომ ქურდობისთვის გასამართლებულები სასჯელს საქართველოში აღარ მოიხდიდნენ, არამედ, რუსეთის განთქმულ ზონებში. თუ არ ვცდები, ასე იყო და ეს განსაკუთრებით რეციდივისტებს ეხებოდა, ანუ, მიზანი ის თუ იყო, რომ ქართული ზონები ქურდებს აღარ ემართათ.

რა გამოვიდა აქედან, არ ვიცი, მაგრამ ამ ჩემს მეგობარს სრულიად რომ წაუხდა საქმე, ალბათ მისახვედრია.

იმ ხელის მოთბობის სურვილით ანთებულმა დაზარალებულმა ვერაფერი იშოვა და ბოლოსკენ მგონი ნირნამხდარიც იყო, ასეთი სპექტაკლი რომ დადგა, ჩემს მეგობარს კი ხუთი წელიწადი მიართვეს, ქურდობის რომელიღაც მუხლით და ქუთაისის ციხიდან უქურდოდ შთენილ წულუკიძის ზონაში უკრეს თავი, საიდანაც მალევე აღმოჩნდა კომის ავტონომიური რესპუბლიკის შრომა-გასწორების ტერიტორიებზე.

მთელს ამ უბედურებაში, მთელს საშინელ ჟანგალუანობაში ყველაზე უცნაური ის იყო, რომ გამომძიებელმა მაინც მოახერხა რალაც ქრთამის აღება პატიმრის მშობლებისგან, თუმცა სანაცვლოდ არაფერი გააკეთა: შეხედა, უბრალო და წესიერი ხალხიაო და ალბათ იფიქრა, რატომაც არაო.

ჩემი მეგობარი იქიდან მაშინ დაბრუნდა, როცა საქართველო უკვე დამოუკიდებელი ქვეყანა იყო და სწორედ ამ გამომძიებელს მიადგა, გამაგებინე, ის ფული რაში აიღეო. გამომძიებელმა ფული დააბრუნა. მოგესხენებათ, საქართველოა.

ეს ამბავი იმიტომ გამახსენდა, რომ ჩემი მეგობარი ოთხმოციაწი წლების არაფორმალური, თუ დამნაშავეთა, სამყაროს ნამდვილი ექსპერტია. მე სხვა მეგობრებიც მყავს, ვინც დიდად გარკვეული იყო ამ საქმეებში, მაგრამ ისინი 80-იან წლებში არ მსხდარან.

ჰოდა, ამ კაცის სმენისას აუცილებლად იფიქრებ, რომ ქართულ საბჭოთა ტრადიციულ დამნაშავეთა სამყაროს კავდატა ვ ამერიკე საერთოდ არ ახსოვს. არათუ გავლენა მოუხდენია, არამედ არც კი გაუგია ხეირიანად და არც უფიქრია ამ ფილმის შესახებ.

ფილმი იმისთვის შეიქნა ცხოვრების წიგნი, ვინც სწორედ მაშინ გამოდიოდა ქუჩის ასპარეზზე და ისიც თბილისის გარკვეულ უბნებში, დღეს რომ სასაცილო სახელს, ელიტურს უწოდებენ.

საერთოდ, ეს უცნაური სამყარო იყო საბჭოთა კავშირისთვის. თბილისის ელიტის შთამომავლების დაინტერესება ქუჩით. მთელს მსოფლიოში, თავზეხელაღებული, კანონისდამრღვევი, კრიმინალურად რთული ადგილები გარეუბნებშია, ანდა სპეციფიკურ უბნებში, საბჭოთა თბილისში კი, თუმცა ტრადიციული ქურდული სამყაროს ცენტრები ნამდვილად არ იყო ელიტურ უბნებში, არამედ უფრო მტკვრის მეორე ნაპირზე და დასავლეთ საქართველოს ლეგენდარულ ქალაქებში, მაგრამ ეს ელიტური გარემო შობდა რალაც განსაკუთრებულ კასტას, რომელიც ახლოს იყო იმასთან, რაც სრულიად არ იყო ელიტა. რატომ იყო ესა, ამის ფიქრი ნამდვილად შორს წამიყვანს და ახლა ეს ყველაფერი იმდენად მინავლულია, რომ არ მგონია, მისი ნჯღრევა საჭირო იყოს.

კაცი რომ ერთხელ ქურდობისთვის ციხეში ჩაჯდება, იმისთვის კინოთი მოტანილი რალაც მოდელები საინტერესო არ არის. ალბათ, ამ შემთხვევაშიც ასე იყო, თორემ ქურდებმა 70-იანი წლებიდანვე იცოდნენ ყოველგვარი მოპარვის გარეშე ფულის შოვნა. მაშინ გავრცელებული სიტყვა იყო შენერვა, რაც მგონი უკვე ვახსენე. ამიტომ, პერესტროიკის დროის პირველ რეკეტირებს არაფერი გამოუგონიათ, უბრალოდ, ფილმები ამ საქმის საკუთარ გონებაში მხატვრულ დონეზე ასაყვანად თუ იყო საჭირო და რალაცების გადმოღებას ემსახურებოდა.

მაგალითად, ბიჭები ხშირად ძალით იქოქავდნენ თავს და სულ პატარა რამეზე ნამდვილ ისტერიკას აწყობდნენ. ეს ისტერიკა, რა თქმა უნდა, ძალის ჩვენებას გულისხმობდა. სულ პატარა რამის შეურაცხყოფად მიღება, ამაზე გადარევა, დანების ტრიალი და ასე შემდეგ. მგონი, ამ მხრივ, დღესაც დიდებული ვითარებაა.

ერთი ამბავი გამახსენდა: თბილისში რეკეტის ერთ-ერთი პიონერი და მისი მეგობარი, შაუ ქუჩაში დღისით ბენზინს იპარავდნენ ვილაცის მანქანიდან. ის ხანა იყო, დამოუკიდებლობა რომ ცხადდება და ბენზინი ჭირდა. ეს რეკეტის პიონერი, თუ არ ვცდები, პროფესორის შვილი იყო. ჰოდა, ვიპარავთო, მისი მეგობარი მიაბობს და გადმოიხედა პატრონმა, ეგრე სამოცი წლის კაცმა, არცთუ ბრაზიანმა, წესიერები რომ არიან ისეთთაო და რას შევებით, შვილო, არა გრცხვენიათო? მეტი, გეფიცები არაფერი უთქვამსო, ჰოდა, რეკეტის პიონერმა არც აცია, არც აცხელა, შემოაგინა ქვემოდან სრულიად გადარეულმა და ესროლა და ესროლა, კიდევ კარგი ააცილაო.

ესროლა – მაშინ არ იყო ხშირი სიტყვა, თუმცა, მისი იშვიათობა ბოლო თვეებს ითვლიდა. ამ მეგობარმა, ეს ამბავი იმიტომ მიაბო, რომ ეთქვა, რა თავზეხელაღებული იყო სანყალიო, ზადნი არ ქონდაო, მე კი ათას ამბავს შორის ალბათ იმიტომ დამამახსოვრდა, რომ ეს ამბავი დაჩ შეულცს ჩაება ჩემს ტვიში. ანუ, იმ დაჩ შეულცს, როგორც ის იყო, იმ დროისთვის ნანახ კოტონ კლაბში და მოგვიანებით ნანახ ბილი ბასგეთსა და სხვებში.

ეროვნული ინიციატივა

გარემოსთან აგრესიული დამოკიდებულება სამხრეთელ განვითარებას მგონი დიდად არ ახასიათებთ. არც ჩვენს ტრადიციულ კრიმინალურ სამყაროს ახასიათებდა. მეტიც, ამ სამყაროს მკრთალი წინამორბედნი – აბრეგები, ფირალები და ყაჩაღები – სახალხო გმირებადაც კი ჩაითვლებიან.

ეს აგრესია დიდ ქალაქში დამკვიდრებისა უფრო იყო. საქმე იწყებოდა და ალბათ ხმაურით უნდა დაწყებულიყო, თუმცა, არ მგონია, რომ ამაზე ვინმეს ეფიქროს საგანგებოდ. უბრალოდ, ასე გამოდიოდა. მთელს ამ ისტორიებში ხომ განუზომელი ამპარტავნება ძევს.

ადამიანები დიდი საგის სათავეებთან იდგნენ და, ალბათ, მოქცევის ასეთ ხერხებს ამჯობინებდნენ.

მერე და მერე, ეს ღრიალა აგრესია განელდა და მხოლოდ აქა-იქ შეიმჩნეოდა. ის საჭირო აღარ იყო, რადგან ადამიანები ავტომატებით დადოდათ ქუჩებში და ბენზინი კი არა, პირდაპირ მანქანები მიჰყავდათ, თან ისე, რომ პატრონს კოხტად გადმოსვამდნენ ხოლმე იქიდან.

რა თქმა უნდა ეს არ იყო კავდატა ვ ამერიკის გარემო და არც ბიჭები იყვნენ ისეთი კოხტა მანერებიანი როგორებიც მაქსი და ნუდლსი არიან.

ამ ფილმს ეს უცნაურობაც აქვს: იმის პირობაზე, ვინც არიან, მანერები განგსტერებს უვარგათ, გემოვნება კი საზიზღარი აქვთ.

თავისუფალ სამყაროში ასეთი რამე მოსულა.

ახალგაზრდობაში ღარი ფლინტი ამბობდა, ჩემი ერთადერთი დანაშაული ჩემი მდარე გემოვნებაა.

ეს დარწმუნების ფილმებიც როგორღაც სწორედ იმ წლებში ჩნდებოდა.

ბილი ბასგეიტი, ომელიც დოქტოროუს რომანის მიხედვითაა გადაღებული, რომელიც ინასტრანკაშიც იბეჭდებოდა და მეორეც, მოკალი ჰოლანდიელი, თუ მოკალი დაჩი.

აი, სწორედ ეს ფილმი, რომელიც, როგორც მახსოვს, მენაჰემ გოლანმა თვითონ გადაიღო, მოულოდნელად ზუსტად და შთამბეჭდავად დამამახსოვრდა. ალბათ იმიტომ, რომ რაღაც წარმოუდგენელ, ეგებ გადამეტებულ პარალელებსაც კი ვგრძნობდი ჩვენს რეკეტის პიონერებთან.

დარწმუნების ასეთი იყო: ღრიალებდა. მაგრამ გოლანის ფილმში, ის, ციხიდან გამოსული, პირველსავე შემხვედრ ადამიანს სულ ტყუილად აჭამდა ცხვირს და დედის ნაჩუქარ ახალ პერანგს სისხლით მოთხვრილს მალავდა ღაბაღის ქვეშ.

მოხვედბა ხოლმე. რაღაც ჩვეულებრივი ფილმი და რაღაც ჩვეულებრივი წიგნი ისე უცებ მოხვედბა დროს, სრულიად გაუგებარ, ერთი შეხედვით წარმოუდგენელ ადგილას, რომ გაგიკვირდება. თავის დროზე კავდატა ვ ამერიკეც რაღაცნაირად მოხვდა, მგონი, ყმანვილთა გემოვნებას და მათ ოცნებებს უპასუხა. თუმცა, კავშირი მაინც არ შედგებოდა, რაიმე საგანგებო რომ არ ყოფილიყო.

ეს კავშირი, მგონი, ორი სატელეგრაფო მავთულით ხორციელდებოდა. ერთი იყო თავისუფლების სურნელი და მეორე კიდევ წარსული, სადაც უნდა ვიპოვოთ კიდევ რაღაც დაფარული, რამაც ამერიკული კრიმინალური დრამები ჩვენს თარგს მოარგო.

ამ მეორე მავთულის პოვნა შეიძლება.

რატომღაც ასე მგონია, რომ თბილისის ელიტური უბნების ელიტურ ბიჭებს და მათთან კავშირში მყოფ ელიტურ უბნების მცხოვრებ არაელიტურ ბიჭებს საბჭოთა საქართველოს ტრადიციული კრიმინალური სამყარო არ აკმაყოფილებდა.

შინაგანად, თორემ გარეგნულად ეს, მგონი, არავის გამოუხატავს სამოციანი წლების შემდეგ. სამოციანი წლებში ქურდი და მისი სამყარო სულ სხვა სოციალური არეალის მომცველი იყო, ვიდრე 70-იანების ბოლოს და 80-იანებში. მათთან ჩხუბ-გარჩევანი ქუჩის ბიჭებს კიდევ მოსდიოდათ და კიდევ გამოსდიოდათ.

მე ამის დიდი მცოდნე არა ვარ, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ 70-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა საქართველოში კრიმინალური რევოლუცია მოხდა.

ის, პირველ რიგში, თვითონ კრიმინალურ სამყაროში მოხდა და მერე გავრცელდა ქვეყანაში.

ამან ბევრი რამ შეცვალა.

ამ შეუმჩნეველი რევოლუციის არსი ის იყო, რომ ქურდის ინსტიტუტი, რასაც ადრე რამკიანი ქურდი ერქვა, მერე კანონიერ ქურდს და კიდევ რამეებს ეძახდნენ, პროვინციებში გავრცელდა და მასობრივი ხასიათი მიიღო. რაც რომ წიგნები არ წამიკითხავს სტალინის დროის კანონიერ ქურდებზე, იქ არათბილისელი იშვიათად მიპოვნია. ანუ, თავიდან, თავშესაფარი დიდი ქალაქი იყო, დიდი ქალაქი კი ერთადერთი გახლდათ. მაგრამ აი, მოვიდა დრო და ქურდობა გავრცელდა. ამ ამბავში განსაკუთრებით სწრაფი და ხშირი დასავლეთ საქართველო გამოდგა. ქურდების რაოდენობამ ყველგან იმატა, მაგრამ რიგ ადგილებში უბრალოდ გაჩნდა. ზონებს ჩაბმულ ქალაქებში, ყმანვილებში კრიმინალი ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი არსი და მიდრეკილება გახდა.

ძველად ქურდები დაბალი სოციალური ფენებიდან იყვნენ. მხოლოდ გამონაკლისი პერსონაჟები მოიძებნებოდნენ, ვინც ცხოვრებამ ამ სამყაროში მოახვედრა და ეს კარიერა აარჩევინა. ეს, მგონი, ომის და სიღუბნის ბრალი იყო, მანამდე კი, რეპრესიებისა. ისე კი, ქურდები უპასპორტო და უსახლკარო ხალხი იყო, როგორც ერთ ძველ წიგნშია, მაგის მისამართი საბჭოთა კავშირია, ქალბატონო, მაგრამ როცა ეს ამბავი საქართველოში მასობრიობისკენ წავიდა, გაჩნდა ასეთი თქმულება, რომ ერთი განთქმული პროვინციელი ქურდი მომკვდარიყო და მის დაკრძალვაზე რუსეთიდან ძველი ყაიდის, ტელოგრეიკიანი ქურდები ჩამოსულიყვნენ.

ამათ ენახათ მისი დიდებული სახლ-კარი და გაოცებულიყვნენ, ეს რანაირი ქურდი ყოფილაო.

ამ თქმულებას ორნაირი გაგრძელება და დასაწყისი ჰქონდა.

ერთი, რომ თითქოს, ეს ქურდი მავან პატიოსან კაცს მოეკლა, რის გამოც ქურდულ სამყაროს ეს კაცი უნდა დაესაჯა, ანუ მოეკლა ქურდის ხელყოფისათვის. ჰოდა, თითქოს იმ რუსებს ეთქვათ, მოსაკლავი ყოფილა, ქურდს ქონება არ სჭირდებაო და ამით მკვლეელი გადარჩენილიყო.

მეორე ვარიანტში მკვლეელი არ ჩანდა, თუმცა, დასასრული კი გულისმკვლეელი იყო – ის მდიდარი ქურდი კუბოშივე არაქურდად დატოვებოდა. უთხრეს იმ ტელოგრეიკიანმა ქურდებმა მკვდარს, ჩვენ თვალში არა ქურდი ხარო.

მოკლედ, შეიქმნა უზარმაზარი და უკიდევანო სამყარო. უფრო სწორად, დაიბადა, იშვა. ჰოდა, ამ ნახსენებ ბიჭებს, უნდოდათ თუ არა, ამ სამყაროსთან კავშირი ჰქონდათ, გინდა მეგობრული თქვი, გინდა თანამშრომლური, გინდა ახსნა მოუძებნე, გინდა ნუ მოუძებნი. შინაგანად, ეს სამყარო, როგორც მთლიანობა, მათ არ აკმაყოფილებდათ.

შინაგანად, ალბათ გოიმურსაც ეძახდნენ, მაგრამ ხმამაღლა არ გამიგონია. თვითონ, საზოგადოების სულ სხვა ფენას ეკუთვნოდნენ და სულ სხვა განათლება ჰქონდათ, ქურდებში კი ბოლო ისეთი გამონაკლისები, რომლებიც მსგავსი ფენიდან მოდიოდნენ, აღარც არსებობდნენ. თითქმის. ორი-სამი გამონაკლისი, რა თქმა უნდა, ამინდს ვერ შეცვლიდა.

ჰოდა, ამ დროს შემოგვისწრო ამერიკულმა დრამებმა და, მგონი, გზაც გვიჩვენა. ამერიკა მაგიური სიტყვა იყო, ხო შევთანხმდით.

(გაგრძელება იქნება)



ჩეჩეტიტკა



ჩეჩეტიტკა



ჩეჩეტიტკა



ჩეჩეტიტკა



ჩეჩეტიტკა



ჩეჩეტიტკა

<http://www.axis.ge/abashidze/>



<<< **დასაწყისი ბპ. 84**

ჩემთვის გადამწყვეტი იყო, რომ მთელი ბავშვობა ძალიან ბევრს ვმოგზაურობდი. მამის დავინახე, რომ მსოფლიო დიდია, რამდენი ლამაზი ხალხი ცხოვრობს, რომ უამრავი საინტერესო ადამიანი არსებობს. მერე მივხვდი, რომ რუსთაველის ქუჩა ვერ მომატყუებდა. დავინახე, რომ ადამიანად ყოფნა ძალიან უბრალო და მარტივია, და ამ ხალხმა როგორ გაართულა ეს იმით, რომ ამდენი ტყუილი და ზედმეტი ფუნქციები დაახვავა ზედ. არ არის ასე, ადამიანად ყოფნა ძალიან უბრალოა, ასეთ მატყუარა საზოგადოებაში კი – საშიში. იმიტომ, რომ მილიონს არ შეუძლია ალიაროს, რომ ერთია კარგი და მილიონი ცუდი, ურჩევნიათ, იფიქრონ, რომ ერთია ცუდი და მილიონი კარგი. ამიტომაც, აქ ნიჭიერი, გახსნილი და შემოქმედი ადამიანები ყოველთვის გარიყულები არიან. აქ ასეთი ადამიანების სასაკლაოა, ყველა დარგში, აქ იმხელა ტყუილება ჩადებული ისტორიებით და ტრადიციებით. ტრადიცია თუ შენი მეგობარი არ არის, და თუ ის არ გეხმარება, რომ კაცი გაგხადოს, და თუ ის გორგუნავს, მშობრად გაქცევს და მონად, მაშინ ის ტრადიცია დასანგრევია. მშობრებს კი ეშინიათ ტრადიციის შეცვლის და კერძოთაყვანისმცემლები ხდებიან. შეჩვეული ქირი სჯობს შეუგუებელ ხილს, ეს არის ამ ქვეყნის დევიზი.

სანამ აქ ბავშვები დამოუკიდებლად არ იცხოვრებენ, და დამოუკიდებლად არ შეწყვეტიან ცხოვრების სირთულეებს, დამოუკიდებლად არ ისწავლიან რა არის კეთილი და რა არის ბოროტი, სანამ თავისთვის საქმელს არ გაიკეთებენ, ტრუსიკს არ გაირეცხავენ, სახლს არ დაალაგებენ, ანუ არ გააკეთებენ ისეთ რამეებს, რაც ძალიან

ადამიანური და ნორმალურია ყველგან, სანამ ამას ვიღაც უკეთებს, უთარგმნის და უხსნის, მანამ ამ ქვეყანას არაფერი ეშველება. სხვა შემთხვევაში, იზრდებიან პატარა დებილი ბავშვები, რომლებიც რეალურად არიან 50 წლის ტიპები, რომელთაც ყველაფერი ეზარებათ და დედა უნდათ. სექსის ეშინიათ, სიყვარულის ეშინიათ, თავისუფლების ეშინიათ, რისი არ ეშინიათ? სულ სექსზე ლაპარაკობენ, მაგრამ ვერ მრავლდებიან, სულ მხოლოდ სამი მილიონი ვართ. ესენი არიან გაორმაგებული ტიპები: მათში ცხოვრობს ერთი მეფე, რომელიც მხოლოდ თავის თავში არსებობს, და მეორე იდიოტი, რომელიც რეალობაში არის.

პროფესიონალიზმზე

წარმატებული ვარ იმიტომ, რომ 150 სიმღერა მაქვს დაწერილი, მაგრამ წარუმატებელი ვარ იმიტომ, რომ არც ერთი არ მაქვს ჩაწერილი. აქ დამოკიდებულება მუსიკის მიმართ სხვანაირია. შარშან ერთ სტუდიაში დავინყე ალბომის ჩაწერა. 4 თვე ვმუშაობდი ისე, რომ ყოველ დღე ახალ სტრუნებს ვყიდულობდი. როცა უნდა გამეგზავნა ეს მასალა, მითხრეს 16 ბიტზე ჩაგწერეთო, ანუ მობილურით რომ ჩაწერათ, დაახლოებით იგივე გამოვიდოდა. ანუ მთელი ეს შრომა წყალში ჩაიყარა. ამის შემდეგ 3 თვე ვინეკი და მხოლოდ ბალიში მისველდებოდა.

მუსიკა არის საუნდი, ტიპები აქ საუნდს ვერ აკეთებენ. ფესტივალი მაქვს და ტიპი, ხმის რეჟისორი დგას, სიგარეტს ეწევა და მე სცენიდან ვუყვირი: „ხმა მომეცი მონიტორებში“. აუნევს. „სრედნები მომეცი“. დაუნევს და ასე გრძელდება, სანამ მე არ დავუძახებ: „კაი, გეყოფა, კარგია აქ ყველაფერი.“ ამავე ფესტივალზე ჩამოვიდა

„ვაბანკის“ ხმის რეჟისორი, ტიპი პულტთან რომ დაჯდა, თავი დახარა მოსტაკოვიჩივით და მთელი კონცერტი არ აუნეგია. და ჩვენს ხმის რეჟისორს ვუთხარი, შე დედამოკლულო, შეხედე რას ნიშნავს საუნდი ინჟინერი-მეთქი.

ყველა ეს ხალხი, ფიდბეკი რა აქვთ, რა განათლებიდან ბაზრობენ? რომელ ხმის რეჟისორს აქვს ლიცენზია, რომ შეუძლია ამის კეთება? ვინ მისცა ეს ლიცენზია? რომელ მუსიკოსს აქვს იმის უფლება, რომ გიტარაზე უკრავდეს? ტიპებს რომ უთხრა, დო მაჟორის გამა დამიკარი, ოთხ თვლაზე, ვერ დაგიკრავენ. ბევრმა დო მაჟორი რა არის ვაფშე არ იცის. არ შეიძლება ამდენი თვითნასწავლი მუსიკოსი, ამდენი გენია მარტო ამ ქვეყანაში იყოს. ამიტომაც, არის ეს ტრაკების ტრაკული გზებით მიღწეული იოლი წარმატებების, შეუმდგარი ქვეყანა. ვიღაც რაღაცას გაყიდის, ვიღაც ერთ აკორდს ჩამოკრავს და მორჩა, მუსიკოსია, ბიზნესმენია, პოლიტიკოსია...

25 წლის პოლიტიკოსები, მანახეთ, სხვა რომელ ქვეყანაშია. ჯერ ხომ პრასტატა გადმოგდებული ტიპები იყვნენ, ახლა ისინი შეცვალა რადიკალურად განსხვავებულმა ტიპებმა დასიებული ყვერებით, გადმოგდებული თვალებით და პრიშიკებით. მე ამ თემაში ღრმად ვერ შევალ, მაგრამ ვხვდები, რომ რაღაც მაგარი კატასტროფა ხდება. სულ მოდიან ტიპები და გვპირდებიან ძალიან სწრაფად რაღაცის მიღწევას და ვერ ხვდებიან, რომ ბედნიერება ასე სწრაფად არ მიიღწევა. ეს ნაცარქექიები სულ გვპირდებიან, რომ ბაყბაყ დევთან მივლენ, ქვას ყველით შეცვლიან და წვენს გამოუშვებენ. ვერა! ნაცარქექიას ზღაპარი ყველამ ნაიკითხა, დევებმა ნაიკითხეს ყველაზე ყურადღებით და მიხვდნენ, რომ ყველი გაქვს და ვეღარ მოატყუებ, და იმ სადგისაც ვეღარ ჩაარტყამ, მოგტყებს მაგ ხელს.

ჩემზე ამბობენ, რომ აგრესიული და გიჟი ვარ. თუგინდ ასე იყოს, ფეხებზე მკიდა. მე ჩემი პატარა, წმინდა კუნძული მაქვს. იმაზე, რაც მიუღებელია, ვამბობ – არა. ამიტომ, არ ვერთვები არასდროს არც პოლიტიკაში, კომპრომისებზე წასვლებში და ჯიგრობების თამაშებში. ვიცი, რომ ეს ყოველთვის ბანალური ისტორიაა – ყველა ერთნაირად ინყება, ერთნაირად ვითარდება და მთავრდება. სამწუხაროდ, ეს ძალიან ბევრი აქვთ ჩვენს მუსიკოსებს და განსაკუთრებით, ჩემზე პატარა თაობას. ანუ მათ პოზიცია კი არა, გადარჩენის ინსტინქტი აქვთ და ვერ ხვდებიან, რომ ხანდახან ეს ინსტინქტი ძალიან ცუდად მუშაობს. ჯობია, რაღაც პერიოდი იბრძოლო და პოზიცია გქონდეს, ვიდრე ყველა მოსულ მთავრობასთან, ყველა პონტში და ყველას

თვალში ჯიგარი იყო. ასეთი სპეკულაციური მიდგომა მუსიკის და ყველაფრის მიმართ ძალიან ცუდია. რა ვიცი, მე მაგაზე ვერ ვკაიფობ.

რომში

ჩემთვის იდეა ის არის, რომ ბევრი ბავშვი დღეს ნარკომანი არ არის და მუსიკას უკრავს, რომ ვილაცას გაუჩნდა სურვილი გიტარა აილოს და თავისი მუსიკა დაწეროს. რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვი, რომ შემდგარი მუსიკოსი ვარ და ვახორციელებ პროექტებს. საქართველო ძალიან მოხუცია იმისთვის, რომ როკი მიიღოს. როკ მუსიკოსი არ არის მხატვარი, რომელიც შეიძლება სიკვდილის შემდეგ აღიარონ. ის მაშინ უნდა ხურდებოდეს, სანამ ფორმაშია. ტიპი არტისტიც უნდა იყო, პოეტიც, კომპოზიტორიც, რეჟისორიც, პიროვნებაც, გამტრაკებელი და ყველაფერი უნდა იყო, რომ შეძლო ამ ბენვის ხიდზე გაეღა. და თან ყველაფერმა ამან არ უნდა დაგამძიმოს.

ეს არ არის ელექტრონული მუსიკა, სადაც ტიპი სიგარეტით და ნაუშნიკით ხელში დისკებს ცვლის, როკი სხვა რამეა. აქ რთულია იყო როკ მუსიკოსი, რადგან სცენა საერთოდ არ არსებობს. და ეს საშინელებაა იმ ბავშვებისთვის, რომლებიც დღეს უკრავენ და საოცარ სიმპათიებს იწვევენ ჩემში. აქ ვერ ნახავ აქტიურ, 30 წელს გადაშორებულ წარმატებულ როკმუსიკოსს. ანუ მუსიკა ისევ რჩება თინეიჯერების გართობის დონეზე, როკ მუსიკამ ვერ შეიძინა სოლიდური სახე.

აქ რესპექტაბელურობის შეგრძნებას იძლევა ეს სიაფანდი ჯაზი, რომელიც ყველაზე მცირე ბიუჯეტისაა მთელ მსოფლიოში. აქ კი გონიათ, რომ ჯაზი ძვირია. მაგათ არავინ არ უხდის მილიონებს იმიტომ, რომ რამდენიმე ხურუშინი ტიპის 12-ტაქტიან ბლუზში წვალეა ამდენი არ ღირს. როკი ცოცხალია, ჯაზი მკვდარია.

აქ შაკირას კონცერტზე ხალხი ელოდებოდა ქართული პაპსას მსგავს კონცერტს, და ამ დროს იქ როკენროლშიკებმა რომ დაუკრეს, მაგრად დაიბნენ. ესენი არ არიან მიჩვეული როკის საუნდს და არ იციან, რომ როკი არის ყველაფრის ბექგრაუნდი. როკია ინგლისი და ამერიკა, ანუ ის, ვინც ტონალობას აძლევს ამ მსოფლიოს. არ შეიძლება ყველაზე პოპულარული მუსიკა საქართველოში ჯაზი იყოს, მსოფლიო ბევრად დიდია და ჩვენ გამოწკლისები არ ვართ, ვერავის მოატყუებ.

ან ელექტრონული მუსიკა, ამდენი იმპოტენტი, რომელთაგან არცერთს იდეის გულისთვის ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს. მაგათ სჭირდებათ კომფორტული კლუბები, პატარა ხელფასი, პატარა დაბოლება და ეგ არის. პატარა სიცივე და მორჩა, აღარ უკრავს ტიპი. აქ ელექტრონულ მუსიკას ბექგრაუნდი არ აქვს. დასავლეთში რომ ჩადიხარ, იქ ეს მუსიკა ზუსტად აგიღწერს იქაურ სოციალურ და სულიერ მდგომარეობას. ესენი კი რას აკეთებენ, იქაური სულიერი მდგომარეობით უნდათ გელაპარაკონ აქ? მაგათი მუსიკა დღევანდელ ქართულ ცხოვრებაზე არ მიდის. და ქართველებმა ამ ელექტრონიკაშიც ყველაზე იმპოტენტური მიმართულება იპოვეს, მინიმალ ტეკი.

გარდაცვალება ადრეა, მკურნალობა გვიანია, ასე ვარ მეც. მე უკვე რა შემცვლის, სულ ასეთი დავრჩები, როგორც ვარ. უბრალოდ, რაც ასაკში შევედი, უფრო პასივში მივდივარ და მეტ დროს ჩემს შემოქმედებას ვუთმობ, და ეს კარგია ჩემთვის. ჩემი შემოქმედების კეთება იმის-

Nemiroff

მსოფლიო არყის
ახალი სახე



თვის არ დავიწყე, რომ ხალხისთვის რაღაც მეთქვა, დავიწყე იმიტომ, რომ ჩემი თავი გადამერჩინა და ჩემი თავისთვის შემექმნა ის სივრცე, რომელშიც ბედნიერი ვიქნებოდი. და ეს სივრცე მაგარი გავაკეთე, ძალიან ლამაზი და ერთადერთი რაც ვიფიქრე, რომ იქნებ, კიდევ ვინმეს მოეწონოს, შემოვიდეს და თვითონაც იკაიფოს. ამიტომ მინდა, რომ ჩემი სიმღერები ჩავენერო. ეს არის რაც მინდა, მეტი არაფერი.

მომავალი

ჯერ ადამიანმა უნდა გაცნობიეროს, რომ არავინ არ არის. სანამ ამას ვერ აცნობიერებ, მანამ მომავალი არასდროს არ გექნება. ამათ რად უნდათ მომავალი, ესენი ისედაც კარგად არიან. ჯერ უნდა გაიგო, რომ სირი ხარ, მერე უნდა ეცადო ამ მდგომარეობიდან გამოსვლას და მერე უნდა გაგიჩნდეს მომავალზე ფიქრი. ამ ტიპებმა, რომლებიც უკვე ნირვანაში არიან, როგორ უნდა ააშენონ მომავალი?

აქ ურჩევნიათ ამ ცრემლიანი სადღეგრძელოების თქმა, მაგრამ ამ სიაფანდობებით არავინ აღარ ცხოვრობს. დროა, რომ ყველამ ფართოდ გაახილოს თვალები და ბევრი იმოგზაუროს, და მიხვდება, რომ მარტო აქ კი არ არის ასე, ყველგან ყველა დედას თავისი შვილი უყვარს, ყველა ადამიანს თავისი ქალაქი უყვარს, ყველას თავისი ახლობელი უყვარს და ყველა ამათზე მაგრად გულაობს. ამ დროს საქართველო მართლა ლამაზია, აქ მაგარი ენერჯიაა და ეს ხალხი ამას ვერ იყენებს. სულ ცუდად არიან, სულ პრობლემები აქვთ, სულ დაბრედილები არიან.

ამათ ჭირთ ვაჟა ტვინებში. და მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ვაჟა არც ახლა დაინყო და არც ასე მალე არ დამთავრდება. ეს არის ფსევდო-ამბიციია, რომელიც ამ ქვეყანას ნაჭუჭში და ილუზიაში ამყოფებს. ჩვენ ყველას გვაქვს რაღაც დადებითი, და ამ ფსევდო რაღაცებით ვკლავთ მას.

ლამეა, მძინავს და ინგრევა ქალაქი, მეგონა რომ დაინყო. გავიხედე და ქუჩაში ყვირიან ი-ტა-ლი-ა! ი-ტა-ლი-ა!. ფეხბურთში გაუმარჯვია იტალიას. ვერ გავიგე, იმათმა გაიმარჯვეს, მერე თქვენ რა, ლოგიკა სად არის? მაშინ ჩვენ შეგვიძლია ყოველდღე ვიგრილოთ, ვიღაც სადღაც სულ იმარჯვებს. აი, ესეც დიდი ვაჟა ტვინში.

ამდენი სპეკულაცია ნარსულით არ შეიძლება. ერთი ინგლისელი გოგო იყო ჩამოსული და ვილაცებს ვაცნობდი, ეს გაიცანი იმის შვილიშვილია, ეს იმის შვილია და ტიპი გაგიჟდა. დღეს ვინ არის გმირი და კაი ტიპი ის გამაცანიო, ვილაცის ბაბუა და ბებია რაში მაინტერესებს ან თქვენ როგორ გახსოვთო. რამდენიც არ უნდა ილაპარაკო, პაპაჩემი ასეთი იყო, ვინ დაამტკიცებს მაგას ან

რა მნიშვნელობა აქვს. დღეს შენ ვინ ხარ, რეალ თაიმში, ესაა ჩემთვის მნიშვნელოვანი. შენ კიდევ ჩაცუცქული ხარ უბანში, ცხვირ-სახოცს ატრიალებ, ანუ მაგარი დარხეული გაქვს და ამის აღიარება არ გინდა. ეს წარსული როცა ასე ხელს გიშლის წინსვლაში, ცოტა ხნით უნდა დაივინყო, მიხვდე რომ არავინ არ ხარ და რაღაც უნდა გააკეთო.

გმირი

აქ დროს შემოქმედებაშიც და ბიზნესშიც პოლიტიკა განსაზღვრავს, ის, თუ როდის მოვიდა პოლიტიკოსი და მოიყვანა თავისი ხალხი ყველგან. ეს დაინყო 80-იანი წლებიდან, როცა ჩვენ გვეგონა, რომ რაღაც უკეთესი მოხდებოდა, მაგრამ, არა მგონია, რომ ჩვენ წინ წავედით. ეს ქვეყანა სულ უარესი, უარესი, უარესი და მატყუარა, მატყუარა, მატყუარა ხდება. და არავინ არ არის ოჯახში ისეთი, რომ მაგიდაზე მუშტი დაარტყას. მე კი ვარტყამ, ბაზარი არ არის, მაგრამ ჩემი მაგიდის გარშემო ძალიან ცოტა ადამიანი ზის.

სიაფანდი გმირები და ნაღდი გმირები ერთმანეთშია არეული. აქ ანგრევენ და მერე ვეღარ აშენებენ, ან სულ იმათზე ლაპარაკობენ, ვინც ოდესღაც რამე ააშენა. არავინაა მოქმედი გმირი. ყველა მოგიყვება ფეხბურთში ბურთი ვინ როდის გაიტანა ან დავით აღმაშენებელმა ბრძოლა როდის მოიგო, მაგრამ არავინ არ გიყვება თავის ისტორიას, ამისთვის საჭირო სინოფელე არ ყოფნით. მე არ მაინტერესებს ეგ საკითხები და სტატისტიკა. მე მაინტერესებს შენ დღეს რა გტკივა, რა განუხებს და რა გავაკეთოთ, რომ გამოვასწოროთ. მაგრამ, ამ ქვეყნის გმირები ისინი არიან, ვინც იმას ლაპარაკობს რაც ამ საზოგადოებას უნდა, და არა ისინი, ვინც ამ საზოგადოებას გამოიწვევს და ხანდახან დააფიქრებს. საზოგადოებას ურჩევნია ტყუილი და ამ სატყუარას აწოვინებენ უკვე დიდი ხანია და მას სურვილიც არ უჩნდება, რომ ნაღდი დედის რძე მოწოვოს. ანუ სულ ონანიზმის ფაზაში იმყოფებიან, ონანიზტებს კი ყოველთვის გაზვიადებული წარმოდგენა აქვთ სექსზე.

აქ მიდგომები სხვანაირია. ერთხელ მოსკოვში, რაღაც პაბში მქონდა კონცერტი და სკლიარის გიტარა მქონდა, სტრუნების გამოცვლა მინდოდა. მუსიკალურ მაღაზიაში რომ ვთხოვე, გაუკვირდა ტიპს, თქვენს გიტარაზე არ იცით სტრუნები როგორ უნდა გამოცვალოთ? ვუთხარი, რომ არ არის ჩემი გიტარა, „ვაზანის“ სკლიარი როა, იმისია-მეთქი და უცებ სიჩუმე ჩამოვარდა. – Это гитара Александра Федоровича? და დამოკიდებულება როგორი ჰქონდა, იცი? როგორ მოეფერა გიტარას და მთხოვა – უთხარი, რომ მე გავაკეთეო. აქ რომ შეიტანიო და უთხრა ეს ლადო ბურდულის

გიტარააო, პირველი თუ არა მეორე წინადადება იქნება: იმ სირის გიტარა რამ აგალებინა ბიჭო ხელში. ანუ ასეთი უპატივცემულო დამოკიდებულებაა აქ საკუთარი გმირებისადმი. აქ ოლონდ ვინმემ ვინმეზე თქვას ეს რა ყლეა, ის კი არა, რომ შემოგთავაზოს უკეთესი ვინ არის, არა, ის ყლეა და მორჩა.

საქართველო ისეთი პატარა ქვეყანაა, რომ ძნელია შექმნას გმირები. მაგრამ მე ეს თავიდანვე გავაცნობიერე, თუ ქართულ ენაზე მღერისხარ, ამას მხოლოდ 3 მილიონი კაცი უსმენს, მათ შორის როც მუსიკა უყვარს 3-3ა 10 ათას კაცს, მათგან ფული კიდევ რამდენს აქვს რომ იყიდოს და გამოდის 15-20 კაცი, ანუ ჩემი მეგობრები. და ამ მისიონერულ დოკუმენტს დიდი ხნის წინ მოვანერე ხელი.

ის ხალხი, ვინც ადრე ჩემს კონცერტებზე იდგა, ბევრი არაა, მაგრამ კარგი ხალხი მოდიოდა, მათი უმეტესობა ან აქ აღარ არის, ან დაიხოცნენ ან არ ვიცი სად არიან. მე ბებია მყავდა, დარია გრიგორიენა, 70 წლის იყო, როცა ერთხელ ცრემლმორეული დავინახე. მიზეზი რომ ვკითხე მითხრა, ყველა ჩემი მეგობარი ნავიდა უკვე და მარტო დავრჩიო. აი, ასევე ვიტყვი მეც, ოლონდ 29 წლის ასაკში. ასეა, დღეს ჩემი მეგობრები ვინ არიან, – ჩემი ძმის ტოლები, ჩემზე 10 წლით პატარები და ერთი-ორი ძველი ფრონტელი.

შვილები

პირველად რომ გავხდი მამა, მივედი და ვეკითხები ქალს, რომელიც ფორტოჩკიდან იყურებოდა – მაგ დროს სამშობიარო ციხესავით იყო, ყველას ერთნაირი ხალათები ეცვა, ყველა ერთნაირად შეშინებული იყო და ყველამ იცოდა, რომ რაღაც დიდი გააფუჭა და დაამავა. მოკლედ, ვეკითხები ამ ქალს, ვინ გამიჩნდა-მეთქი. და ატყდა ჩურჩული. მივხვდი, რომ იმ ქალს შეეშინდა ეთქვა ჩემთვის, რომ გოგო გაჩნდა. და პირველები ბებიაქალები მიხვდნენ, რომ სირი ვარ, იმიტომ, რომ გოგოს შეძენა ასე გამიხარდა. მოკლედ, თეჯი რომ გაჩნდა, ძალიან ბედნიერი ვიყავი. ახლა უკვე ექოსკოპია არსებობს და გოგო რომ იყო ჩემი მეორე შვილი, თავიდანვე ვიცოდი. დარია დავარქვი, ჩემი გამზრდელი ბებიის სახელი. ადრე სულ არ ვაქცევდი ამ ვილაცების სახელების დარქმევას ყურადღებას, მაგრამ მთელი გულით დავარქვი, ისე მიყვარდა ბებიაჩემი. და ერთს მივხვდი, რომ როგორ შევილესაც ვაჩენ, ისეთ ვერც მუსიკას ვაკეთებ და ვერც ვერაფერს. და გადავწყვიტე, რომ სიბერეში შვილების გაჩენით დავკავდე. თან ამისთვის არც სპონსორი მჭირდება, არც პროდიუსერი, არც ჩამწერი სტუდია და გამოდის ყველაზე მაგარი სიმღერები და ალბომები.



ProGress[®]
Group





<<< **დასაწყისი** გვ. 92

ჩვენს გაცნობამდე რამდენიმე დღით ადრე, შეიძლება გახსოვდეთ კიდეც, ბათუმში ქსენოფობებმა (მათ ნეონაციისტებს ვერ ვუნოდებ იმიტომ, რომ უბრალოდ არ მჯერა საქართველოში ნეონაციისტების არსებობის) ებრაელების საფლავებზე სვასტიკები დახატეს. პოლიციამ დამნაშავეები ვერ იპოვა (ყოველ შემთხვევაში, ამ დროისთვის 10.05.2008), მაგრამ ვილაც-ვილაცები მაინც დაკითხა. დაკითხეს ირაკლიც, რომელიც სახლიდან აიყვანეს, ის ჩუსტებში იყო „გამონყოილი“. დაკითხეს და გამოუშვეს, თან ორმოცი თეთრიც მისცეს, ავტობუსით დაბრუნდი სახლშიო. როგორც თვითონ ამბობს, მასზე ეჭვი იმიტომ აიღეს, რომ ადრე პანკობდა, პანკ-ჯგუფის „ლიდერი“ იყო, სადაც „ვოჟდს“ ეძახდნენ. თავისთვის ასურებდა, პანკურ მუსიკას უსმენდა, მასისგან ჩაცმულობით და თმის ვარცხნილობით გამოირჩეოდა... ერთი სიტყვით, ანდერგრაუნდიდან იყო ამომძვრალი, რამაც პოლიციელებს ეჭვი გაუჩინა.

ირაკლიმ მოიძრო ყურთსასმენები და მეუბნება, დაიჯერებ რო თორმეტი წელია, ზღვაში არ მიბანავიაო. ბათუმელია. არ უბანავია იმიტომ, რომ ეზარება პლაჟზე წასასვლელად მომზადება; პირსახოცის, ჩუსტების და გამოსაცვლელი ტანსაცმლის ჩანთაში ჩაწყობა; მერე პლაჟზე მისვლა, ცურვა, ცურვის შემდეგ დალილობის შეგრძნება, გაშრობა, გამოცვლა და უკან, სახლში დაბრუნება. ყველაფერი ეს იმიტომ ეზარება, რომ მერე აღარაფრის თავი აღარ ექნება. ისეთი დაღლილი იქნება, ფილმსაც კი ვერ ნახავს, რაც მის ცხოვრებაში არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს და არც ხდება.

ირაკლიმ გაიკეთა ისევ ყურთსასმენები და ისევ ზღვისკენ გაიხედა, ოღონდ ზღვას არც უყურებდა და არც ლევანთან და ჩემთან ერთად იყო. დეპრესიაშია.

ვსხედვართ ლევანი და მე პლაჟზე და ტალღებს ვუყურებთ. ირაკლი ისევ ჩვენს გვერდზე დგას და ისევ რიტმულად აყოლებს ფეხს მუსიკას და ისევ არ არის ჩვენთან, გიორგი კი ცდილობს გაეთამაშოს ტალღებს, რომლებიც ნაპირისკენ მოიქაჩებიან, მაგრამ გიორგიმდე ვერ აღწევენ.

გიორგი ქათამაძე არსაიდან არ დაბრუნებულა. ის აქ არის დიდი ხანია. მასაც უნდოდა გაღწევა, მაგრამ შემდეგ, იმის გამო გადაიფიქრა, რა მიზეზითაც ლევანი და ირაკლი დაბრუნდნენ საქართველოში. თოჯინების თეატრის რეჟისორია. ბათუმში სწავლობდა. ცხოვრობს ქობულეთში და ბათუმში ბინას ქირაობს. ბევრი საქმე აქვს და ამიტომ ცხოვრობს ბათუმში, თორემ ერთხელ ისე გემრიელად ახსენა მშობლიური ქობულეთი და სახლი, საშინელი წვიმა რომ არ ყოფილიყო, ყველანი გავყვებოდით. ის ქობულეთში სახელოვნებო სკოლაში მსახიობის ოსტატობას ასწავლის. გიორგი MIKRO foni-ს სამეულიდან ყველაზე კომუნიკაბელურია. ძალიან ადვილად შემოდის კონტაქტში, ჯერ გაკვირდება, გისმენს. ასე, ძალიან ცოტა ხანს გრძელდება, შემდეგ რალაცაში დაგიჭერს, საერთო ინტერესს აღმოაჩენს შენთან და იწყებს იმ თემაზე ლაპარაკს. თემას თემა ცვლის, ის კი აღმოჩენებს აკეთებს და გიკვირს, რომ ამ ადამიანთან ბევრი საერთო გაქვს – ინტერესები, მოსაზრებები, იდეები. ასე კი იმიტომ ხდება, რომ მას ყველაფერი აინტერესებს. არ ვიცი, შეიძლება, ძალიან კარგად რომ გავიცნო, მასზე სხვა წარმოდგენა შემექმნას, მაგრამ დღევანდელი გადმოსახედიდან ჩე-

მთვის გიორგი ერთ-ერთი ყველაზე ოპტიმისტი ადამიანია, ვინც კი ოდესმე შემხვედრია. არც კი მახსოვს, ოთხი დღის განმავლობაში რამდენჯერ გამიმეორა, ყველაფერი ისე იქნება, როგორც ჩვენ გვინდაო. ამას არაფრის გამო მეუბნებოდა. ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობ, რომ ამის საბაბს არ ვაძლევდი, მაგრამ ეტყობა, ის ხედავდა და, უბრალოდ, გრძნობდა რომ ეს უნდა ეთქვა.

ქარმა იმატა და ტალღებიც ნელ-ნელა იზრდებოდა. სანაპიროზე დავდიოდით, გიორგი წინ მიდიოდა, თავჩახრილი და ნელ-ნელა უფრო უახლოვდებოდა იმ ზღვარს, სადამდეც ნაპირს მონარცხებული ტალღები აღწევდნენ. ცოტაც და ერთი ფეხი დაუსველდა. უცებ გამოცოცხლდა, შემოგვხედა, გაგვიცინა და ისევ განაგრძო გზა. ცოტა ხანში ისევ იგივე განმეორდა – ისევ თავჩახრილი მიდიოდა, როცა ტალღამ მოუსწრო. ოპტიმისტია, შეიძლება გამოუსწორებელი ოპტიმისტიც, მაგრამ ისიც დეპრესიაშია.

არადა, რატომ, დეპრესია ამჯერად რის გამო? ბიჭებს მიკრო ფონი ხო უკვე აქვთ – კლუბს ხელმძღვანელობენ და ამით ისიც მოპოვებული აქვთ, რაც მათი კომფორტის განმსაზღვრელი ნაწილია, ანუ თავისუფალი აზროვნების და შემოქმედებითი იდეების არენა. მაგრამ ეტყობა, დეპრესიას ახლა ის იწვევს, რომ ეს არენა აღარ აკმაყოფილებს. ახლა მათ უკვე მაკრო ფონი სურთ, ზღვისპირა ქალაქის ნამდვილი ურბანისტული სააზროვნო სივრცე – კარგად ჩამოყალიბებული, მუდმივად განვითარებადი და ზრდადი ინტელექტუალი მოქალაქეების წრით, გაცხარებული მსჯელობებით დიდ შემოქმედებით პროცესებსა და საზოგადოებისთვის მწვავე საკითხებზე, დიდი იდეების და აზრების დაბადებით.

არადა, ამ ეტაპამდე ჯერ ისევ შორია, როგორც კონკრეტულად URBAN CLUB-ისთვის, ისე მთლიანად ყოველი მსგავსი მცდელობისთვის საქართველოს ნებისმიერ რეგიონში. URBAN CLUB-ი ჯერ ისევ მხოლოდ მოკრძალებული პროექტია, ზღვისპირა, საპორტო, მაგრამ მაინც ჯერაც განვითარებად ქალაქში, რომლის სამომავლო სახეც ახლა ყალიბდება. ჰოდა, ალბათ, დეპრესიასაც ეს შორი და აუცილებლად გასავლელი გზა და მოუთმენლობა იწვევს.

ის, რომ URBAN CLUB-ი ჯერაც მშენებარე ალტერნატიული კულტურის გზის დასაწყისში დგას, ჩემი აზრით, კიდეც ერთ პრობლემას აჩენს. ახლავე მოგახსენებთ, რასაც ვგულისხმობ:

როცა URBAN CLUB-ის პროგრამა პირველად ვნახე, იდეა მართლა ძალიან მომეწონა – ვიფიქრე, აი, ბიჭები ზუსტად იმ გზას დადგომიან, რაც ბათუმის მრავალფერო-

24 საათიანი ცხელი ხაზი

505 111

www.policy.ge



ჯი ჰი ჯი 
შენს სადაზღვევო ჯგუფი

ქუთოსი ბენდი

**ჯანმრთელობის
დაზღვევა თვეში**

5

10

15

20

ლარად!

სამედიცინო სარჩაგის ანაზღაურება
ქვეყნის საუკეთესო კლინიკებში
პირადი ექიმი

სპეციალისტთა კონსულტაცია
და გამოკვლევები

სტაციონარში მკურნალობა
გელიამენტები

სტომატოლოგია

თქვენ საიმედო ხელში ხართ!

ვან, თანამედროვე და ინტელექტუალურ ქალაქად ჩამოყალიბებას ხელს შეუწყობს. რა კარგი დასაწყისია, ზუსტად შერჩეული მიმართულება-მეთქი. მაგრამ პროგრამაში ამოკითხული გვარები მაინც არ მესიამოვნა. აქაც ესენი-მეთქი? – გავიფიქრე და მივხვდი, რომ სნობიზმი ქართული საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაა, არ აქვს მნიშვნელობა – ეს საზოგადოების ახალგაზრდა ნაწილია თუ ხანშიშესული. აი, რა პრობლემას ვგულისხმობდი და რაში ვერ დავეთანხმე ბიჭების მიმართულებას – კლუბში მინვეული სტუმრების არჩევაში. მათი არჩევანი ვერც მათ დებურსიას და ვაბრალე და ვერც იმ ფაქტმა დამამშვიდა, რომ დასაწყისისთვის სნობიზმსაც არა უშავს – სახადია და იქნებ, მათაც მოიხადონ, მთავარია, სისხლში არ გაჯდეს.

URBAN CLUB-ის ერთ-ერთი მიზანი უცნობი შემოქმედი ადამიანების აღმოჩენა და მათთვის ფართო საზოგადოებაზე გასვლის შანსის მიცემაა. ამის ნათელი მაგალითია ერთი ახალგაზრდა მუსიკოსი, რომელიც საზოგადოებამ სწორედ URBAN CLUB-ის საშუალებით გაიცნო, ბათუმის მერიამ კი რამდენიმე სიმღერის ჩანერა შესთავაზა. რომ არა URBAN CLUB-ი, ვინ იცის, საერთოდ აღმოაჩენდა ვინმე ამ ახალგაზრდას თუ არა. ეს ძალიან კარგია, მაგრამ ამკარად შევატყვე, რომ URBAN CLUB-ს აქცენტი მაინც სულ სხვა ტიპის სტუმრებზე აქვს გაკეთებული. დამფუძნებლებმა URBAN CLUB-ის ლოკომოტივებად ის ადამიანები მოგვივლინეს, რომლებმაც წლების წინ თავის სფეროებში გარკვეული ნიშა მყარად დაიკავეს: ლაშა ბაქრაძე, ლაშა ბუღაძე, ბესო ხვედელიძე, რობი კუხიანიძე, გიორგი გვახარია, შოთა იათაშვილი, რატი ამალაშვილი... ორგანიზატორებმა URBAN CLUB-ის გაქაჩვა და სტუმრების მოზიდვა ამ ადამიანების საშუალებით დაიწყეს (ალბათ, მოტივით, რომ ცნობილი სახელები ყველანაირ საზოგადოებაში ჭრის, თუნდაც ამ ადამიანების ცნობადობა ვიზუალურ ან სახელით ნაცნობობას არ სცდებოდეს).

ერთი შეხედვით, ამაში ცუდი და გაუგებარი არაფერია: სადაც კინოზეა საუბარი, იქ გოგი გვახარიასაც უნდა ათქმევინო სიტყვა; პოეზიის ასმა საღამომ ისე არ უნდა ჩაიაროს, რატი ამალაშვილი თუ არ ნაიკითხავს თავის ლექსს; ან როცა პანკ-ფესტივალს აწყობ, იქ რობი კუხიანიძეც აუცილებლად უნდა მიიწვიო, მაგრამ როდესაც URBAN CLUB-ის დაარსების ერთ-ერთი მიზანი ახალგაზრდა საზოგადოების გამოცოცხლება, რეალობასთან ადეკვატური აზროვნების ჩამოყალიბება და ძველი ფასეულობების გადაფასებაა, მაშინ, მიზანსაც შესაბამისად უნდა მიუდგე: მგონი, კარგად ნაცნობის მაგივრად,

სიახლეები უნდა ეძებო, უცნობი, ახალგაზრდა მოაზროვნეები გამოავლინო, ერთმანეთს უნდა დაავახო, ერთმანეთში აკამათო და ისე აძებნინო გამოსავალი, მისცე ტრიბუნა, რომ აზრი გამოთქვან, თუნდაც მცდარი ან გაუმართავი.

ურბანელმა ბიჭებმა ძალიან კარგად იციან, რომ ახალგაზრდობა მაშინ იქნება ძლიერი, როცა ის დროს ადეკვატურად იაზროვნებს და იმოქმედებს, როცა თავის ნაკლს აღიარებს და ამ ნაკლზე ხმამაღლა დისკუსიის გამართვაც არ მოერიდება, მიზანს დაისახავს და მიზნებზეც ხმამაღლა ისაუბრებს, რამეს შექმნის და სათანადო შეფასებას დაელოდება. ამას ბიჭები თავადაც ამბობენ, ამ დროს კი URBAN CLUB-ში ნამყვან სტუმრებად „ქართველი ინტელექტუალების ბომონდს“ იწვევენ. ადამიანებს, რომლებსაც, ზემოთ რომ ვსაუბრობდი, ისეთ ახალგაზრდობასთან ნაკლები შეხება აქვთ. ასე მგონია, ეს ინტელექტუალური ბომონდი შიგნიდან არ იცნობს გარეთ დარჩენილ ახალგაზრდობას და არც ის იცის, რა ენაზე უნდა ელაპარაკოს მათ.

ალბათ, ამ ათასჯერ გადაღებული გვარების URBAN CLUB-ის პროგრამაში ამოკიხვის შემდეგ გამიჩნდა გაცდა, რომ ჯერ კიდევ ჩემთვის უცნობი URBAN CLUB-ი აღარ მაინტერესებდა. არ მაინტერესებდა იმიტომ, რომ მათი კლუბის ყველაზე საინტერესო სტუმრები ის ადამიანები აღმოჩნდნენ, რომელთა აზრი და პოზიციაც სრულიად საქართველომ მეტ-ნაკლებად უკვე იცის.

იმას არ ვამტკიცებ, რომ აღარ უნდა გავიხსენოთ და გავარჩიოთ „პასტორალი“, მაგრამ ვინ, თუ არა ჩემი თაობის ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რომ დღეს ეს ფილმი აღარ არის ბომბი, რომელიც თავის დროზე საზოგადოებაში ჩუმად აფეთქდა. ჩვენს დროს თავისი ახალი ბომბები აქვს და URBAN CLUB-მაც ისეთ ადამიანებს უფრო უნდა მოუსმინოს, რომელთა ავტორობითაც ანდა რომელთა სიახლევესაც ეს ბომბები ფეთქდება. ანუ ვგულისხმობ ახალგაზრდებს, რომლებიც ანდერგრაუნდული წრებიდან მოდიან, უამრავი შემოქმედებითი იდეა ანუხებით და ბომბებსაც, ვინ იცის, საკმარისი სიმძლავრისა აფეთქებენ. ეს აფეთქებები კი დღემდე ფართო საზოგადოების მიღმა რჩება ზუსტად იმიტომ, რომ URBAN CLUB-ის მსგავსი სივრცეებიც კი ინტელექტუალური წრების ვეტერან წარმომადგენლებს აქვთ გაჯერებული. ადამიანებს, რომლებიც ერთ დროს შეიძლება იყვნენ ალტერნატივა, მაგრამ ახლა მენისტრიმში – ინტელექტუალური აზრის სტანდარტულ ნაკადში გადაინაცვლეს, ჩვენ კი ალტერნატივა დაგვარგეთ.

ვინ, თუ არა ჩემი თაობის ადამიანებმა უნდა იცოდნენ ისიც, რომ დღეს აღარც „ბოლო ზა-

რია“ ახლანდელი თინეიჯერების სარკე და რომ დასავლურ ფასეულობებზე განყენებული საუბარიც უბრალოდ გაორებას იწვევს ახალ თაობაში და მეტს არაფერს. იქნებ URBAN CLUB-ი ზუსტად იმიტომ უნდა არსებობდეს ბათუმში, რომ თინეიჯერების ახალი სარკის პოვნა შეძლოს და მერე ამ სარკეში ბათუმელი ახალგაზრდობაც ჩახედოს და მთელი შავიზღვისპირეთისაც? და იქნებ, იგივე ლაშა ბაქრაძის ნაცვლად, ეს ახალგაზრდები უნდა ვალაპარაკოთ არა მხოლოდ დასავლურ, არამედ ზოგადად ფასეულობებზე? რადგან მგონი, რომ ამ ტრადიციებსა და ფასეულობებს ზუსტად ის ბედი ელით, რასაც ეს ახალგაზრდები გადაუწყვეტენ. და ამ ფონზე, მინდა გკითხოთ, არ მოვუსმინოთ მათ?

თუმცა, ჰო, გეთანხმებით – შეიძლება, ვინმეს კითხვა გაუჩნდეს, კი მარა, თუ ზემოთ ხსენებული ინტელექტუალური ბომონდი ქმნის საზოგადოებას და საზოგადოებრივ აზრს, იქნებ, საჭირო იყოს კიდევ მათი მოსმენა, განსაკუთრებით კი რეგიონულ ქალაქებში, სადაც ხმა დედაქალაქიდან ისედაც ნაკლებად აღწევს. და კიდევ, ალბათ, იმასაც მეტყვიან, რას გადაეკიდე ამ „ბომონდს“, კარგიც არის ბათუმურ კლუბში გამოსასვლელად რომ ჩადიან, იქნებ ამით დეცენტრალიზაციის პროცესიც დაჩქარდეს, თუნდაც კულტურულ და სააზროვნო სივრცეში.

რა თქმა უნდა, მათი მოსმენა, URBAN CLUB-ში იქნება ეს თუ ღია ცის ქვეშ, შადრევანთან, ყველგან საინტერესოა. საინტერესო იმ თვალსაზრისით, რომ დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა, ოღონდ, როცა მათ მიმართ ინტერესი ხუთოსანი მოსწავლემასწავლებლის ურთიერთობას ემსგავსება, მონვეული სტუმრები კი – უალტერნატივონი არიან და მათ შეხედულებებსაც უაპელაციოდ, ბრმად იზიარებენ ჯერ სულ ახალი, დამწყები მოაზროვნეები, მაშინ უკვე შედეგი უარყოფითია.

რაც არ უნდა იყოს, ლევანმა, ირაკლიმ და გიორგიმ თავიანთ მიზანს მიაღწიეს – ბათუმში გააჩინეს ნიშა, რომელიც ათეული წელია, არ არსებობდა. არ არსებობდა ბოლო წლებში დამკვიდრებული რეალობის ალტერნატივა – რომ აჭარის ზღვისპირეთმა მხოლოდ ზაფხულის თვეებში დისკოთეკებზე, აჭარულ ხაჭაპურებზე, პლაჟზე ჩამოტარებული ფანტა-კოკა-კოლა-ბორჯომის ხარჯზე უნდა იცხოვროს, რომ აჭარის ზღვისპირეთს არ ჭირდება საკუთარი შემეცნების სივრცე. სივრცე, რომელიც თუნდაც ძალიან ემსგავსება თბილისურ სნობურ-კულტურულ სივრცეს, მაგრამ მაინც იქნება ათუხთუხებული ახალგაზრდების და ღამის კლუბების შემცველი და სადაც ადგილობრივი მოსახლეობა ყველაზე აქტიური იქნება.

როგორც არ უნდა იყოს და როგორი მი-
ნუსებიც არ უნდა ჰქონდეს, URBAN CLUB-ი
დღეს ბათუმში სწორედ ამ სივრცეს და ნი-
შას იკავებს და ამიტომ არის მისი გახსნა
და არსებობა ძალიან მნიშვნელოვანი. და
მნიშვნელოვანია არა მარტო ბათუმისთვის.
დღეს ხომ დისკოთეკების 90-იან წლებში
აღებულ გეზს, კიდევ უფრო მატერიალის-
ტური გეზი აგრძელებს – სავაჭრო ცენ-
ტრების მშენებლობა, ხუთვარსკვლავიანი,
„ოლ-ინქლუზივ“ სასტუმრო-სამოთხეები,
ბიზნეს-ცენტრები – ხელისუფლების სწორე-
ბა ხომ აქეთკენაა. ცხადია, არც ესაა ცუდი,
მაგრამ ალტერნატივის სახით ყოველთვის
უნდა დარჩეს სივრცე, სადაც ადამიანი კრე-
ატიულად იაზროვნებს და გათავისუფლდე-
ბა შუშის ფასადებისგან, იაფი კრედიტების
პროგრამისგან... სადაც წაიკითხავენ ლექსს
და იფიქრებენ მხოლოდ იმ ლექსზე და არა
ამ ლექსისგან მიღებულ ან მისაღებ შემო-
სავალზე... მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ,
მართალია, ახლა ეს ალტერნატიული კულ-
ტურის ნიშა ბათუმში, ისევე, როგორც თბი-
ლისში ხუთოსანი მოსწავლე-მასწავლებლის
ურთიერთობას ჰგავს, მაგრამ ეტყობა, ეს
გზაც გასავლელია. თუ ამ გზას ვერ გაი-
ვლის ბათუმი, ვერ მიაღწევს ნამდვილ შე-
დეგს, როცა იქნება ნამდვილი ალტერნატივა

და ნამდვილი ალტერნატიული კულტურა.
არ ვიცი, დასახული ჰქონდათ თუ არა
ასეთი ფორმით მიზნის მიღწევა, მაგრამ ფა-
ქტი ჯიუტია: პროექტის დაფინანსება მაისის
ბოლოს წყდება, მაგრამ ურბანელებს გადა-
წყვეტილი აქვთ რამენაირად გააგრძელონ
პროექტი URBAN CLUB-ი. ამის შესახებ იმ
ადამიანებმაც გაიგეს, ვინც მათ სალამოე-
ბს რეგულარულად ესწრება. მათი პირველი
რეაქცია დამწუხრება იყო – არ უნდოდათ,
კლუბი დახურულიყო, მაგრამ შემდეგ გამო-
სავალი იპოვეს. გამოთქვეს სურვილი, თავად
დაეხმარონ ურბანელებს, საკუთარი ფინან-
სური და ადამიანური რესურსით. გადაიხა-
დონ კლუბის სანევროები, გაუწიონ პროპა-
განდა, კლუბის არსებობა გაავრცელონ არა
მარტო ბათუმში... ერთი სიტყვით, წინასწარ
შემიძლია ვთქვა, რომ პროექტი URBAN
CLUB-ი არ შეჩერდება, შეჩერდება მხოლოდ
ზაფხულში, როცა აჭარას დამსვენებელთა
არმია მიანყდება და დისკოთეკების გუგუ-
ნის დროს, უბრალოდ, შეუძლებელი გახდება
ლექსების კითხვა, დისკუსიის გამართვა და
ფილმის ყურება.
ურბანელებმა მიზანს მიაღწიეს. თუ თა-
ვიდან არ იცოდნენ, გაამართლებდა თუ არა
პროექტი, არ იცოდნენ ბაზარი, არ იცოდ-
ნენ, საერთოდ საჭირო იყო მათი პროექტი

თუ არა, სჭირდებოდა თუ არა საერთოდ
ასეთი რამ ახალგაზრდებს, დღეს უკვე ზუს-
ტად იციან, რომ პროექტი წარმატებულია
და საჭირო. მიუხედავად იმისა, რომ კლუბის
„წევრების“ რაოდენობა ასს არ აღემატება,
ის ნელ-ნელა პოპულარობას იძენს, უფრო
აქტიუალური ხდება, პერიოდული პრესა მათ
სალამოებს აშუქებს...
გულწრფელად მიხარია, რომ მათ გამოუ-
ვიდათ სწორედ ის, რაც უნდოდათ და ის,
რაც თავად აკლდათ, რაც ყოველთვის მიაჩნ-
დათ, რომ საჭირო და აუცილებელია ადამიანის
გაზრდისთვის – აზრის თავისუფლად და
საზოგადოდ გამოხატვის საშუალება.
ალბათ, ყველაზე დიდი დოზით ამის ნაკ-
ლებობას განიცდიდნენ, ამიტომაც იყვნენ
დეპრესიამი – მათ იდეებს და მოსაზრებებს
უფრო ფართო არეალი სჭირდებოდა. ეს იყო
მათ ცხოვრებაში ყველაზე დიდი დანაკლისი
და ახლა ახდენენ მის ანაზღაურებას. მიუხე-
დავად იმისა, რომ ისინი თავს კომფორტის-
ტებად თვლიან, არცერთს არ მონდომებია
ბიზნესის წამოწყება, ბანკიდან დაბალპრო-
ცენტიანი კრედიტის გამოტანა, მინის არენ-
დით აღება და ათასი ეგეთი ვაჭრული ამბე-
ბი. მათ გააკეთეს ის, რაც მათ და ბათუმს
აკლდა და რისი არარსებობაც საზოგადო
დისკომფორტს ქმნიდა.

★ ~ ლადო გურდული ~ ★
& ჯგუფი
რეცეპტი
1987~1992



გახსოვდეს შინი ისტორია
გახსოვდეს შინი გოიჩაძი



„შეჩერდი, წამო, მშვენიერი ხარ!“

<<< ლასაწყისი გვ. 100

გია ყანჩელს უნოდებენ „მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს კომპოზიტორს, რომლის უნიკალური მუსიკა გამსჭვალულია დაუფინყარი მშვენიერებით“. ჟიურის დადგენილებაში წერია: „მისი შესანიშნავი სიმფონიები მერყეობს სიურრეალისტურ სიმშვიდესა და ინტენსიურობის უმძაფრეს ამოფრქვევებს შორის. ყანჩელის მუსიკა გამოხატავს ადამიანური ემოციების მთელ გამას, ღრმა რელიგიოზობიდან უნაზეს ემოციებამდე, ოპტიმიზმიდან პესიმიზმამდე. მისი მუსიკა აერთიანებს მისტიციზმის აურას და რეალისტურ ხედვას. უსასრულო სიღრმეების გამო, ყანჩელის მუსიკა იქცა უდიდესი გავლენის წყაროდ, განსაკუთრებით ახალგაზრდა კომპოზიტორთა თაობებისთვის“.

ამ ცოტა ხნის წინ გიამ მიიღო კოლორადოს სიმფონიური ორკესტრის და ლოს ანჯელესის ორკესტრის მთავარი დირიჟორის, ჯეფრი კაპანის წერილი, სადაც წერია: „ჩვენთვის უდიდესი პატივია, რომ პირველებმა შევასრულეთ შეერთებულ შტატებში თქვენი „სტიქსი“, ნაწარმოები, რომელმაც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, როდესაც ის, მრავალი წლის წინ, მოვისმინე კანადაში. აუდიტორიამ ძალიან მძაფრად

გამოხატა აღფრთოვანება. ჩემი კოლეგები და მე დარწმუნებული ვართ, რომ ეს არის დიდი და საოცრად მნიშვნელოვანი ნაწარმოები, რომელიც რაც შეიძლება მეტმა მსმენელმა უნდა მოისმინოს“... და შემდეგ წერილის ავტორი ეპატიჟება კომპოზიტორს „სტიქსის“ კიდევ ერთ პრემიერაზე, ამაჟამად დენვერში.

ხომ გრძნობთ სიამაყეს იმის გამო, რომ გია ყანჩელი, ჩვენი თანამედროვე ქართველი მუსიკოსი, დღეს მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს კომპოზიტორად არის აღიარებული! ამას პოლემიკური ინტონაციით იმათ გასაგონად ვამბობ, ვინც ჩვენი ქვეყნის უახლოეს ისტორიას მხოლოდ ბნელ ფერებში ხედავს და საბჭოთა ეპოქაში მოღვაწე ადამიანებს ნეგატიური ნიშნით აღიქვამს! მაგრამ გიამ ხომ თავისი სიმფონიების უმრავლესობა იმ შავბნელ დროში შექმნა, მაშინვე დაწერა რობერტ სტურუას საუკეთესო სუბექტაქტების და ბევრი სახელგანთქმული ქართული ფილმის მუსიკა. ვფიქრობ, დადგა დრო ჩვენი უახლოესი წარსულის შეფასებისას მოვიშორეთ კლიშეები და ყოველი ცალკეული მოვლენა სტერეოტიპების მოხმობის გარეშე გავაანალიზოთ.

მე კი გიასთან შეხვედრამ ნოსტალგიური გრძნობები აღმიძრა. კინოსტუდია, სამონ-

ტაჟო ოთახი, მუშაობა სამონტაჟო მაგიდასთან შუალამემდე და ხანდახან – მთელი ლამითაც... ჩემი მუდმივი მემონტაჟე – სოფა, სიტყვის უთქმელად რომ გვესმის ერთმანეთის. მონტაჟის მუდმივი თანამგზავრი – ყავა, რომელსაც ჩვენი გოგოები დიდი ენთუზიაზმით ხარშავენ, რომელსაც განუზომელი რაოდენობით ვსვამთ და ამიტომ იმ საამქროში შესვლისას მაშინვე გცემს ყავის სუნი, ფირის სუნთან შერწყმული... გია სამონტაჟო მაგიდასთან, „გაუცინარი ხელმწიფე“, მარად შუბლშეჭმუნხილი, მაგრამ ის ისე ზუსტად გრძნობს კინომონტაჟის არსს, რომ ხანდახან, მთელ სცენებს მასთან ერთად ვამონტაჟებ, მისი მუსიკის კვალდაკვალ! და ეს ისეთი წარმტაცი პროცესია! მახსოვს ასეთი მომენტი: ვმუშაობდით „რამდენიმე ინტერვიუს“ მონტაჟზე. ვამონტაჟებდით სცენას, როდესაც სოფიკო მიდის ფოტოგრაფის – ჟანრი ლოლაშვილის სახელოსნოში. სცენა უსიტყვოა, ამიტომ მთავარი აქცენტი გადადის ხმაურებზე და მუსიკაზე. ვუყურებთ გამოსახულებას, ერთხელ, მეორედ, მესამედ. გიას დაწერილი აქვს მუსიკა სხვადასხვა სცენებისათვის – სხვადასხვა. დავუდეთ ეპიზოდს მისთვის დაწერილი მუსიკა და მოხდა რაღაც მოულოდნელი: შეიცვალა ტონალობა, სცენ-

Le Marais

ფრანგული რესტორანი



მისამართი: აბაშიძის 32

ტელ.: 22 40 83

ე. ფოსტა: lemaraisb@yahoo.com

ნამ არასასურველი ჟღერადობა მიიღო. ეს ორივემ ერთნაირად ვიგრძენით, გიამაც და მეც. ცოტა ხნით დუმული ჩამოვარდა. და მე უცებ ყურში ჩამესმა სულ სხვა, ეგრეთ ნოდებულები „ქუჩის მუსიკა“, სოფიკოს ქუჩაში გავლებსთვის განკუთვნილი. და მომეჩვენა, რომ ის, ქუჩის ხმაურის მუსიკა, კარგად მიესადაგება ამ სრულიად საპირისპირო ემოციებით დატვირთულ, ინტიმურ სცენას. ვუმხელ ამ აზრს გიას, მას კიდევ უფრო ეჭმუნება შუბლი. მაგრამ, როგორც ნამდვილად შემოქმედი ადამიანი, მეთანხმება, რომ ვცადოთ. და ჩვენ ვინცებთ ექსპერიმენტს: ნოსტალგიური მუსიკის ნაცვლად, ვდებთ „ქუჩის“ მუსიკას, და ხდება პატარა სასწაული: ეპიზოდს ემატება დაძაბულობა, ემოციებს – ინტენსიურობა. ჟანრი უყურებს სოფიკოს, სოფიკოს კი თვალები ეხუჭება და იძინებს. ეს ძილი ნდობასაც გამოხატავს, მაგრამ ასევე გულგრილობასაც შეყვარებული კაცის მიმართ... ჟანრი უყურებს, ტკივილით, სასონარკვეთით. ყანჩელის მძაფრი, რიტმული მუსიკა აძლიერებს ამ განწყობას. და უცებ გია შესძახებს: აი, აქ მაგარი აქცენტი მჭირდებაო! მე ვიბნევი: სცენა ისეა გადაღებული, რომ არაფერი არ არის აქცენტირებული, მხოლოდ სტატიკური პლანები, ორი ადამიანი, ოთახის სხვადასხვა კუთხეში, ერთი მძინარე, მეორე – კედელს მიყრდნობილი და უმოძრაო. საიდან ვიპოვო მუსიკისთვის საჭირო აქცენტი? და ამ დაძაბულობაში მიჩნდება პარადოქსული აზრი: მივანებო მძინარე სოფიკოს კადრს სულ სხვა ეპიზოდის კადრი: სოფიკოს ყვავილების გვირგვინით თავზე, ვირზე შემჯდარი, ლალი და მომღიმარე, მოსეირნობს ტყეში ფოტოგრაფთან ერთად... აღლვებული ვეუბნები სოფას, მოძებნოს ის კადრი. ვჭრი ფირს და ოთახის ეპიზოდში, ზუსტად იქ, სადაც მუსიკა აპოგეას აღწევს, მძინარე სოფიკოს გვერდით ჩნდება ვირზე მოსეირნე სოფიკო! და მაშინვე იბადება განცდა, რომ ეს ჟანრის ემოციაა, რომ სწორედ ის ხედავს სოფიკოს არა დაღლილს, ძალაგამოცლილს, მიძინებულს, არამედ ლალს და მომხიბლავს! გიას ეხსენება შუბლი, ის, მგონი, ილიმება კიდევ. და მეც... ძალიან, ძალიან ბედნიერი ვარ! ...

ამგვარად, გიასთან მუშაობისას და მის მუსიკაში ჩაღრმავებით, დაიბადა ფილმის ის მონტაჟი, რომელზეც მომავალში ბევრი რამ ითქვა და დაინერა. კერძოდ მაშინაც, როცა ფილმმა სან რემოში „გრანპრი“ მიიღო.

„დაწვას გადარჩენილი ნაბოკოვი“, ან „როგორ გადაურჩა ლაურა, ნაბოკოვის ბოლო ქმნილება, ცეცხლს“ – ამგვარი სათაურებით

იბეჭდება წერილები ფრანგულ პრესაში. ისტორია კი ასეთია: სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე ნაბოკოვმა დაიწყო წერა რომანისა, რომელიც პირობითად ასე შეიძლება ითარგმნოს: „ლაურა, ანუ სიკვდილი გასართობია“.

სიკვდილის წინ, საავადმყოფოში, ნაბოკოვმა ინტერვიუ მისცა „ნიუ-იორკ ტაიმის“ ჟურნალისტს. მწერალი ამბობს, რომ ეს რომანი (იგულისხმება „ლაურა“) 50-ჯერ მაინც აქვს სხვებისთვის ნაკითხული: „ჩემს ბოდავში მე მას ხმამაღლა ვუკითხავდი პატარა წარმოსახულ აუდიტორიას, შეკრებილს შემოღობილ ბაღში. იქ იყვნენ ფარსევანგები, მტრედები, ჩემი დიდი ხნის წინ გარდაცვლილი მშობლები, ორი კვიპაროსი, რამდენიმე მუხლმოყრილი მონყალების და, და ოჯახის ექიმი, ისეთი მოხუცი, რომ ის თითქმის უხილავი იყო“. აი ასე, სულ უფრო და უფრო მეტად მოძალებული ავადმყოფობის პაროქსიზმში დაიბადა ეს რომანი, რომელიც ავტორმა ჯერ ვიზუალურად დაინახა და ცალკეული თავები ჩანერა ფანქრით პატარა, დანომრილ მუყაოებზე. ის მათ აღიქვამდა, როგორც ფილმის ნეგატივს, რომელსაც მხოლოდ ქალაღზე გადატანა აკლდა. ეს უნიკალური ტექნიკა აძლევდა ნაბოკოვს საშუალებას დაენერა რომანი თანმიმდევრულად, თუ პირიქით, არეულ-დარეულად, თავისი ფანტაზიის მიხედვით. მერე ის ამ მუყაოებს კარტივით ათამაშებდა და ასე ყალიბდებოდა რომანის საბოლოო კომპოზიცია.

ეს კი მწერალმა ველარ მოასწრო. „ნაღველი შეწყვეტილი სიცოცხლის გამო არაფერია იმ ნაღველთან შედარებით, რომელსაც ინვევს შეწყვეტილი ხელნაწერი“, ამბობდა ნაბოკოვი. და, ალბათ, ამიტომაც დაუბარა თავის მეუღლეს გაენადგურებინა ნაწარმოები, თუ ის ვერ მოასწრებდა საბოლოო ნერტილის დასმას. ქალმა ვერ აიღო თავის თავზე ეს მისია და მისი აღსრულება მათ ერთადერთ შვილს – დიმიტრის დააკისრა. დედის გარდაცვალების მერე დიმიტრამ ამ უცნაური დილემით იცხოვრა: შეესრულებინა მამის უკანასკნელი ნება, თუ „შეეცვალა მე-20 საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობა“, როგორც წერს „ლე მონდი“.

თითქმის 30 წლის მანძილზე, ეს ხელნაწერი ინახებოდა შვეიცარიის ბანკში. მისმა რამდენიმე მკითხველმა დადო სიჩუმის ფიცი. დიმიტრი იღებდა ასობით წერილს მუდარით – არ გაენადგურებინა ნაწარმოები. მას ასხენებდნენ, რომ ნაბოკოვმა ორჯერ თვითონ კინაღამ დაწვა „ლოლიტა“, რომელიც უკანასკნელ წუთს მისმა ცოლმა – ვერამ გადაარჩინა.

დიმიტრი კი მაინც ყოყმანობდა. საბოლოო გადაწყვეტილება, როგორც ჩანს, კაფკას მემკვიდრეობის მაგალითმა მიაღებინა. „პროცესის“ ავტორი ასევე მოითხოვდა დაენვათ მისი ხელნაწერები. როგორც ცნობილია, მაქს ბროდმა არ შეასრულა მწერლის ნება...

დღეს დიმიტრი ნაბოკოვი აცხადებს: „ახლა კი შემიძლია წარმოვიდგინო მამაჩემი, რომელიც თვალს მიკრავს, მილიმის შორიდან და ქირქილებს, ხო, კარგი, კარგი, შეგიძლია დაბეჭდო“.

თვითონ დიმიტრი თვლის, რომ „ლაურა“ არის უზარმაზარი ორიგინალობის ნაწარმოები, ალბათ, ავტორის გენიის ყველაზე უფრო ბრწყინვალე გამოვლინება. რომანის პერსონაჟები არიან – შესანიშნავი ნევროლოგი, დიდი ნიჭის და გაქანების, ძალიან, ძალიან მსუქანი და კომიკურობამდე უშნო კაცი, და მისი ახალგაზრდა თავქარიანი მეუღლე. კაცი გადაწყვეტს თავის მოკვლას, მაგრამ ეს ნამდვილი თვითმკვლელობა კი არ არის, არამედ იუმორით სავსე თვითგანადგურების თამაში. თავისებური შექცევადი თვითმკვლელობა. და კიდევ, როგორც ამბობენ და რაც მე ყველაზე უფრო მიზიდავს, წიგნი შეიცავს „თავბრუდამხვევ ფიქრებს სიკვდილზე“.

რომანის ბედი გადაწყდა. და ნაბოკოვის უამრავ მკითხველთან ერთად, მეც დიდი ინტერესით დაველოდები მის გამოსვლას.

ბირმის შემზარავი ტრაგედია, 100 000 დაღუპული ადამიანი, მილიონი – დარჩენილი უსახლკაროდ. და მაინც ამ სტიქიურ უბედურებაზე მეტად შემზარავია საქციელი ხელისუფლებისა, რომელიც ყველანაირ დაბრკოლებას უქმნის და ფაქტობრივად არ აძლევს ნებას ჰუმანიტარული დახმარების ინტერნაციონალურ ჯგუფებს შეაღწიონ ქვეყნის შიგნით. კუშნერმა სამხედრო დიქტატურის ამ მანევრებს „კატასტროფა კატასტროფაში“ უწოდა. ჰუმანიტარული დახმარებით სავსე ათასობით მანქანა და ამ საქმის პროფესიონალები მთელი მსოფლიოდან უკვე რამდენიმე დღეა დგანან ბირმის საზღვრებთან და ელიან შესვლის ნებართვას, იქ, შიგნით კი იხოცებიან უწყლოდ, ულუკმაპუროდ დარჩენილი ადამიანები, განსაკუთრებით, ყველაზე სუსტნი მათ შორის – ბავშვები და მოხუცები. საფრანგეთი ცდილობდა მიეღებინებინა გაეროსთვის კონცეფცია: „მოსახლეობის დაცვის პასუხისმგებლობა“, რომელიც შეაღებდა ბირმის კარებს, მაგრამ გადააწყდა წინააღმდეგობას ისეთი ქვეყნებისა, როგორცაა რუსეთი და ჩინეთი, რომელთაც ალერგია აქვთ გარედან ყოველგვარი ჩარევის მი-



ლიტერატურული კავა „ქარავანი“
წარმოგიდგინო:

1 ივნისი, კვირა, 15.00

ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი,
ფარმაცევტულ კომპანია „ავერსისა“
და „ქარავანის“ ერთობლივი ღონისძიება

22 ივნისი, კვირა, 15.00

თამაზ ქილაძის ახალი რომანის
„ბრეიგელის მთვარე“ პრეზენტაცია



„სხალი შოკოლადის“ კვლევი წომარაზი შვიტოქლიატი
შვიტოქლიატი 3 ლარად შვიტოქლიატი მისაპარტიოზა:

ლიტერატურული კავა „ქარავანი“, ფურცელადის 10
პარნასი, კოსტავას 22, ლესელიდის 33
სანტა ესპარანსა, სანკტ პეტერბურგის 12, გუდვილი

მართ. და კიდევ ერთხელ, მსოფლიო ამტკიცებს თავის უსუსურობას რეჟიმის წინაშე, რომელსაც ბევრად უფრო ადარდებს თავისი ძალაუფლების შენარჩუნება, ვიდრე თავისი ხალხის სიცოცხლე.

საფრანგეთში არ ნელდება ინტერესი მიტერანის რთული და წინააღმდეგობრივი პიროვნების მიმართ. მასზე წერენ სტატიებს, წიგნებს, იღებენ ფილმებს. რამდენიმე დღის წინ პირველ არხზე აჩვენეს ბოლო დოკუმენტური ფილმი „მიტერანი. ოჯახის საიდუმლოებანი“. ფილმში მიტერანის ბოლო დღეებზეა საუბარი, მაგრამ მათ მიღმა იხსნება პრეზიდენტის ოცდაათწლიანი ფარული ცხოვრება. მისი დიდი, დამალული სიყვარული – ან პენჟო და ასევე მალულად დაბადებული და გაზრდილი შვილი მაზარინი. მიტერანის და ან პენჟოს ერთადერთი ერთად გადაღებული სურათი. რამდენი ემოცია და დრამა იმალება ამ ერთი გაცვეთილი ფოტოს უკან. და საერთოდ, საკვირველი ამბავია: დემოკრატიული ქვეყნის პრეზიდენტი, რომელსაც კონსტიტუცია ავალებს იყოს გახსნილი თავისი ხალხის წინაშე, 30 წლის მანძილზე ორმაგი ცხოვრებით ცხოვრობდა. საკვირველია ისიც, რომ საზოგადოებამ არცერთ ეტაპზე არ გაკიცხა თავისი პრეზიდენტი. არც მაშინ, მისი ძღვევამოსილების ხანაში, როცა ელისეს სასახლიდან უწინადა სკანდალური ქორები, და არც მით უმეტეს, მისი სიკვდილის მერე, როცა ყველაფერს აეხადა ფარდა. როგორც ჩანს, ადამიანები მიხვდნენ, რომ ამ გარეგნულად მსუბუქი საქციელის მიღმა რაღაც დიდი და ნამდვილი იმალებოდა. ისიც სათქმელია, რომ თვითონ ობიექტსაც ყოველთვის განსაკუთრებული ღირსებით ეჭირა თავი. არასდროს არ უცდია ჩრდილიდან გამოსვლა და წინა პლანზე წამოწევა და ამ საყოველთაო და ინტერვიუების და ოჯახური საიდუმლოებების ახდის ეპოქაში არ უთქვამს არცერთი სიტყვა პრეზიდენტთან მისი ურთიერთობის შესახებ. ადვილი წარმოსადგენია, რა თავდასხმები იქნებოდა მასზე ჟურნალისტების მხრიდან! მაგრამ ქალი დუმდა, როგორც მიტერანის სიცოცხლეში, ასევე მისი სიკვდილის მერეც, რამაც, სხვათა შორის, სკეპტიციზმით განთქმული ჟურნალისტებიც კი აღაფრთოვანა.

ამ ქალთან ერთად განახორციელა მიტერანმა თავისი პრეზიდენტობის უმაღლესი მისია, როგორც თვლიდა თვითონ, – ლუერის გრანდიოზული რეკონსტრუქცია და განახლება და მის ეზოში შუშის პირამიდის აღმართვა. ანა მუზეუმის თანამშრომელი

იყო, მიტერანმა ის პირველი დღეებიდანვე ჩააბა ამ უთამამესი პროექტის განხორციელებაში. დღეს მრავალრიცხოვან კომენტატორებს მიაჩნიათ, რომ ეს პირამიდა არის მიტერანის უდიდესი პოლიტიკური ამბიციების და ასეთივე სიყვარულის განსხეულება და, ამავე დროს, მეფური საჩუქარი ანას მიმართ.

სიკვდილის წინ ერთი თვით ადრე, მიტერანმა განახორციელა უკანასკნელი მოგზაურობა, ფაქტობრივად სიკვდილის გზაზე შემდგარი გაემგზავრა ეგვიპტეში – პირველად თავის სიცოცხლეში – საყვარელ ქალთან და შვილთან ერთად. მერე იყო ბოლო ახალი წელი, თავის კანონიერ ოჯახში. იმ ახალ წელს – ფოტოზე აღბეჭდილი პრეზიდენტის სახე – ტკივილის და ტანჯვის ნიღაბი. მან უკვე დიდი ხანია იცოდა, რომ მისი დღეები დათვლილი იყო. მიტერანის პირადი ექიმის და მეგობრის მიერ მოთხრობილი ერთ-ერთი უკანასკნელი დიალოგი, სიმკაცრის და სიმტკიცის ერთგვარი მაგალითი. საუბარი მიმდინარეობს მანქანაში, ბოლო ანალიზების აღების მერე. მიტერანი: – მითხარი ზუსტად, რა მელის. ექიმი: – სიმსივნემ თითქმის მიაღწია ტვინს. ჩქარა შეაღწევს შიგნით. – რამდენ ხანში? – ერთ კვირაში, ათ დღეში. – როგორ მოხდება ეს? – ჯერ დაკარგავთ მხედველობას. მერე გადაგვარდება ტვინი. – ამ დიალოგის მერე მიტერანმა მიიღო გადაწყვეტილება დაეჩქარებინა სიკვდილი. უარი თქვა ყველა წამალზე და საჭმელზე. რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. არ მოხდა ის, რისიც ყველაზე მეტად ეშინოდა, ტვინმა ვერ მოასწრო გადაგვარება. წავიდა მშვიდად და ნათელი გონებით. ბოლო დღეები გაატარა სახლში, სადაც მხოლოდ ან პენჟოს ჰქონდა მისვლის უფლება. შვილი, ჟან-კრისტოფი ყვება, როგორ მივიდნენ ერთ დღეს იმ სახლში ის და მისი დედა – დანიელი. წინასწარ იცოდნენ, რომ იმ დროს იქ არ იყო ანა. მიტერანმა გადმოსცა, რომ არ უნდოდა არავის ნახვა. შვილი დაემორჩილა ამ სურვილს, ცოლი – არა. და, როგორც მერე თვითონ უამბო შვილს, ის შევიდა ოთახში და დაწვა თავისი მომაკვდავი ქმრის გვერდით. ასე იწვა კარგა ხანს და ეჭირა მისი ხელი... მერე იყო გრანდიოზული დასაფლავება და ამ ტრაგიკულ სიტუაციასთან დაკავშირებული პრობლემები. ოჯახს უნდა გადაეწყვიტა, რა ადგილი მიეჩინათ ან პენჟოსა და მისი შვილისთვის. დაბოლოს, დანიელ მიტერანმა მიიღო მისთვის უძნელესი, მაგრამ ყველაზე ნაღდი და კეთილშობილური გადაწყვეტილება. და მთელმა მსოფლიომ იხილა ამაღლეგებელი კინოკადრები და ფოტოები დაკრძალვისა,

სადაც გვერდიგვერდ დგანან ჭირისუფლები – დანიელ მიტერანი, მის მარჯვნივ – მისი ორი ვაჟი და მარცხნივ – მაზარინი და ან პენჟო. და მე მგონია, ყველამ აღიქვა ეს კადრები, როგორც ადამიანურობის უმაღლესი გამოვლინების – სიყვარულის ზეიმი.

ივრიში, ბერტელოს ქუჩაზე ელენ ლარომის სახლის პატარა ბაღს აღვიქვამ, როგორც საჩუქარს, რომლითაც განგებამ დამასაჩუქრა. ალბათ, ასეთ ბაღს შესთხოვდა მარინა ცვეტაევა სიბერეში ღმერთს იმ ჯოჯოხეთის სანაცვლოდ, რომელშიც ცხოვრობდა. ეს კი მართლაც მშვენიერი ბაღია, სადაც ყვავილები სეზონის მიხედვით ცვლიან ერთმანეთს: ჯერ დიდხანს ყვავოდნენ ფერად-ფერადი „ანიუტას თვალები“, მერე მთელ ბაღს მოედნენ წითელი, ყვითელი და ჭრელი ტიტები... მერე აყვავდა ვარდის ბუჩქი, მერე – სხვადასხვაგვარი მინდვრის ყვავილები, მერე – თეთრად გადაიპენტა ჩემი ოთახის ფანჯრებს მობჯენილი ჟასმინის ბუჩქი... ბაღი, თავისი კედელზე გასული ხვიარაით, ნაძვის ტოტებდახუნძლული ხით და, რაც მთავარია, ზამთარ-ზაფხულ მწვანე, ხასხასა მოლით. დავდივარ ბალახზე და მახსენდება გალაკტიონის ცნობილი სტრიქონები, რომლებიც ჩემს გონებაში ასე იცვლის სახეს: „ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გაიარე, რაა სიცოცხლე“ (სიცოცხლე მამულის ნაცვლად, ვინაიდან ეს ბალახი ჩემი მამულის არაა). და მეც ამ სიტყვებს ბუკვალურად ვასრულებ, დავდივარ ცვრიან ბალახზე და მთელი არსებით ვგრძნობ, რომ ეს არის სიცოცხლე! სიცოცხლე, ანუ ერთიანობა მიწასთან, ხესთან, ბალახთან, ცვართან, საერთოდ – ბუნებასთან. და არ მშორდება ფიქრი: რა ცოდოა თანამედროვე ადამიანი, რა შესაბრალისი ვართ ჩვენ ყველა, ურბანისტული ცივილიზაციის მკვიდრნი, ბეტონის, ასფალტის, მანქანის სამყაროს ტყვეები, ვისაც, უბრალოდ, შესაძლებლობა არა გვაქვს ცვრიან, ან თუნდაც გამომშრალ ბალახზე ფეხშიშველა სიარულისა!

საფრანგეთის საერთაშორისო ინსტიტუტის დირექტორი – ტიერი მონბრიალი – ამბობს: „ყველანაირი გაანგარიშებების მიუხედავად ძნელია თქვა რაიმე გარკვეული კაცობრიობის მომავლის შესახებ, ვინაიდან ყველაზე დიდი გაკვეთილი, რომელსაც გვთავაზობს ისტორია, არის ის, რომ სამყაროში მუდმივად ხდება რაღაც – გაუთვალისწინებელი და განუჭვრეტელი“ (ჟურნალი „ექო“).

6'0"

5'6"

5'0"

4'6"

4'0"

3'3"

3'3"



The Usual Suspects



ადამიანი თავის ადგილას

<<< **ლასანისი** გვ. 108

როგორც ჩანს, ამას მოერიდნენ. ისე, სამინისტროს მაინც გალანძღავდნენ. იმიტომ, რომ ადამიანები ობიექტურები ვერ ვიქნებით ერთმანეთის და, განსაკუთრებით, ხელისუფლების მიმართ. იყო კურორტებიც. ერთ-ერთ გერმანულ სკოლაში გამოცდაზარებული ქალბატონი მივიდა და მიხილ ჯავახიშვილის სურათზე იკითხა, ეს კაცი ამ სკოლის დამაარსებელია? ისევე, როგორც კონსერვატორიაში არ წავა ადამიანი, რომელსაც სმენა არა აქვს, სკოლაშიც არ უნდა წავიდეს ის, ვისაც ძალიან არ უყვარს ბავშვები. რამდენიმე სკოლა გადალიანდა, ჰქონდათ უფლება და არ აირჩიეს ეს ლოტოტრონით შეთავაზებული დირექტორები.”

თავიდან ბატონმა მიშამ არაფერი მითხრა იმაზე, რომ აფხაზეთში იბრძოდა. არც იმაზე, პირველი ჰუმანიტარული დახმარება სწორედ მას რომ შემოჰქონდა საქართველოში. მეორედ რომ მივაკითხე სკოლაში, სადაც იყო გასული და კაბინეტში მისი კოლეგები დამხვდნენ. დრო ვიხელთე და მათაც გავესაუბრე, თამრიკო ამზაშვილი დღეს მიშა მინდაძის მოადგილეა:

„– 26 წლის ვიყავი, როდესაც მოხვდი იმ სკოლაში, რომელიც ბატონმა მიშამ და მისმა თანამოაზრეებმა შექმნეს. მე და ჩემი მეუღლე ერთად ვმუშაობდით სკოლაში, ჩემი შვილებიც იქ სწავლობდნენ. მასსოვს, მაშინ როგორ ვბაძავდით ბატონ მიშას, რამდენ რამეს ვსწავლობდით მისგან. ის ისეთ თავისუფალ და ჯანსაღ გარემოს ქმნის თავის ირგვლივ და მასწავლებელს იმდენად გაძლევს გარ-

დის, თავისუფლად აზროვნების და მოქმედების საშუალებას, რომ შენც, ძალაუნებურად სწორებას მასზე იღებ. ჩემმა შვილებმა მაშინ, საბჭოთა კავშირის დროს არ იცოდნენ, რა იყო პიონერი და კომკავშირელი, არ იცოდნენ, რომ მასწავლებელმა შეიძლება შეურაცხყოფა მიაყენოს ბავშვს. მათ იცოდნენ, რომ მასწავლებლები მათი თანამოაზრენი და თანამშრომლები არიან. ამ სკოლაში ბავშვებს თავისუფალი და ლალი აზროვნება ჩამოუყალიბდათ. ჩვენ ვთქვით – პრობლემური ბავშვი არ არსებობს. არსებობს პრობლემები, რომლებიც ამ ბავშვებს ბევრი მიზეზის გამო აქვთ წამოკიდებული ზურგზე და მათ ჩვენი თანადგომა სჭირდებათ. მაშინ, 80-იანების ბოლოს, როცა ეს თითქმის წარმოუდგენელი იყო, გურამ რამიშვილმა დაგვაავალა ორიგინალური პროგრამების შექმნა. დავიწყეთ სახელმძღვანელოების წერა. ბიოლოგი ვარ და როცა აღმოვაჩინე, რომ შემიძლია, მარტო ტარაკნის აგებულება კი არ ვასწავლო ბავშვებს, არამედ ვესაუბრო ცხოველთა ქცევაზე, ენდემურ მცენარეებზე, საბუნებისმეტყველო საგნებზე, სწავლების პროცესი სასიამოვნო და ბავშვებზე მორგებული გავხადო, – ეს ჩემთვისაც დიდი სტიმული იყო. ასეთ, ორიგინალურ სახელმძღვანელოებს ყველა საგნის მასწავლებელი ქმნიდა ჩვენთან. გვქონდა სირთულეებიც, წიგნებს ვერ ვებეჭადვდით, ქსეროასლებით გვიხდებოდა მუშაობა, მაგრამ სხვა შესაძლებლობები მაშინ არ იყო.

ASB-ზეც მინდა გითხრა. ეს იყო პირველი ჰუმანიტარული დახმარება, რომელიც გერმანიიდან შემოვიდა საქართველოში. მიშა

მინდაქემ გამოკვება ხუთივე „გერმანული სკოლის“ მოსწავლეები, ბავშვებს ყოველ თვე მიჰქონდათ პროდუქტი და ტანსაცმელი შინ. ამ დახმარების პროგრამით სოფელ ჯუთაში სამჯერ მოაწყო 400 ბავშვიანი, ორკვირიანი საზაფხულო ბანაკი, სრულიად უფასოდ. გვერდით ყოფილი მოსწავლეები დაიყენა. ისინი 400 გაჭირვებულ ადამიანთან, ინვალიდებთან და მოხუცებთან დადიოდნენ სახლში და არა მხოლოდ საკვები მიჰქონდათ, არამედ, ეხმარებოდნენ, ბანდნენ, უვლიდნენ. ისინი სულ სხვანაირ ადამიანებად გაიზარდნენ, სხვა გამოცდილება მიიღეს ამ ორგანიზაციაში მუშაობით. ერთხელ, სკოლაში რომ მოვიდა ტანსაცმელი, რაღაც-რაღაცები ბატონ მიშასაც გადავუწყვეთ და რომ მივუტანეთ, ძალიან შერცხვა. ასეთია, თავმდაბალია, სულ ცდილობს, უმცროსი კოლეგა, მით უმეტეს, ქალი, წინ წამოწიოს. ამ გენდერული პრობლემების მქონე ქვეყანაში, ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. როდესაც 161-ე სკოლაში მოვიდა ბატონი მიშა, და აქ ამდენი პრობლემა დახვდა მოსაგვარებელი, არ მიყოყმანია, ისე დავდექი მის გვერდით. ამ ადამიანმა იმდენი რამ მომცა, უფლება არ მქონდა, სხვანაირად მოვქცეულიყავი.”

მიშა მინდაძის ოცამდე ყოფილი მოსწავლე, სწორედ ამ ჰუმანიტარულ ორგანიზაციაში მუშაობამ გადაარჩინა აფხაზეთის ომში წასვლას. ისინი თვლიდნენ, რომ აქაც არანაკლებ საქმეს აკეთებდნენ. მაშინ მიშა მინდაძის მეგობარი, კოტე გაბაშვილი იყო ელჩად გერმანიაში. „გერმანული სკოლის“ მოსწავლეები გაცვლითი პროგრამით სწავლობდნენ და პირველი ჰუმანიტარული დახმარება სწორედ გერმანელმა მოსწავლეებმა გამოაგზავნეს. მოაწყვეს ასეთი აქცია – Kinder halfen Kinder, მოგროვეს რაღაცები და გამოუშვეს საქართველოში. სწორედ იმ დროს გერმანიაში სწავლობდნენ გოკა გაბაშვილი და გიგი უგულავა და სწორედ ისინი უწევდნენ კოორდინირებას ჰუმანიტარული ტვირთის საქართველოში გამოგზავნას. თანდათან, ამან ორგანიზებული სახე მიიღო. მოდიოდა დახმარება და ASB ანაწილებდა, არიგებდა ბავშვთა სახლებში, მოხუცთა თავშესაფრებში. ოცამდე დიდი ტრალიერით ჩამოდიოდა პროდუქტი და ჩასაცმელი. ჰქონდათ 2000 კაცზე სასადილო, საპატრიარქოს უკან კარავი იყო გაშლილი, იქ ექვსასი კაცი სადილობდა, ერთი სასადილო სათნოების სახლში იყო, ერთიც – ქვეთარაძის ქუჩაზე. ბატონი მიშა მეუბნება, იქ ისეთი ხალხი დადიოდა, მრცხვენოდა შესვლა, რომ არ დავენახე და ვეცნეო.

მიუხედავად იმისა, რომ აქაც ნამდვილად მნიშვნელოვან საქმეს აკეთებდა, აფხაზეთის ომს მიშა მინდაძე მაინც ვერ ასცდა:

„– ჩემი ყოფილი მოსწავლეები იბრძოდნენ, მე მასწავლებელი ვარ. უნდა მქონოდა ამ ბავშვებთან ლაპარაკის და ურთიერთობის უფლება. ჩემთვის ნაკლებ საინტერესო იყო ამ ბრძოლის პოლიტიკური სარჩული. საქართველო იბრძოდა, მე შემეძლო, უნდა წავსულიყავი და წავედი კიდეც. ჩვენი შენაერთი 27 სექტემბერს გადმოვედით სოხუმიდან ჭუბურზე. ომზე გაცილებით საშინელი იყო ეს გზა. ჯეკ ლონდონის ოქროს მაძიებლები რომ მიდიან საშინელ პირობებში, ხომ გახსოვთ? იქ ოქროსთვის მიდიოდნენ, აქ – სიცოცხლისთვის. სარაფნებში, მაისურებში ჩაცმული ადამიანები, ფუთებით, დაბნეული, გაყინული სახეებით, უაზრო თვალებით მიდიოდნენ. წამოვესწი ერთ ქალს, რომელსაც ერთი წლის ბავშვი მოჰყავდა ხელით, მეორე, უფროსი, 9-10 წლის ბავშვი გვერდით მოჰყვებოდა. დავილალო ეუბნება ეს ქალბატონი უფროს შვილს, ცოტა ხანს შენ ატარე პატარაო. უფროსმა, არ შემეძლია, დავტოვოთო. სწორედ ამ დროს მეც წამოვესწი, გამოვართვი ბავშვი და ცოტა ხანში, ეს ქალბატონი ვილაც კაცზე მეუბნება – აი, ჩემი ქმარიო. მიდის კაცი, რომელსაც ერთ

ხელში საკერავი მანქანა უჭირავს, მეორეში – ზენარში გამოკრული ფუთა. დარწმუნებული იყო, დედა მიხედავდა ბავშვებს, ამან კიდეც, რალაც გადაარჩინა ოჯახიდან. მისთვის სულერთი იყო, რა იქნებოდა ეს – ჩაიდან, ქვაბი თუ რაიმე სხვა. ის რალაცას აკეთებდა ოჯახისათვის. გონზე ძლივს მოვიყვანეთ, ძლივს დავაგდებინეთ საკერავი მანქანა ხელიდან და ბავშვი მივეცი. ბავშვი კი არ დაავინყდა, იმ წუთებში სრულიად გათიშული იყო. გათიშული და სასოწარკვეთილი. მართლა საშინელება იყო ეს გზა. ჩვენს თავზე 60 კაცი აფეთქდა ცაში. ამან ისეთი კვალი დამიტოვა, რომ დღემდე მომყვება ის ემოცია, ვერ ვივინყებ.

სკოლის და ბავშვების გარდა, როგორც მივხვდი, ბატონ მიმას ქეიფი უნდა უყვარდეს – ბევრი ფოტო აქვს ჭიქით ხელში გადაღებული. მის უზარმაზარ ფოტოარქივს რომ ვათვალიერებდით, ბოლოს თვითონვე გაუკვირდა, ეს რამდენი მიქეიფია, კაცო! თვითონ იშვიათადაა ფოტოებზე. იმიტომ, რომ თვითონვე იღებს. სწორედ ფოტოარქივის თვალიერებისას აღმოვაჩინე, რომ ძალიან ბევრ ქვეყანაშია ნამყოფი, არა მხო-

ლოდ ევროპაში, არამედ, ამერიკასა და სამხრეთ აფრიკაშიც კი. ძალიან სახალისო ფოტოებიც მანახა, გერმანიაში, ტახზე ნადირობისას გადაღებული. წინა დღეს, როცა ვკითხე, ბავშვების და მასწავლებლობის გარდა რა გიყვართ-მეთქი, დიდხანს მელაპარაკა იმაზე, რომ მთელი საქართველო ფეხით აქვს მოვლილი, რომ შატილშიც და უშგულშიც ჯერ კიდევ მაშინ ავიდა, სანამ იქ სამანქანო გზას გაიყვანდნენ, რომ უამრავი მეგობარი ჰყავს საქართველოს ყველა კუთხეში, რომ ძალიან უყვარს მთაში მარტო სიარული და არაფერი მითხრა იმაზე, რომ მსოფლიოს ბევრი ქვეყანა აქვს მოვლილი. ნეტავ, უცხოეთში მოგზაურობა არ უყვარს? თუ რატომ არ მითხრა? არ ვიცი, ეგებ, მოერიდა კიდეც, ტრაბახში არ ჩამეთვალოსო, ეგებ, სამშობლოში მოგზაურობა უფრო უყვარს? რას გაიგებ. ჰო, და კიდევ, რამდენიმე სურათი ზურაბ ჟვანიასთან და სხვა ცნობილი პოლიტიკოსებთან ერთად ჰქონდა გადაღებული. ეროვნულ მოძრაობაში თუ მონაწილეობდით-მეთქი ვკითხე და ასე მიპასუხა – მე სკოლაში ვიყავი და ვარო.

დეგაპრინტი
DEGAPRINT

სიფრული ოფსეტური ბეჭდვა
 ტელ.: +995 32 995007 / 998843
 ფაქსი: +995 32 995681

degaprint@caucasus.net



<<< **დასაწყისი** გვ. 114

დღეს კი არსებობს ბიტ ლიტერატურა და მისი მიმდევრები, რომლებსაც საერთო არაფერი აქვთ ბიტნიკებთან. ლოთი, ნარკომანი, პედერასტი და სახიფათო – ბიტნიკებისგან შექმნეს სიმბოლური ხატი, რომელიც კარგად იყიდება. ეს ეხება არა მარტო ბიტნიკებს. ბიტნიკებმა ფაქტიურად მოამზადეს ჰიპების მოძრაობა, ფსიქოდელიური და სექსუალური რევოლუციები. სწორედ „სექსუალური რევოლუცია“ და „sex, drugs, rock'n'roll“ გამოიყენა სისტემამ. ის, რაც მას უპირისპირდებოდა, სისტემამ მარკეტინგად და ფულის კონვეიერად გადააქცია. დატოვა მხოლოდ მიმზიდველი ხატები და აბსოლუტურად დაჩრდილა მისი სახიფათო და ანტიკულტურული შინაარსი. ეს შინაარსი კი მთავარია ამ სუბკულტურების აღსაქმელად.

ზურა: პაატა შამუგამა გამოსცა ლექსების კრებული „ანტიტყაოსანი“, ეს იყო „ვეფხისტყაოსნის“ სხვანაირი გაგება, სექსუალური სცენებით და ეს-ემ-ესებით საუბარი. ალბათ, მეთორმეტე საუკუნეშიც აკეთებდნენ სექსს. ამის გამო დიდი სკანდალი ატყდა. ბევრმა დააფიქსირა თავისი პოზიცია. ბევრს მოუწია კონფორმიზმის გამო ეთქვა, რომ ეს ცუდია. თუმცა იყო განსხვავებული აზრიც, რომელიც ამბობდა, რომ ეს ლიტერატურაა და ლიტერატურაში არ არსებობს ავტორიტეტები. ლიტერატურულ ტექსტს შეუძლია ყველაფერს შეეხოს.

ანა: ზუტად იმ დროს იყო „სველი წრეც“ და ტელეარხებზე გავიდა სიუჟეტები ამაზე.

ზურა: ყველაზე ცუდი კი ის არის საქართველოში, რომ, როდესაც მიზნად ისახავ მსგავს ლოკალურ სტერეოტიპებს ებრძოლო, გლობალურ მასშტაბში ძალიან უმ-

ნიშვნელო ფიგურად იქცევი. იმიტომ, რომ თუნდაც „სველი წრე“ ან „ანტიტყაოსანი“ საქართველოში სიახლეა, მაგრამ გლობალურად არაფერი არ არის. ჩემი აზრით, როდესაც არტს აკეთებ, სჯობს ორიენტაცია გქონდეს გლობალურ პრობლემებზე. არა აქვს მნიშვნელობა, სად ცხოვრობ. ნიუ-იორკში თუ აქ. ნიუ-იორკში ცხოვრება, უბრალოდ, იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ბევრი გლობალური პროცესი იქ იწყება და სანამ ეს საქართველოში მივა, შეიძლება, შენ გვერდით ოთახში უორპოლი ღმერთს ესაუბრებოდეს ტელეფონით. დღეს არსებობს ინტერნეტი, რომელიც თანამედროვე განვითარების ერთ-ერთი საფეხურია, აახლოებს, გამოცდილების გაზიარების საშუალებას გაძლევს, ამერიკა აქ ნატოთი კი არ უნდა მოვიდეს, არამედ ინტერნეტით. დღეს ინფორმაციული ომების დროა. დღეს რაც უფრო მეტი ინფორმაცია გაქვს, მით უფრო წინ ხარ. პროგრესის მხრივაც, არტის მხრივაც და მით უფრო მეტი ანალიზის უნარიც გაქვს. საბჭოთა კავშირი ინფორმაციაზე უარის თქმამ დაანგრია.

– და როგორ უყურებთ ცენზურას ინფორმაციის გავრცელებაზე? ჯერჯერობით ყველაზე ლიბერალურ სახელმწიფოებშიც კი არსებობს ზოგიერთი შეზღუდვა ამ მხრივ.

ზურა: ინფორმაცია უნდა ვრცელდებოდეს თავისუფლად. ყოველგვარი ცენზურის გარეშე. თუნდაც, იმ ფაშისტებს, რომლებსაც უკრძალავენ თავიანთი იდეების ინტერნეტში ქადაგებას, უნდა ჰქონდეთ ამის საშუალება. ცენზურას არ უნდა ექვემდებარებოდეს არაფერი ფაშიზმიდან დაწყებული ბავშვების პორნოგრაფიით დამთავრებული.

სისტემა მარტივი უნდა იყოს, თუ სხვას ფიზიკურად არაფერს უშავებ, მაშინ შენს ქმედებებში არაფერია შესაზღუდი. შენ პასუხს მხოლოდ შენს საქციელზე აგებ.

ერთი შეხედვით ისე ჩანს, რომ ჩვენი იდეა დესტრუქციისაკენ და ნგრევისკენაა მიმართული. სინამდვილეში იდეა გაცილებით პოზიტიურია. შეიძლება, პროცესში ამ იდეებმა რალაცები იმსხვერპლოს, რაც სინამდვილეში ზედმეტია და რაზეც ხალხია ჩამოკიდებული.

ინფორმაციის თავისუფლების იდეა იმაშიც არის, რომ გავაგებინოთ ადამიანებს როგორ ებრძოლონ ვირუსებს, როგორ დაიცვან თავი ფსიქოლოგიური ზემოქმედებისაგან.

როდესაც ჯორდანო ბრუნომ განაცხადა, რომ დედამინა მრგვალი იყო, ის დაწვეს, იმიტომ, რომ ეს ინფორმაცია არ გავრცელებულიყო. ეკლესია ხელს უშლიდა ინფორმაციის გავრცელებას. ეს უკვე აღარ იყო რელიგია. ეს იყო პოლიტიკა, რომელშიც რელიგიური ინსტიტუტები იყვნენ გადახლართულები. ჯორდანო ბრუნოს აღმოჩენა მთელ მაშინდელ სისტემას უქმნიდა საფრთხეს და ამიტომაც დაწვეს. ესეც ვირუსი იყო იმ დროს. ახლა კი ყველა ბავშვმა იცის, რომ დედამინა მრგვალია.

„როდესაც მან იხილა გარემომცველი ქმნილებანი, და გარშემო მრავალი ანგელოზი, ისინი, ვინც მისი ძალისხმევით წარმოიქმნენ, უთხრა მათ: მე ვარ ღმერთი ექვნიანი, და არ არის სხვა ღმერთი ჩემს გარდა. უთხრა რა ეს, მან აჩვენა ანგელოზებს, რომლებიც მის მახლობლად იყვნენ, რომ სხვა ღმერთიც იყო.“

იოანეს აპოკრიფი

ისევე, როგორც ჯორდანო ბრუნომ, ბევრმა სხვა განსხვავებულად მოაზროვნემ განიცადა რეპრესიები ისტებლიშმენტის მხრიდან. თუ შუა საუკუნეებში ერესისათვის კოცონზე წვავდნენ, დღეს შემლილად გამოგაცხადებენ ან შეიარაღებულ ძალებს გამოიყვანენ შენს გასანადგურებლად, როგორც ეს „ადამის შტოს“ წინააღმდეგ გამოიყენეს. აივენ სტენგის „სუბგენიოსების ეკლესია“ ერთ-ერთი იმ ორგანიზაციათაგანია, რომლებიც ინდივიდუუმის დამოუკიდებლობის რეალიზაციის მეთოდებს იკვლევენ. ისინი ცდილობენ შექმნან და გაავრცელონ ალტერნატიული კონსპირაციული თეორიები და შუასაუკუნეების ერეტიკოსების მსგავსად, მრავალფეროვნება შეიტანონ იდეოლოგიურ ლანდშაფტში.

ზურა: ჩვენ „სუბგენიოსების“ მსგავსად ვავრცელებთ კონსპირაციულ თეორიებს.

ეს თეორიებიც ინსტრუმენტებია სისტემის წინააღმდეგ. იმიტომ, რომ ეს გიქმნის პარანოიას, შიშებს და ბევრს უჩნდება სურვილი გადაამონმოს ეს თეორიები. ეს გიბიძგებს იყო აქტიური, და თან ეს გაბატონებულ თეორიასაც ანგრევს. რაც უფრო მეტი კონსპირაციული თეორიაა, მით უფრო მეტი პარანოიკი ჩნდება, რომელსაც აღარ სჯერა საზოგადოებრივი წარმოდგენების რადგანაც შეუძლია ისიც განიხილოს, როგორც კიდევ ერთი კონსპირაციული თეორია და ხედავს ყველა თეორიის პირობითობას, იქნება ეს პოლიტიკური, ისტორიული თუ საბუნებისმეტყველო თეორიები. ეს იმის საშუალებასაც გაძლევს, ერთ რაღაცას არ მიეჯაჭვო. იმიტომ, რომ როდესაც ერთ რამეს ეჯაჭვები, აღარ ვითარდები.

ჩვენ სოციალურ პროგრამირებას ვიყენებთ სოციალური დასავირუსებლად. არსებობს სოციალური პროგრამირება ზემოდან, როდესაც შენ გაპროგრამებს სახელმწიფო, პოლიტიკური სტრუქტურები, და ქვემოდან, ე.წ. სამოქალაქო პროგრამირება, როდესაც ის, ვინც სისტემის განაპირას არის, ახდენს სისტემის პროგრამების ჩანაცვლებას. ეს იმ პირადი ურთიერთობებით ხორციელდება, რომლებსაც სისტემა ვერ აკონტროლებს. და ჩვენ შეგვიძლია ისეთი მენტალური ვირუსები გავავრცელოთ, რომლის შესახებაც სისტემა ვერაფერს გაიგებს. გრინჩთან სახლში, ასეთი ადგილი გვექონდა, *Under Sky*, ოაზისივით, დროებითი ავტონომიური ზონა, სადაც კონცერტებს ვატარებდით. იქ სხვა ხალხი მოდიოდა, ერთმანეთს აპროგრამებდა და ვირუსებს ავრცელებდა. ეს კონცერტებიც პროგრამირება იყო. სულ უფრო მეტი და მეტი ხალხი მოდიოდა სხვადასხვა სოციალური წრეებიდან, სხვადასხვა სისტემებიდან და საუბრობდა, მღეროდა, ხდებოდა აზრების ურთიერთგაცვლა.

ოდესღაც ჩვენ გვექონდა კოსმოსი. ჩვენ გვექონდა უზარმაზარი პლანეტა, ვარსკვლავების დათვლის შეუზღუდავი უფლებები, თვითნაკეთი გემები და ვარსკვლავთა რუკა. ჩვენთან ჩამოდიოდნენ მბრწყინავი ღმერთები სირიუსიდან და გვასწავლიდნენ მათემატიკას და ლუდის გამოყვანას. ოდესღაც ჩვენ გვექონდა კოსმოსი...

ზურა ჯიშკარიანი. „არალეგალური კოსმონავტიკის ზოგადი საფუძვლები“

– თქვენ მუდმივად აკეთებთ აქცენტს თქვენი ხელოვნების და სოციალური პროგრამირების კავშირზე. თუმცა, ნებისმიერი

ხელოვანი სინამდვილეში სწორედ თავისი მათემატიკის თუ მსმენელის პროგრამირებითაა დაკავებული. რა არის მთავარი იმაში, რასაც აკეთებთ, გარდა იმისა, რომ ღიად აცხადებთ, რომ სოციალური პროგრამირებითა ხართ დაკავებული?

ზურა: დღეს ყველა და ყველაფერი დაკავებულია უზარმაზარი სოციალური ურთიერთპროგრამირებით. რეკლამა აპროგრამებს მომხმარებელს, მომხმარებელი აპროგრამებს მეორე მომხმარებელს. სახელმწიფო და კერძო ინტერესები აპროგრამებენ რეალობას, რომელიც მზა სახით ხვდება ახლადდაბადებულ სუბიექტს. და თან ყველა მას არწმუნებს, რომ ეს არის ერთადერთი და განუმეორებელი რეალობა. სინამდვილეში, რეალობა იმდენია რამდენიც შეგიძლია წარმოიდგინო.

ჩემი ხელოვნება მოდის სწორედ სამყაროს ამ ქაოტურობის აღქმიდან, ინფორმაციულ ქსელში აკიდებული აპოკალიპსური ხილვებიდან. ასეთი ხელოვნება შედგება კონცეპტისგან, რომელიც ანადგურებს სპექტაკლს. იმათ, ვისთვისაც სპექტაკლი ერთადერთი რეალობაა, შეიძლება ჩათვალოს, რომ რაღაც მომენტში ეს აგრესიული ხელოვნებაა, სინამდვილეში, ეს არის ახალი საყრდენის ძიება იმ კატაკლიზმების შემდეგ, რომლებიც გამოიწვია ჯერ ღმერთის და მერე ადამიანის სიკვდილმა.

ბესო: ოთხი წლის წინ სამხატვრო აკადემიის სარდაფში პირველი საღამო გავაკეთეთ „მოჭრილი თითი და ოცთეთრის ბილეთი...“ ეს იყო იმ პერიოდში, როდესაც მსგავსი საღამოები ძალიან იშვიათად ტარდებოდა.

ზურა: დღეს ეს ცოტა მოდურიც კი გახდა. პაატამ მოიგონა „იმპერატივები“, მე მოვიგონე „ფსიქოტროპული პოეზია“. ეს ერთგვარი კაიფი იყო არტ-სივრცეზე. ისეთი პოსტულატების მოგონება, რომ ვერავის ვერ დაენერა ასეთი პოეზია. მაგრამ არის ხალხი ვინც დღეს მაგას წერს.

ავთო: აქ კიდევ სხვა რამეზეა საუბარი. აი, ზურა რომ ამბობს, მოდური გახდაო. მხოლოდ ფორმები დარჩა. როგორც მუსიკაში იყო. დღეს რომ ამბობენ, კლასიკური როკი, 70-იანები, იგივე გამოხატვის ფორმა რჩება უბრალოდ...

ზურა: *Accidental Lover BoyZ* გრინჩის პროექტია. ეს ისეთი მუსიკაა, როგორსაც საქართველოში არავინ აკეთებს. ნოიზის, ფერადი თრიფ-ჰოპების და სხვადასხვა ალტერნატიული სტილების ნაზავი.

Paris Lee: და თან, იცი, როგორი რაღაცაა მუსიკაშიც? აქ აღარ გხვდება ინსტრუმენტი გიტარა, ინსტრუმენტი ვიოლინი. შენ უკვე ინსტრუმენტად ირჩევ მთლიან ჟანრს. და

მაინც მნიშვნელოვანი ისაა, როდესაც ეს ტვინზე მოქმედებს. ეს მუსიკაც აღარაა. ეს უბრალოდ გაკონტროლებს, წარმოდგენის ნაცვლად ცერემონია მიგყავს.

ზურა: მუსიკასაც არ აკეთებ. აკეთებ აუდიო არტებს, პირად თრიფ-ჰოპების ჩანაწერებს. ამას განცდის გარეშე ვერ გააკეთებ. ეს განცდა კი იქმნება მთელი ამ სიტუაციებიდან, პირადი ურთიერთობებიდან, იქიდან, რაც ხდება მსოფლიოში, შენი წარმოდგენებიდან სამყაროზე, კოსმოსზე, სიზმრებზე, როგორი ამინდია გარეთ და როგორ გაგედვიძა. ამის შედეგად იწყებ და აკეთებ. ჩვენი ხელოვნება ჩვენი ტკივილიდან მოდის. და მაყურებელსაც გადაეცემა ეს ტკივილი. მაგრამ ხელოვანი მაშინ ხარ, როდესაც შეგიძლია მთელი ეს პროცესი მართო, ეს ცერემონია წაიყვანო. როგორც შამანმა, რომელმაც იცის, როგორ მართოს ეს თრიფი.

– და რა არის ეს თრიფი?

ზურა: ეს მოგზაურობაა შიდა კოსმოსში, გარე კოსმოსში და უკან დაბრუნება. ამ მოგზაურობისას შენ გხვდება ბევრი არსება, ხილვა, პროგრამა. თრიფი გაძლევს გამოცდილებას, კოსმიურ გამოცდილებას. ყოველი თრიფიდან ბრუნდები ახალი ადამიანი, რომელსაც ახალი ურთიერთობები აქვს. ეს საშუალებას გაძლევს უფრო ადამიანური გახდე. იმიტომ, რომ ხვდები, კოსმიურ მასშტაბებში ეს სოციალური პროგრამები პირობითი და უმნიშვნელოა და უფრო კარგად განიცდი ადამიანურ სიტუაციას, სიყვარულს.

– გამოდის, რომ მოგზაურები ხართ. არ გეშინიათ, რომ ერთხელაც სადმე დაიკარგოთ?

ზურა: ჯობია თრიფში დაიკარგო, ვიდრე უაზრო ურთიერთობებში. ყველაზე ცუდი ამ მოგზაურობაში მხოლოდ ისაა, რომ შეიძლება ვერაფერი ვერ მიიღო.

დანეჟი სახურავზე პირაღმა და იფიქრე კოსმოსზე. მიიღე კოსმოსი. მიიღე უსაზღვრო თავისუფლება, ენტროპია, ევოლუციური მეტამორფოზები, კომპარები, ომები, ძილი, სიზმრები. კოსმოსი ჩვენი სამშობლოა... ეს არის საშო, სადაც მილიარდობით ვარსკვლავი, ცოცხალი არსება, ბაქტერია იბადება, სუნთქავს, ხედავს, გრძნობს, გამოსცემს ხმას, იცვლის სახეს და გენეტიკურ კოდს...

ზურა ჯიშკარიანი. „არალეგალური კოსმონავტიკის ზოგადი საფუძვლები“



www.ucnobifm.ge

რადიო უსნობი წარმოგიდგინთ:

სნობილი ადამიანები და ათი ავტომობილები!

- საყვარელი მარკა, მოდელი, ნაცნობი და უცნობი დეტალები.
- ბლიც შეკითხვები და ნაცნობი ხმების ბლიც პასუხები ავტომობილების შესახებ.


ყოველ დღე, დღის განმავლობაში 4-ჯერ.

გადასმეა ავტო-მოკასუსი, მაკა სინსაქსთან ერთად.


გვისმინეთ ყოველ სამუშაო დღეს:

10:05; 18:00; 20:30; 22:30

ხოლო შაბათს, 13:15, 17:50, 21:30 და 22:30



წარმატებული ტანდემი



ლესია უკრაინკას 3, თბილისი, საქართველო
ტელ. +995 (32) 922536, 922562, 922563
ფაქსი +995 (32) 922537

info@investbank.ge • www.investbank.ge

sheraton.com/tbilisi



Sheraton
Metechi Palace

HOTEL
TBILISI

ღია აუზი გელით 1 ივნისიდან...

